


# ახალი წელი ქრისტიანობაში



„ღვთისა და ერის წინაშე ვერცავე კეთილსინდისიერად  
აღუძრული საქართველოს საეკლესიო ცენტრი  
წვევით მოვლდება და მისი აღსრულებისას დავემთხვილი  
მხილად საქართველოს კონსტიტუციას, არაფრს და არაფრს  
სხვანს, ვარდა საქართველოს კონსტიტუციას“

4

2004



რამეთუ იტყუის  
პლატონ ბრძენი  
ელენთა: პატიოსან არს  
იგი, რომელმან ყოს  
სამართალი, და არავენ  
ქნას უსამართლო  
ვიზედმე.

*სამართალი ბერძული*



ISSN 1512-097X

# საქართველოს კონსტიტუციის საქართველოს

დამფუძნებელი - საქართველოს  
საკონსტიტუციო სასამართლო  
(გამოდის 1996 წლის ნოემბრიდან)



გამოცემას აფინანსებს გაეროს განვითარების  
პროგრამის პროექტი “კონსტიტუციური  
მართლმსაჯულების განვითარება საქართველოში”

საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული,  
რეცენზირებადი და რეფერირებადი ჟურნალი

მისამართი: თბილისი, 380008, რუსთაველის გამზირი, N29, ტელ.: 92-08-45,  
ფაქსი: 995 (32) 92-08-53, 92-08-56. E-mail: court@const.gov.ge

## სარემლაცციო საბჭო

**ჯონი ხეცურიანი** - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, ჟურნალ "ადამიანი და კონსტიტუციის" სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

**გადის გაჯიევი** - რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**იაკობ ფუტკარაძე** - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართლის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**რომან შენგელია** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**პაატა ცნობლაძე** - საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარე, ჟურნალ "სამართლის" მთავარი რედაქტორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

**ლადო ჭანტურია** - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ზაურ ჯინჯოლავა** - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

## სარემლაცციო კომისია

**ბესარიონ ზოიძე** - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, ჟურნალ "ადამიანი და კონსტიტუციის" მთავარი რედაქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კერძო სამართლის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ოთარ გამყრელიძე** - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლისა და პროცესის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**თედო ნინიძე** - საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

**გიორგი ხუბუა** - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.



## INDIVIDUAL AND CONSTITUTION

### THE EDITORIAL COUNCIL

**John Khetsuriani** – President of the Constitutional Court of Georgia, the Chairman of the Editorial Council of the Law Journal “Individual and Constitution”, Doctor of Juridical Sciences, Professor. Member of the Academy of Sciences of Georgia.

**Gadis Gadjev** – Member of the Constitutional Court of the Russian Federation, Doctor of Juridical Sciences, Professor.

**Jacob Putkaradze** – Member of the Constitutional Court of Georgia, Head of the Department of Constitutional and Administrative Law at the Institute of State and Law of the Academy of Sciences of Georgia, Doctor of Juridical Sciences, Professor.

**Roman Shengelia** – Dean of the Law Faculty at the Tbilisi State University, Head of the Civil Law Department, Doctor of Juridical Sciences, Professor.

**Paata Tsnobiladze** – Chairman of the Georgian Lawyers Union, Editor in Chief of the Journal “Law”. Candidate of Juridical Sciences, Assistant Professor.

**Lado Chanturia** – Doctor of Juridical Sciences, Professor.

**Zaur Jinjolava** – Member of the Constitutional Court of Georgia, Doctor of Juridical Sciences, Professor.

### THE EDITORIAL BOARD

**Besarion Zoidze** – Vice-President of the Constitutional Court of Georgia. Editor in Chief of the Law Journal “Individual and Constitution”, Head of the Department of Private Law at the Institute of State and Law of the Academy of Sciences of Georgia. Doctor of Juridical Sciences, Professor.

**Otar Gamkrelidze** – Head of the Criminal Law and Criminal Procedure Department at the Institute of State and Law of the Academy of Sciences of Georgia. Doctor of Juridical Sciences, Professor.

**Tedo Ninidze** – Member of the Council of Justice of Georgia, Candidate of Juridical Sciences, Assistant Professor.

**Giorgi Khubua** – Director of Institute of State and Law of the Academy of Sciences of Georgia, Doctor of Juridical Sciences, Professor.

## **ЧЕЛОВЕК И КОНСТИТУЦИЯ**

### **РЕДАКЦИОННЫЙ СОВЕТ**

**Джони Хецуриани** – Председатель Конституционного Суда Грузии, председатель редакционного совета журнала “Человек и Конституция”, доктор юридических наук, профессор, член-корреспондент Академии наук Грузии.

**Гадис Гаджиев** - член Конституционного Суда Российской Федерации, доктор юридических наук, профессор.

**Якоб Путкардзе** – член Конституционного Суда Грузии, заведующий отделом конституционного и административного права Института государства и права Академии наук Грузии, доктор юридических наук, профессор.

**Роман Шенгелия** – декан юридического факультета Тбилисского государственного университета им. Иванэ Джавахишвили, заведующий кафедрой гражданского права, доктор юридических наук, профессор.

**Паата Цнобиладзе** - председатель Союза юристов Грузии, главный редактор журнала “Самартали”, кандидат юридических наук, доцент.

**Ладо Чантурия** – доктор юридических наук, профессор.

**Заур Джинджолава** - член Конституционного Суда Грузии, доктор юридических наук, профессор.

### **РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ**

**Бесаргон Зондзе** - заместитель Председателя Конституционного Суда Грузии, главный редактор журнала “Человек и Конституция”, заведующий отделом частного права Института государства и права Академии наук Грузии, доктор юридических наук, профессор.

**Отар Гамкрелидзе** – заведующий отделом уголовного права и процесса Института государства и права Академии наук Грузии, доктор юридических наук, профессор.

**Тедо Нинидзе** – член Совета юстиции, кандидат юридических наук, доцент.

**Георгий Хубуа** - директор Института государства и права Академии наук Грузии, доктор юридических наук, профессор.

## ს ა რ ჩ ე ზ ი

### საკონსტიტუციო სამართლისა და საკონსტიტუციო კონტროლის პრობლემები

ჯონი ზეცურიანი - თანამეგობრობა რუსულად.....	9
ევა გოცირიძე - აზრის გამოხატვის თავისუფლება აშშ-ისა და კანადის საკონსტიტუციო სამართალსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში.....	17
თამარ ჯანაშია - გამოხატვის უფლება და შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მიხედვით.....	44
იმედო არჯევანიძე - საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის შესახებ.....	58
ბესარიონ ზოიძე - საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პირობები (ზოგადი მიმოხილვა და საქართველოში არსებული მდგომარეობა).....	62
ამირან კურტიანიძე - რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოში საჩივრით მიმართვის უფლება და მისი რეალიზაციის პირობები.....	72
თამარ ალფაიძე - ეურნალისტიკის სამართლებრივი სტატუსი.....	79

### სამეწარმეო სამართლის პრობლემები

ლადო ჭანტურია - ევროპის სააქციო საზოგადოება (SOCIETAS EUROPAEA) - უნივერსალური მოდელი თუ საკანონმდებლო კომპილაცია.....	90
შორენა ჯანხოთელი - ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაცია (ქართული და უცხოური კანონმდებლობის მიხედვით).....	101

### სისხლის სამართლის პრობლემები

გურამ ნაჭყვია - სახელმწიფოსთან პიროვნების სისხლისსამართლებრივი კავშირის საკითხისათვის.....	115
შოთა ფაფიაშვილი - განზრახ მკვლელობის კვალიფიკაციის ზოგიერთი პრობლემა.....	120
ელდშერ ფუტკარაძე, რაფდენ ფუტკარაძე - კორუფციასთან ბრძოლის კონსტიტუციურ-სამართლებრივი და სისხლისსამართლებრივი ასპექტები.....	135

**ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის კომენტარი**  
ნანა მჭედლიძე - სასამართლოს ხელმისაწვდომობა.....143

**რომან ცხოვრებაზე** - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის  
საზედამხედველო სისტემაში ცვლილებების შეტანის შესახებ.....147

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები**

- 1. N1/13/297 განჩინება. 2004 წლის 6 ოქტომბერი.....153
- 2. N2/8/302 განჩინება. 2004 წლის 7 ოქტომბერი.....156
- 3. N1/14/298 განჩინება. 2004 წლის 13 ოქტომბერი.....159
- 4. N1/15/216 განჩინება. 2004 წლის 20 ოქტომბერი.....162
- 5. N2/9/305 განჩინება. 2004 წლის 22 ოქტომბერი.....166
- 6. N1/16/304 განჩინება. 2004 წლის 28 ოქტომბერი.....169
- 7. N2/11/306 განჩინება. 2004 წლის 1 ნოემბერი.....171
- 8. N2/12/260 განჩინება. 2004 წლის 5 ნოემბერი.....175
- 9. N2/13/307 განჩინება. 2004 წლის 11 ნოემბერი.....177

**რეცენზია**

**იაკობ ფუტყარაძე** - კანონმემოქმედების რეფორმირების მეცნიერული  
კვლევის სრულყოფისათვის.....183

**რაიზიშვილი ივანე** და **რუსულ ენაზე**.....191



### ჯონი ნაცირაშვილი

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა  
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

## თანამშრომლობა რუსულად

საქართველოს სეპარატისტული რეგიონების ხელმძღვანელებმა, რომლებიც წლების მანძილზე თითქოს თავიანთი თვითგამოცხადებული რესპუბლიკების დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ, ბოლო პერიოდში ჩვენს ჩრდილოელ მეზობელ სახელმწიფოს არაერთხელ მიმართეს განცხადებით, რომელშიც აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ახალ სუბიექტებად მიღებას სთავაზობენ. რუსეთის პოლიტიკურ წრეებში ეს წინადადებები უყურადღებოდ არ დარჩენილა. სხვა ერების ისტორიული ტერიტორიების შემოერთების ინსტიტუტმა და საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად განცდილი დანაკლისის შევსების წადილმა ზოგიერთ რუს პოლიტიკოსს ელემენტარული წინდახედულობის ნორმები დაავიწყა და დაუფარავად, ოფიციალურადაც კი, შეუღდა ამ “საქმის მოგვარებას”. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის თანამეგობრობის საქმეთა და თანამშრომლებთან კავშირების კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ა. კოკოშინმა გასული წლის 22 ივლისს შეკითხვით მიმართა რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს რუსეთის ფედერაციაში ახალი სუბიექტის უფლებებით სამხრეთ ოსეთის შესაძლო მიღების სამართლებრივი ასპექტების თაობაზე.

როგორც ვხედავთ, თანამეგობრობის საქმეებით დაკავებული ა. ა. კოკოშინი მთლად მეგობრულად არ უნდა იყოს განწყობილი ჩვენი ქვეყნის მიმართ და თვალი უჭირავს საქართველოს ტერიტორიებზე. საამისოდ იგი სამართლებრივ საფუძვლებსაც კი ეძებს. თუ რუსეთის იმპერია, არცთუ ისე შორეულ წარსულში, ასეთ საქმეებს ყოველგვარი სამართლებრივი ასპექტების გარკვევის გარეშე ახერხებდა შეიარაღებული აგრესიის, ოკუპაციისა და ანექსიის გზით, ახლა XXI საუკუნეა, ცივილიზებული ქვეყნები სამართლის უზენაესობის პრინციპით ცხოვრობენ და, ბუნებრივია, ჩვენი “მეგობრებიც” ეპოქის შესაბამისად მოქმედებენ, ოღონდ მიზანი იგივეა - რაც შეიძლება მეტი ტერიტორიების შემოერთება. თითქოს თავიანთ ქვეყანაში ვერ ვტეოდნენ და “სასიცოცხლო სივრცის” ნაკლებობას განიცდიდნენ.

რადგანაც საქმე სამართლებრივ ასპექტებზე მიდგა, ჩვენი აზრით, საჭიროა, ამ საკითხს ნათელი მოეფინოს. ამისათვის კი, სულ ცოტა, სამ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი:



**პირველი.** როგორია რუსეთის კონსტიტუციის მიხედვით რუსეთის ფედერაციაში ახალი სუბიექტების მიღების შესახებ;

**მეორე.** როგორია საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით სახელმწიფოს ტერიტორიების გასხვისების შესაძლებლობის შესახებ;

**მესამე.** როგორ აწესრიგებს ამ საკითხს საერთაშორისო სამართალი.

პირველ კითხვაზე პასუხის გაცემაში ა. ა. კოკოშინის სახელზე რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სამართლის მიერ მომზადებული დოკუმენტი დაგვეხმარება, რომელიც, ჩვენი აზრით, პროფესიული კეთილსინდისიერებით არის შედგენილი.

“რუსეთის ფედერაციაში ახალი სუბიექტების მიღების და მის შემადგენლობაში ახალი სუბიექტების შექმნის წესის შესახებ” რუსეთის ფედერაციის 2001 წლის 17 დეკემბრის კონსტიტუციური კანონის მიხედვით, უცხო სახელმწიფოს ან მისი ნაწილის რუსეთის ფედერაციის ახალ წევრად მიღებისათვის აუცილებელია:

1. რუსეთის ფედერაციაში ახალ სუბიექტად უცხო სახელმწიფოს ან მისი ნაწილის მიღების ინიციატივა უნდა მოდიოდეს უცხო სახელმწიფოსაგან. ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც უცხო სახელმწიფოს ნაწილი გამოთქვამს სურვილს რუსეთის ფედერაციაში შესვლაზე.

2. რუსეთის ფედერაციამ თანხმობა უნდა განაცხადოს უცხო სახელმწიფოს ამ წინადადებაზე.

3. რუსეთის ფედერაციისა და უცხო სახელმწიფოს შორის ურთიერთთანხმობა უნდა გაფორმდეს საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისი) ხელშეკრულების დადებით ამ სახელმწიფოს ან მისი ნაწილის რუსეთის

ფედერაციაში ახალ სუბიექტად მიღების შესახებ.

მასწავლაძე, რუსეთის ფედერაციის ზემოაღნიშნული კანონის მიხედვით, უცხო სახელმწიფოს ნაწილი არ წარმოადგენს სათანადო სუბიექტს, რომლის მიმართვის შემთხვევაში, შესაძლებელია დაიწყოს რუსეთის ფედერაციაში მისი ახალ სუბიექტად მიღების პროცედურა. საამისოდ საჭიროა, რუსეთის ფედერაციას ამ წინადადებით მიმართოს უცხო სახელმწიფომ, რომლის ნაწილიც სურვილს გამოთქვამს რუსეთის ფედერაციაში შესვლაზე.

ისტორიულად და სამართლებრივად აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილებია. საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით, ე.ი. აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების ჩათვლით. ამასთანავე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობის (მათ შორის რუსეთის) და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

საქართველომ რუსეთის ბოლო აგრესიის, ოკუპაციისა და ანექსიის (1921წ.) შედეგად დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა რეფერენდუმის საფუძველზე, რომელიც 1991 წლის 31 მარტს ჩატარდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. საარჩევნო უფლების მქონე მოსახლეობის, მათ შორის ამ რეგიონებში მცხოვრებთა უმრავლესობამ, რეფერენდუმში მხარი დაუჭირა საქა-

რთველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. ამის შედეგად, საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიიღეს იმ საზღვრებში იმ ტერიტორიული მდგომარეობით, რომელიც მას გააჩნდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისას, ე.ი. აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიების ჩათვლით.

აქედან გამომდინარე, საქართველოს სეპარატისტული რეგიონების - აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილების, დე-ფაქტო ხელისუფალთა მიმართვას რუსეთის ფედერაციაში ახალ სუბიექტებად მიღების შესახებ, არავითარი იურიდიული მნიშვნელობა არ გააჩნია თვით რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით და, რა თქმა უნდა, არ შეიძლება გახდეს რუსეთის ფედერაციაში ახალი სუბიექტების მიღების პროცედურების დაწყების საფუძველი. იგივეა ნათქვამი რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს დოკუმენტშიც: "სამხრეთ ოსეთი - საქართველოს ნაწილია. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი მოხსენიებულია საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლის პირველ პუნქტში, აგრეთვე იმ ფაქტიდან, რომ საქართველოს კონსტიტუციის თანახმად "საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით" (მე-2 მუხლის პირველი პუნქტი), ე.ი. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჩათვლით. სამხრეთ ოსეთი საქართველოს კონსტიტუციურად აღიარებული ნაწილი იყო მაშინაც, როდესაც საქართველო შედიოდა წინამორბედი სახელმწიფოს - სსრ კა-

ვშირის შემადგენლობაში, რაც დაფიქსირებული იყო სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის 25-ე მუხლში და სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის 87-ე მუხლში.

ამრიგად, სამხრეთ ოსეთი, მიუხედავად იმისა, რომ მას გააჩნია დამოუკიდებლობის ზოგიერთი ატრიბუტი, დე-იურე საქართველოს ნაწილს წარმოადგენს, რაც არაერთხელ დაუდასტურებია რუსულ მხარეს ოფიციალური განცხადებებით. ამის შესაბამისად, რუსეთის ფედერაციაში მის მიღებასთან დაკავშირებული საკითხები, როგორც ამას მოითხოვს ფედერალური კონსტიტუციური კანონი, უნდა გადაწყდეს საქართველოსთან და მხოლოდ მისი ინიციატივით".

რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ეს დოკუმენტი, რომელიც სახელმწიფო სათათბიროს გაეგზავნა, იმდენად არასასურველი აღმოჩნდა ადრესატისათვის, რომ იგი დაუყოვნებლივ გაასაიდუმლოეს და "სამსახუროებრივი საჭიროებისათვის" გრიფით აღჭურვეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის ფედერაციაში ახალი სუბიექტის მიღება უცხო სახელმწიფოს ინიციატივაზე დამოკიდებული, ე.ი. საქართველოს სეპარატისტული რეგიონების ლიდერთა ოცნება რომ ახდეს, ამისათვის ე.წ. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რუსეთის ფედერაციაში შესვლის საკითხი თავად საქართველომ უნდა დააყენოს. ასეთია რუსეთის ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნა. მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით, უწინარეს ყოვლისა, გასარკვევია, საერთოდ გააჩნია თუ არა ასეთი უფლებამოსილება საქართველოს ხელისუფლებას.

საქართველოს ხელისუფლების მიერ ამ საკითხის აღებრა საქართველოს ტერიტორიების რუსეთისათვის გადაცემის შეთავაზებას ნიშნავს. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად კი, "საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია" (მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი). ეს არ არის დეკლარაციული ნორმა, იგი უზრუნველყოფილია სისხლისსამართლებრივი სანქციებით და მისი დარღვევა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულადაა აღიარებული. სახელდობრ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, მოქმედება, მიმართული უცხო ქვეყნისათვის საქართველოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის გადაცემისაკენ, სახელმწიფოს ღალატად ითვლება და მკაცრად ისჯება (307-ე და 308-ე მუხლები). უფრო მეტიც, რადგანაც საქართველოს ტერიტორიის გასხვისება ანტიკონსტიტუციური მოქმედებაა, რომელიც ზღუდავს საქართველოს სუვერენიტეტსა და სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი სახელმწიფოს ღალატად მიიჩნევს ამ მიზნით უცხო ქვეყანასთან, უცხოეთის ორგანიზაციასთან ან მათ წარმომადგენელთან ანტიკონსტიტუციური მოლაპარაკების წარმოებასაც კი (307-ე და 309-ე მუხლები).

როგორც ვხედავთ, საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება არა მხოლოდ ანტიკონსტიტუციური მოქმედებაა, არამედ ამ მიზნით რაიმე სახის მცდელობაც კი სახელმწიფოს ღალატად ითვლება.

ამდენად, საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლებას არანაირი უფლებამოსილება არ

გააჩნია, ინიციატივა გამოიჩინოს საკუთარი ქვეყნის ტერიტორიის უცხო სახელმწიფოსათვის გადასაცემად.

ამ სამართლებრივმა სინამდვილემ, როგორც ჩანს, აკოოპინს ზელი აღებინა განზრახვაზე. ყოველ შემთხვევაში, მის შემდგომ მოქმედებებზე აღარაფერი გვსმენია. სამაგიეროდ, გამოჩნდნენ სხვა რუსი პოლიტიკოსები, სახელდობრ, სახელმწიფო დუმის ფრაქცია "როდინას" დეპუტატთა ჯგუფი (დ. როგოზინი, ნ. ნაროჩნიცკაია, ა. საველიევი), რომელთათვისაც სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა ასეთი სამართლებრივი წესრიგი და გადაწყვიტეს მისი შეცვლა. დეპუტატთა ამ ჯგუფმა სასწრაფოდ მოამზადა "რუსეთის ფედერაციაში ახალი სუბიექტების მიღების და მის შემადგენლობაში ახალი სუბიექტების შექმნის წესის შესახებ" რუსეთის ფედერალურ კონსტიტუციურ კანონში ცვლილებების პროექტი და 2004 წლის 9 დეკემბერს სახელმწიფო დუმაში წარადგინა.

საკანონმდებლო ინიციატივის ავტორები ზელისუფლებას სთავაზობენ რუსეთის ფედერაციაში ახალი სუბიექტების მიღების გამარტივებულ პროცედურას ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების იმ ავტონომიებისათვის, რომელთა საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსი ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის. კანონპროექტის მიხედვით, გამარტივებული პროცედურის არსი მდგომარეობის იმამა, რომ რუსეთის ფედერაციაში ახალ სუბიექტებად შემოაღნიშნული ავტონომიების მიღება შესაძლებელია, თუ ავტონომიის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი, რეფერენდუმის გზით, გამოავლენს რუსეთის ფედერაციაში შესვლის ნებასურვილს. რა თქმა უნდა, იმ სახე-



ლმწიფოს, რომლის შემადგენლობაშიც ეს ავტონომია შედის, არაფერს ეკითხებიან, ამიტომ მასთან სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების გაფორმებაც საჭირო აღარ იქნება. ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ავტონომიების (ე.ი. ამჟამად უცხო ქვეყნის ტერიტორიების) რუსეთის მიერ მიტაცების ამ გამარტივებულ პროცედურას, კანონპროექტის ავტორთა აზრით, დაასრულებს რუსეთის ფედერაციაში ახალი სუბიექტების (მაგალითად, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და სხვ.) მიღების შესახებ სპეციალური კონსტიტუციური კანონის გამოცემა.

უაღრესად საყურადღებოა კანონპროექტის განმარტებითი ბარათი, რომელშიც ამ საკანონმდებლო ნოვაციის მიზნებსა და მიზნუბუნება საუბარია.

ბოლო დროს - აღნიშნულია მასში - ზოგიერთი სახელმწიფო - ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკა (საქართველო, აზერბაიჯანი, მოლდოვა) ცდილობს, გააგრძელოს თავისი სუვერენიტეტი არაღიარებული რესპუბლიკების - აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბაღის და დნესტრისპირეთის მოლდოვის რესპუბლიკის ტერიტორიებზე. ამასთან დაკავშირებით, აქტუალურობას იძენს საკითხი ამ სახელმწიფოთა პრეტენზიების მართლზომიერებისა და რუსეთის პოზიციის შესახებ. ამ საკითხის სიმწვავეს - ნათქვამია დოკუმენტში - აღრმავებს ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნულ სახელმწიფოთა მთავრობებისაგან ხშირად გაისმის რუსეთის მიმართ ბრალდებები არაღიარებული რესპუბლიკების "სეპარატიზმის" მხარდაჭერაში.

აქედან გამომდინარე, რუსეთის ფედერაციამ უნდა გამოთქვას თავისი პოზიცია ამ არაღიარებული რესპუბლი-

კების მიმართ. კანონპროექტის ავტორთა აზრით, რადგანაც რუსეთი არის სსრ კავშირის სამართალმემკვიდრე სახელმწიფო-სამართლებრივ ურთიერთობებში, ამიტომ რუსეთის ფედერაციას უფლება აქვს, შეიერთოს ყოფილი სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების ავტონომიები გამარტივებული წესით.

სხვა ქვეყნების ტერიტორიების შემოერთების რაც შეიძლება მარტივი სქემის შემუშავებით გართულ ამ კანონპროექტის ავტორებს, როგორც ჩანს, მსუდველობიდან გამორჩათ, რომ სხვა ქვეყნის ნაწილის შემოერთება საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობების საგანია და არა მხოლოდ რუსეთის სამინაო საქმე. ამიტომ ამ საკითხის მომწესრიგებელი შიდანაციონალური კანონმდებლობის შექმნისას, უსათუოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების მოთხოვნები. სხვაგვარად ნაციონალური კანონმდებლობა წინააღმდეგობაში აღმოჩნდება საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან.

ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ავტონომიების რუსეთის ფედერაციის მიერ შეერთების ამ კანონპროექტით გათვალისწინებული გამარტივებული წესი პირდაპირ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ძირითად პრინციპებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია გაეროს წესდებებში, აგრეთვე გაეროს 1970 წლის დეკლარაციაში "საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ" და ეუთოს 1975 წლის დასყენით აქტში. სახელდობრ, საქართველოსთან მიმართებაში, ზემოაღნიშნული კანონპროექტით გათვალისწინებული ყოფილი მოკავშირე რესპუ-

ბლეკების ავტონომიების რუსეთისათვის შეერთების "გამარტივებული წესით", ირღვევა:

**1. სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი.**

ამ პრინციპის დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ საქართველოს ნების გარეშე აფხაზეთის და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების რუსეთისათვის შეერთების უფლების დადგენით, რუსეთი პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს თავის თავს საქართველოს სუვერენიტეტის საზიანოდ;

**2. საერთაშორისო ურთიერთობებში ძალისა და ძალის მუქარის გამოყენების პრინციპი.**

ამ პრინციპის დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ საქართველოს ნების გარეშე აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების რუსეთისათვის შეერთების უფლების დადგენითა და ამ უფლების გამოყენების მუქარით, რასაც თან ახლავს სეპარატისტული რეჟიმების მხარდასაჭერად რუსეთის რეგულარული სამხედრო ძალების უკანონო ყოფნა ამ რეგიონებში, სეპარატისტული ძალების საბრძოლო ტექნიკითა და იარაღით აღჭურვა, ამ ტერიტორიებზე რუსეთიდან შეიარაღებული ჯგუფებისა და დაქირავებული ძალების შეგზავნა, რუსეთი ცდილობს საქართველოზე პოლიტიკური გავლენის მოპოვებას, მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ხელყოფას.

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიხედვით, არავითარი ტერიტორიული შექმნა, რომელიც ამ პრინციპის დარღვევის შედეგია, არ იქნება ცნობილი კანონიერად, ხოლო სახელმწიფოს ასეთი მოქმედება შეფასდება აგრესიად, ტერიტორიის მითვისება კი - ანექსიად;

**3. სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპი.**

ამ პრინციპის დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ ე.წ. გამარტივებული წესი გულისხმობს საქართველოს განუყოფელი ნაწილების - აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების საქართველოსთან შეუთანხმებლად რუსეთის ფედერაციისათვის შეერთებას, რაც პირდაპირ არღვევს მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და თვით რუსეთის მიერ აღიარებულ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას;

**4. სახელმწიფო საზღვრების ურღვევობის პრინციპი.**

ამ პრინციპის დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ ე.წ. გამარტივებული წესი უფლებას აძლევს რუსეთს, თავის სასარგებლოდ, ცალმხრივად, საქართველოსთან შეთანხმების გარეშე შეცვალოს საქართველოს სახელმწიფო საზღვრები.

თანამედროვე საერთაშორისო სამართლით, ამ პრინციპის დარღვევის ნებისმიერი მცდელობა დანაშაულადაა გამოცხადებული;

**5. სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი.**

ამ პრინციპის დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ ე.წ. გამარტივებული წესის პირობებში რუსეთს ეძლევა უფლება, თვითნებურად გადაწყვიტოს სხვა სახელმწიფოს - საქართველოს ავტონომიების ბედის საკითხი, რომელიც საქართველოს საშინაო საქმეა.

ამ პრინციპის დარღვევას თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ინტერვენციად მიიჩნევს;

## 6. ხალხთა თანასწორობისა და თვითგამორკვევის პრინციპი.

ამ პრინციპის დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ ე.წ. გამარტივებული წესის ამოქმედების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება, ხალხის (აფხაზების, ოსების) თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის მოტივით, უფრო მეტიც, სეპარატისტულ რეგიონებში ეთნიკური წმენდის შემდეგ დარჩენილ მოსახლეობაში ჩატარებული უკანონო რეფერენდუმის საშუალებით, საქართველოს, როგორც სუვერენული დემოკრატიული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის და პოლიტიკური ერთიანობის ცალმხრივად, ძალის გამოყენებით ხელყოფა;

## 7. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის პრინციპი.

ამ პრინციპის დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ ე.წ. გამარტივებული წესის ამოქმედების შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება ამ რეგიონებში ქართველი მოსახლეობის მიმართ ჩადენილი ეთნიკური წმენდის შედეგების ლიკვიდაცია, ასიათასობით დევნილ საქართველოს მოქალაქეს წაერთმევა თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების, საკუთრების, არჩევნებში მონაწილეობის და ადამიანის სხვა ძირითადი უფლებების განხორციელების შესაძლებლობა;

## 8. დაკვების მშვიდობიანი მოწესრიგების პრინციპი.

ამ პრინციპის დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ ე.წ. გამარტივებული წესის ამოქმედება, არათუ ხელს შეუწყობს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მშვიდობიან მოწესრიგებას, არამედ პირიქით, იგი იმდენად გააუარესებს ამ ორ სახელმწიფოს შო-

რის ამეამად არსებულ ისედაც დაძაბულ ურთიერთობებს, რომ რეალური საფრთხე შეექმნება საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვას;

## 9. სახელმწიფოების ერთმანეთთან თანამშრომლობის პრინციპი.

ამ პრინციპის დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ ე.წ. გამარტივებული წესის შემოღებით, რუსეთი ადასტურებს თავის კეთილგანწყობას და მხარდაჭერას აგრესიული სეპარატიზმისადმი, ეთნიკური წმენდის შედეგად ჩამოყალიბებული თვითადიარებული რესპუბლიკების ხელისუფლებასთან თანამშრომლობას, ნაცვლად იმისა, რომ ითანამშრომლოს საქართველოსთან, როგორც სუვერენულ მქობელ სახელმწიფოსთან, კონფლიქტების მოგვარების, საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საქმეში;

## 10. საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულების პრინციპი.

ამ პრინციპის დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ ე.წ. გამარტივებული წესის შემოღებით, რუსეთი უხეშად არღვევს როგორც იმ ვალდებულებებს, რომლებიც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან და ნორმებიდან გამომდინარეობს (ეს კარგად ჩანს ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან), ისე ვალდებულებებს, გამომდინარე რუსეთის მონაწილეობით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებიდან თუ შეთანხმებებიდან, რომლებშიც რუსეთი ცნობს და აღიარებს საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას და არსებული საზღვრების ურღვევობას (გაეიხსენოთ თუნდაც



დსთ-ის ფარგლებში დადებული ხელშეკრულებები).

ზემოაღნიშნული განმარტებები ნათლად გვიჩვენებენ, რომ ფრაქცია "როდინას" მიერ შემუშავებული ყოფილი სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების ავტონომიების რუსეთის ფედერაციაში ახალ სუბიექტებად მიღების გამარტივებული წესი არ შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ათივე პრინციპს. არადა, ეს პრინციპები და რუსეთის საერთაშორისო ხელშეკრულებები თვით რუსეთის კონსტიტუციის თანახმად (მე-15 მუხლი), ამ ქვეყნის სამართლებრივი სისტემის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ და მათ უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნიათ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. ამ უპირატესობის აზრი კი იმაში მდგომარეობს, რომ საერთაშორისო სამართლისა და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმებს შორის წინააღმდეგობისას, გამოიყენება მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული წესები.

მაშასადამე, ყოფილი სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების ავტონომიების რუსეთის ფედერაციაში ახალ სუბიექტებად მიღების გამარტივებული წესი შეუთავსებელია როგორც საქართველოს, ისე თვით რუსეთის ნაციონალურ სამართალთან, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან და ნორმებთან, რუსეთის მონაწილეობით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებთან.

დაბოლოს, რუსეთისათვის ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ავტონომი-

ების გამარტივებული წესით შეერთების უფლების დადგენის მთავარ არგუმენტად, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, კანონპროექტის ავტორები მიიჩნევენ იმას, რომ რუსეთი არის საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე სახელმწიფო. კანონპროექტის გაცნობის შემდეგ ძნელია ამ არგუმენტში ეჭვის შეტანა. რუსეთის პოსტსაბჭოური პოლიტიკა ადასტურებს, რომ იგი ნამდვილად სამართალმემკვიდრეა საბჭოთა კავშირისა. ასეთი "მეირფასი" მემკვიდრეობით გახარებულ პოლიტიკოსებს კი სურვილი უჩნდებათ, პოსტსაბჭოურ სივრცეში რუსეთის ჰეგემონიის შესანარჩუნებლად, მემკვიდრეობით მიღებული არსენალიდან გამოიყენონ რუსეთის ძველი, მაგრამ მრავალნაგავი იარაღები - ინტერვენცია, აგრესია, ოკუპაცია, ანექსია. ამ იარაღებმა ხომ წარმატება მოუტანეს საბჭოთა რუსეთს 1921 წელს, როდესაც მის მიერვე დე-იურედ ცნობილი დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ საბჭოთა ჯარების მეშვეობით განხორციელებული აგრესიის შედეგად, მოახდინეს საქართველოს ოკუპაცია და ანექსია, საბჭოთა კავშირში მისი იძულებით გაერთიანება.

ახლაც იგივეს ცდილობენ, ოღონდ, რადგანაც საბჭოთა კავშირი დაეშალათ, სამაგიერო კავშირში - "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში" ყოფნას გვაძულებენ. ძალადობაზე დამყარებული "მეგობრობა" კი ვერასოდეს ვერ იქნება თანამეგობრობა. სწორედ ამის გამო დაიშალა და დაინგრა ყველა, მათ შორის რუსეთისა და საბჭოთა იმპერიებიც. იგივე ბედი ელის ამ "თანამეგობრობასაც".

**ევა გოცირიკა**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
ადამიანის უფლებათა ცენტრის უფროსი.

**აზრის გამოხატვის თავისუფლება ავფ-ისა და  
კანადის საქონსტიტუციო სამართალსა  
და ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში\***  
(შედარებითი ანალიზი)

პოლიტიკის სფეროში აზრის გამოხატვის თავისუფლებას, ისევე როგორც ევროპაში, აშშ-სა და კანადაშიც უპირატესი დაცვა აქვს. საერთოა ის კონცეფციაც, რომელსაც ასეთი პრივილეგია ემყარება. ეს განსაკუთრებით საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე საჯარო დისკუსიების უზარმაზარი მნიშვნელობის აღიარება თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისა და წინსვლისათვის. ამავე კონცეფციას ეყრდნობა პრესის თავისუფლების, აგრეთვე დეპუტატის სიტყვის თავისუფლების განსაკუთრებული დაცვა და დოქტრინა, რომელიც შეეხება ხელისუფლებისა თუ ცალკეული პოლიტიკოსების კრიტიკასა და დიფამაციური განცხადებებისადმი არაერთგვაროვან მოპყრობას იმისდა მიხედვით, თუ ვის შეეხება ის, - მთელ ხელისუფლებას, ცალკეულ პოლიტიკოსებსა თუ კერძო პირებს.

პოლიტიკური თვითგამოხატვის უპირატესი დაცვისა და მის შესაზღუდად უკიდურესად მაღალი სტანდარტების გამოყენების აუცილებლობა შესანიშნავად ახსნა კანადის უზენაესი სასამართლოს ყოფილმა მოსამართლემ მაკლასსინმა: სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე შეხედულებების თავისუფლად და ღიად გამოხატვის უფლებას ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს ჩვენი დემოკრატიისათვის. მის გარეშე შეუძლებელია მწვავე დისკუსიები პოლიტიკისა და ღირებულებების შესახებ. უფრო მეტიც - აზრის თავისუფალი გამოხატვის გარეშე შეუძლებელია დავიკვათ სხვა უფლებებიც, როცა შეუძლებელია მიემართოთ საზოგადოებრივი აზრის სასამართლოს (ანუ საზოგადოების სამსჯავროს). ამავე დროს, ყოველგვარი შეზღუდვა აზრის გამოხატვის თავისუფლებისა, უნდა იყოს აუცილებელი, გამართლებული და მთლიანად თავსებადი თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების პრინციპებთან. მაგრამ შეზღუდვები, რომლებიც შეეხებიან სოციალური და პოლიტიკური დისკუსიების მგრძობიარე ნერვს, მოითხოვენ განსაკუთრებულად ფრთხილად განხილვას იმ საფრთხის გათვალისწინებით, რომელიც დაკავშირებულია ასეთი დისკუსიისათვის ცენზურის დაწესებასთან<sup>1</sup>.

პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის თავისუფლების განსაკუთრებული დაცვა და მათ შესაზღუდად მაღალი სტანდარტები აშშ-ში სასამარ-

\* დასაწყისი იხილეთ ამავე ჟურნალის 2004 წლის N3-ში, გვ.9-28.

<sup>1</sup> Redish M. "The Value of the Ree Speech" 1982.

როლოებმა დაამკვიდრეს და ხელისუფლების სხვა განშტოებებმა ადვილად როდი გაიზიარეს ასეთი მიდგომა. შესაბამისი სასამართლო პრეცედენტებში გამოთქმული იდეები და შეხედულებები, კონსტიტუციის 1-ლი დამატების განმარტებანი, მათი შესაბამისი იურიდიული ნორმები თუ დებულებები აშშ-ის კონსტიტუციური სამართლის უაღრესად ფასეულ ნაწილს წარმოადგენენ და უნივერსალური და საყოველთაო ღირებულების – თავისუფლების დაცვის ჭრილში განიხილება.

ამის ყველაზე ნათელი ილუსტრაციაა დროშის საქმე (Texas v. Jonson, 1989). 1984 წელს დალასში, რესპუბლიკური პარტიის საერთო-ამერიკული ყრილობის დროს, ჯონსონი მონაწილეობდა დემონსტრაციაში აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტის რ. რეიგანის წინააღმდეგ, რა დროსაც საჯაროდ დაწვა აშშ-ის დროშა. ჯონსონი გაასამართლეს და მიუსჯეს 1 წლით პატიმრობა და 2000\$ ჯარიმა.

აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ტეხასის შტატის ხელისუფლებას არ ჰქონდა უფლება, სისხლის სამართლის დევნა აღედგინა იმ ადამიანის წინააღმდეგ, რომელმაც პოლიტიკური პროტესტის ნიშნად, რესპუბლიკური პარტიის კონვენტის დროს დაწვა ამერიკული დროშა. გადაწყვეტილებაში წერია: “დროშის შეურაცხყოფისათვის კონსტიტუციური დაცვა... არის დადასტურება თავისუფლების პრინციპისა, რომელსაც დროშა განასახიერებს”. მოსამართლე ბრენანმა თავის თანმხვედრ აზრში აღნიშნა: “ჩვენი დღევანდელი გადაწყვეტილება კი არ დაკნინებს, არა-

მედ პირიქით, გააძლიერებს და ააძლიერებს იმ რანგს, რომლითაც დროშა დამსახურებულად სარგებლობს ჩვენს საზოგადოებაში. ეს გადაწყვეტილება ადასტურებს თავისუფლებისა და შემწენარებლობის პრინციპს და ამტკიცებს ფაქტს, რომ ისეთი კრიტიკული აზრის დაშვება ჩვენი მხრიდან, როგორც ბრალდებულმა გამოხატა, წარმოადგენს ჩვენი ძლიერების წყაროს”<sup>1</sup>.

ამ გადაწყვეტილების პასუხად ამერიკის კონგრესმა მიიღო კანონი, რომელიც დანაშაულად აცხადებდა დროშის შეგნებულად განადგურებას, დამახინჯებას, ფიზიკურ შეურაცხყოფას, დაწვას, იატაკზე ან მიწაზე შენახვას ან ფეხებით გათელვას. 1990 წელს აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ ეს კანონიც ანტიკონსტიტუციურად ცნო და მიუთითა: “დროშის შეურაცხყოფისათვის დასჯადობა ამცირებს იმ თავისუფლების შინაარსის სიმდიდრეს, რომელიც უზრუნველყოფს ამ სიმბოლოსადმი ხალხის პატივისცემასა და მოწიწებას (US v. Eichman; 1990).

ყველა იმ ზემოაღნიშნულ საქმეზე დაკავებული პოზიცია, რომელიც პოლიტიკური პროტესტის გამოხატვას შეეხებოდა, ისევე, როგორც სხვა საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებანი, რომლებშიც ხელისუფლების კრიტიკის უფლების დაცვაზე იყო საუბარი, ეყრდნობა აშშ-ში, ისევე, როგორც ევროპაში აღიარებულ პრინციპს, რომ “ხელისუფლების მწვავე კრიტიკა ნებადართულია”. პოლიტიკური პროტესტის გამოხატვაც სწორედ ამ ჭრილში განიხილება და მიჩნეულია, როგორც “სახელმწიფოს ადმინისტრაციულ თუ სხვა პოლიტიკასთან შეუთანხმე-

<sup>1</sup> Constitutional Law. Gases-Comments – Questions, (seventh edition; William B. Lockhart; Yale Kamisar; Jesse H. Chopper; Steven H. Shiffrin. American Gasebook Series, Westpublishing Co. St. Paul, Minn. 1991.



ბლობის გამოვლენის საშუალება” ცალკეულ ადამიანთა მხრიდან.

პოლიტიკური პროტესტის გამოხატვის დაცვათთან დაკავშირებით, აშშ-ის უზენაესი და სხვა სასამართლოების პრაქტიკა თანმიმდევრული და ერთგვაროვანია. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა საქმეთა განხილვისას კონსტიტუციის 1-ლი დამატების ძალით, დაცულად გამოცხადდა პროტესტის გამოხატვის სხვადასხვა ფორმები, მათ შორის სტუდენტთა და მოსწავლეთა უარი აშშ-ის დროშისათვის ფიცის მიცემაზე რელიგიურ თუ პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო, მათ მიერ შავი ხელსახვევების ტარება პროტესტის ნიშნად, ზანგების მგდომარე აქცია “თეთრ რაიონებში” რასობრივი სეგრეგაციის წინააღმდეგ, ქურთუკის ტარება სამხედრო გაწვევებისადმი უარყოფითი და შეურაცხყოფილი დამოკიდებულების გამომხატველი ლოზუნგებით, ნეო-ნაცისტური ჯგუფების მარშირება სასამართლოს შენობის წინ და ებრაულ რაიონებში და სხვა (ეს საქმეები ჩვენ ზემოთაც მოვიხსენიეთ, როცა მოქმედებით აზრის გამოხატვის სპეციფიკას შევხვით). თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური შეხედულებებით მოტივირებული პროტესტის გამოხატვის ყოველგვარი ფორმა თუ საშუალება როდი განიხილება კონსტიტუციურად. თუ პროტესტის გამომხატველი მოქმედება რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ხდება, ის არ არის დაცული 1-ლი დამატებით. მაგალითად, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ კონსტიტუციურად ცნო კანონი, რომელიც კრძალავდა სახელმწიფო საკუთრებისა და ეროვნული ძეგლების დანგრევასა თუ განადგურებას, თუნდაც ის პოლიტიკური შეხე-

დულებით ყოფილიყო ნაკარნახევი. ერთადერთი შემთხვევა, რომელიც ამ ლოგიკიდან ნაწილობრივ ამოვარდნილია, შეეხებოდა საქმეს, რომელშიც აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ კონსტიტუციურად ცნო კანონი, რომელიც კრძალავდა არმიამში გასაწვევი ორდენების დაწვას იმის მიუხედავად, რომ ეს მოქმედება გამოხატავდა უკმაყოფილებას ვიეტნამში აშშ-ის სამხედრო ჩარევის გამო. როგორც ჩანს, ასეთი მიდგომა ნაკარნახევი იყო, ერთი მხრივ, შეიარაღებული ძალების სფეროში წესრიგის დაცვის აუცილებლობით და მეორე მხრივ იმით, რომ ასეთი ქმედება (ორდენების დაწვა) სახელმწიფო საკუთრებისათვის გარკვეული მატერიალური ზიანის მიყენებასაც გულისხმობდა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციაშიც ასოლოტურად გამოკვეთილია შესაბამისი მიდგომა. იგი განსაკუთრებით ძალადი სტანდარტით უზრუნველყოფს პოლიტიკური აზრის თავისუფლების დაცულობას, ვინაიდან მიიჩნევს, რომ პოლიტიკურ თემებზე აზრთა თავისუფალი ურთიერთგაცვლა უარსებითესია დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისათვის. ამავე მოსაზრებათა გამო, ე.წ. “დასამუშავი კრიტიკის” ფარგლებში ყველაზე უფრო ფართო მაშინ არის, როდესაც კრიტიკის ობიექტი ხელისუფლებასა და გამოთქმულია ნეგატიური აზრი ხელისუფლების საქმიანობის, ამა თუ იმ საკითხზე მისი პოზიციისა და ცალკეული ქმედებების შესახებ. გახმაურებულ ჰენდისაიდის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ისედაც ფართოდ განმარტა კონვენციის მე-10 მუხლის შინაარსი, როდესაც

მიუთითა, რომ მე-10 მუხლის დაცვით ისარგებლებდა არა მარტო სასარგებლო, მისაღები ანდა ნეიტრალური იდეები და ინფორმაცია, არამედ ისეთებიც, რომლებიც “შეურაცხყოფელი, აღმაშფოთებელი ან შემწუხებელი (offend, shock and disturb) იქნებოდა სახელმწიფოსა (ხაზგასმა ჩემია – ე.გ.) თუ საზოგადოების ცალკეული ჯგუფებისათვის”<sup>1</sup>. ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში მოიძვეთ იმის უამრავ დადასტურებას, რომ ყველაზე უფრო მწვავე ხელისუფლების კრიტიკასაც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-10 მუხლით თითქმის გარანტირებული დაცვა აქვს. გამონაკლისია ისეთი შემთხვევები, როდესაც “ხელისუფლების კრიტიკა” გულისხმობდა დანაშაულისაკენ ან სხვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებისაკენ წაქეზებას. ევროპულ სასამართლოს შემოშვებული აქვს სპეციალური კრიტერიუმი. იგი ყოველ შემთხვევაში შემთხვევაში, როდესაც ხელისუფლების მწვავე კრიტიკასთან აქვს საქმე, ამოწმებს, გულისხმობდა თუ არა გამოთქმული შეხედულებები “დარღვევათა წაქეზებას” და მხოლოდ დადებითი დასკვნის შემთხვევაში მიიჩნევს სახელმწიფოს ჩარევას “აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში”, თუკი, რა თქმა უნდა, შემზღუდავი ღონისძიების (გამოყენებული სანქციის, ჯარიმის ან სხვ.) “თანაზომიერებას” ეჭვს არ იწვევს<sup>2</sup>. ყველა სხვა შემთხვევაში კი, გამოხატული

აზრი “შეფასებით მსჯელობად” განიხილება და მხოლოდ უმცირესი შანსიღა რჩება საიმისოდ, რომ მისი შეზღუდვა მიჩნეულ იქნეს “აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში” და მასასადამე, “გამართლებულად”. ერთერთ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ საქმე *კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ*. ბასკმა პოლიტიკოსმა (დეპუტატმა) პრესის საშუალებით დაადანაშაულა ესპანეთის მთავრობა ბასკების შევიწროებაში. ის გაასამართლეს მთავრობის შეურაცხყოფისათვის. ევროპული სასამართლო დაეყრდნო *ჰენდისაიდის* საქმეზე მისეულ განმარტებას და დამატებით არგუმენტებად ისიც მიუთითა, რომ, მართალია, პოლიტიკური დისკუსიის თავისუფლება არ იყო აბსოლუტური, მაგრამ “დასაშვები კრიტიკის” ფარგლებში მთავრობის მიმართ განსაკუთრებით ფართო იყო და ამას ისიც ემატებოდა, რომ კრიტიკული აზრი გამოთქმული იყო დეპუტატის, ხალხის წარმომადგენლის მიერ, ვისი სიტყვის თავისუფლებაც დემოკრატიულ საზოგადოებაში ძალზე ძვირად ფასობდა<sup>3</sup>. რაც შეეხება ცალკეული პოლიტიკოსების, ანდა სახელმწიფო მოღვაწეებისა და თანამდებობის პირთა კრიტიკას, ასეთი აზრის გამოხატვის თავისუფლება პიროვნების რეპუტაციის უფლებასთან ურთიერთმიმართებაში განიხილება და იმ საერთო კონცეფციის შემადგენელი ნაწილია, რომელიც განსაზღვრავს დიფამაციური განცხადებებისადმი დამოცილებულებას. შესა-

<sup>1</sup> Handyside v. The United Kingdom, judgement of 12.12.1976.

<sup>2</sup> ევროპულ სასამართლოს განსაკუთრებით ხშირად მოუწია ამ საკითხებთან შეხება იმ თურქული საქმეების განხილვის დროს, რომლებიც შეეხებოდა ქურთული წარმოშობის თურქეთის მოქალაქეების მიერ პრესისა თუ სხვა საშუალებების გამოთქმულ შეხედულებებს, მიმართულს თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის წინააღმდეგ.

<sup>3</sup> Castells v. Spain. 23.04.94. series A no.236.



ბამისად, ამ კონცეფციიდან გამომდინარე, პოლიტიკოსთა რეპუტაციის დაცვის საკითხებზე საუბარი შესაძლებელია მხოლოდ კერძო პირთა რეპუტაციის დაცვის საკითხებთან ურთიერთმიმართებაში, ვინაიდან ამ შემთხვევათა მიმართ სპეციფიკური, ერთმანეთისგან განსხვავებული მიდგომა მხოლოდ შედარებით ასპექტში, ერთმანეთთან მიმართებაში ვლინდება. რა გვაქვს მხედველობაში.

როგორც აშშ-ის კონსტიტუციურ სამართალში, ისე ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში გაბატონებულია თვალსაზრისი, რომ დასაშვები კრიტიკის ფარგლები პოლიტიკოსის მიმართ უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირის მიმართ. ანდა ასე: “რომ “დასაშვები კრიტიკის” ფარგლები კერძო პირის მიმართ უფრო ვიწროა, ვიდრე პოლიტიკოსის მიმართ. ასეთი მიდგომა კი, ისევე და ისევე დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკურ თემებზე საჯარო დებატების დიდ მნიშვნელობაზეა აგებული. ერთი მხრივ, მიჩნეულია, რომ პოლიტიკოსის საქმიანობა და ზოგჯერ მისი თითოეული ნაბიჯიც კი (განსაკუთრებით მაშინ, თუ საქმე ცნობილ პიროვნებებს, სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირებს შეეხება), წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის საგანს, რამდენადაც საზოგადოებას უფლება აქვს, ყველაფერი იცოდეს მათ შესახებ (ეს ნაკლებად შეეხება პირადი ცხოვრების სფეროს), რათა სათანადოდ გააკონტროლოს მათი საქმიანობა. მეორე მხრივ, მიჩნეულია, რომ მათი რეპუტაციის დასაცავად სახელმწიფოს დაინტერესება და შესაბამისი ვალდებულება ნაკლებია, რადგან კერძო პირებისაგან განსხვავებით, მათ

მეტი საშუალებები გააჩნიათ თავის დასაცავად, რაც თავის მხრივ განპირობებულია მათი განსხვავებული მიდგომარეობით, შესაძლებლობებითა და საზოგადოებრივი გავლენით.

ეს განსხვავებულობა და მისგან გამომდინარე მიდგომათა სხვადასხვაგვარობა აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ კარგად გამოკეთა თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე *Certz v. Robert Welch (inc 418, 45 323; 1994)*. ჩვენთვის რთული არ არის განვასხვავოთ მოსარჩევეები დიფამაციის საქმეზე. დიფამაციის თითოეული მსხვერპლისათვის დაცვის პირველი საშუალება თვითშეველაა – არსებული შესაძლებლობის გამოყენება სიცრუის უარსაყოფად ან შეცდომის გამოსასწორებლად, რათა მინიმუმამდე იქნეს დავეანილი რეპუტაციისადმი მიყენებული ზიანი. სახელმწიფო თანამდებობის პირებსა და სხვა საზოგადო მოღვაწეებს, ჩვეულებრივ, აქვთ გაცილებით მეტი ხელმისაწვდომობა ინფორმაციის ეფექტიანად გავრცელებისა და შესაბამისად, მეტი რეალური შესაძლებლობა, წინ აღუდგნენ მათი რეპუტაციის შელახვას, ვიდრე კერძო პირებს. კერძო პირები უფრო დაუცველი არიან და მამასადაძე, სახელმწიფოს დაინტერესება მათ დასაცავად უფრო მაღალია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უფლება აქვთ, გამოდიოდნენ იმ შეხედულებიდან, რომ სახელმწიფოს თანამდებობის პირებმა და საზოგადო მოღვაწეებმა ნებაყოფლობით დაუშვეს, რომ მათ წინაშეა დიდი საფრთხე ზიანისა, რომელიც შეიძლება მიიღონ დიფამაციური განცხადებებისაგან, ვინაიდან მათ თავიანთ თავზე აიღეს “სახელმწიფოს მართვის გავლენიანი როლი”, რაც არ ითქმის

კერძო პირებზე, რომელთაც არანაირად არ უთქვამთ უარი თავიანთი კეთილი სახელის დაცვაზე. ამიტომ ისინი, პირველ რიგში, იმსახურებენ ზიანის ანაზღაურებას<sup>1</sup>.

ანალოგიური შინაარსის განმარტებები შეიძლება მოვიძიოთ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და განჩინებებში. მაგალითად, ერთ-ერთ ავსტრიულ საქმეზე, რომელიც შეეხებოდა პოლიტიკური მოღვაწის მიმართ განხეთქილი კრიტიკული შინაარსის სტატიათა სერიის გამოქვეყნებას მის ფოტოსურათებთან ერთად, ევროპულმა სასამართლომ, რომელმაც საჩივარი მიუღებლად ცნო, მიუთითა, რომ შესაბამისი პიროვნება “წარმოადგენდა პოლიტიკოსს, ეწეოდა პოლიტიკურ საქმიანობას და ვალდებული იყო მთლიანად ეტრებინა მისი შედეგების ტვირთი”<sup>2</sup>.

ახლა კი უფრო დავაკონკრეტოთ და პასუხი გავცეთ იმას, თუ როგორია დიფამაციის წინააღმდეგ სარჩელების დაკმაყოფილების შესაძლებლობები აშშ-ის კონსტიტუციური სამართლისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის მიხედვით.

შესაბამისი ამერიკული კონსტიტუციური დოქტრინა მეტისმეტად ზღუდავს სარჩელების დაკმაყოფილების შესაძლებლობას დიფამაციისათვის ისეთი გამოცემების მიმართ, რომლებიც აქვეყნებენ საკარაულოდ ცილისმწამებლურ განცხადებებს სახელმწიფო თანამდებობის პირების ან სხვა საზოგადო მოღვაწეთა მიმართ. ასეთი სარჩელი რომ დაკმაყოფილდეს, მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ

განცხადება გაკეთდა “რეალური ბოროტი განზრახვით”. შესაბამისი ევროპული ფორმულირება თითქმის იდენტურია: “წინასწარი შეცნობითა და ბოროტი განზრახვით”. თუმცა შინაარსობრივად განსხვავება მაინც არის: ამერიკული კრიტერიუმის – “რეალური ბოროტი განზრახვა” შინაარსი შედარებით უფრო ფართოდ არის განმარტებული და მოიცავს როგორც იმ შემთხვევებს, როცა განცხადების ავტორმა დანამდვილებით იცოდა მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სიცრუე, აგრეთვე იმ შემთხვევებსაც, როდესაც მან შეგნებულად თუ უპასუხისმგებლოდ გვერდი აუარა ამ ინფორმაციის ნამდვილობის გამორკვევას. ეს ძალზე საკულისხმო ფაქტორია, რომელიც აფართოებს დიფამაციისათვის დასჯადობის შესაძლებლობას და არსებითად განასხვავებს ამერიკულ მიდგომას ევროპულისაგან.

ეს პოზიცია აშშ-ის უზენაეს სასამართლოში პირველად გამოიკვეთა 1964 წელს *New York Times v. Sullivan*-ის (376; US; 252 1964) საქმის განხილვისას. ეს საქმე შეეხებოდა პოლიციელს ალაბამას შტატიდან, რომელიც უჩიოდა გავთვის. გავთვისში გამოქვეყნებულ სტატიამ საუბარი იყო პოლიციელთა მხრიდან ტერორის უპრეცედენტო ტალღაზე ზანგთა მოძრაობის გამო, მარტინ ლუთერ კინგის დასაცავად. პოლიციელი მიუთითებდა, რომ მის წინააღმდეგ ბრალდების ერთი ნაწილი იყო ყალბი. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ კონსტიტუციით დაცვას ექვემდებარებოდა არა მარტო “აბ-

<sup>1</sup> Constitutional Law, Cases-Comments-Questions (seventh edition) American Casebook Series, Westpublishing Co. 1991.

<sup>2</sup> *Krone Verlag GmbH & Co. KG v. Austria*; judgement of 26.02.2002.

სტრატეგიული დისკუსია”, არამედ “გაცხარებული კამათიც” და რომ მცდარი მტკიცებები გარდუვალია თავისუფალი დებატების დროს. მოსამართლე უილიამ ბრენანი წერდა: “ჩვენ ამ საქმეს ვიხილავთ იმ პრინციპის სრული აღიარების ფონზე, რომ პოლიტიკური დებატები უნდა იყოს თავისუფალი და ღია, დასაშვებია მწვავე, გამაღიზიანებელი, უსიამოვნო და მკაცრე თავდასხმები ხელისუფლებასა და ფუნქციონირებზე”. სასამართლომ დაადგინა, რომ ინფორმაციის სიცრუე არ აბრკოლებს დაცვას და რომ თავისუფალი კამათის მსვლელობის დროს მცდარი განცხადებები გარდუვალია და ისინი დაცული უნდა იყოს სარჩელებისაგან, რათა აზრის გამოხატვის თავისუფლებას ჰქონდეს “საპაერო სივრცე, რომელიც მას ესაჭიროება... გადარჩენისათვის”.

ამავე საქმეზე სასამართლომ დაიმოწმა ჯონ სტიუარტ მილზის 1859 წლის ტრაქტატი “თავისუფლების შესახებ”, სადაც ნათქვამია, რომ “ყალბ განცხადებებსაც შეუძლიათ ფასეული წვლილი შეიტანონ საზოგადოებრივ დებატებში, რადგან მისგან წარმოდგება უფრო გამოკვეთილი შეხედულება სიმართლეზე, რაც მის სიცრუესთან დაპირისპირებით ხდება”<sup>1</sup>.

საბოლოო ჯამში, სასამართლომ შეიმუშავა კრიტერიუმი: იმისათვის, რომ სიტყვის თავისუფლება შევათავსოთ ფუნქციონერის კეთილი სახელის დაცვის ინტერესთან, აყრბალოს საჯარო ფუნქციონერის კრიტიკისათვის ზიანის ანაზღაურება, თუ ფუნქციონერი არ დაამტკიცებს, რომ გამონათქვამს

ჰქონდა “რეალური ბოროტი განზრახვა” (actual malice). ეს პრინციპი გახდა სახელმძღვანელო მომდევნო დიფამაციის საქმეებზე.

სამი წლის შემდეგ (1967 წელს) უზენაესმა სასამართლომ ეს პრინციპი გააერთილა საზოგადო მოღვაწეებზეც (კერძოდ, გამოჩენილ მწერლებზე, მსახიობებზე, ტელევიზიის მუშაკებზე).

თავის მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2002 წელს განხილულ ერთ საქმეზე, რომელიც პროკურორის რეპუტაციას შეეხებოდა კიდევ უფრო მეტი დიფერენციაცია მოახდინა “დასაშვები კრიტიკის” ფარგლების განსაზღვრაში და სახელმწიფო მოხელეებს, რომლებიც არ წარმოადგენდნენ უმაღლესი თანამდებობის პირებს, ამ მიმართებით შუალედური ადგილი მიუჩინა და განმარტა, რომ სახელმწიფო მოხელეთა მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები იყო უფრო ფართო, ვიდრე რიგითი ადამიანის მიმართ, მაგრამ უფრო ვიწრო, ვიდრე პოლიტიკოსების მიმართ, ვინაიდან “მათი საქმიანობა არ იყო ისე განხმარებული და საზოგადოებისათვის ცნობილი, როგორც პოლიტიკოსებისა”. მეორე მხრივ, მან მიუთითა, რომ აუცილებელი იყო მათი დაცვა შეურაცხმყოფელი კრიტიკისაგან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ, ვინაიდან აუცილებელი იყო, რომ საზოგადოებას ჰქონოდა რწმენა სახელმწიფო მოხელეების მიმართ<sup>2</sup>.

რაც შეეხება კერძო პირებს, მათ მიმართ ამერიკული კონსტიტუციური

<sup>1</sup> ჯანდა, ბერი, გოლდმენი. “ამერიკული დემოკრატია: აშშ ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი”. თბ., 1995.

<sup>2</sup> Nikula v. Finland, judgement of 14.03.2002.



სამართლის მოთხოვნა, საერთო-ევროპული კონცეფციის მსგავსად, დაბალია. მაგრამ მათ შორის გარკვეული განსხვავება აქაც არის: აღმინანის უფლებათა ევროპული სამართალი აღიარებს, რომ კერძო პირის რეპუტაციის დასაცავად აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მეტი ხარისხით არის დასაშვები, ვიდრე პოლიტიკოსის დასაცავად, მაგრამ ზუსტად არ განსაზღვრავს რაიმე კონკრეტულ საფუძველსა თუ პირობას, რომლის არსებობისას დაკმაყოფილდება კერძო პირის სარჩელი მისი რეპუტაციის დაცვაზე. ევროპული სასამართლო ამ საკითხს „უცილებლობისა“ და „თანაზომიერების“ საერთო კრიტერიუმების გამოყენების საფუძველზე წყვეტს და უფლების შესაზღუდად შეფასების უფრო მაღალ სტანდარტებს იყენებს, ვიდრე პოლიტიკოსის მიმართ. მაგრამ ძირითადი ამოსავალი მისთვის მაინც „თანაზომიერების“ პრინციპია. მაგალითად, როდესაც საქმე „ფაქტების მტკიცებას“ შეეხება და ეს სერიოზულად ლახავს კერძო პირის რეპუტაციას, ევროპული სასამართლო ასეთი ფაქტების ნამდვილობის დამტკიცების მოთხოვნას აზრის გამოხატვის თავისუფლების გამართლებულ შეზღუდვად მიიჩნევს. საქმეზე *მაკ-ვიკარი შეერთებული სამეფოს წინააღმდეგ*, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნული სასამართლოს ამერძალავი ბრძანება, მოძივანის მოძავალში აღარ გაემეორებინა თავისი განცხადება (თითქოს ცნობილი სპორტსმენი აკრძალულ პრეპარატებს იყენებდა თავისი სპორტული შედეგების გასაუმჯობესებლად) ვერ იქნე-

ბოდა მიჩნეული არათანაზომიერ დონისძიებად, ვინაიდან მან ვერ შეძლო მათი ნამდვილობის დამტკიცება<sup>1</sup>.  
თუმცა, მიუხედავად არაერთგზის ზანჯასმით დაფიქსირებისა, რომ კერძო პირთა მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები ვიწროა და მათი რეპუტაციის დასაცავად აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მეტი ხარისხით არის შესაძლებელი, ევროპული სასამართლოს ზოგიერთი განჩინება ამოვარდნილია ამ სტანდარტებიდან და კერძო პირთა რეპუტაცია ზოგჯერ მთლიანად დაუცველი რჩება. შესატყვისი მაგალითია საქმე „*იერსილდი დანიის წინააღმდეგ*“. აქ ევროპულმა სასამართლომ ბალანსი მაინც აზრის გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ მიიჩნია სამართლიანად. გადაწყვეტილი ფაქტორი „*ჟურნალისტის უფლებები*“ აღმოჩნდა. დანიელმა ჟურნალისტმა ტელესტუდიაში მიიწვია რასისტული განწყობილებების ახალგაზრდების ჯგუფი, ჩამოართვა ინტერვიუ, რომლის დროსაც დანიაში მცხოვრები ემიგრანტები და ეთნიკური ჯგუფები შეურაცხყოფილად და დამამცირებლად იყვნენ მოხსენიებული (ისინი შედარებული იყვნენ გორილასთან). ჟურნალისტმა რედაქტირების შედეგად ფილმში ყველაზე უფრო უხეში გამონათქვამები დატოვა, თვითონ არაფერი დაუპირისპირა მას და ისე გაუშვა ეთერში. ჟურნალისტი სისხლის სამართლის წესით დაისაჯა „*რასისტული განცხადებების გავრცელების ხელშეწყობისათვის*“. ევროპულმა სასამართლომ, თავის განჩინებაში, მართალია, ისაუბრა ჟურნალისტის მოვალეობებსა და

<sup>1</sup> *McVicar v. United Kingdom*, judgement of 7 May 2002.

პასუხისმგებლობაზე, მაგრამ საბოლოოდ ჟურნალისტის დასჯა არ მიიჩნია “აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში” “სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის კანონიერი მიზნის მისაღწევად”. საგულისხმოა, რომ 9 მოსამართლე, მათ შორის ევროპული სასამართლოს მაშინდელი თავმჯდომარე როლფ რისდალი განსხვავებულ აზრზე დარჩა. მათი აზრით, რასობრივი უმცირესობისა და მათი რეპუტაციის დაცვა არ შეიძლებოდა ყოფილიყო იმაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი, ვიდრე ინფორმაციის გავრცელების უფლება საზოგადოებაში<sup>1</sup>.

ამერიკულ კონსტიტუციურ სამართალში ეს პრობლემა დიფამაციური განცხადების ავტორის ბრალის საკითხს უკავშირდება და კონკრეტული მოთხოვნაა დადგენილი: კერძო პირთა სარჩელის დასაყმაფთილებლად, საჭიროა დასაბუთდეს ბრალის არსებობა. მოსარჩელემ უნდა დამტკიცოს ბრალის როგორც ფაქტის არსებობა. მაშასადამე, მოპასუხე უნდა მოქმედებდეს სულ მცირე – დაუდევრობით მაინც.

კიდევ ერთი მცირედი განსხვავების შესახებ: ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი თითქმის მთლიანად იცავს მცდარი შეხედულებების გამოხატვას და ხელმძღვანელობის პრინციპით, “პატიოსანი კრიტიკა არ ისჯება”. იგი რაიმე დიფერენციაციას გამოხატული აზრის შინაარსისა თუ ფორმის მიხედვით არ აკეთებს (აქ არ იგულისხმება უკიდურესად შეურაცხყოფელი გამონათქვამები, რომლებიც აზრს არ გამოხატავენ და რომელთა დაცულობის ხარი-

სხი უკიდურესად მცირეა). ამერიკული კონსტიტუციური სამართალი კი დიფერენცირებულ მიდგომას იყენებს: როდესაც აშშ-ის უზენაესი სასამართლო იხილავდა კონსტიტუციის 1-ლი დამატების გამოყენების საკითხს ისეთ შემთხვევებში, როცა საკითხი შეეხებოდა არა ფაქტების მტკიცებას, არამედ შეხედულებების გამოხატვას, მან უარყო მოსაზრება, რომ უნდა არსებობდეს აბსოლუტური დაცვა ყოველგვარ სარჩელზე, შინაარსის მიუხედავად. კერძოდ, *Milkovich v. Lorain Journal* (484; US, 1 1990) საქმის განხილვისას, სასამართლომ ცალკე კატეგორიად გამოყო ისეთი აზრის გამოხატვა, რომელიც უშუალოდ ფაქტებს უკავშირდება. “ზოგიერთი აზრის გამოხატვა შეიძლება ამტკიცებდეს პირდაპირ სიცრუეს, მაგრამ გამოხატული იყოს აზრის ფორმით, რომელიც პიროვნებას არანაკლებ ზიანს შეიძლება აყენებდეს, ვიდრე პირდაპირი სიცრუე. (მაგალითად, “ჯონი მატყუარაა” - ეს ყალბი ფაქტის მტკიცებაა. ხოლო “შე მგონი ჯონი მატყუარაა” - ეს აზრია, მაგრამ ისეთივე მანე). სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთ შემთხვევაში სარჩელი მოიგებდა, თუ განმცხადებელი დამტკიცებდა, რომ მოპასუხე მოქმედებდა ბრალის იმ ხარისხით, რაც საკმარისად ჩაითვლებოდა კონკრეტულ გარემოებებში. ხოლო იქ, სადაც აზრი პირდაპირ არ უკავშირდებოდა ფაქტებს და წმინდა შეხედულებების გამომხატველი იყო, სარჩელის დაყმაფთილება შეუძლებელი იქნებოდა, ვინაიდან “პატიოსანი კრიტიკა არ ისჯება”<sup>2</sup>.

<sup>1</sup> *Jersild v. Denmark*, judgement of 23.09.1994. series A. no.295. A

<sup>2</sup> R.Blanspail, “Judicial Review”, *American Constitutional Law in International Encyclopedia of Law*. part. II. ch.5. “The Judicial”, Kluwer. 1993.



აღსანიშნავია, რომ ისეთი “აზრის გამოხატვა”, რომელიც უშუალოდ ფაქტებს უკავშირდება, ევროპული სასამართლოს პრაქტიკაშიც წარმოშობს გარკვეულ სირთულეებს. კერძოდ, საკუთრივ იმის გარკვევაა გართულებული, “ფაქტების მტკიცებასთან” გვაქვს საქმე თუ “შეფასებით მსჯელობასთან”. ასეთ დროს ევროპული სასამართლო უფრო ხშირად იქითყენ იხრება, რომ შესაბამისი აზრის გამოხატვა “შეფასებით მსჯელობად” მიიჩნოს და საკითხი აზრის გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ და რეპუტაციის უფლების საზიანოდ გადაწყვიტოს<sup>1</sup>. რეპუტაციის უფლების საზიანო ბალანსის ჩამოყალიბებას ძალზე ხშირად ის გარემოებაც უწყობს ხელს, რომ ყოველთვის იოლი როდია მოსარჩელის მიერ დიფამაციური განცხადებების ავტორთა “ბოროტი განზრახვის” დადასტურება, რაც ერთადერთი გზაა სარჩელთა დასაკმაყოფილებლად.

არსებული ზოგიერთი განსხვავებების მიუხედავად, საბოლოო ჯამში, გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ის უზენაესი სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა აზრის გამოხატვის თავისუფლებისა და ინდივიდის რეპუტაციის უფლებათა დაპირისპირების გადაჭრისა იმის მარჩენებელია, რომ ორივე სისტემაში პრიორიტეტი,

საბოლოო ჯამში, მაინც აზრის გამოხატვის თავისუფლებას ენიჭება და რეპუტაციის უფლება ხშირად ეწირება დემოკრატიული საზოგადოების ამ უმნიშვნელოვანეს დასაყრდენს. განსაკუთრებით ამკარაა ეს პრიორიტეტი მაშინ, როდესაც საქმე მასმედიის თავისუფლებას შეეხება. ასეთ დროს ყალბი დიფამაციური განცხადებებისათვის დიფამაციური განცხადებების დაკმაყოფილებაც კი ძალზე გართულებულია. აღსანიშნავია, რომ ასეთ პრაქტიკას, როგორც აშშ-ში ისე ევროპაში, ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ რეპუტაციის უფლება უკეთ სამართლებრივ დაცვას იმსახურებს, ხოლო ყალბი დიფამაციური განცხადებების დაცვა აზრის გამოხატვის თავისუფლების უფლების შესაბამისი სამართლებრივი ნორმების (აშშ-ის კონსტიტუციის 1-ლი დამატებისა თუ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-10 მუხლის) მეშვეობით სწორი არ არის, იგი შესაბამისი სამართლებრივი მისაგებების (რემედიის) გარეშე ტოვებს იმ ადამიანებს, რომელთა რეპუტაცია შეილახა მასმედიის მიერ და არის რეპუტაციის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვის ტოლფასი.

მაგალითად, პროფესორმა ელენ მაინამ თავის სტატიაში შემოფოთებაც კი გამოთქვა და აღნიშნა: “ორივე სისტემის (აშშ-ის უზენაესი სასამარ-

<sup>1</sup> იხ. ევროპული სასამართლოს განიხნება საქმეზე Dichand and others v. Austria (26.02.2002), სადაც ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა ავსტრიის სასამართლოს დასკვნა, თითქოს ავსტრიის პარლამენტის საკანონმდებლო კომიტეტის თავმჯდომარის შესახებ საგანგებო პუბლიცაცია მხოლოდ გაყალბებული ფაქტების მტკიცებას შეიცავდა და მიიჩნია, რომ “შესაბამისი გარემოებაში” არსებობდა “საქმარისი ფაქტობრივი საფუძველი შეფასებითი მსჯელობისათვის”. პუბლიცაციაში ნათქვამი იყო, რომ იგი სახელმწიფო სამსახურში შესვლის მიუხედავად, აგრძელებდა თავის საადვოკატო პრაქტიკას. ევროპულმა სასამართლომ ასეთი განცხადება მიიჩნია “პატიოსან კომენტარად” საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე (ვინაიდან “იმ ფაქტს, რომ პოლიტიკური მოღვაწის პოლიტიკური საქმიანობა და ბიზნესი არ იყო გამიჯნული ერთმანეთისაგან, შეიძლება გამოეყენა საზოგადოებრივი რეზონანსი”) და მისი შეზღუდვის გამო ცნო კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

რთლოსა და სტრასბურგის სასამართლოს) დომინანტური პოზიცია პრესის თავისუფლების სასარგებლოდაა ცუდი ჟურნალისტიკის შემთხვევების საგანგაშო სისწრაფით გაზრდის მიუხედავად კი, რაც გვაიძულებს, დავფიქრდეთ, ინარჩუნებს თუ არა პერსონალური რეპუტაცია კვლავაც თავის ღირებულებას<sup>1</sup>.

პროფესორმა ელდერმა კი თავის სტატიაში მიუთითა, რომ ფაქტობრივად მედიანზე ორიენტირებულმა სასამართლო გადაწყვეტილებებმა გაუმართლებლად შეამცირეს (აშშ-ში) ინდივიდური რეპუტაციის კვაზი-კონსტიტუციური ინტერესის დაცვა. მისი აზრით, სახელმწიფოს სავსებით კანონიერი ინტერესი, არ წაახალისოს დიფამაციური სივალბე, პრაქტიკაში არააადეკვატურად აღმოჩნდა დაეკლავ<sup>2</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე ლ. ლუკაიდისმა, რომელმაც საგანგებოდ გამოველია აზრის გამოხატვის თავისუფლებისა და რეპუტაციის უფლებათა ურთიერთმიმართება აშშ-ის კონსტიტუციურ სამართალსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ ორისპრუდენციაში, ამ საკითხებისადმი მიძღვნილ სტატიაში ასე დააყენა საკითხი: არაუფლებია უარყოფის სიტყვის თავისუფლე-

ბის, განსაკუთრებით კი პრესის თავისუფლების მნიშვნელობა, როგორც დემოკრატიული საზოგადოების უარსებოთესი ფაქტორისა. მაგრამ, შეიძლება თუ არა ასეთი თავისუფლების შესაბამისი დაცვა განსაზღვრულ გარემოებებში იყოს ისეთი ექსცესიური, რომ მან ყალბი განცხადებების მსხვერპლს აღუკვეთოს აუცილებელი ეფექტიანი სამართლებრივი მისაგებელი?<sup>3</sup>

მანვე ერთგვარი ახსნაც მოუძებნა ამ გარემოებას: „სტრასბურგის ორისპრუდენციამ, მსგავსად ამერიკულისა, აჩვენა გადაჭარბებული მგრძობიარობა აზრის გამოხატვის თავისუფლების მიმართ და მიანიჭა მას მეტისმეტი დაცვა (over protection) რეპუტაციის უფლებასთან შედარებით. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ სტრასბურგის სასამართლომ რეპუტაციის უფლება არ აღიარა კონვენციით გარანტირებულ უფლებად. ამ გარემოებას მრავალ შემთხვევაში შეიძლება გამოეწვიოთ ინდივიდური ღირსებებისა და რეპუტაციის დაცვის კანონიერი მოთხოვნის ნეიტრალიზება“.

ლუკაიდისი არა მარტო რეპუტაციის უფლების უკეთ დაცულობის მომხრეა, არამედ მასშედიის გარკვეული შეზღუდვებისადმი დაქვემდებარებისაც და ამას იგი საინტერესო არგუმენ-

<sup>1</sup> Nagel, "How useful is judicial review in Free Speech Cases?" 69. *Connel L. Dev.* 1984. p. 284.

<sup>2</sup> Elder. "Kentucky Criminal Libel Law and Public Officials – An Historical Anachronism?" (1981) 8*N. Ky L.Rev.* 37. p. 923.

<sup>3</sup> Loukis G. Loucaides, "Freedom of Expression and the Right to Reputation". *MELANGES offerts a silvio Marcus Helmons, Bruxelles.* 2003. P. 2002.

<sup>4</sup> იქვე. გვ. 200. აღსანიშნავია, რომ, მართლაც, სტრასბურგის სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებას თუ განჩინებებს არსებულ „განსხვავებულ“ თუ „თანხვედრ“ აზრებში შეიძლება მოვიძიოთ იმის დადასტურება, რომ რეპუტაცია ღირსია უკეთესი დაცვისა, მაგრამ იგი არ განიხილება კონვენციით გათვალისწინებულ უფლებად. საპისოლ იხილეთ: *dissenting opinion of judges Palm, Fuhrman and Baka in Stensaa v. Norway case*; *concurring opinion of judge Rozakis joined by judges Baka and Lorenzen in Maronek v. Slijavka case* (second session, 19 April 2001). *Dissenting opinion of judge Pozakis in the case of Nilson and Johnsen v. Norway* (25 November, 1999). თუმცა ცალკეულ შემთხვევაში იგი მოცულია კონვენციის მე-8 მუხლით, როდესაც რეპუტაციის შელახვა უშუალოდ უკავშირდება პირადი და ოჯახური ცხოვრების სფეროს.



ნტების მოშველებით ასახულებს. მისთვის ამოსავალია ის გარემოება, რომ მასმედია შეუზღუდავი და არაკონტროლირებადი ხელისუფლებაა. ამიტომ მიიჩნევა, რომ მისი “თვითცენზურა” (self censorship) საკმარისი არ არის თვითნებობის თავიდან ასაცილებლად. ლუკაიდისის აზრით, მასმედია, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ხელისუფლება, არ შეიძლება ანგარიშგადებული იყოს მხოლოდ საკუთარი თავის წინაშე (ზახგასმა ჩემია – ე.გ.). საწინააღმდეგო ვითარება უთუოდ მიგვიყვანდა თვითნებობასთან, რომელიც ძირს უთხრის თვითონ დემოკრატიას. იგი მიიჩნევა, რომ მოსაზრება ასეთი ანგარიშგადებულების აუცილებლობისა, კიდევ უფრო საფუძვლიანი ხდება იმის გათვალისწინებით, რომ მასმედიის საქმიანობა კომერციული მიზნებითაც არის მოტივირებული: არ უნდა დაგვაყენოთ ფაქტი, რომ მასმედია კომერციული საწარმოა, იგი უფრო მეტად მოგებითაა დაინტერესებული, ვიდრე საზოგადოებისათვის სწორი ინფორმაციის გადაცემით, ხელისუფლების გაკონტროლებითა თუ სხვა იდეალისტური მიზნებით. ამიტომ ის უნდა ექვემდებარებოდეს შეზღუდვებს ინდივიდური უფლებისა და სიმართლის დასაცავად<sup>1</sup>.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული შეზღუდვება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ამ მოსამართლემ ერთ-ერთ საქმეზე თავის განხილვებულ აზრშიც ჩამოაყალიბა შემდეგნაირად: “პრესა ეფექტიანად ახორციელებს უმნიშვნელოვანეს ხელისუფლებას და უნდა ექვემდებარებოდეს ისეთივე შეზღუდვებს, როგორც

გამოიყენება ხელისუფლების ნებისმიერი განხორციელების დროს, კერძოდ მან თავი უნდა შეეცავოს თავისი ხელისუფლების ბოროტი გამოყენებისაგან, ის უნდა მოქმედებდეს სამართლიანად, სწორად და პატივს მიაგებდეს (იცავდეს) სხვა პირთა უფლებებს. ამიტომ, როდესაც საქმე შეეხება დიფამაციური ბუნების ინფორმაციას, იგი უნდა იცავდეს ბუნებრივი სამართლიანობის წესებს, როგორცაა წესი “audi alteram partem”<sup>2</sup> (მოუსმინე მეორე მხარესაც).

ინტერესმოკლებულად არ გვესახება, აქვე შეგვირდეთ დიფამაციის ერთ ინგლისურ მაგალითზე. ეს ინტერესი ორმა გარემოებამ განაპირობა. შესაბამისი შემთხვევა შეეხება არა ცალკეული პიროვნების, ანდა კერძო კომპანიის, არამედ ხელისუფლების ორგანოს რეპუტაციის დაცვის საკითხს: უნდა იქნეს თუ არა ეს საკითხი განხილული “ხელისუფლების მწვავე კრიტიკის” კონტექსტში და შესაბამისად, უნდა ჰქონდეს თუ არა სახელმწიფო ორგანოს თავისი რეპუტაციის დასაცავად სარჩელის აღძვრის უფლება? თუ ჰო, როგორი უნდა იყოს შეფასების კრიტერიუმი ან რა საერთო სპეციფიკა შეიძლება ახლდეს თან ასეთ საქმეებს? ეს ის საკითხებია, რომელთა შესახებ სამსჯელოდ ეს ინგლისური მაგალითი შესაბამისი მასალაა. მეორე – ქვემოთ განხილული შემთხვევა იმ პერიოდს უკავშირდება (1993 წ.), როდესაც შეერთებულ სამეფოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია ჯერ არ იყო ინკორპორირებული და აყვანილი შიდა სამა-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 216, 212.

<sup>2</sup> Bladet Tromsø A/S and Pal Stesaas v. Norway – 09.07.1998, Report of Commission.



როლის რანგში<sup>1</sup>. საკითხის გადაწყვეტა დაეყრდნო ინგლისურ საერთო სამართალსა და ევროპულ კონვენციას ერთობლივად, გამოიყენეს რა შეფასების საერთო-ევროპული კრიტერიუმი. საქართველოში ევროპული კონვენციის ინკორპორაციამდე პერიოდში ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალთან ქართული შიდა სამართლის პარმონიზაცია, ამ პარმონიზაციის გზებისა და საშუალებების გამოყენებისა და ამ საქმეში სასამართლოების როლის საკითხები უაღრესად აქტუალურია ჩვენთვის. ამიტომ შესაბამისი პერიოდის ინგლისური გამოცდილების შესწავლა უთუოდ სასარგებლო შეიძლება გამოდგეს.

ეს არის საქმე *Derbishire Courty Council v. Times Newspapers LTD (1993; A.C. 534)*<sup>2</sup>. იგი შეეხებოდა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს, სარჩელს საკვირაო გაზეთის მიმართ კომპენსაციის გადახდის მოთხოვნით, დიფამაციისათვის სტატიათა სერიალის გამო, რომელიც ამტკიცებდა, რომ ეს ორგანო არასწორად მართავდა თავის სახსრებს საპენსიო ფონდიდან. სარჩელმა დააყენა მნიშვნელოვანი საკითხი საერთო სამართლის ჩარჩოებში დიფამაციის უფლების საკითხზე – ჰქონდა თუ არა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს უფლება, წარედგინა სარჩელი გაზეთის წინააღმდეგ დიფამაციისათვის. ინგლისის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საერთო სამართლის ნორმები ამ საკითხზე იყო განუსაზღვრელი და დაუკონკრეტებელი, ამიტომ სწორი იქნებოდა, მხედველობაში მიეღოთ ევროპული კონ-

ვენციის მე-10 მუხლი და მის საფუძველზე შექმნილი სასამართლო პრაქტიკა, კერძოდ კი – მზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლებულობის შესაფასებლად გამოყენება “აუცილებელისა” და “თანაზომიერების” კატეგორიები. სასამართლომ დაასკვნა, რომ არ არსებობდა “მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება” იმისა, რომ სახელმწიფო ორგანოს ჰქონოდა უფლება, თავისი რეპუტაციის დასაცავად წარედგინა სარჩელი დიფამაციაზე.

ლორდთა პალატაში გასაჩივრებისას, ლორდმა კიტიმ ეს საკითხი განიხილა საერთო სამართლის კონტექსტში: “საერთო სამართლის მიხედვით, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს არა აქვს უფლება, წარადგინოს სარჩელი დიფამაციით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. ამ დასკვნამდე სასამართლო მივიდა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლიდან გამომდინარე, რომელსაც გაერთიანებული სამეფო შეუერთდა, მაგრამ, რომელიც არ არის აყვანილი შიდა სამართლის რანგში. სწორედ მე-10 მუხლის სიტყვები “აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში” გული-სხმობს “მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების” არსებობას და რომ ეროვნული სასამართლოები სარგებლობენ “მოქმედების თავისუფლებით”, რაც ცოდნასა და ადგილობრივი საზოგადოების საჭიროებას ემყარება. სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ამ სფეროში არ არსებობდა გარკვეულობა საერთო სამართალში და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არ არსე-

<sup>1</sup> 1998 წელს შერთებულ სამეფოში მიღებულ იქნა კანონი ადამიანის უფლებათა შესახებ, რომელმაც მოახდინა ევროპული კონვენციისა და შესაბამისი სასამართლო სამართლის ინკორპორაცია შიდა სამართალში.

<sup>2</sup> Thomas David Jones, *Heman Rights: Group Defamation, Freedom of Expression and the Law of Nations*. Chap. III.

ბობდა “მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება” იმისა, კოლეგიურ სახელმწიფო ორგანოს ჰქონდა სარჩლეუბის წარდგენის უფლება თავისი რეპუტაციის დაცვის მიზნით”. მან შემდეგ გამოთქვა აზრი, რომ ასეთ ორგანოს ჰქონდა სამართლებრივი დაცვის საშუალება, კერძოდ – უფლება, წარედგინა სარჩელი ბოროტი განზრახვით სიცრუის გავრცელების გამო. ასეთივე პოზიცია დაიკავეს სხვა ლორდებმა და აღნიშნეს, რომ აუცილებლობის შემთხვევაში, არსებობდა დაცვის დამატებითი საშუალება და მიუთითეს “დანაშაულებრივი ცილისწამების” წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის უფლებაზე. შემდეგ ლორდმა კიტიმ დასძინა: მილორდებო, მე გაეკავეთ ეს დასვენა ინგლისის საერთო სამართალზე დაფრდნობით და არ მქონდა საჭიროება, დავერდნობოდი ევროპულ კონვენციას, რომ “თავისუფლების” სფეროში არ არის პრინციპული განსხვავება ინგლისურ სამართალსა და კონვენციის მე-10 მუხლს შორის. მე შემძლია დაეუმატო, რომ ინგლისური საერთო სამართალი შეესაბამება იმ ვალდებულებებს, რომელიც სამეფომ აიღო თავის თავზე ამ კონვენტულ სფეროში<sup>1</sup>.

\* \* \*

ამერიკული კონსტიტუციური სამართალი, ადამიანის უფლებათა ევრო-

პული სამართლის მსგავსად, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინტერესების მქონე საკითხებზე საჯარო დებატებისა და აქედან გამომდინარე – პრესის როლის (საზოგადოების მოდარაჯე ნაგავი) უზარმაზარი მნიშვნელობის გამო, განსაკუთრებულ დაცვას ანიჭებს პრესის თავისუფლებას და მის შესახლად უკიდურესად მაღალ სტანდარტებს იყენებს, მით უფრო ისეთი პუბლიკაციების მიმართ, რომლებიც ხელისუფლების კრიტიკას ან ცალკეულ თანამდებობის პირთა ქმედებებს შეეხება. ასეთი პრაქტიკა საყოველთაოდ აღიარებული და დამკვიდრებულია აშშ-ებსა და ევროპაში.

საქმე FCC v. League of women Voters (468, US, 364; 375 1984) აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ განმარტა: “ცნობების მიწოდება ისეთ საკითხზე, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენს, იმსახურებს უაღრესად მკაცრ დაცვას პირველი დამატების თანახმად”<sup>2</sup>.

აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ჩარლზ ევანს პიუზი წერდა: “ფაქტია, რომ პრესის თავისუფლება შეიძლება ბოროტად იქნეს გამოყენებული ვინმე გარეწრის, სკანდალის მსურველის მიერ, მაგრამ ეს არაფრით არ ნიშნავს იმას, რომ ნაჩქარევად შევზღუდოთ პრესის თავისუ-

<sup>1</sup> ბრიტანეთის პარლამენტის საქანონმდებლო სუვერენიტეტის ორთოდოქსალური დოქტრინა მრავალი წლის განმავლობაში სერიოზულ დამპილებას წარმოადგენდა ევროპული კონვენციის ინკორპორაციისათვის შიდა სამართალში. მაგრამ კონვენციის ინკორპორაციამდელ პერიოდში (1998 წლამდე) ევროპულ კონვენციასთან ინგლისის საერთო სამართლისა და შესაბამისი პრაქტიკის პარონინააცია სამი პრეზუმციის გამოყენებით ხდებოდა: 1) თუ არსებობდა ეროვნული სამართლის ისეთი გონიერული განმარტება, რომელიც შეესაბამებოდა კონვენციას, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა ეს განმარტება და არა სხვაგვარი, მისი საწინააღმდეგო; 2) კონვენცია არაპირდაპირ ისედაც უწყობდა ხელს საერთო სამართლის განვითარებას, განსაზღვრავდა მის მიმართულებას, ყოველგვარი გაურკვევლობის თვიდან აცილება და დამოუკიდებელი ხდებოდა კონვენციის დებულებების მხედველობაში მიღებით; 3) სახელმწიფოს თანამდებობის პირებს ეკისრებოდათ ვალდებულება, სკოლნდათ თვითნებო ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებები, თვითნებო ადმინისტრაციული უფლებამოსილების განხორციელებისას გაეთვალისწინებინათ ცალკეულ პირთა უფლებები, რომლებიც კონვენციით იყო დადგენილი, როდესაც საქმე ასეთ პირთა ინტერესებს შეეხებოდა.

<sup>2</sup> Constitutional Law; Cases-Comment-Questions (seventh edition) American Casebook series. 1991.

ფლება, როცა საქმე თანამდებობის პირობა არასწორ ქმედებებს შეეხება”. აკრძალვის სხვა გამართლებული საფუძველი არ არსებობს. დაცულია საიდუმლო, კონფიდენციალური ინფორმაციის გამოქვეყნება. კერძოდ, აღიარებულია, რომ, მართალია, კონფიდენციალური ინფორმაცია ექვემდებარება დაცვას, მაგრამ, როგორც კი ეს ინფორმაცია ხელში ჩაუვარდება პრესას – კერძო ორგანიზაციას, იმის მიუხედავად, იარსებებს თუ არა ნებაართა მის პუბლიკაციაზე, ხელისუფლებას აღარ შესწევს ძალა, ხელი შეუშალოს პუბლიკაციას, თუკი ვერ შეძლებს სასამართლოს წინაშე იმის დემონსტრირებას, რომ ამ ინფორმაციის პუბლიკაცია გარდაუვლად და დაუყოვნებლივ გამოიწვევს პირდაპირ და სერიოზულ ზიანს. ამასთან, ზიანად არ განიხილება ინფორმაციის გამოქვეყნების შედეგად მთავრობის დამცირება ხალხის თვალში, ანდა მისდამი ხალხის ნდობის დაკარგვა. ამიტომ მოსარჩლის მხრიდან იმის მტკიცება, რომ პუბლიკაცია ასეთ ზიანს გამოიწვევს, საკმარისი არ არის მის ასაკრძალად. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია გავისყენოთ ზემოთ უკვე მოხსენიებული ცნობილი პენტაგონის საქმე (New York Times Company v. United States (1971)), რომელიც შეეხებოდა პენტაგონის მასალებს ვიეტნამში აშშ-ის პოლიტიკის შესახებ. მოსამართლე ბლუკი ამ გადაწყვეტილებაზე თავის თანხმედრ აზრში წერდა: პრესა, მაშინაც და ახლაც, უნდა ემსახურებოდეს მართულებებს და არა მმართველებს<sup>1</sup>.

პრესისათვის მინიჭებული თავისუფლების მაღალი ხარისხის ერთ-

გვარი მიმანიშნებელია ის გარემოებაც, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია დაავალდებულოს ესა თუ ის გამოცემა, ჟურნალი თუ გაზეთი, დაბეჭდოს ამა თუ იმ ცილისმწამებლური პუბლიკაციის გაბათილება (უარყოფა), თუმცა შეუძლია კონტროლი გაუწიოს პრესას, რადიოსა და ტელევიზიას ამ მიმართებით და მოსთხოვოს “სამართლიანობის დოქტრინის” გატარება, რომელიც ავალდებულებთ მათ, ეთერში გაუშვან განსხვავებული და დაპირისპირებული იდეები, თუკი საკითხი საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ინტერესებს შეეხება.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე საჯარო დებატებში მონაწილეობის ფაქტორი უმთავრესი არგუმენტია პრესის თავისუფლების დასაცავად. ევროპულმა სასამართლომ შესანიშნავად ახსნა პრესის თავისუფლების დაცვის ორმაგი დატვირთვა: არა მარტო პრესას აქვს უფლება, გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე, არამედ ხალხსაც აქვს უფლება, მიიღოს ისინი და იქონიოს მათზე საკუთარი აზრი და შეხედულება. ევროპული სასამართლო ფოველ კონკრეტულ საქმეზე, რომელშიც პრესის თავისუფლების შუზღუდვის საკითხი დგას, იცვლევს, შეეხებოდა თუ არა გავრცელებული იდეები თუ ინფორმაცია საზოგადოებრივი ინტერესის საგანს და შეიძლება თუ არა მისი განხილვა “საჯარო დებატებში მონაწილეობად”. ამ კითხვებზე დადებითი პასუხი ფაქტობრივად იმის პრეზუმფციის ტო-

<sup>1</sup> R. Blanpail, “Judicial Review, American Constitutional Law in International Encyclopedia of Law. 1995.

ლფასია, რომ სხვა ღირებულებებთან დაპირისპირების დროს საკითხი პრესის თავისუფლების სასარგებლოდ გადაწყდეს. უფრო მეტიც, პრესის განსაკუთრებული როლის გამო, დემოკრატიულ საზოგადოებაში ევროპულმა სასამართლომ თავის განჩინებებსა თუ გადაწყვეტილებებში არაერთხელ აღნიშნა, რომ საერთოდ ყურნალისტური პუბლიკაციები სშირად ხასიათდებოდნენ გარკვეული გადაჭარბებით და ყოველთვის როდი ემყარებოდნენ საკმარის ფაქტობრივ საფუძველს. ამის მიუხედავად, ასეთი პუბლიკაციები, მათ შორის პროვოკაციული ხასიათისაც კი, დაცული უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს ჩარევისაგან, თუკი, რა თქმა უნდა, არ არღვევდნენ დემოკრატიათა თვითონ<sup>1</sup>. ასე რომ, როდესაც საქმე შეეხება პრესის თავისუფლებას და იმავდროულად დამატებითი ფაქტორებიც არსებობს აზრის გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ “სამართლიანი ბალანსის” ჩამოყალიბებისა (მაგალითად, საქმე შეეხება პოლიტიკის სფეროს, პოლიტიკურ მოღვაწეებს, სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირებს, დეპუტატის, ანდა ადვოკატის სიტყვის თავისუფლებას და ა.შ.), უმცირესი შანსიღა რჩება საიმისოდ, რომ პრესის თავისუფლებაში ჩარევა შეფასებულ იქნეს “აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში”. ევროპული

სასამართლოს პრაქტიკა საკმარის საფუძველს გვაძლევს ასეთი დასკვნის გასაყეთებლად<sup>2</sup>.

პრესის თავისუფლების მაღალი სტანდარტით დაცულობის უზრუნველსაყოფად, ევროპულმა სასამართლომ სხვა გარანტიებიც შექმნა, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია ყურნალისტის დაცვა ინფორმაციის წყაროს დასახელებისაგან, რაც მთლიანად შეესაბამება ყურნალისტის უფლებების შესახებ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს<sup>3</sup>. ევროპული სასამართლოს შეხედულებით, “ასეთი დაცვის გარეშე ყურნალისტები ვერ შეძლებდნენ, განეხორციელებინათ პრესის დანიშნულება დემოკრატიულ საზოგადოებაში”<sup>4</sup>. იმავდროულად, სწორედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლის გამო, დემოკრატიულ საზოგადოებაში საჯარო დისკუსიების წარმართვის სფეროში, განსაკუთრებით კი აუდიოვიზუალური საშუალებების უშუალო და ძლიერი ზემოქმედების უნარის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი “ყურნალისტის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობასაც” და მიუთითა, რომ ყურნალისტმა არ უნდა გადალახოს საზღვარი, რომელიც დადგენილია სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად<sup>5</sup>.

დაბოლოს, პრესის თავისუფლებასთან დაკავშირებული კიდევ ერთი

<sup>1</sup> Unabhängige initiative informationsuprein v. Australia. Judgement of 26.02.2002.

<sup>2</sup> იხ. Colombani and others v. France. Judgement of 25. 05. 2002. Lingens v. Austria, Judgement of 08.07.1986. Nicula v. Finland. Judgement of 24.03.2002. Gersild v. Denmark. Judgement of 23.09.1994.

<sup>3</sup> მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სფეროში პოლიტიკის შესახებ ევროპის ქვეყნების მინისტრთა მე-4 კონფერენციამ მიღებული რეზოლუცია ყურნალისტის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ (პრაღა, 1994). ევროპის პარლამენტის რეზოლუცია ყურნალისტური წყაროების კონფიდენციალობის შესახებ (1994) და სხვ.

<sup>4</sup> იხ. Goodwin v. The United Kingdom, Judgement of 27.03.1996. Reports 1996.

<sup>5</sup> იხ. Jersild v. Denmark. Judgement of 23.09.1994. series A.No.298.



საინტერესო დოქტრინის შესახებ: საერთო სამართლის ქვეყნებში და უწინარესად, აშშ-ებსა და ინგლისში, დამკვიდრებულია ე.წ. “კვალიფიციური პრივილეგიის” დოქტრინა, რომლის არსიც ისაა, რომ პრესის პუბლიკაცია “კვალიფიციურ პრივილეგიას” მიიღებს (ანუ აუცილებლად იქნება დაცული), თუ იგი საჯარო ინტერესის საგანს შეეხება. ეს დოქტრინა, თავისი არსითა და სულისკვეთებით, მთლიანად შეესაბამება საერთო-ევროპულ პრაქტიკას, თუმცა კონსტიტუციური სამართლის ქვეყნებში, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულ ორისპრუდენციაში, ასეთი ტერმინოლოგია გამოყენებული არ არის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის საერთო სამართალში “კვალიფიციური პრივილეგიის” საკითხები კარგადაა დამუშავებული, ეს თემა დღესაც იჭრობს ყურადღებას. გამოთქმულია არაერთი საინტერესო მოსაზრება “კვალიფიციური პრივილეგიის” დოქტრინის მოდიფიცირების მიმართულებით. მაგალითად, დიფამაციის ცნობილი ინგლისელი სპეციალისტის, სააქელაციო სამართლის ყოფილი მოსამართლის სერ ბრაიენ ნეილსის აზრით, იმისათვის, რომ სტატია “კვალიფიციური პრივილეგია” მიიღოს, საკმარისი არ არის, რომ იგი საზოგადოებრივი ინტერესის საგანს შეეხებოდეს. მისი შეხედულებით, ასევე აუცილებელია, რომ საკუთრივ ასეთი სტატიის გამოქვეყნებაც საზოგადოებრივ ინტერესს შეადგენდეს. ამავე დროს იგი მიიჩნევს, რომ სასამართლოს მხრიდან შეფასების დროს, ამ გარემოებების სადავოდ მიჩნევის შემთხვევაში, ყოველგვარი ეჭვი სტატიის სასარგებლოდ უნდა

გადაწყდეს. უდავოა, ასეთი შეხედულებების არსებობაც კი იმის მიმანიშნებელია, რომ პრესის თავისუფლება, როგორც საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე საჯარო თავისუფალი დებულების გამართვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი საშუალება, სრულიად გასაკუთრებელი სამართლებრივი დაცვით უნდა სარგებლობდეს.

\* \* \*

უაღრესად საინტერესოა აშშ-ის კონსტიტუციური სამართლისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის პოზიციების ურთიერთშეჯერება ეროვნული უშიშროების დაცვის სფეროში აზრის გამოხატვის თავისუფლების შესწავლის ფარგლებთან მიმართებაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ეროვნული უშიშროების სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ მიზნის დასაცავად აზრის გამოხატვის თავისუფლებაში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის აუცილებლობის შეფასებისას ეროვნულ ხელისუფლებას შეფასების თავისუფლების ფართო არეს ანიჭებს, ეროვნული უშიშროების დაცვას განიხილავს ძალიან მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ინტერესად. ამ მიზნით აზრის გამოხატვის თავისუფლების შესწავლას უფრო მეტი ხარისხით მიიჩნევს შესაძლებლად და არ იყენებს ძალიან მაღალ სტანდარტებს.

აშშ-ში კი პირიქით, მაღალი სტანდარტებია და ამ მიზნით აზრის გამოხატვის თავისუფლების შესწავლის გამართლებულობა არ არის უფრო ადვილად დასასაბუთებელი, ვიდრე სხვა შემთხვევებში. ამის თქმის საფუძველს ჩვენ ორი გარემოება გვაძლევს. ჯერ ერთი, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ უარყო “ეროვნული უში-

შროების” ფართო დოქტრინა, მიიჩნია, რომ “უშიშროების” ძალზე ფართო და ბუნდოვანი ცნება იყო და ის ყოველთვის ვერ გამოდგებოდა ისეთი ფუნდამენტური უფლების ხელყოფის გასამართლებლად, როგორსაც აზრის გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენდა. მეორე, მან პენტაგონის ზემოხსენებულ საქმეზე ძალიან მაღალი სტანდარტები დაადგინა: ეროვნული უშიშროების დასაცავად აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებად ჩაითვლებოდა მხოლოდ მაშინ, თუ იგი გარდაუვლად, უშუალოდ და დაუყოვნებლივ გამოიწვევდა უშიშროების შედეგებს ეროვნული უშიშროებისათვის. თავისთავად ის არის საგულისხმო, რომ სერიოზული შედეგების გარდაუვლად, უშუალოდ და დაუყოვნებლივ დადგომის საფრთხე, როგორც აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლებულობის საერთო კრიტერიუმი, არაერთი კატეგორიის საქმისათვის სწორედ ეროვნული უშიშროების ინტერესთან მიმართებაში იქნა შემუშავებული და უძრავლეს შემთხვევაში ამ უფლების სხვა ღირებულებებთან კონფლიქტის გადაწყვეტის დროსაც გამოიყენება.

აშშ-ის უზენაესი სასამართლოს შესაბამისი განმარტებების თანახმად, ეროვნული უშიშროების დასაცავად აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის დაბალი სტანდარტების გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც ქვეყანა ომის მდგომარეობაშია და აზრის გამოხატვის თავისუფლების სრულად განზოცდვლას გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი და უშიშროების შედეგები შეიძლება მოჰყვეს ქვეყნის უშიშროებისათვის.

ის, რაც სადავოდ ითვლება ამერიკის კონსტიტუციურ სამართალში ეროვნული უშიშროების დასაცავად აზრის გამოხატვის თავისუფლების სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდვის სფეროში, დაკავშირებულია იმ ექვევებთან, შეუძლია თუ არა სასამართლოს, ადეკვატურად და სწორად შეაფასოს, ან შეუძლია თუ არა საერთოდ შეაფასოს, თუ რამდენად სერიოზული ზიანი შეიძლება მიაყენოს გამოთქმულმა აზრმა თუ გაერაცვლებულმა ინფორმაციამ ეროვნულ უშიშროებას, ხომ არ არის ეს არაკომპეტენტური შეჭრა აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციებში, რომელიც პასუხისმგებელია ეროვნული უშიშროების დაცვაზე.

ასეთი შეხედულებები გამოძინარეობს აშშ-ის კონსტიტუციურ სამართალში დაკვიდრებული ე.წ. პოლიტიკური საკითხის დოქტრინიდან, რომლის მიხედვით, სასამართლო, რომელიც თავის საქმიანობაში იურიდიული კატეგორიებით ხელმძღვანელობს, არ უნდა ჩაერიოს პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა შეფასებაში, რომელიც მიღებულია პოლიტიკური ორგანოს მიერ პოლიტიკურ საკითხთა გადაწყვეტისათვის მისაღები კატეგორიების, კრიტერიუმებისა და სტანდარტების გამოყენებით. სწორედ პოლიტიკური საკითხის დოქტრინას ემყარება ის, რომ აშშ-ში სასამართლო კონტროლი არ ვრცელდება კონგრესის ზოგიერთ ისეთ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც წმინდა პოლიტიკური ხასიათისაა და წარმოდგება ხალხის წინაშე მისი პოლიტიკური პასუხისმგებლობიდან. მაგალითად, ასეთი სასამართლო კონტროლი არ ვრცელდება კონგრესის გადაწყვეტილებაზე ამა თუ იმ თანამდებობის პირის იმპიჩმენტის საკი-

თხზე მისი წმინდა პოლიტიკური ბუნების გამო. ისიც საგულისხმოა, რომ აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ, პოლიტიკური საკითხის დოქტრინაზე დაყრდნობით, თვითონ თქვა უარი, გაეცვალა კონსტიტუციის სისამართლო კონტროლი სენატის იმპიჩმენტის ვერდიქტზე, როდესაც ერთ-ერთმა იმპიჩირებულმა თანამდებობის პირმა მას შესაბამისი განცხადებით მიმართა<sup>1</sup>.

ეროვნული უშიშროების დასაცავად აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გადაწყვეტილებაზე სასამართლო კონტროლის გამორიცხვის შესაძლებლობას აშშ-ის უზენაესი სასამართლოს ზოგიერთი მოსამართლეც იზიარებს. პენტაგონის დოკუმენტების საქმეზე მოსამართლეთა ერთმა ნაწილმა, კერძოდ, უმცირესობაში დარჩენილმა სამმა მოსამართლემ შეადგინა განსხვავებული (არათანხედრი) აზრი (მოსამართლეები ჰარლანი, ბერგერი, ბლეკმუნი), რომელშიც ვკითხულობთ: დავის არსი შეეხება საგარეო პოლიტიკის სფეროში უფლებამოსილებათა წრეს. სასამართლოს შეუძლია სახელმწიფოს მოსთხოვოს, დაამტკიცოს, რომ მასალების გამჟღავნება გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს ეროვნულ უშიშროებას, მაგრამ სასამართლოს არ შეუძლია თვითონ იმსჯელოს იმაზე, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს მოცემული ინფორმაციის გამჟღავნებამ ეროვნულ უშიშროებას. აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებანი საგარეო პოლიტიკის სფეროში, რაზედაც ის პასუხისმგებელია ხალხის

წინაშე, თავისი არსით პოლიტიკური საკითხია და არა იურიდიული. ჩვენი კონსტიტუციის შესაბამისად, ასეთი გადაწყვეტილებანი პოლიტიკური ხელისუფლების პრეროგატივაა. ასეთი გადაწყვეტილებანი გამოირჩევიან სიერთულითა და დელეგატურობით და მათ მისაღებად მოვლენათა განჭვრეტის განსაკუთრებულად დიდი უნარია საჭირო. ასეთ საკითხებზე გადაწყვეტილებებს იღებენ და უნდა იღებდნენ ისინი, ვინც უშუალოდ არიან ხალხის წინაშე პასუხისმგებელი და ვისი კეთილდღეობაც მათი საქმიანობის შედეგებზეა დამოკიდებული. ასეთ გადაწყვეტილებათა მისაღებად სასამართლო ხელისუფლებას არ გააჩნია არც კვალიფიკაცია, არც შესაძლებლობა და არც შესაბამისი პასუხისმგებლობა. უძველესი დროიდან ის შეეხება ხელისუფლების უფლებამოსილების ისეთ სფეროს, რომელიც დახურულია სასამართლო ჩარევის, კვლევისა თუ კონტროლისაგან<sup>2</sup>.

მოუხედავად ამ საგულისხმო მოსაზრებებისა, მაინც მართებულად უნდა ჩაითვალოს მოცემულ შემთხვევაში სასამართლო კონტროლის განხორციელება, რამდენადაც იგი, იმპიჩმენტის შემთხვევისაგან განსხვავებით, უკავშირდება ადამიანის კონსტიტუციურ უფლებას, თანაც ისე მნიშვნელოვანსა და კონსტიტუციითვე ძლიერად დაცულს, როგორც აზრის გამოხატვის თავისუფლება. სახელმწიფოს მხრიდან კონსტიტუციურ უფლებებში თვითნებური შეჭრის წინააღმდეგ სასამართლო დაცვის არსებობა კი ამ

<sup>1</sup> Berger Raoul, "Impeachment – The Constitutional Problems" Harvard University Press 1971, P. 166. Gerhardt T. Michael: "The Federal Impeachment Process – a Constitutional and Historical Analysis", Princeton, 1995.

<sup>2</sup> Louis Jaffe, "Standing to Secure Judicial Review" Harvard, 1961. R. Blaupail, "Judicial Review", American Constitutional Law in International Encyclopedia of Law. Part. II. Ch.5. "The Judiciary", Kluwer, 1993.



უფლებათა უზრუნველყოფისა და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის უმნიშვნელოვანესი წინა პირობაა.

თუმცა ზემოაღნიშნული არ ეწინააღმდეგება იმას, რომ სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სათანადო ანგარიში გაუწიოს აღმასრულებელი ორგანოს მოსაზრებას ქვეყნის ეროვნული უშიშროების დასაცავად ამა თუ იმ აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის უცილებლობისა და შემზღუდავი ღონისძიებების თაობაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციაში ზემოაღნიშნული საკითხი დასმულიც კი არ ყოფილა. ჰიპოთეზურად თუ წარმოვიდგინოთ, ეს პრობლემა ორმაგდება საერთაშორისო სასამართლოში ასეთ საკითხთა განხილვისას. ზემოაღნიშნულ ერთგვარ უხერხულობას, რაც სასამართლოს მიერ პოლიტიკური გადაწყვეტილების შეფასებას უკავშირდება, ვფიქრობ, სხვა უხერხულობაც ემატება, რაც იქიდან წარმოდგება, რომ აქ ეროვნული კი არა, არამედ საერთაშორისო სასამართლოა შემფასებელი სუბიექტი. აზრი რომ უფრო კარგად გამოვკვეთოთ, ასე ჩამოვაყალიბებდი: მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ ვითარებასთან, როდესაც საერთაშორისო არაპოლიტიკური ორგანო აფასებს ეროვნული პოლიტიკური ორგანოს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას. საერთაშორისო სასამართლო ისედაც ნაკლებად იცნობს ადგილობრივ გარემოებებს და ნაკლები წარმოდგენა აქვს ამა თუ იმ სახელმწიფოში ეროვნული უშიშროების რეალურ ინტერესებზე. ამიტომ მისი მსჯელობა ამ საკითხზე შეიძლება კიდევ უფრო შეუსაბამო აღმოჩნდეს,

ხოლო მისი შეფასება კიდევ უფრო არაადეკვატური, ვიდრე, თუნდაც ეროვნული სასამართლოს მსჯელობანი და შეფასებანი იმავე საკითხზე.

ამიტომ პოლიტიკური საკითხის დოქტრინის ჭრილში გონივრულად გვესახება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიცია, რომელიც ეროვნულ სახელმწიფოებს შეფასების თავისუფლების ძალიან ფართო არეს მიაკუთვნებს ეროვნული უშიშროების დასაცავად აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის სფეროში და დიდ ანგარიშს უწევს ეროვნული ხელისუფლების (როგორც სასამართლოების, ისე აღმსრულებელი ხელისუფლების) შეფასებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეზღუდვის გამართლებულობის საკითხზე, ვინაიდან, მისი შეხედულებით, "ევროპულმა ხელისუფლებამ უკეთ იცის, თუ რა არის მისი ქვეყნის ეროვნული უშიშროებისათვის აუცილებელი, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლემ."

\* \* \*

აზრის გამოხატვის თავისუფლების გონივრულ საზღვრებში მოქცევა და მისი შეზღუდვის გამართლებულობა აშშ-ის კონსტიტუციურ სამართალში, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში, უკავშირდება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასაც. ორივეგან "საზოგადოებრივი წესრიგის" ცნება გააზრებულია და გამოიყენება ფართო გაგებით. თუმცა აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ აშშ-ის კონსტიტუციურ სამართალში "წესრიგის" განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ღირებულებათა სისტემაში და უმთავრეს ღირებულებათა აღიარებულ სამეულში მოიაზრება "თავისუფლებასა" და "თანასწორობასთან" ერთად.



ამასთან, საგულისხმოა, რომ იგი, თავისი არსით, მეორადია. მისი მნიშვნელობა ნაწარმოებია და გამომდინარეობს “თავისუფლების” დაცვის აუცილებლობიდან. ამერიკულ კონსტიტუციურ სამართალში “წესრიგი” “თავისუფლების” უზრუნველყოფის აუცილებელ ფაქტორად განიხილება: თავისუფლების კონსტიტუციური გარანტია გულისხმობს ორგანიზებული საზოგადოების არსებობას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ წესრიგს და რომლის გარეშეც თავისუფლება დამარჩება ანარქიის ექსცესების ქვეშ. “წესრიგის” ღირებულების მეორადი ხასიათის მიუხედავად, ის არ განიხილება “თავისუფლებასთან” შედარებით პრინციპულად ნაკლებ ღირებულებად და ღირებულებათა ზემოაღნიშნულ სამეულში მისთვის ამა თუ იმ ადგილის მიუთვინება მხოლოდ იურიისტთა პიროვნული პრეფერენციების სფეროა. აშშ-ის მოსამართლეთა შორის ბევრია ისეთი, რომელიც “წესრიგს” “თავისუფლებასზე” მაღლაც კი აყენებს და ამ ორი ღირებულების კონფლიქტის დროს უპირატესობას “წესრიგს” ანიჭებს, რაც შესაბამის სასამართლო გადაწყვეტილებებშია ასახული.

აშშ-ში აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია არა მარტო მაშინ, როდესაც ის ხელყოფს “საზოგადოებრივ წესრიგს” ორდინარული გაგებით, არამედ მაშინაც, როცა ის საფრთხეს უქმნის სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებების საქმიანობასა და ნორმალურ ფუნქციონირებას. ამიტომ აშშ-ში აზრის გამოხატვის შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: აზრის გამოხატვის დრო, ადგილი, მა-

ნერა, საშუალება და ის კონკრეტული ვითარება, რაშიც ის გამოიხატა. ამ მიმართებით ნაკლებად მკაცრი სტანდარტებია დადგენილი. მაგალითად, ქუჩასა და პარკში, რომელსაც თავისი დანიშნულება აქვს, შეიძლება შეიზღუდოს ხმაურიანი გამოსვლები, იმის მიუხედავად, რა შინაარსის აზრების გამოხატვა ხდება, აგრეთვე საცხოვრებელ რაიონებში დღე-ღამის გარკვეულ პერიოდებში რუპორით იდეების ფრქვევა, აზრების გამოხატვა დაწესებულებებში ისეთი ფორმითა თუ საშუალებით, რომელიც ხელს უშლის მათ ეფექტიან მუშაობას და ა.შ. მაშინ როდესაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ასეთი გამოსვლები დასაშვებია. ზოგიერთი ამერიკელი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლება მხოლოდ აზრის შინაარსისა და მისი გამოხატვის ფორმის საფუძველზე შეიძლება შეიზღუდოს, ხოლო აზრის გამოხატვის მიმართ შეზღუდვის დაწესება არ ნიშნავს აზრის თავისუფლად გამოხატვის, როგორც უფლების შეზღუდვას, ვინაიდან ამის გაკეთება შესაბამის სუბიექტს შეუძლია სხვაგან, სხვა დროს, სხვა ფორმითა თუ საშუალებით. ხელისუფლებას აქვს უფლება, დაადგინოს ადგილი და დრო ასეთი თავისუფალი გამოსვლებისათვის. სახელმწიფოს არ შეუძლია მხოლოდ ერთი რამ – აიძულოს ადამიანი გარემოებს – ასეთი იძულება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ მისი ნათქვამი მიმართულია არაკანონიერი მოქმედების დაუყოვნებლივ ჩადენის სტიმულირებისაკენ და ამასთანავე, დიდა ალბათობა ასეთი მიმღე შედეგის გარდაუვალი დადგომისა.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის მე-10 მუხლში შესაბამისი კანონიერი მიზანი ნეგატიური ფორმითაა ჩამოყალიბებული, ანუ აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია "უწესრიგობის თავიდან აცილების" საჯარო ინტერესისათვის. ცხადია, ამ დებულების შინაარსობრივი ფარგლები იმაზე იყო დამოკიდებული, "საზოგადოებრივი წესრიგის" ცნების როგორი გაგება იქნებოდა მისაღები კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე. სტრასბურგის სასამართლომ გაითვალისწინა, რომ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში ეს ცნება ფართო მნიშვნელობით გამოიყენებოდა და ამიტომ მანაც თავის იურისპრუდენციაში მისი ფართო (არა მარტო ორდინარული) გაგება დაამკვიდრა. სხვადასხვა საქმეების განხილვის დროს შემუშავებულ განმარტებებში მან მიუთითა, რომ უწესრიგობის თავიდან აცილება შეიარაღებული ძალების, ასევე ტელეკომუნიკაციების სფეროში წარმოადგენდა კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ კანონიერ მიზანს. მისივე პრაქტიკის მიხედვით, აზრის გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ შესაბამის გარემოებებში მისი გამოყენება ხელს უშლის სახელმწიფოს ამა თუ იმ კანონიერი საქმიანობის ჯეროვნად განხორციელებას, სახელმწიფო ან სხვა დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას, სახელმწიფოში კონსტიტუციური წესრიგის პრაქტიკულ უზრუნველყოფას და სხვ. თუმცა, ისევე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, ყოველი კონკრეტული შეზღუდვა "აუცილებლობისა" და "თანაზომიერების" შემოწმებას ექვემდებარება, რა დროსაც

მხედველობაში მიიღება როგორც საზოგადოებრივი წესრიგისათვის - მიყენებული ან პოტენციური ზიანი, ისე უფლებებში ჩარევის ხასიათი და ხარისხი. ამ საჯარო ინტერესის დაცვის სფეროში ევროპული სასამართლო ეროვნულ სახელმწიფოებს შეფასების თავისუფლების ფართო არეს მიაკუთვნებს, მაგრამ არა ისე ფართოს, როგორსაც პოლიტიკის სფეროში, ანდა მორალისა ან ეროვნული უშიშროების დაცვის კანონიერ მიზნებთან მიმართებაში.

\* \* \*

ამშმ-ის კონსტიტუციური სამართალი, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი, შესაძლებლად მიიჩნევა აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას საზოგადოებრივი მორალის, მათ შორის რელიგიური მორალის დასაცავად და, ამ უკანასკნელის მსგავსად, დიდ ყურადღებას აქცევს ადგილობრივ სპეციფიკას - შესაბამის საზოგადოებაში დამკვიდრებული მორალის მოთხოვნებს და ღიფერენცირებულ მიდგომებს იყენებს. მაგალითად, დიდ ქალაქებში მორალის მოთხოვნები გაცილებით უფრო ლიბერალურია, ვიდრე სხვაგან, სადაც კონსერვატორული შეხედულებები სჭარბობს. ამიტომ განსხვავებულია შესაბამის საზოგადოებაში დამკვიდრებული მორალის საწინააღმდეგო აზრების გამოხატვის შეზღუდვის აუცილებლობის ხარისხიც.

მაგრამ ევროპასთან მიმართებაში საქმე გაცილებით უფრო რთულადაა. ევროპული ზედამხედველობა ხომ ევროპის საბჭოს 45 წევრ ქვეყანაზე ხორციელდება, რომლებიც, მართალია, დემოკრატიული სახელმწიფოები არიან, მაგრამ სრულიად განსხვავებული კულტურის, რელიგიისა და ტრა-

დიციების ქვეყნებს წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე, ევროპული კონტროლის განხორციელების დროს დიფერენცირებული მიდგომის აუცილებლობა განსაკუთრებით აშკარა და გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აშშ-ში (ანუ ერთი ქვეყნის შიგნით) კონსტიტუციური კონტროლის განხორციელებისას. ეს პრობლემა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ წარმატებით გადაჭრა რელიგიისა და მორალის დაცვის სფეროში ეროვნულ სახელმწიფოთათვის შეფასების თავისუფლების ძალიან ფართო ფარგლებს მინიჭებით. შესაბამის საქმეთა განხილვის დროს მან შესანიშნავად ახსნა ამის აუცილებლობა. მაგალითად, *მიულერის* საქმეზე მიღებულ განჩინებაში მან მიუთითა, რომ ვინაიდან მორალის სფეროში საერთო ევროპული კონცეფცია და სტანდარტი არ არსებობდა და სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული მორალური კრიტერიუმები გამოიყენებოდა, ეროვნული მოსამართლე უკეთეს მდგომარეობაში იყო, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლე, სცოდნოდა, თუ რა იქნებოდა საზოგადოებრივი მორალის საწინააღმდეგო მათ ქვეყანაში. ამიტომ მათი დასკვნები, განსაკუთრებით ფაქტების შეფასების სფეროში, მეტ ნდობას იმსახურებდა<sup>1</sup>. *უინგროუს* საქმეზე, სადაც აზრის გამოხატვის თავისუფლება რელიგიური გრძობებისადმი პატივისცემის უფლებას დაუპირისპირდა (საქმე შეეხებოდა ვიდუოფილმს, რომელშიც რელიგიური თაყვანისცემის საგნები პროვოკაცი-

ული ფორმით იყო ნაჩვენები და გამოხატავდა ქრისტეს ღვთაებრიობისადმი უპატივცემულობას) სასამართლომ მიუთითა: ის, რასაც შეეძლო შეურაცხყოფა მიეყენებინა მორწმუნე ადამიანებისათვის, დამოკიდებული იყო ადგილზე, დროზე, ეპოქაზე, მოცემულ ქვეყანასა თუ რეგიონში რელიგიური მიმდინარეობების რაოდენობაზე და ა.შ. ამიტომ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან უშუალო და პირდაპირი კონტაქტის გამო, ეროვნული სახელმწიფოები უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, შეეფასებინათ, თუ რა იქნებოდა "აუცილებელი" შეურაცხყოფელი აზრების გამოხატვისაგან მორწმუნეთა გრძობების დასაცავად<sup>2</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მოწმობს, რომ იგი მართლაც დიდ ანგარიშს უწევს ეროვნული სახელმწიფოს პოზიციას მორალისა და რელიგიის დასაცავად აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობის თაობაზე და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაებში მიიჩნევს კონვენციის მე-10 მუხლს დარღვეულად<sup>3</sup>.

მორალისა და რელიგიის სფეროში საერთაშორისო სამართლებრივი კონტროლის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასებით ლოგეურია ისიც, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართალში არ არის შემუშავებული მორალის დასაცავად უფლების შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებისათვის რაიმე სპეციალური შესატყვისი კრიტერიუმი. ევროპული სასამართლო ყოველ კონკრეტულ შე-

<sup>1</sup> Müller and others v. Switzerland. Judgement of 25.05.1988. series A. 133.

<sup>2</sup> Wingrove v. The United Kingdom. Judgement of 25.11.1996. Reports. 1996-V.

<sup>3</sup> Open Door and Dublin Well Woman v. Ireland, judgement of 29.10.1992. series A. no. 246-A. Otto-Preminger Institut v. AUSTRIA. Judgement of 20.09.1994. series A. no. 295. A.



მიხვევას “აუცილებლისა” და “თანაზომიერების” საერთო კრიტერიუმების გამოყენებით წყვეტს და დიდ ანგარიშს უწევს ეროვნულ სასამართლოთა შეფასებებს შეზღუდვის გამართლებულობის თაობაზე. ამერიკული კონსტიტუციური სამართალი კი ამ საკითხებს გადაწყვეტს მორალის საკითხებისათვის სპეციალურად შემუშავებული “უხამსობის” კრიტერიუმის გამოყენებით. წიგნები, ლიტერატურა, ფილმები, ფერწერული ტილო და ყოველგვარი სხვა მასალა იკრძალება, თუ მათში “უხამსობაა” გადმოცემული.

აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ განსაზღვრა “უხამსობის” კონსტიტუციური სტანდარტები. საქმეზე *Miller v. Kalifornia* (1973) მან დაადგინა, რომ “ნაშრომი, პიესა, ფილმი ან წიგნი უხამსია და შეიძლება აიკრძალოს, თუ ის ა) მთლიანობაში ავხორცობის ინსტინქტებს ემსახურება (განმარტებულია “ავხორცობაც”, როგორც ვენებიანი ფიქრების აღზნების ტენდენცია); ბ) სექსუალური ქცევა მასში ნაჩვენებია აშკარად შეურაცხყოფილი სახით; გ) ნამუშევარი მოკლებულია ყოველგვარ ლიტერატურულ, პოლიტიკურ, მხატვრულ თუ მეცნიერულ ღირებულებას. სწორედ უხამსობის ნიშნით გაიმიჯნა სექსისაგან პორნოგრაფია, რომელიც არ არის დაცული კონსტიტუციის 1-ლი დამატებით (*Roth v. United States*, 1957).

“უხამსობის” ცნების შინაარსი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აგრეთვე სხვა გარემოებებზეც. უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ “უხამსობის” განსაზღვრა სხვადასხვა ადგილის მიხედვით განსხვავებული შეიძლება იყოს და რომ კონსერვატორულ საზოგადოებაში შეიძლება და-

დგინდეს უფრო მაკრი მოთხოვნები, ვიდრე, მაგალითად, ნიუ-იორკში.

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, “უხამსობის” კრიტერიუმი ხანდახან ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციაშიც გამოიყენება, მაგრამ იგი არ გვევლინება ძირითადად და განმსაზღვრელ კრიტერიუმად საზოგადოებრივი მორალის დასაცავად აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებისას. ევროპულ სასამართლოს არც “უხამსობის” ცნების შინაარსის განმარტება შემუშავებია.

ცალკე კატეგორიად გამოიყოფა საქმეები, სადაც აზრის გამოხატვის თავისუფლება შეიზღუდა არასრულწლოვანთა ზნეობრივი განვითარების ინტერესებისათვის. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა იმ ნორმათა მიზანშეწონილობას, რომელიც ბავშვთა ზნეობას იცავდა (*Ginsburg v. New York* (390; US. G29. 1968)). ამ საქმის განხილვისას უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა სტატუტს, რომელიც კრძალავდა სექსუალურად ორიენტირებული ლიტერატურის მიყიდვას 17 წლამდე არასრულწლოვანთათვის. სასამართლო დაეთანხმა იმას, რომ შესაბამისი მასალები არ იყო უხამსი, მაგრამ სახელმწიფოს დაინტერესება ბავშვებს შორის ამგვარი ლიტერატურის გაუვრცელებლობისა, საკმარისი აღმოჩნდა სტატუტის გასამართლებლად.

შესაბამისად, საქმეზე *Butter v. Michigan* (352; US. 380, 1962) აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო კანონი, რომელიც მთლიანად კრძალავდა ისეთი მასალების გაყიდვას, რომლის წაკითხვაც ბავშვებისათვის არ იყო მიზანშეწო-

ნილი. სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ კანონის მიხედვით, მიიჩნევის მოსახლეობას მოუწევდა მხოლოდ ის ეკითხა, რაც მათი ბავშვებისათვის იქნებოდა შესაფერისი.

არასრულწლოვანთა სწორი ზნეობრივი განვითარების ინტერესები ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც მნიშვნელოვან არგუმენტად მიიჩნია აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გასამართლებლად. ძალზე გახმაურებული *კენდი-საიდის* საქმე ასევე შეეხებოდა მოზარდებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოს აურძღვას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განზიარა შეერთებული სამეფოს მთავრობის მოსაზრება, რომ სექსუალური აღზრდის საკითხებზე ზემოაღნიშნულ სახელმძღვანელოს (“პატარა წითელი წიგნი”) შექმნა მანვე ზეგავლენა მოხდინა ბავშვთა აღზრდაზე, რადგანაც გარკვეულწილად რყენდა მათ და აქებდა ისეთი საქმიანობისაკენ, რაც ფიზიკური თუ ფსიქიკური განვითარების თვალსაზრისით მათთვის შეუფერებელი იყო, ზოგჯერ კი თვით კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებისაკენაც კი (მაგალითად, მარინუანას მოწვევაზე) უბიძგებდა მათ<sup>1</sup>.

\* \* \*

კომერციის სფეროში გავრცელებული იდეები თუ ინფორმაცია, აშშ-ის კონსტიტუციური სამართლის მიხედვით, სარგებლობენ გაცილებით ნაკლები კონსტიტუციური დაცვით, ვიდრე სხვა სფეროებში გამოთქმული აზრები. როგორც ვიცით, ასეთივეა საერთო ევროპული პრაქტიკა. აშშ-შიც ეს პრობლემა ძირითადად უკავშირდება

რდება ე.წ. “კეთილსინდისიერი კონსურენციის” პრინციპების დარღვევასა და კომერციული რეკლამის საკითხებს.

კომერციის სფეროში ისეთი გამონათქვამები, რომლებიც შეიცავენ ოდენ წინადადებებს ამა თუ იმ კომერციული ხელშეკრულების დადებისა, თავდაპირველად, საერთოდ გამორიცხული იყო კონსტიტუციის 1-ლი დამატების დაცვიდან. შემდეგ აღიარეს, რომ ისინიც სარგებლობენ გარკვეული კონსტიტუციური დაცვით, თუმცა ნაკლები ხარისხით.

ეს პოზიცია პირველად აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დაიკავა საქმეზე *Virginia State Board of Pharmacy v. Virginia Citizens Consumer Council* (425; US, 478; 763-765, 1976). სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია სტატუტი, რომელიც კრძალავდა რეცეპტით გასაცემი წამლების რეკლამას ფასების მითითებით. სასამართლომ მიუთითა, რომ კომერციის და მით უფრო წამლებით მომარაგების სფეროში, ინფორმაციის მიიღება მომხმარებლისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე დაინტერესება პოლიტიკური დისკუსიებით. რეკლამა კი უადრესად მნიშვნელოვანი იყო იმისათვის, რომ მოქალაქეს სწორად წარემართა თავისი ეკონომიკური ინტერესები და მიეღო მრავალრიცხოვანი კერძო ეკონომიკური გადაწყვეტილებანი. ამისათვის კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კომერციული ინფორმაციის თავისუფალ დენას.

მოგვიანებით აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ განსაზღვრა კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით, უნდა მომხდარიყო იმის დადგენა, იყო თუ არა

<sup>1</sup> *Handyside v. The United Kingdom*, judgement of 12.12.1976.



ესა თუ ის კომერციული იდეა თუ ინფორმაცია კონსტიტუციის 1-ლი დამატებით დაცული და თუ იყო, რა ხარისხით, როგორი იქნებოდა მისი შეზღუდვის დასაშვები ფარგლები.

ეს კრიტერიუმები, რომლებიც შედარებით ლიბერალურია, სასამართლომ ჩამოაყალიბა საქმეზე *Central Hudsons Gaz and Electric corp. v. Republic service Commission* (447; US 557, 1980). თავდაპირველად უნდა განვსაზღვროთ, გამონათქვამი დაცულია თუ არა 1-ლი დამატებით. იმისათვის, რომ კომერციული გამონათქვამი მოხდეს 1-ლი დამატების დაცვის ქვეშ, ის, როგორც წესი, უნდა შეეხებოდეს კანონიერ კომერციულ საქმიანობას. შემდეგ უნდა გავარკვიოთ, არსებითია თუ არა საზოგადოების გაცხადებული ინტერესები. თუ ორივე საკითხზე პასუხი დადებითია, მაშინ ჩვენ უნდა განვსაზღვროთ, ემსახურება თუ არა ეს რეგულირება უშუალოდ აღნიშნული სფეროს ინტერესთა უზრუნველყოფას.

გამოიყენა რა ეს კრიტერიუმები, უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა კაზინოში თამაშის რეკლამის აკრძალვას პუერტო-რიკოში. მან დაადგინა, რომ ეს შეზღუდვა უშუალოდ ეხმიანებოდა საჯარო ინტერესს, კერძოდ იმას, რომ იქ მცხოვრებლებს რაც შეიძლება ნაკლები ეთამაშათ კაზინოში. სასამართლომ ეს შემთხვევა განასხვავა სხვა საქმეებისაგან, როცა არაკონსტიტუციურად ცნო აკრძალვები აბორტისა და ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების რეკლამაზე. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ეს შეეხებოდა კონსტიტუციით დაცულ საქმიანობებს, მაშინ როცა კაზინო შეიძლებოდა საერთოდ აეკრძალათ

*Pasatas de Puerto Rico Assoc v. Tourizm Co.* (418, 45; 328-1986).

ევროპასთან შედარებით, უფრო ლიბერალურია დამოკიდებულება იურიდიულ და სამედიცინო სფეროში პროფესიული რეკლამის მიმართ. ევროპის მრავალ ქვეყანაში დადგენილია ადვოკატებისა და ექიმების ნებისმიერ მომსახურებაზე რეკლამის ფართომასშტაბიანი აკრძალვა. ამის კარგი მაგალითია ინგლისი. ინგლისის სააპელაციო სასამართლომ პირდაპირ დაუჭირა მხარი ექიმების მომსახურების რეკლამის სრულ აკრძალვას. მან დაადგინა, რომ ეს წესი, რომელიც მიიღო საყოველთაო სამედიცინო სამბჭომ, გამართლებული იყო იმ პოლიტიკის გათვალისწინებით, რომელიც მიმართული იყო ექიმებს შორის კომერციული კონკურენციის წინააღმდეგ, რამდენადაც ასეთ კონკურენციას შეიძლებოდა ხელი შეეშალა პაციენტისათვის, გონიერულ საფუძველზე გაეკეთებინა არჩევანი (*R v. General Medical Council expe Cocman*: 1 AK ER 479 CA).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, პრინციპულად, იზიარებს ასეთი სახელმწიფო პოლიტიკის გონიერულობას, ამ სფეროში შეფასების თავისუფლების ფართო არეს ანიჭებს ეროვნულ სახელმწიფოებს და უმეტესწილად იზიარებს მათ შეფასებებს ამ სფეროში სარეკლამო განცხადებების შეზღუდვის გამართლებულობის შესახებ.

აშშ-ში კი ამ სფეროში შედარებით უფრო ლიბერალური მიდგომაა და პროფესიული რეკლამები მხოლოდ ნაწილობრივ არის შეზღუდული, კერძოდ, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ 1-ლი დამა-

ტება ადგენდა ზღვარს საიმიხოდ, თუ რა ზომით შეეძლო ცალკეულ შტატს, შეეზღუდა იურიდიულ და სამედიცინო სფეროში პროფესიული მომსახურების რეკლამა. სასამართლომ აღიარა შტატების უფლება, შეეზღუდა ადვოკატების პირადი რეკლამა, მაგრამ მან არაკონსტიტუციურად ცნო შტატების მიერ ადვოკატთა ისეთი რეკლამების შეზღუდვა, რომლებიც არ იყო დაკავშირებული მოტყუებასთან ან იბულებასთან, ხოლო კონსტიტუ-

ციურად ცნო რეკლამის ისეთი საშუალება, როგორცაა ადვოკატის მიერ პირადი წერილების საშუალებით საკუთარი მომსახურების შეთავაზება.

\* \* \*

ცხადია, ამ თემაზე უამრავი სხვა პრობლემა და საკითხი იმსახურებდა განხილვას ან მოხსენიებას მაინც, მაგრამ ერთი, თუნდაც ძალზე ვრცელი საჟურნალო პუბლიკაციის ჩარჩოებში ეს შეუძლებელი იყო.

## თამარ ჯანაშია

იურისტი.

### გამონატვის უფლება და უპიკრებისა და გაპირტიანების თავისუფლება აღამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მიხედვით

“ნაცრისფერი პრესა შექმნილი ნაცრისფერ შენობებში ნაცრისფერი აღამიანების მიერ” - ასე იყო განსაზღვრული მედია ჩეხეთის კომუნისტურ რესპუბლიკაში. რატომ არის, რომ ყველა ტოტალიტარული სახელმწიფო ცდილობს გააკონტროლოს გამონატვის თავისუფლება, მით უმეტეს, პრესაში? მიზეზი კი ის არის, რომ გამონატვის თავისუფლებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს დემოკრატიისთვის. ეს მიგვანიშნებს მე-10 მუხლის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე, რომელიც იცავს არა მხოლოდ გამონატვის თავისუფლებას, არამედ აზრის თავისუფლებას და დებატების უფლებას.

“1. ყველას აქვს გამონატვის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს აღამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებანი და მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების გარეშე და საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი არ შეუშლის ხელს სახელმწიფოებს, მოითხოვონ რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის ან კინოწარმოების ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება იმის გამო, რომ იგი მოიცავს ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სასჯელს, რომლებიც გათვალისწინებული არიან კანონით და აუცილებლობას წარმოადგენენ დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე, უწყსრიგობის და დანაშაულის აღკვეთისთვის, ჯანმრთელობის და მორალის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დაცვისთვის, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამგლავნების თავიდან აცილებისთვის ან სასამართლოს ხელისუფლებისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებისთვის”<sup>1</sup>.

რატომ აქვს მე-10 მუხლს ამდენად დიდი მნიშვნელობა? იგი იცავს აზრის გამონატვის უფლებას და ინფორმაციის თავისუფლებას სახელმწიფო ორგანოებიდან ჩარევის გარეშე და სახელმწიფო საზღვრის მიუხედავად. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა თანამედროვე ცხოვრების გათვალისწინებით, სადაც ინფორმაციას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

მე-10 მუხლის საერთაშორისო მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი არის წვერი სახელმწიფოების სამართლებრივი მაკავშირებელი ინსტრუმენტი. ბევრ ქვეყანაში მაუწყებლობის კონტროლი და კანონმდებლობა ინფორმაციაზე რეგულირდება და ვითარდება მე-10 მუხლით დაფიქსირებულ ფარგლებში. აღნი-

<sup>1</sup> აღამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-10 მუხლი.

შული მუხლი არის ინფორმაციის მასობრივი საშუალებების ფორმირებისა და ფუნქციონირების წინა პირობა. ამასთან, არა მარტო ევროსაბჭოს ფარგლებში, არამედ ევროპის კავშირის და უშუალოდ მონაწილე ქვეყნებში.

ამგვარად, მე-10 მუხლის ტექსტი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი იცავს აზრის გამოხატვის და ინფორმაციის თავისუფლებას, ხოლო მეორე ნაწილი ადგენს გამონაკლისს ამ წესიდან.

აზრის, გამოხატვის და ინფორმაციის თავისუფლება მოიცავს ორ შემადგენელ ნაწილს – შეხედულებების და აზრის ქონის თავისუფლებას და უფლებას, განავრცოს ინფორმაცია და იდეები. ინფორმაციის და იდეების განვრცობის თავისუფლება მოიცავს ინფორმაციული პროცესის ყველა სტადიას – მოძიება, შეკრება, დამუშავება, შენახვა, გავრცელება, ინფორმაციის მიღება.

მე-10 მუხლის პირველი ნაწილი ფორმულირებულია იმგვარად, რომ მოიცავს სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან ჩარევას ინფორმაციის მოძრაობის სფეროში. იმისათვის, რომ მიღებულ იქნეს საჩივარი, დარღვევა უნდა მომდინარეობდეს სახელმწიფო ორგანოს მხრიდან. ევროპის სასამართლო არ განიხილავს დარღვევებს კერძო პირის ან არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან.

უფლების დარღვევას ან ჩარევას შეიძლება ჰქონდეს შემდეგი სახეები: აკრძალვა, ლიცენზიის ანუღირება ან გაცემაზე უარის თქმა, გარკვეული ინფორმაციის გამოქვეყნების ან პუბლიკაციის გამო დასჯა, სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ცილისწამებით ან შეურაცხყოფით მი-

ყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, პუბლიკაციაზე სასამართლო აკრძალვის დადება ან სასამართლო გადაწყვეტილება მოგების დაბრუნების შესახებ, რომელიც მიღებულია კონფიდენციალური ან საიდუმლო მასალის გამოქვეყნებით, ტირაჟის, წიგნის ან ფილმის კონფისკაცია, მხატვრული ნაწარმოების კონფისკაცია, პუბლიკაციის აკრძალვა, პორნოგრაფიული ჟურნალების ბეჭდვის, გაყიდვის ან გაქირავების გამო გასამართლება, ვჟურნალისტობის ან ავტორობის უფლების ჩამორთმევა, ინფორმაციის წყაროს შეზღუდვა, თავისუფლების აღკვეთა რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან კუთვნილების გამო, ინფორმაციის წყაროს გამაშვარავეების მოთხოვნა.

სასამართლომ არ ცნო მე-10 მუხლის დარღვევად “ენობრივი უფლების” დარღვევა, ხმის უფლება, რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება, კერძო ფირმის მიერ სუპერმარკეტში გახეთების მიტანაზე აკრძალვის დაწესება, რადიოსადგურში ტექნიკური მოწყობილობების დაყენებაზე აკრძალვა, სპორტული თამაშების პირდაპირ ტრანსლაციაზე აკრძალვის დაწესება. მე-10 მუხლის დარღვევად აგრეთვე არ ითვლება, მაგალითად, სამსახიბო მოღვაწეობიდან შემოსავალზე გადასახადის დაწესება.

უფლება პასუხზე, რომელიც არ იძლევა ყველასთვის ეთერის განყარვის შესაძლებლობას, რათა გამოხატოს თავისი შეხედულება, მე-10 მუხლის მიერ თავისთავად არ არის დაცული. აგრეთვე მე-10 მუხლის დარღვევად არ არის აღიარებული ხელისუფლების ორგანოს მიერ თეატრის სუფსიდიანზე, უარის თქმა ან ხმის



უფლებების ჩამორთმევა სასამართლო სხდომაზე. ამასთანავე კომისიამ დაადგინა, რომ გამოხატვის თავისუფლება მოიცავს საკუთარი თავის ტანსაცმლით გამოხატვის თავისუფლებასაც.

კონვენციის მიხედვით, განსაღვრულია იმ პირთა წრე, რომელთაც შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს საჩივრით, კონვენციის 25-ე მუხლი განსაზღვრავს “მსხვერპლის” მნიშვნელობას და ადგენს, რომ “სასამართლოს შეუძლია მიიღოს განცხადებები ნებისმიერი პირისგან, არასამთავრობო ორგანიზაციისგან ან პირთა წრისგან, რომელნიც ამტკიცებენ, რომ არიან სამართალდარღვევის მსხვერპლნი”, რასაც იწვევს შეზღუდვა. თუ შეზღუდვას აქვს ნაკლები ეფექტი და არსებობს დამოუკიდებელ საზოგადოებრივ განხილვაში მონაწილეობის სხვა გზები ან ინფორმაციის მიღების და გაცვლის საშუალებები, კომისიამ და სასამართლომ შესაძლოა ეს მხედველობაში მიიღოს. პერსელის საქმეზე (1991)<sup>1</sup> კომისიამ მიანიშნა, გასაჩივრებული აყრძალვა არ მიეკუთვნებოდა რადიო და ტელეპროგრამების მინაარსს და არ ეხებოდა საჩივარში მინიშნებული ორგანიზაციების მოღვაწეობაზე შეტყობინებას. აყრძალვა დაედო მხოლოდ ამ ორგანიზაციების წარმომადგენლების ინტერვიუს პირდაპირ ეთერში და მიზნად ისახავდა, ხელი შეეშალა ტელემუწეველობის საშუალებით ტერორიზმის პროპაგანდისათვის.

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-10 მუხლი არ კრძალავს აზრის გამოხატვის წინასწარ შეზღუდვებსაც. ეს ჩანს არა მარტო სიტყვებიდან “პირობები”, “შეზღუდვები”, “თა-

ვიდან აცილება”, არამედ ევროპის სასამართლოს პრაქტიკიდანაც. თუმცა სასამართლომ არაორაზროვნად აღნიშნა, რომ წინასწარ შეზღუდვებს თან ახლავს რისკი, მისთვისაც საჭიროებენ ფრთხილ გამოყენებას. განსაკუთრებით ეს ეხება პრესასთან დაკავშირებულ საქმეებს, რამეთუ “ცნობები მალფუჭებადი პროდუქტია” და მათი გამოქვეყნების შეფერხება, თუნდაც მცირე ხნით, მათ მნიშვნელობას უკარგავს.

საქმის განხილვისას სასამართლო მხედველობაში იღებს ევროპის საბჭოში შემავალი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის სხვაობას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მხედველობაში იღებენ შედარების მომენტს. თუ განსახილველი კანონმდებლობა ან სასამართლო ხელისუფლების ჩარევა გამოწვეულია ქვეყანაში განსაზღვრული სიტუაციით, ეს ითვლება მნიშვნელოვან ფაქტად “დემოკრატიული აუცილებლობის” შეფასებისას, რომელიც დადგენილია, კონვენციის ძირითადი მიზნის შესაბამისად – გამოხატოს საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც ხელშემკვრელი მხარეების მიერ დაცული უნდა იყოს საკუთარ მოქალაქეებთან მიმართებაში. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებელია სრული ერთობის მიღწევა. სასამართლო აღიარებს, რომ სახელმწიფოები თავისუფალი არიან შესაფერისი საშუალებების შერჩევისას.

“კასადო კოკას”<sup>2</sup> საქმესთან დაკავშირებულ განაჩენში სასამართლომ დაადგინა, რომ საადვოკატო ორგანოები და სახელმწიფო ორგანოები, საერთაშორისო სასამართლოსთან შედარებით, უკეთ გადაწყვეტენ, იყო თუ

<sup>1</sup> გადაწყვეტილება პერსელის საქმეზე (1991).

<sup>2</sup> გადაწყვეტილება კასადო კოკას საქმეზე (1991).

არა იურიდიული პრაქტიკის რეკლამის შეზღუდვა დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი. სასამართლო დაფარდო რეგულირების შეთოდების ფართო სპექტრს, ასევე, ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების განვითარების განსხვავებულ სტადიებს, რაც ართულებს საკითხის გადაწყვეტას. სხვა წევრ-ქვეყნებში ამგვარი შეზღუდვების არარსებობა შესაძლოა გახდეს სასამართლო ჩარევის გაუმართლებლობის საბაბი. სასამართლო თავის პრაქტიკაში გამოუდგებით აღნიშნავს, რომ ყოველი წევრი სახელმწიფო სარგებლობს შეფასების თავისუფლებით დასაშვები ჩარევის საზღვრებისა და აუცილებლობის განსაზღვრისას. თუმცა ეს თავისუფლება ევროპის ორგანოების მეთვალყურეობის ქვეშაა როგორც კანონმდებლობასთან, ასევე მის გამოყენებასთან მიმართებაში.

თავისუფლების საზღვრები ერთნაირი არაა მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიმართ. მაგალითად, “მორალის” საკითხებზე ევროპის ორგანოების ზედამხედველობა ნაკლებია, ვიდრე მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მიზნებზე. სასამართლო თელის, რომ ნაციონალური სახელმწიფო ორგანოები არიან უკეთეს მდგომარეობაში საერთაშორისო სასამართლოსთან შედარებით მორალის განსაზღვრის და მისი დაცვის საშუალებების შერჩევის დროს. ეს აიხსნება იმით, რომ ევროპაში არ არის მორალის ერთიანი კონცეფცია და სხვადასხვა სახელმწიფოს ამგვარი შეხედულებები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. რა თქმა უნდა, შეხედულებების თავისუფლება არ გულისხმობს მის უსაზღვრობას. სა-

ბოლოოდ, სასამართლო მაინც განსაზღვრავს შეზღუდვების შესაბამისობას კონვენციის ნორმებთან.

კომისიის პრაქტიკიდან ჩანს, რომ ნაციონალურ ხელისუფლებას ასევე ფართო შეფასების თავისუფლება აქვს ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, არეულობის თავიდან აცილების და დანაშაულის ჩადენის დროს. როგორც კომისიამ აღნიშნა, ნაციონალური სახელმწიფო ორგანოები უკეთ განმარტავენ კანონმდებლობას უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესახებ, ასევე, არის თუ არა ამ ღირებულებების დასაცავად შემოღებული შეზღუდვები აუცილებელი. შეფასების თავისუფლება სახელმწიფოს მინიჭებული აქვს “ნაციონალური აუცილებლობის” დროს, თავდაცვის და ნაციონალური უშიშროების სფეროში.

მეორე მხრივ, უფრო მკვეთრად გამოხატულ მიზნებს, როგორებიცაა ავტორიტეტის შენარჩუნება და მართლმსაჯულების მიუკერძოებლობა, შეესაბამება უფრო შეზღუდული შეხედულების თავისუფლება და შესაბამისად, ევროპის ორგანოების მხრიდან, უფრო მკაცრი კონტროლი (სანდი ტაიმსი 1979)<sup>1</sup>. თუმცა, მხარეები აქცა სარგებლობენ შედარებით ფართო შეფასების თავისუფლებით, სანქციების და შეზღუდვების დონის განსაზღვრისას.

შეხედულების თავისუფლება ეხება აგრეთვე რადიო და ტელემაუწყებლობის სფეროსაც. სასამართლო, ასრულებს რა თავის ზედამხედველობით ფუნქციას, უნდა განსაზღვროს, გამართლებული და პროპორციულია თუ არა ზომები, რომლებიც გამოყენებულ იქნა ნაციონალურ დონეზე. სხვა სა-

<sup>1</sup> გადაწყვეტილება სანდი ტაიმსის საქმეზე (1979).



2. შეზღუდვები არ დაწესდება ამ უფლების განხორციელებაზე იმათ გარდა, რომლებიც განსაზღვრული არიან კანონით და აუცილებლობას წარმოადგენენ დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე, დანაშაულის და უწყესრიგობის აღკვეთისათვის, ჯანმრთელობის და მორალის ან სხვათა უფლებების და თავისუფლებების დასაცავად. ეს მუხლი ხელს არ შეუშლის შეიარაღებული ძალების, პოლიციის და სახელმწიფო ადმინისტრაციის წევრების მიერ ამ უფლებების განხორციელებაზე კანონიერი შეზღუდვის დაწესებას<sup>1</sup>.

მუხლი ორი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში ჩამოყალიბებულია ის პირობები, რომელთა გათვალისწინებითაც ადამიანებს შეუძლიათ შექმნან საკუთარი ინტერესების დამცველი გაერთიანებები. ამგვარი გაერთიანებების და შეკრებების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მათი მშვიდობიანი ხასიათი. თუ ადამიანები იყრიებიან იმისათვის, რომ სხვებს მოუწოდონ, არ დაემორჩილონ კანონს, ან არც ერთ წყობას, ან ქმნიან უკანონო შეიარაღებულ დაჯგუფებებს, ამგვარი ქმედებები არ იქნება დაცული გაერთიანების და შეკრების უფლებით.

საკუთარი ინტერესების დასაცავად, ადამიანები ერთიანდებიან პროფკავშირებში. პროფესიულ კავშირებში, რომლებიც არიან მომუშავეთა გაერთიანებები, შექმნილი მათი პროფესიული ინტერესების დასაცავად.

მოქალაქეებმა საკუთარი ნება შეიძლება გამოხატონ ისეთი შეკრების და გაერთიანების ხერხებით, როგო-

რიცაა მანიფესტაცია. იგი გულისხმობს დემონსტრაციების, გამოსვლების, მანიფესტაციების, მიტინგების, პიკეტების, ან ღია ცის ქვეშ ნებისმიერი სხვა გამოსვლების მოწყობის შესაძლებლობას. ამასთან, ხელისუფლებამ შეიძლება აკრძალოს მანიფესტაციები, რომლებიც, ხელს უშლიან სამოქალაქო მოძრაობას და შესთავაზოს მანიფესტაციების სხვა ადგილებში ჩატარება.

ადამიანები, რომლებიც იზიარებენ საერთო იდეოლოგიურ შეხედულებებს, მაგრამ არ ქმნიან ორგანიზაციებს, აყალიბებენ მოძრაობებს. საკუთარი სულიერი და არამატერიალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ადამიანები ქმნიან კანონით დადგენილი წესის შესაბამის, მოქალაქეთა კეთილი ნების გამოხატველ საზოგადოებრივ გაერთიანებებს.

მოქალაქეები გაფიცვას მიმართავენ იმ დროს, როცა სურთ, გამოხატონ პროტესტი დამსაქმებლის მიმართ ან კოლექტიური მონდობების უშედეგობის შემდეგ, რომლითაც სურდათ გარკვეული მიზნის მიღწევა. გაფიცვა ოფიციალურად ითვლება მამინ, როცა იგი ფორმალურად გამართლებულია კავშირის მიერ. არაფორმალურ ხასიათს კი ატარებს მამინ, როცა იგი მუშების მიერ ეწყობა სპონტანურად. კავშირის ოფიციალური მხარდაჭერის გარეშე, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, არაფინ შეიძლება იქნეს იძულებული, მონაწილეობა მიიღოს გაფიცვაში, ისევე, როგორც არაფინ შეიძლება იქნეს იძულებული, გაერთიანდეს პროფესიულ კავშირში. გაფიცვის უფლება შეიძლება შეზღუდულ იქნეს სასამართლოების მიერ საზო-

<sup>1</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 11.



გადგომის წესრიგის შენარჩუნების მიზნით ან მეტისმეტი ზარალის თავიდან ასაცილებლად.

მოქალაქეებმა შეიძლება მოაწიონ შეკრება ან სხვა სახის აქცია, წინასწარ გამოცხადებული მიზნით, პროტესტი გამოთქვან არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ან ხელისუფლების მიმართ, მაგრამ ლიდერების მხრიდან ძალადობის გამოყენების გარეშე. პროტესტი გამოითქმის აუცილებლად მშვიდობიანი ფორმით.

მე-11 მუხლით გარანტირებული შეკრების და გაერთიანების თავისუფლება არ არის აბსოლუტური. მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია ის პირობები, რომლებსაც შეუძლიათ, შეზღუდონ ამ მუხლის სრულფასოვანი გამოყენება. პირველი გარემოება, რომელსაც შეუძლია შეზღუდვის ამ თავისუფლების გამოყენება, კანონით უნდა იყოს დადგენილი. ყოველგვარი უკანონო შეზღუდვა იწვევს არაპარტებულ შედეგებს.

ისევე როგორც წინამდებარე მუხლების განხილვისას, ამ შემთხვევაშიც ყოველგვარი შეზღუდვა უნდა გამომდინარეობდეს დემოკრატიული საზოგადოების ინტერესებიდან. თუ ამ უფლების გამოყენება საფრთხეს უქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას, საზოგადოებრივ წესრიგს ან მიმართულია მორალის და ჯანმრთელობის დასაცავად, დანაშაულის და უწყსრიგობის აღსაკვეთად და სხვა უფლებების და თავისუფლებების დასაცავად, მაშინ დასაშვებია შეკრების და გაერთიანების თავისუფლება შეზღუდულ იქნეს სახელმწიფოს მხრიდან.

რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიებს, ესაა გაერთიანებები, რომელთაც გააჩნიათ მყარი სტრუქტურა და მო-

ღვაწეობის მუდმივი ხასიათი, არის დამოუკიდებელი საზოგადოებრივი გაერთიანება და გამოხატავს თავისი წევრების და მომხრეების პოლიტიკურ ნებას, მიზნად ისახავს ქვეყნის პოლიტიკური კურსის განსაზღვრას, მონაწილეობას იღებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფორმირებაში, ასევე მისი წარმომადგენლების მემკვიდრით ხელისუფლების განხორციელებაში, რომლებიც არჩეული არიან ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში.

ევროპის სასამართლოს მიერ განხილული ზოგიერთი საქმე ეხება ხელისუფლების მიერ მე-11 მუხლის დარღვევის საკითხებს. საქმეში "სოციალური პარტია და სხვები თურქეთის წინააღმდეგ"<sup>1</sup> მომხივნები ამტკიცებდნენ, რომ მე-11 მუხლის დაცვის ქვეშ პოლიტიკური პარტიებიც ხვდებოდნენ.

1988 წელს თურქეთში შეიქმნა კომუნისტური პარტია, რომლის წინააღმდეგაც, შექმნიდან ორი კვირის განმავლობაში, გენერალური პროკურორის მიერ შეტანილ იქნა კონსტიტუციურ სასამართლოში სარჩელი მოთხოვნით, გაეუქმებინათ აღნიშნული პარტია, რამეთუ იგი ცდილობდა ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას. თავის გადაწყვეტილებაში კონსტიტუციურმა სასამართლომ გამოაცხადა კომუნისტური პარტიის დაშლის შესახებ.

პარტიის წარმომადგენლებმა შეიტანეს სარჩელი ევროპის კომისიაში და ამტკიცებდნენ, რომ დარღვეულ იქნა კონვენციის მე-11 მუხლი, როცა სოციალისტური პარტიის წარმომადგენლებს აუკრძალეს სხვა პარტიებში და ნებისმიერ პოლიტიკურ გაერთიანებებში პოსტების დაკავება.

<sup>1</sup> საქმე "სოციალური პარტია და სხვები თურქეთის წინააღმდეგ". 1988 წელი.

ყველა განმცხადებელი აცხადებდა, რომ დარღვეულ იქნა მათი გაცერიანების და ასოციაციის უფლება. იგივე აზრი ჩამოუყალიბდა სასამართლოსაც. კომისია მიიჩნევდა, რომ კომუნისტური პარტიის დაშლა არ იყო გამოწვეული დემოკრატიული საზოგადოების ინტერესებით, თუმცა ყველა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შეზღუდვა გათვალისწინებული იყო თურქეთის კანონმდებლობით. კომისიამ აგრეთვე დაასკვნა, რომ სოციალისტური პარტია ცდილობდა მიეღწია თავისი მიზნებისთვის მხოლოდ კანონიერი საშუალებებით. არ იქნა დამტკიცებული კომუნისტური პარტიის მხრიდან დემოკრატიის ან პლურალიზმის ხელყოფის სურვილი. ეს პარტია მიზნად არ ისახავდა ადამიანის უფლებების შეზღუდვას და არ ქადაგებდა რასობრივ დისკრიმინაციას.

ამრიგად, მიჩნეულ იქნა, რომ სოციალისტური პარტიის დაშლა არ შეესაბამებოდა მისდღვე მიზანს და შესაბამისად, არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. აქედან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა კონვენციით გათვალისწინებული მე-11 მუხლის დარღვევას.

საერთაშორისო სამართლის როლი სახელმწიფოთა სამართლებრივ სისტემაში სულ უფრო იზრდება. ამ მხრივ გამოწვევის არც საქართველოა. პრაქტიკაში გამოიყენება საერთაშორისო სამართლის ისეთი წყარო, როგორცაა საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც გახდა საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი და ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის წყარო, ამ საკითხთან დაკავშირებით ისმის კითხვები:

არის თუ არა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნაწილი; შესაძლოა თუ არა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების უშუალო გამოყენება, მათ შორის სასამართლო დაგების გადაწყვეტისას; და რა იერარქიული ადგილი ენიჭება საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს საქართველოში მოქმედ სამართლებრივ აქტებს შორის?

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში აღიარებულია, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია ორი ისეთი ელემენტი, როგორცაა სახელმწიფოთა საერთო პრაქტიკა და ამ პრაქტიკის იურიდიულად საკვლევად ადგიარება. სახელმწიფოთა პრაქტიკის დადგენისთვის და *opinio juris* დადგენისთვის, როგორც წესი, ანალიზდება სახელმწიფოთა ოფიციალური განცხადებები, საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტები, საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები და ა. შ. ზოგადად, შესაძლოა ითქვას, რომ სახელმწიფოთა პრაქტიკის და ოპინიო ჯურის გამოდგება ყველა საშუალება, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო გამოხატავს თავის ნებას.

საქართველოში საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შიდასახელმწიფოებრივი სტატუსი საკონსტიტუციო დონეზე რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილით.

“საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შე-

თანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურადიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ”<sup>1</sup>.

ის გარემოება, რომ საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის აღიარებულ საყოველთაო პრინციპებს და ნორმებს, მისწავს, რომ ქვეყნის კანონმდებლობა მათზე დამოკიდებულია. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების შიდასახელმწიფოებრივ სტატუსთან დაკავშირებით, ყურადღებას იმყრობს საქართველოს დარგობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული დაბულებები. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ითვალისწინებს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებს შეიცავს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კოდექსი, საქართველოს სხვა კანონები, აგრევე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები და პრინციპები.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ნათელს ჰფენს რიგ საკითხებს საქართველოს სამართლებრივ სისტემაში საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის როლთან დაკავშირებით. უპირველეს ყოვლისა, კოდექსის ეს დებულება ადგენს, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმები საქართველოს სამართლის წყაროა სისხლის სამართლის პროცესის სფეროში. ამავე კოდექსით, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებს მინიჭებული აქვთ იურარქიული ადგილი საქართველოში

მოქმედ აქტებს შორის, კერძოდ, მათ ენიჭება საქართველოს კანონებზე დაბალი იურარქიული ადგილი.

საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების გამოყენებასთან დაკავშირებით, საერთაშორისო სამართლის როლის განსაზღვრის მიზნით, საქართველოს სამართლის სისტემაში გამოიყენა სხვადასხვა ბრძანებულებები და აქტები, რომლებიც ამ საკითხს არეგულირებენ. გარდა ამისა, საინტერესოა საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 11 ოქტომბერს მიღებული კანონი “ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლის ნორმებისთვის კონსტიტუციური ძალის მინიჭებისა და საქართველოს რესპუბლიკაში მათი პირდაპირი მოქმედების შესახებ”, რომლის თანახმადაც, საქართველოს კონსტიტუციას დაემატა 37-ე მუხლი. მოცემულ აქტს, მართალია, ძალა აქვს დაკარგული, მაგრამ იგი საყურადღებოა საერთაშორისო სამართლის ნორმების შიდასახელმწიფოებრივი სტატუსის მიმართ სახელმწიფო მოდგომის დადგენის თვალსაზრისით.

საქართველოს კონსტიტუცია დიდ როლს ანიჭებს ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვას. კონსტიტუცია ითვალისწინებს დებულებას ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების სტატუსის შესახებ, რომელიც განსაზღვრულია კონსტიტუციის მე-7 მუხლში:

“სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს და თავისუფლებებს როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირსებებს. ხელისუფლების გა-

<sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მე-6 მუხლი.

ნსორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებით და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით”<sup>1</sup>.

აღნიშნული დებულებიდან გამომდინარეობს, რომ საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები საქართველოში პირდაპირი, უშუალო მოქმედებისაა, მიუხედავად იმისა, ანახულია თუ არა საქართველოს შიდა სამართლებრივ ნორმატიულ აქტებში ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, მათი დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახელმწიფოში.

ძალზე საინტერესოა იმის დადგენა, თუ რა იერარქიული ადგილი ენიჭება ადამიანის უფლებათა ჩვეულებითი სამართლის ნორმებს ქვეყანაში მოქმედ სამართლებრივ აქტებს შორის. იმის გამო, რომ კონსტიტუციის მე-7 მუხლში განსაზღვრული არ არის აღნიშნული აქტების იერარქია სხვებთან მიმართებაში, ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს ორი მოსაზრება. პირველი, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებს ქართულ კანონმდებლობასთან შედარებით უპირატესი ძალა ენიჭება, მაგრამ არა კონსტიტუციის მიმართ. მეორე მხრივ, გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანხმაც, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს და თავისუფლებებს უპირატესი იურიდიული ძალა აქვთ თვით კონსტიტუციის მიმართ.

ეს რაც შეეხება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მოქმედებას ქართულ რეალობაში. ახლა კი მოკლედ მიმოვიხილოთ საქართველოს კანონმდებლობის და ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის ურთიერთდა-

მოვიდებულება და შეთავსებითობა, ვინაიდან ევროპული სამართალი პრეცედენტულ სამართალზეა აგებული.

2001 წლის თებერვალში საქართველოში დამუშავებულ იქნა პროექტი ადამიანის უფლებების და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასა და მის ოქმებთან ქართული სამართლის შესაბამისობის შესახებ. ამ კონვენციამ განხილულ იქნა ევროპის კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლის შესაბამისობა ჩვენს კანონმდებლობასთან. თუ მოკლედ მიმოვიხილავთ, მდგომარეობა ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთია:

როგორც ცნობილია, ევროპის კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულია გამოხატვის თავისუფლება. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლში სიტყვის თავისუფლება შემდგენიარადაა ჩამოყალიბებული:

1. “ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის და რწმენის თავისუფლება;

2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეზღუდვებით შესახებ;

3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს”<sup>2</sup>.

როგორც ვხედავთ, კონსტიტუციის ამ ერთ მუხლში გაერთიანებულია რამდენიმე უფლება, ერთი მხრივ, სიტყვის და აზრის გამოხატვის (ან არ გამოხატვის) უფლება, ხოლო მეორე მხრივ, აღმსარებლობის და სინდისის თავისუფლება. ევროპის ადამიანის

<sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მე-7 მუხლი.

<sup>2</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მე-19 მუხლი.



უფლებათა კონვენციაში ეს უფლებები დაცულია მე-9 და მე-10 მუხლებში. პროექტის ავტორთა აზრით, ამ უფლებების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ალბათ უმჯობესი იქნებოდა, ევროპის კონვენციის მსგავსად, მათი სხვადასხვა მუხლებში ფორმულირება.

კონსტიტუციის 24-ე მუხლით დადგენილია გამოხატვის თავისუფლება:

1. "ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით;

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია;

3. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება;

4. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლოა შეიზღუდოს კანონის ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებების და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად"<sup>1</sup>.

24-ე მუხლის მე-4 ნაწილში ჩამოყალიბებულია ის გარემოებები, რომელთა გამოც გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს. ეს ჩა-

მონათვალა ევროპის კონვენციის მე-10 მუხლის II ნაწილში ჩამოთვლილი პირობების იდენტურია, მაგრამ კონსტიტუციაში გათვალისწინებული არაა ამ უფლების შემზღუდა "ჯანმრთელობის და მორალის" დაცვის მიზნით, როგორც ამას ევროპის კონვენცია ითვალისწინებს.

კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლების პირველი და მე-3 ნაწილი ევროპის კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისია. მნიშვნელოვანია ამ მუხლების მიერ მასმედიის თავისუფლების აღიარება და ცენზურის აკრძალვა, რაც ხელს შეუწყობს პლურალიზმის უზრუნველყოფას, ეს კი აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისთვის.

კონსტიტუცია არ შეიცავს არავითარ ნორმებს რადიოსა და ტელევიზიაზე ან მათ ორგანიზაციას, კონტროლს და სხვა ამგვარ საკითხებზე.

პრესის კანონზე დაყრდნობით, მასმედიის ორგანოები შეიძლება დაარსებულ იქნენ სახელმწიფო მონელების, რეგისტრირებული პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან სხვა ორგანიზაციების მიერ, ისევე როგორც საქართველოს მოქალაქეების მიერ. მასმედიის ორგანოები ფუნქციონირებას მხოლოდ სასამართლოში რეგისტრაციის შემდეგ იწყებენ.

გამოხატვის უფლება, ისევე როგორც ინფორმაციის მიღების თავისუფლება, შეიძლება შემზღუდულ იქნეს საგანგებო მდგომარეობის ან ომის ვითარების გამო, მაშინ როცა სიტყვის და აზრის თავისუფლება არ ექვემდებარება ასეთ შემზღუდვებს. ეს უფლებები საქართველოს სხვა ნორმატიულ აქტებშიცაა დაცული. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო და სისხლის

<sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 24-ე მუხლი.

სამართლის კოდექსებში, “სახელმწიფო საიდუმლოს შესახებ” კანონით, “კულტურის შესახებ” კანონით და ა.შ.

ამრიგად, მართალია, გამოხატვის და ინფორმაციის გაერცვლების უფლებასთან დაკავშირებით ქართულ კანონმდებლობაში არსებობს გარკვეული ხარვეზები, მაგრამ მათი გამოსწორება ახალი კანონების და კონსტიტუციის შემდგომი დახვეწის ხარჯზე შესაძლებელი და საკალდებულოა. მნიშვნელოვანია, რომ ეს უფლება კანონმდებლობით გათვალისწინებულია და მეტნაკლებად სრულდება.

კონვენციის მე-11 მუხლით დაცული უფლება კონსტიტუციის 25-ე და 26-ე მუხლებშია ჩამოყალიბებული, რომლებიც ადგენენ შემდეგს:

1. ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალების, პოლიციის და უშიშროების სამსახურში, უფლება აქვთ წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბონ საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ;

2. კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება;

3. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსწინააღმდეგო ხასიათი მიიღო”.

26-ე მუხლი ადგენს:

1. “ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების და მათში გაერთიანების უფლება;

2. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში;

3. დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის და ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს;

4. პირი, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების, სახელმწიფო უშიშროების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად, წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას;

5. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეწყვეტა ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით”<sup>11</sup>.

კონსტიტუციის 25-ე და 26-ე მუხლები მოიცავს ევროპის კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ უფლებას ქვემოთ მოყვანილი ზოგიერთი გამონაკლისის გარდა:

კონსტიტუციის 25-ე მუხლი შეიცავს საზოგადოებრივი გაერთიანების უფლებას, მაშინ როცა ევროპის კონვენცია მხოლოდ პირად გაერთიანებას იცავს.

<sup>11</sup> საქართველოს კონსტიტუცია. 25-ე და 26-ე მუხლები.

კონსტიტუციის 26-ე მუხლი კრძალავს შეიარაღებული ძალების, პოლიციის და უშიშროების სამსახურის წევრების მონაწილეობას საზოგადოებრივ გაერთიანებაში. ამგვარი შეზღუდვა კი ევროპის კონვენციით არ არის გათვალისწინებული.

კონსტიტუციის 25-ე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს, რომ ხელისუფლებას შეკრების შეწყვეტა შეუძლიათ მისი უკანონოდ წარმართვის შედეგად. კონსტიტუციაში არაა განსაზღვრული, თუ რომელი ორგანოა უფლებამოსილი და რა კრიტერიუმებია საჭირო იმისთვის, რომ აქცია უკანონოდ ჩაითვალოს. ყველა ზემოხსენებულ საკითხს არეგულირებს კანონი "შეკრებებსა და მანიფესტაციების შესახებ" (12-06-1997).

ისევე როგორც წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული უფლება, ზემოთ განხილული უფლებაც დაცულია საქართველოს საკანონმდებლო აქტებში. რა თქმა უნდა, ეს უფლება იდეალურად არ არის დაცული, მაგრამ სამომავლოდ მისი დაზვევისთვის რეკეთესი იქნებოდა კანონის მიღება უკლეიის შესახებ, შევიდეს შესწორებები კანონში პროფკავშირების შესახებ, ასევე სამოქალაქო კოდექსში დაიხვეწოს არაკომერციული ლეგალური გაერთიანებების რეგისტრაციის წესი. ეს ის რჩევებია, რომლებსაც ქართველი და ევროპული სამართლის პროექტი აძლევს საქართველოს კანონმდებლებს.

ევროპის საბჭოში გაერთიანებული ქვეყნები, რომელთაც საეკლდებულოდ ცნეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენ-

ცია, მოვალენი არიან, დაიცვან კონვენციით გარანტირებული უფლებები. ეს თავისუფლებები სათავეს ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში მოღვაწე განმანათლებლების ნაშრომებში იღებდნენ. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი უფლება ადამიანის ბუნებითი უფლებაა და მათი ხელყოფა დაუშვებელია. ის შეზღუდვები, რომლებიც ახლავს განხილულ უფლებებს, განსაზღვრული უნდა იყოს კანონში და უნდა გამომდინარეობდეს დემოკრატიული საზოგადოების ინტერესებიდან.

ისეთი ქვეყნებისთვის კი, როგორც საქართველოა, ამ უფლებების დაცვას ორმაგი მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანის უფლებების დაცვა ქვეყნის დემოკრატიულობის ერთ-ერთი განსაზღვრელი ფაქტორია და იმის საწინდარი, რომ ქვეყანა ცნონ საერთაშორისო თანამეგობრობის, უფრო ვიწროდ კი, ევროპის წევრად.

ანალოგიური ტიპის საქმე განიხილა კომისიამ 1995 წელს როცა მოქალაქე ფოთი გამოდიოდა გერმანიის წინააღმდეგ.<sup>1</sup> იმის გამო, რომ ქალბატონი ეკუთვნოდა გერმანიის კომუნისტურ პარტიას, იგი გათავისუფლებულ იქნა სამსახურიდან. ხელისუფლების მხრიდან ამგვარი ქმედება ხელყოფდა მის უფლებას შეკრებასა და გაერთიანებაზე. კომისია დაეთანხმა იმას, რომ ადგილი ჰქონდა ამგვარ დარღვევას. განმცხადებელი გათავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან იმის გამო, რომ მან უარი განაცხადა გამოსულიყო კომუნისტური პარტიიდან და ასაბუთებდა ამგვარ ქმედებას იმით, რომ ამ პარტიის წევრობა მას ხელს არ უშლიდა ყოფილიყო ლოიალური.

<sup>1</sup> საქმე "ფოთი გერმანიის წინააღმდეგ", 1995.

ამგვარი ჩარევა არის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევა, თუ იგი დასაბუთებული არ არის ამ ნაწილში ჩამოთვლილი პირობებით. ეს პირობები მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის იდენტურია, ბოლო წინადადების გამოკლებით. ამ შემთხვევაში სასამართლო ეთანხმება კომისიას იმაში, რომ საჭიროა “სახელმწიფო მმართველობის” უფრო ვიწრო განსაზღვრება იმ თანამდებობის გათვალისწინებით, რომელსაც დაინტერესებული მოხელე იკავებს. მაგრამ თუ მასწავლებლები განხილულ იქნებიან როგორც ხელისუფლების მმართველობის ორგანოების მოხელეები, მე-11 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, კითხვა, რომელზეც სასამართლო პასუხის გაცემას საჭიროდ არ თვლის ამ მომენტისთვის, მაშინ ქ-ნი ფოგთის გათავისუფლებაც იყო მიზნის შეუსაბამო. ამრიგად, ადგილი ჰქონდა მე-11 მუხლის დარღვევას.

ყველა ზემოთ განხილული უფლება, რომლებსაც იცავს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, განეკუთვნება სამოქალაქო უფლებებს. მათი დაცვა აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოების ინტერესებისთვის და განვითარებისთვის. პირადი და საოჯახო ცხოვრების პატივისცემის, აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლების, გამოხატვის, შეკრების და გაერთიანების თავისუფლება შეიძლება შეზღუდოს მხოლოდ კანონის საფუძველზე. ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის, თუ სხვა საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით ჩვენს საზოგადოებაც მიიღტვის ამ უფლებების სრულად უზრუნველყოფისკენ. ამ უფლებების და სხვა უფლებების დაცვა საშუალებას მისცემს ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო საზოგადოების, უფრო ვიწროდ კი, ევროპის სრულუფლებიანი წევრი გახდეს.



**იმაღლო არჯუმანიკა**

თბილისის მერიის ბავშვთა უფლებების  
დაცვის საქალაქო ცენტრის იურისტი.

**საპარტიოლოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის შესახებ**

შესავლის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის დემოკრატიულობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმს სხვა დანარჩენებთან ერთად, უცილობლად წარმოადგენენ ის პრინციპები რომელზედაც დაფუძნებულია ამა თუ იმ ქვეყნის საარჩევნო სამართალი.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფენ ოთხ ძირითად პრინციპს, რომელთა განხორციელებაც, საბოლოო ჯამში, გვაძლევს სახალხო ნების გამოხატველ არჩევნებსა თუ სხვა სახის უშუალო დემოკრატიის ფორმებს (მაგ., რეფერენდუმს). ეს პრინციპებია: პირდაპირობა, ფარულობა, თანასწორობა, და ბოლოს საყოველთაობა.

საარჩევნო პრინციპებზე საუბრისას ნება მომეცით, სხვა პრინციპების გვერდის ავლით, ვისაუბროთ მხოლოდ საყოველთაობის პრინციპის შესახებ. საყოველთაო საარჩევნო სამართალი (უფლება) არ ნიშნავს იმას, რომ მთელი ქვეყნის მოსახლეობას შეუძლია მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა, აქ დაწესებულია გარკვეული შეზღუდვები, ანუ საარჩევნო ცენტრები. შესაბამისად, რაც უფრო დემოკრატიულია სახელმწიფო, მით უფრო ნაკლებ საარჩევნო შეზღუდვებს შეიცავს მისი საარჩევნო სამართალი, მაგრამ, მაინც ვერც ერთი ქვეყნის საარჩევნო სისტემა ვერ აუვლის გვერდს „გონივრულ“ მინიმალური ხასიათის შეზღუდვებს, როგორებიცაა მოქალაქეობის, ასევე ასაკის, ბინადრობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრები.

ზემოთ ნახსენებ ოთხივე საარჩევნო ცენტრს ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია, რომლებიც შეეხებიან როგორც აქტიური, ისე პასიურ საარჩევნო ხმის უფლებას.

ჩამოთვლილის გარდა საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის მეორე ნაწილი აწესებს კიდევ ერთი სახის შეზღუდვას როგორც არჩევნებში, ასევე რეფერენდუმში მონაწილეობისათვის, კერძოდ, „არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც . . . სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში“. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ კონსტიტუციურ დებულებას მნიშვნელობა აქვს არა მარტო კონსტიტუციურა, არამედ სისხლის, სისხლის სამართლის საპროცესო და სასჯელაღსრულების სამართლისათვის. განვიხილოთ თანმიმდევრულად.

კონსტიტუციურმა (საარჩევნო) სამართალმა კონსტიტუციის 28-ე მუხლით განსაზღვრა კიდევ ერთი შეზღუდვა („მსჯავრდებულობის“ ცენტრი), რომელიც მოიცავს როგორც არჩევნებს, ისე რეფერენდუმს.

კონსტიტუციის 28-ე მუხლის მიხედვით, მსჯავრდებულ მოქალაქეს ჩამორთმეული აქვს ასევე სხვა, უშუალოდ დემოკრატიის ფორმებში მონაწილეობის მიღების

უფლებაც, როგორც არის, მაგალითად, ე. წ. სახალხო ინიციატივა, რომელსაც განამტკიცებს საქართველოს კონსტიტუციის 67-ე და 102-ე მუხლები, რადგან ამ მუხლებში ლაპარაკია ამომრჩევლის უფლებებზე და ვინაიდან სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოთავსებული მოქალაქე ამომრჩეველი არ არის, იგი ვერც სახალხო ინიციატივის მონაწილე იქნება.

სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებული მოქალაქე ასევე მონაწილეობს ვერ მიიღებს რეფერენდუმის შესახებ ორგანული კანონით შემოტანილ უშუალოდ დემოკრატიის კიდევ ერთ ფორმაში, რომელსაც პლებისციტი წარმოადგენს, რადგან რეფერენდუმის შესახებ ორგანული კანონის მე-8 მუხლით, პლებისციტის შემთხვევაში გამოიყენება იგივე წესები, რაც რეფერენდუმის შემთხვევაში.

მიუხედავად ყველაფრისა, მსჯავრდებულ მოქალაქეს არ ერთეულ უფლებას, მონაწილეობა მიიღოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ საყოველთაო-სახალხო განხილვაში, რომელიც კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის თაობაზე იმართება, მაგრამ ეს რაოდენ განხორციელდება რეალურად, ნალებად წარმოსადგენია.

რაც შეეხება კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული დებულების სისხლის სამართლებრივ მნიშვნელობას უნდა ითქვას, რომ, თუ იგი კონსტიტუციური სამართლისთვის საარჩევნო ცენზია, სისხლის სამართლისათვის სასჯელის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ დანაშაულზე იურიდიული პასუხისმგებლობის ერთადერთი ფორმა სასჯელია, ე.ი. იმ ყველაფერს, რომელიც დანაშაულის ჩა-

დენას მოჰყვება, სამართლებრივი შედეგის სახით სასჯელი წარმოადგენს, ეს კი გარკვეული უფლებებისა და თავისუფლებების ჩამორთმევასა თუ შეზღუდვაში გამოიხატება.

არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა თავისი შინაარსით დამატებითი ხასიათის სასჯელია, სუბიექტის მიხედვით კი, იგი სპეციალურ სასჯელს წარმოადგენს, რადგან იგი გამოიყენება არა ყველა დანაშაულის, არამედ სულ მცირე 18 წელს მიღწეულ დანაშაულებზე, შესაბამისად, დასჯადობის საკითხი წყდება არა დანაშაულებრივი ქმედების დროით, არამედ განაჩენის გამოტანის დროის მიხედვით.

კონსტიტუციის 28-ე მუხლში გამოხატულ სასჯელს კიდევ ერთი თავისებურება გააჩნია, რითაც იგი განსხვავდება სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლში ჩამოთვლილი სასჯელებისაგან იმ თვალსაზრისით, რომ მისი დანიშნვა არ არის პირდაპირ დამოცილებული დანაშაულებრივ ქმედებებზე, არამედ, ასე ეთქვას, "წინმსწრებ" სასჯელზე, რომელიც დამატებითი სასჯელის სახით განაპირობებს არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევას. ასეთ "წინმსწრებ" სასჯელებს წარმოადგენს ტუსადობა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და უვადო თავისუფლების აღკვეთა, რადგან მხოლოდ ამ სასჯელების დანიშვნის შემდეგ ათავსებენ დანაშაულზე პირს სასჯელადსრულებით დაწესებულებაში.

როგორც ვნახეთ, სისხლის სამართლის კოდექსში არსებულ სასჯელთა ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, ხოლო ის გარემოება, რომ კონსტიტუციის დებულების შესაბამისი ასახვა არ მოხდა სისხლის სამართლის კოდექსში, იურიდიული ტექნიკის გაუმართაობად უნდა ჩაეთვალოს.

ალბათ უმჯობესი იქნებოდა, კონსტიტუციის 28-ე მუხლის გათვალისწინებით არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა ცალკე სასჯელის სახით ასახულიყო სისხლის სამართლის კოდექსის, არა მე-40 მუხლში, არამედ ცალკე მუხლში, სასჯელის ამ სახისათვის დამახასიათებელი სპეციფიკურობიდან გამომდინარე, შესაბამისი განსაკუთრებული ნიშნების ჩამოყალიბებით.

ასევე ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ კონსტიტუციის 28-ე მუხლის დებულება არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს დამნაშავე პირების გარკვეულ რაოდენობას, კერძოდ იმ თვალსაზრისით, რომ თეორიულად, პატიმრობის შემცველი სასჯელები შეიძლება შეეფარდოს, მაგალითად, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩამდენებს ან თუნდაც, სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე, 163-ე, 164-ე მუხლებით გათვალისწინებული შემადგენლობათა განმახორციელებელ პირებს, რაც არჩევნების, რეფერენდუმის, პლებისციტის ნორმალურ ჩატარებაში ხელის შემლას გულისხმობს, ასევე პატიმრობიდან გამომდინარე, არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება ჩამოერთმევა სისხლის სამართლის კოდექსის 122-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენ პირებსაც, რაც აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ვანმრთელობის დაზიანებაში გამოიხატება, რომელიც თავისი შინაარსით, სრულიად აპოლიტიკური ხასიათის დანაშაულია. ეს უკანასკნელი, ალბათ დამეთანხმებით, გარკვეულად უსამართლობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის დებულების სისხლის სა-

პროცესო სამართლისათვის მნიშვნელობის თაობაზე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 498-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "ე", ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლომ განაჩენის დადგენისას უნდა განსაზღვროს სასჯელის სახე და ზომა. მიუხედავად ამისა, ვერც ერთ გამამტყუნებელ განაჩენში ვერ ნახავთ იმაზე მითითებას, რომ სასჯელის სახით პირს სასჯელადსრულებით დაწესებულებაში მოთავსების შემდეგ ჩამოერთმევა არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება.

ამ შემთხვევაში ორ ძირითად მომენტზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. პირველი ის არის, რომ, იურიდიული პასუხისმგებლობის გამომხატველი კანონის არსებობა გამამტყუნებელ განაჩენში ასახვის გარეშე არანაირად არ გულისხმობს ამ პასუხისმგებლობის (სასჯელის) თავისთავად გამოყენებას, ვინაიდან დანაშაულის შედეგად სასჯელის დანიშნა უნდა მოხდეს კანონით დადგენილ საპროცესო ფორმაში, რომელსაც განაჩენი წარმოადგენს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფილოსოფიური თვალსაზრისით, კონსტიტუციური დებულება არის "ჯერ არის" კატეგორია, ხოლო როდესაც დამნაშავეს უკვე ჩამოერთმევა არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება, ეს უკვე "არის" კატეგორიაა, მაგრამ "ჯერ არის" და "არის" კატეგორიებს სჭირდებათ დამაკავშირებელი, რითაც "ჯერ არის" გადადის "არის" კატეგორიაში. ამგვარ დამაკავშირებელ რგოლს ამ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი წარმოადგენს, რომელშიც აისახება სასჯელის სახით არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა. მეორე ის გახლავთ, რომ სასამართლოს

მიერ გამამტყუნებელი განაჩინის გამო-  
ტანისას, სასჯელის ისეთი სახის და-  
ნიშვნით, რომელიც სასჯელალსრულე-  
ბით დაწესებულია მოზღასთან არის  
დაკავშირებული, შესაძლებელია პირდა-  
პირ მითითებულ იქნეს საქართველოს  
კონსტიტუციის 28-ე მუხლი, მიუხედა-  
ვად იმისა, რომ სისხლის სამართლის  
მატერიალური ნაწილის კოდექსში ცა-  
ლკე არ არის გამოყოფილი არჩევნებსა  
და რეფერენდუმში მონაწილეობის  
უფლების ჩამორთმევა.

ამის თქმის საფუძველს ვეძღვეს  
კონსტიტუციური ნორმის პირდაპირი მო-  
ქმედების პრინციპი, რაც იმას ნიშნავს,  
რომ სასამართლოს ან სხვა სახე-  
ლმწიფო ორგანოს შეუძლია, პირდა-  
პირ გამოიყენოს კონსტიტუციური ნო-  
რმა, მიუხედავად იმისა, რომ ამა თუ  
იმ კონსტიტუციური ნორმის დაკონკრე-  
ტიზაცია არ მომხდარა კანონებსა თუ კა-  
ნონიქვემდებარე ნორმატიულ აქტებში.  
აღნიშნული პრინციპი განსხვავებულია  
საბჭოთა პერიოდში გაბატონებული მო-  
საზრებისაგან, რომლის მიხედვითაც, კო-  
ნსტიტუცია მიიჩნეოდა უფრო პოლი-  
ტიკური და დეკლარაციული ხასიათის  
დოკუმენტად და ამიტომ კონსტიტუცი-  
ური ნორმების პირდაპირი გამოყენები-  
საგან მაქსიმალურად ფაქტობრივად თავს.

სასჯელალსრულებით სამართალ-  
თან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა,  
ყურადღება უნდა მივაქციოთ, თუ რა  
ითვლება სასჯელალსრულებით დაწეს-  
ებულებებზე. პატიმრობის შესახებ სა-  
ქართველოს კანონის მე-6 მუხლის მი-  
ხედვით, სასჯელალსრულების დაწესე-  
ბულებებს წარმოადგენენ საერთო და  
მეცნიერ რეჟიმის სასჯელალსრულებითი  
დაწესებულებები, ასევე საპყრობილე.  
საპყრობილეში მოთავსებული არიან ის  
მსჯავრდებულები, რომლებსაც სასჯე-

ლის სახით დაენიშნათ ტუსალობა, ხოლო  
ცალკე საპატიმრო განყოფილებაში კი  
— ის ბრალდებულები, რომლებსაც სა-  
სამართლომ აღმკვეთი ღონისძიების სა-  
ხით შეუფარდა პატიმრობა.

პატიმრობის შესახებ საქართველოს  
კანონის მე-6 მუხლი მნიშვნელოვანია  
არა მარტო იმ თვალსაზრისით, რომ  
ჩამოყალიბებულია სასჯელალსრულე-  
ბითი დაწესებულებების სახეები, არა-  
მედ კონსტიტუციის 28-ე მუხლის მე-2  
პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე (რო-  
მელსაც შეესაბამება საარჩევნო კოდე-  
ქსის მე-5 და რეფერენდუმის შესახებ  
ორგანული კანონის მე-2 პუნქტის “ბ”  
ქვეპუნქტი), იმ თვალსაზრისითაც, რომ  
მსჯავრდებულ პირს მხოლოდ სასჯე-  
ლალსრულებით დაწესებულებაში მო-  
თავსების შემდეგ ერთმევა არჩევნებსა  
და რეფერენდუმში მონაწილეობის  
უფლება. ე.ი. ამ სასჯელის განსხვავ-  
ება სხვა სასჯელებისაგან იმაშიც მდგო-  
მარეობს, რომ სასჯელის აღსრულე-  
ბის დაწყების მომენტი ათვლებად არა  
დაყავების თარიღიდან, არამედ სასჯე-  
ლალსრულებით დაწესებულებაში მო-  
თავსების დღიდან.

დასკვნის სახით შეიძლება ით-  
ქვას, რომ ის გარკვეული შეუსაბამო-  
ბანი, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, იური-  
დიული ტექნიკის გაუმართაობას წარ-  
მოადგენს, ხოლო მიზანშეწონილობის  
კუთხით, უმჯობესია იქნებოდა, კონ-  
სტიტუციის 28-ე მუხლის ტექსტი  
იმგვარად ჩამოყალიბებულიყო, რაგვა-  
რადაც მოსამართლეს, თითოეულ  
კონკრეტულ შემთხვევაში დამნაშავე  
პირის და დანაშაულის ხასიათის მი-  
ხედვით, თავისი შეხვედლებისამებრ  
გამოეყენებინა, როგორც სასჯელის  
სახე არჩევნებსა და რეფერენდუმში  
მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა.



## ბესარიონ ზოიძე

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

### საკონსტიტუციო საპარტიო საპროცედურული გადაწყვეტილების აღსრულების პირობები

(ზოგადი მიმოხილვა და საქართველოში არსებული მდგომარეობა)\*

#### I

ერთ-ერთი მთავარი გარანტია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესრულებისა ეს უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგი დებულება: „სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე“, ეს კი ნიშნავს იმას, რომ სასამართლო გადაწყვეტილებანი, იურიდიული ძალის თვალსაზრისით, დაუძლევადი - გადაულახავია. ისინი კონსტიტუციის ძალასთანაა გათანაბრებული. ვერც ერთ ორგანოს, რა დონისაც არ უნდა იყოს იგი, არ ძალუძს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დაძლევა<sup>1</sup>. ამის გარანტიას ასევე წარმოადგენს კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების დებულება: „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა“. გერმანულ პროფესორ ჰელმუტ შტაინბერგერს უთქვამს: „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ისევე მოქმედებს, როგორც საყოველთაოდ სავალდებულო ანსტრაქტული ნორმა“.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა სავალდებულობა ორგანო კრილში უნდა დაეინახოს. ჯერ ერთი, ეს ეხება მისი შესრულების სავალდებულობას საამისოდ ვალდებული პირების მხრიდან და მეორეც, მასში ასახული სამართლებრივი პოზიციის სავალდებულობას. საზოგადოდ, ყველასათვის მხოლოდ ასეთი გაგებით შეიძლება შესრულოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ თავისი დანიშნულება. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებლობა „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით იხვევა კანონით. აქ მხედველობაშია არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, არამედ პოლიტიკურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობაც. რადგანაც პასუხისმგებლობის სუბიექტები ხშირად სპეციფიკური სუბიექტები არიან (სახელმწიფოს მეთაური, მთავრობის წევრი, პარლამენტი), ფაქტობრივად მათ მიმართ უფრო პოლიტიკური პასუხისმგებლობის ფორმა გამოიყენება. ქართულ სინამდვილეში არც ამისი პრეცედენტი არ დასტურდება.

\* მოხსენება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და გეროს განვითარების პროგრამის („კონსტიტუციური მართლმსაჯულების განვითარება საქართველოში“) მიერ ორგანიზებულ სემინარზე „კონსტიტუციის უზენაესობის დაცვის ახალი პერსპექტივები“, თბ., 2004 წლის 29 ოქტომბერი.

<sup>1</sup> И. В. Витрук, Повышение эффективности действия и исполнения решений Конституционного Суда Российской Федерации. Сборник докладов: Исполнение решений конституционных судов, М., 2003, с. 12.

თუ გადავხედავთ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესრულების პრაქტიკას, ვერ ვიტყვი, რომ აქ მიძიმე მდგომარეობა გვაქვს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ძირითადად სრულდება. თუმცა ცნობილია საერთოდ შეუსრულებადი და შესრულება – გაჭიანურებული გადაწყვეტილებანი. ეს ეხება უფრო სოციალურ-ქონებრივ საკითხებზე და არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს. პირველ შემთხვევაში, ხშირად შესრულება ბიუჯეტზეა მიბმული და ეს ფაქტორიც თამაშობს თავის უარყოფით როლს. თუმცა გადაწყვეტილების შეუსრულებლობას არანაირი გამართლება არა აქვს. აღსრულების საქმეში „შავ ლაქად“ დარჩა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2001 წლის 30 მარტის N6/134-139-140 გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, როცა პარლამენტმა არ შეუწყვიტა უფლებამოსილება არაკონსტიტუციურად და ბათილად ცნობილი არჩევნების შედეგად პარლამენტში მოხვედრილ დეპუტატებს. დეპუტატების მიმართ უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხზე იმ დროს სერიოზული კამათი გამართა და პარლამენტმა სრულიად უსაფუძვლოდ „დაძლია“ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. ეს შეიძლება შევადაროთ იმ შემთხვევას, როცა გარდაცვლილს კენჭისყრის შედეგად უნარჩუნებენ სადეპუტატო უფლებამოსილებას. ასეთ მანიპულაციებს რომ არ ჰქონოდა ადგილი, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში,

კერძოდ, 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი იმდენად ნათლად ჩამოყალიბდა, რომ ახლა აღარაა საჭირო ნორმის შინაარსის განმარტება გონიერული განსჯის შედეგად და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების პირდაპირი სამიზნე გახდა პარლამენტის დადგენილების ძალამოსილობა. სასამართლოს გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობა საერთო მოვლენას წარმოადგენს პოსტსაბჭოური ქვეყნებისათვის. ასე მაგალითად, თათრეთის რესპუბლიკის ხელისუფლებამ არ შეასრულა რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს 1992 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება, რითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციასთან მიმართებით ამ რესპუბლიკის ნორმატიული აქტის ფორმულირება რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებით. თათრეთის ხელისუფლებამ არ მოახდინა ამ აქტის კორექტირება და რეფერენდუმი ჩაატარა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის საფუძველზე<sup>1</sup>.

## II

შესრულების პრობლემა პირდაპირაა მიბმული საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის (ნორმის) იურიდიული ძალის დაკარგვის საკითხთან. საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 წინადადების თანახმად, „არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომე-

<sup>1</sup> И. В. Витрук, даსახელებული ნაშრომი, გვ. 23.

ნტიდან". „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი კიდევ უფრო აფართოებს მის შინაარსს: „არაკონსტიტუციურად ცნობილი სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი იურიდიულ ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან თუ ამ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი“. თუ კონსტიტუციაში ნორმატიულ აქტზე საუბარი, აქ მას სამართლებრივი აქტი ენაცვლება, რაც, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს კონსტიტუციურ ნორმასთან თანხმობაში. იგივე უნდა ითქვას ორგანული კანონის ფორმულირებაზე ახალ ვადასთან დაკავშირებით. ამრიგად, როგორც წესი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან ნორმატიული აქტი ძალას კარგავს. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლი გადაწყვეტილების გამოქვეყნებად მიიჩნევს სრული სახით მის გამოქვეყნებას „საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში“. 33-ე მუხლის პრიველი პუნქტი კი იუწყება, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან და 7 დღის ვადაში ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“. აქაც დაახლოებით ისეთივე პროცედურასთან გვაქვს საქმე, როგორც ნორმატიული აქტების გამოქვეყნების შემთხვევაშია.

აღნიშნული დანაწესების მნიშვნელობა იმაშია, რომ აღარ არის საჭირო რაიმე დამატებითი პროცედურები ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებისათვის. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის მიმღებ ორგანოს ამ მიზნით არაფერი არ ევალება. რუსეთში სრულიად საპირისპირო ვითარება დასტურდება. ფედერაციის „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონში 2001 წლის 15 დეკემბერს შევიდა ნორმა (მუხლი 80), რომელსაც დაუდგენია, რომ სათანადო ორგანოები, ვალდებული არიან, გააუქმონ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მთლიანად ან ნაწილობრივ არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტები. კონსტიტუციონალისტი ვიტრუკი ამას დაუშვებლად მიიჩნევს და წერს, რატომ უნდა გაუქმდეს ის, რაც არ მოქმედებს და არ არსებობს. ეს აქტები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით კარგავენ ძალას. ისინი უბრალოდ „არ მოქმედებენ“ კი არა, არამედ „ძალას კარგავენ“<sup>1</sup>. ლაზარევიც იგივეს აღნიშნავს, რომ მე-80 მუხლის შინაარსი არ შეესაბამება რუსეთის ფედერაციის 125-ე მუხლის მე-6 პუნქტს. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები დაუყოვნებლივ შედიან ძალაში მათი გამოქვეყნებიდან და არ საჭიროებენ სხვა ორგანოებისა და თანამდებობის პირების მხრიდან დადასტურებას<sup>2</sup>. აქვე წამოიჭრება საკითხი გაუქმებული ნორმატიული აქტის (ან ნორმის) იდენტური აქტის

<sup>1</sup> И. В. Витрук, *დასახლებული ნაშრომი*, გვ. 13.

<sup>2</sup> Л. В. Лазарев, *О правовой природе решений Конституционного Суда Российской Федерации в контексте проблемы их исполнения. Сборник докладов: Исполнение решений конституционных судов*, М., 2003, с.46.

(ნორმების) ძალამოსილობის შესახებ. წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა: საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის ნორმა. ჩაითვლება თუ არა იმავდროულად ძალადაკარგულად, ვთქვათ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონის ანალოგიური ნორმა? ვფიქრობთ, რომ ეს უკანასკნელიც ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს. სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად აცხადებს პოზიტიური სამართლის ნორმას საერთოდ, იმის მიუხედავად, რამდენ ნორმატიულ აქტშია იგი გამოხატული. რუსი კონსტიტუციონალისტებიც ამავე პოზიციაზე დგანან<sup>1</sup>. მართალია, გადაწყვეტილების ასლი ეგზავნება მხარეს, მაგრამ, რადგანაც „საკანონმდებლო მაცნეში“ ქვეყნდება იგი, ეს ავალდებულებს ყველა სახელმწიფო ორგანოსა და თანამდებობის პირს გაეცნოს მას და შეასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილებანი. იდენტურობა კი შეიძლება დადგინდეს განმარტების გზით. თუ ეს ვერ მოხერხდება, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლოს შეიძლება მიმართოს დაინტერესებულმა პირმა.

### III

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების კიდევ ერთ გარანტიას წარმოადგენს ის, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია ძალადაკარგული ნორმატიული აქტის შემდგომი გაცოცხლება. ეს პრინციპი გადმოცემულია „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტში:

„საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ არ შეიძლება ისეთი სამართლებრივი აქტის მიღება (გამოცემა), რომელიც შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი“. ვფიქრობთ, ერთადერთი შემთხვევა, როცა ანალოგიური ნორმის გამეორება შესაძლებელი იქნებოდა, უნდა იყოს კონსტიტუციური ნორმების შეცვლა. ასეთ ვითარებაში კანონმდებელი ვეღარ დარჩება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ერთგული, ვინაიდან იგი ვალდებულია, კონსტიტუციის შესაბამისად იმოქმედოს.

25-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სასამართლომ კარგად უნდა გამოარკვიოს გაუქმებული და ახალი ნორმის იდენტურობის საკითხი. მთავარია დადგინდეს შინაარსობრივი იდენტურობა. ეს მაშინაც შეიძლება დადასტურდეს, როცა განსხვავება მოჩვენებით, სიმბოლურ ხასიათს ატარებს. ეს ყველაზე მოსალოდნელია სოციალური ხასიათის ნორმებთან დაკავშირებით. ხშირად ამ ოსტატობით შეიძლება მოხდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაუქმებული ნორმის გამეორება. მოკლედ, უმნიშვნელო ცვლილებები ვერანაირ ახალ თვისობრიობას ვერ წარმოშობს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისე როგორც უმნიშვნელო ნაკლი ვერ გახდება ღირებულების დაკარგვის საფუძველი, ასევე უმნიშვნელო გაუმჯობესებით ვერ შეიქმნება ახალი ფასეულობა.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ბევრი არა, მაგრამ, მა-

<sup>1</sup> Л. В. Лазарев, *დასახელებული ნაშრომი*, გვ. 48.



ინც ყოფილა 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევები. სასამართლოს მე-2 კოლეგიამ გამოიტანა განმწესრიგებელი სხდომის N2/4/279 განჩინება, საიდანაც ჩანს, რომ საქართველოს პარლამენტმა და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციამ მიიღო ისეთივე შინაარსის სამართლებრივი აქტი, რომელიც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 18 მარტის N1/5/226 განჩინებიდან ჩანს, რომ მოსარჩელე შალვა ნათელაშვილი იმ მოტივით ითხოვს სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებას, რომ ახალი ტარიფის დადგენა მოხდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იგნორირებით, კერძოდ, მისი სიმბოლური შემცირებით. მოსარჩელის აზრით, ამით დაირღვა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები.

დასახელებული 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა მდგომარეობის გამოსწორების მექანიზმებს, რის გამოც სასამართლოს ისღა დარჩენოდა არ მიეღო სარჩელი არსებითად განსახილველად, ანდა თუ შესაძლებელი იქნებოდა მიღება, არსებითად ემსჯელა მის თაობაზე. ეს ვითარება გამოსწორდა „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში შეტანილი დამატებით. კერძოდ, 25-ე მუხლს დაემატა 4<sup>1</sup> პუნქტი, რომელშიც ნათქვამია: „4<sup>1</sup>. თუ საკონსტიტუციო სასამართლო განმწესრიგებულ სხდომაზე დაადგენს, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან

მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკვე ცნობილია არაკონსტიტუციურად, ხოლო „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან შეუსაბამოდ, ასევე იმავე კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქართველოს კონსტიტუციასთან, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან, კონსტიტუციურ შეთანხმებასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ან შეთანხმებებთან და საქართველოს კანონებთან შეუსაბამოდ, მას გამოაქვს განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“.

#### IV

**საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის მისივე გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი.** საქმე იმაშია, რომ ზოგჯერ სასამართლოს ფაქტობრივად ამ მიზნით მიმართავენ მოსარჩელები. ასე მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ მოქალაქე შალვა ნათელაშვილის სარჩელთან დაკავშირებით 2003 წლის 18 მარტის N1/5/226 განჩინებაში აღნიშნა: „... მოსარჩელის მიერ დასმული სადავო საკითხი მოსახლეობისათვის

ელექტროენერჯის შესასყიდი ტარიფების თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებში უკვე გადაჭრილია კოლეგიის ადრე მიღებულ შესაბამის გადაწყვეტილებაში და წარმოდგენილ სარჩელში ფაქტობრივად საქმე მის აღსრულებას ეხება... საკუთარი გადაწყვეტილების აღსრულების საკითხის არსებითად განხილვა არ შედის საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში. ეს საკითხი არ ექვემდებარება სასამართლო პროცესზე გადაწყვეტას". ამ განჩინებაში მნიშვნელოვანი ის არის, რომ სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების პრინციპები.

#### V

უადრესად მნიშვნელოვანია ახალი ნორმატიული აქტის მიღებამდე არსებული ურთიერთობის მოწესრიგება. „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ რუსეთის ფედერაციის კანონში ნათქვამია, რომ ახალი ნორმატიული აქტის მიღებამდე მოქმედებს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია". თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილების თავისებურებებიდან გამომდინარე, შეიძლება ვერც კი მოხერხდეს კონსტიტუციის უშუალო მოქმედება. წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა, როდესაც სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო კანონი, რომელიც ადგენდა დიდ გადასახადებს. როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაში, კონსტიტუციის უშუალო მოქმედება შეუძლებელია. ვიდრე სამართლიანი გადასახადი დადგინდებოდეს, მანამ ორი ალტერნატივის წინაშე ვრჩებით: საერთოდ არავის არ გადავახდევინოთ გადასახადი, ანდა გამოვიყენოთ ძალადაკარგული ნორმა

და ახალი ნორმის მიღების შემდეგ მოვახდინოთ გადაანგარიშება ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების დროიდან. ძალადაკარგული ნორმატიული აქტების გამოყენების პრაქტიკა უცხო არ არის ჩვენს სამართალში. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში თითქოს გამოინახა ამ სიტუაციიდან გამოსავალი, რაზეც ვერ ვიტყვით რომ არ არის უხარვეზო. პირველად იგი დაფიქსირდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის N1/3/136 გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხებოდა ელექტროენერჯის შესასყიდი ტარიფებს. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი და მე-2 პუნქტებით არაკონსტიტუციურად და გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან იურიდიულად ძალადაკარგულად ჩაითვალა სადავო ნორმატიული აქტები. მე-3 პუნქტით, საქართველოს ენერჯტივის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას ეთხოვა, რომ 2003 წლის 1 მარტამდე დაედგინა ახალი ტარიფები. მე-4 პუნქტში კი ჩაიწერა ჩვენი თვის საინტერესო დებულება: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით, ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის I და II პუნქტები აღსრულდეს მოსახლეობისათვის ელექტროენერჯის შესასყიდი ახალი ტარიფების განმსაზღვრელი დადგენილების ამოქმედების მომენტიდან იმ პირობით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნების დროიდან ახალი ტარიფების ამოქმედებამდე მოსახლეობის მიერ ელექტროენერჯის შესა-

სყიდი ამჟამად მოქმედი ტარიფების მიხედვით გადასხდილი თანხები გადაანგარიშდება ახლად დადგენილი ტარიფების საფუძველზე”. მგონია რომ ამ პრობლემის სხვაგვარ გადაწყვეტაზე უნდა ვფიქროთ. აღსრულება ეხება იმას, რაც მომავალში უნდა მოხდეს და არა იმას, რაც უკვე მოხდა და დამთავრდა. ამიტომაც, რბილად რომ ვთქვათ, ერთობ საჭოჭმანოა აღსრულებასთან მიმართება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის I პუნქტისა, რომლითაც კმაყოფილება სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცხადდება სადავო აქტი, და II პუნქტისა, რომლის თანახმადაც, არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ძალას კარგავს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან. ამ პუნქტებზე თუ ვიტყვიით, რომ ისინი უნდა აღსრულდნენ გარკვეული დროისათვის, ფაქტობრივად ეს იმაზე მინიშნება იქნებოდა, რომ სადავო აქტი არც არაკონსტიტუციურად გამოცხადებულა და არც ძალადაკარგულად (აღსრულების მომენტიდან ჩაითვლება იგი ასეთად). სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს უნდა იყოს იმისი უარყოფა, რაც სასამართლომ დაადგინა. ის, რაც ერთხელ გამოცხადდა ძალადაკარგულად და არაკონსტიტუციურად შეუძლებელია მისი ხელშეორედ ასეთად გამოცხადება. სწორედ ამ სირთულეებითაც იყო გამოწვეული, რომ მოსარჩელე შალვა ნათელაშვილს მოსახლეობისათვის მოეწოდებინა, რომ არ გადაეხადათ ელექტროენერჯის საფასური. კარგი იქნება, თუ ეს საკითხი ნორმატიულად მოწესრიგდება. ავსტრიულ სამართალში - საკონსტიტუციო სასამარ-

თლოს შეუძლია დაადგინოს განსაზღვრული ვადა - არა უმეტეს ერთი წლისა, ვიდრე ნორმატიული აქტი ძალადაკარგულად გამოცხადდება<sup>1</sup>. აქედან უკვე ცხადი ხდება, რომ შესაძლებელია სადავო აქტის იურიდიულად ძალადაკარგულად გამოცხადება გადაწყვეტილების მიღებიდან გარკვეული დროის შემდეგ. ამის ღირსება იმაშია, რომ შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის გაუქმებისა და ახალი აქტის ამოქმედების დრო. ეს უკვე კარგი გამოსავალია საიმი-სოდ, რომ არ გვეჭონდეს მოუწესრიგებელი სივრცე. ჩვენი პრაქტიკით კი ეს სივრცე ფაქტობრივად წესრიგდება არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტითაც და ახალი აქტითაც.

ბოლოს უნდა ითქვას, რომ საჭიროა, მოქმედ კანონმდებლობას დაემატოს ნორმა, რომელშიც ნათლად იქნება მითითებული, რომ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ვადები არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის იურიდიულად ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით.

VI

საინტერესო უნდა იყოს აღსრულების ჭრილში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალის საკითხი. „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-20 მუხლის შინაარსიდან ჩანს, რომ გადაწყვეტილებას არა აქვს უკუძალა. კერძოდ, ამ მუხლში ნათქვამია: „კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამარ-

<sup>1</sup> ბრიტა ვანგერი, საკონსტიტუციო სასამართლოსა და ეკვივალენტური იურიდიქციის ორგანოების გადაწყვეტილებათა აღსრულება. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1997, N4, გვ.75.

რთლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას, იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით". რუსეთის საკონსტიტუციო კანონმდებლობა წარსულზეც ვერცელდება და მიჩნეულია, რომ არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება (მოკლედ დამთავრებული საქმე), ახლად აღმოჩენილ გარემოებათა საფუძველზე, ექვემდებარება განახლებას და გადასინჯვას.

„საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-20 მუხლი ერთადერთი ნორმაა ამ კანონში, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუქაღლის საკითხს ეხება. თუ მხოლოდ აღნიშნულ ნორმას დავემყარებით, მაშინ ყოველთვის დაისმება კითხვა, რატომ არ უნდა გადაისინჯოს განაჩენი, თუკი იგი გამოტანილია არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის საფუძველზე. რატომ არ უნდა ჰქონდეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას უკუქაღალი, როცა ასეთი ძალა აქვს კანონს, რომელიც აუქმებს პასუხისმგებლობას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნაწილი, რომელიც ეხება საქმისწარმოების განახლებას ახლად აღმოჩენილ და გამოვლენილ გარემოებათა გამო, კერძოდ, 596-ე მუხლი იძლევა ამის შესაძლებლობას. სხვა საქმეა ქონებრივი ურთიერთობები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსიდან, კერძოდ, მისი 423-ე მუხლიდან არ ჩანს მსგავსი შესაძლებლობა. აქ შეიძლება არ იყოს მიზანშეწონილი გადაწყვეტილების უკუქაღლისადმი მხარდაჭერა. საქმე

იმაშია, რომ, როცა სამართალი უძლეურია მოახდინოს წარსულში დაშვებული უსამართლობის გამოსწორება და მისი ამ მიმართებით მცდელობა საფრთხეს შეუქმნის სამართლებრივ სტაბილურობას და ახალი უსამართლობის წყარო გახდება, ასეთ ვითარებაში ვერ გამოვიყენებთ გადაწყვეტილების უკუქაღალს.

აქვე გვსურს გავიხსენოთ ირლანდიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად ჩაითვალა გადასახადი, რომლითაც იბეგრებოდა ცოლქმარ მერყების ქონება. სადავო შეიქმნა საკითხი იმასთან დაკავშირებით, უნდა დაბრუნებოდათ თუ არა გადასახადის გადაზხდელებს ის თანხები, რაც მათ გადაიხადეს ნორმატიული აქტის ამოქმედების დროიდან მის არაკონსტიტუციურად ცნობამდე. უკუქაღლის საკითხის განხილვისას სასამართლოს 5 მსაჯულის აზრი გაიყო. თავმჯდომარე თვლიდა, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე აკრედიტი ვეღა გადასახადი კანონიერი იყო და დაბრუნებას არ ექვემდებარებოდა. ანაზღაურებას ექვემდებარებოდა მხოლოდ ის გადასახადი, რომელიც ცოლქმარმა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ გადაიხადა. სხვა მსაჯულის აზრით, უკან უნდა დაბრუნებულიყო ყველა გადასახადი, რომელიც გადახდილი იქნა საკანონმდებლო აქტის მოქმედების მთელი დროის განმავლობაში. სამმა მსაჯულმა სხვა პოზიცია დაიკავა. მათ ჩათვალეს, რომ ცოლქმარ მერყებს უნდა ანაზღაურებოდათ მხოლოდ ის ზედმეტი თანხები, რომლებიც მათ გადაიხადეს პროცესის აღძვრის შე-



მდეგ, ...მანამდე სახელმწიფო ამ გადასახადს კეთილი რწმენით კრეფდა, ... რომ პრეზუმციის თანახმად აღნიშნული კანონი კონსტიტუციასთან თანხმობაში იყო, და თანაც საგდასახადო წყლიწადში გადასახადებიდან შემოსული თანხიდან გამომდინარე, გეგმავდა თავის სახაზინო საგადასახადო პოლიტიკას და პროგრამებს". ანაზღაურების წესი მოითხოვს ადღენილ იქნეს თავდაპირველი მდგომარეობა, მაგრამ მან სახეცვლილება განიცადა სხვადასხვა პროცესების (ინფლაცია და სხვა) შედეგად. გარდა ამისა, აკრეფილი გადასახადებით ისინი როგორც დაქორწინებული წყვილები, სარგებლობდნენ მთელი რიგი შეღავათებით. ასეთ ვითარებაში სრული კომპენსაციის მიღებაზე ლაპარაკი არარეალური და არასამართლიანი იქნებოდა<sup>1</sup>.

## VII

გადაწყვეტილების აღსრულება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ნათლადაა მასში ფორმულირებული სათანადო ორგანოს მიერ შესასრულებელი მოქმედება. ჩვენ ხშირად სარეზოლუციო ნაწილში აღვნიშნავთ, რომ გადაწყვეტილება შესრულდეს სამოტივაციო ნაწილის ამა თუ იმ პუნქტების შესაბამისად. არის შემთხვევები, როცა სასამართლოს მიმართავენ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ახსნა-განმარტებისათვის. რუსეთის ფედერაციაში სასამართლოს გადაწყვეტილების განმარტებაზე გამოდის დამოუკიდებელი განჩინება, რომელიც ქვეყნდება იმავე გამოცემაში, რომელშიც გამო-

ქვეყნდა გადაწყვეტილება<sup>2</sup>. ვფიქრობ, რომ ეს გზა არ უნდა იყოს სწორი, ვინაიდან იგი ზედმეტად გადატვირთავდა სასამართლოს და წაგებულ მხარეს აღუძრავდა სურვილს, ყოველთვის მიემართა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის. თუმცა სასამართლომ საერთოდ ხელი არ უნდა დაიბანოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ახსნა-განმარტებაზე და დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად უნდა იმოქმედოს (ესაა პლენუმზე საკითხის მოსმენა, წერილობით პასუხები, ინდივიდუალური შეხვედრები საქმის განმხილველ მოსამართლეებთან და ა. შ.). ასეთი გზით სასამართლოს განმარტება სულაც არ ღაზავს მოსამართლის დამოუკიდებლობას და არ ნიშნავს იმ პრინციპის დარღვევას, რომლის თანახმადაც „არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე“.

## VIII

საინტერესო უნდა იყოს თავად სამოტივაციო ნაწილში მოცემული სამართლებრივი პოზიციების შესრულება. საქმე იმაშია, რომ გადაწყვეტილების მოტივაციის პროცესში ბევრ ისეთ საკითხზე აფიქსირებს სასამართლო თავის პოზიციას, რაც სადავო აქტის კონსტიტუციურობის პრობლემას არ შეადგენს, მაგრამ კანონმდებლის ან სხვა თანამდებობის პირის მხრიდან აუცილებლად გასათვალისწინებელია. ეს შეიძლება ენებოდეს კანონის ხარვეზს, ანდა საკანონმდებლო მოწესრიგების გაჭიანურებას და ა. შ. საკონსტიტუციო სასამართლოს

<sup>1</sup> მთელი რასელი, საკონსტიტუციო სასამართლოსა და ეკვივალენტური იურისდიქციის ორგანოების გადაწყვეტილებათა აღსრულება. ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1997, N4, გვ.14-17.

<sup>2</sup> И. В. Витрук, დასახელებული ნაშრომი, გვ. 83.

არაერთხელ დაუფიქსირებია ამასთან დაკავშირებით თავისი პოზიცია. ასე რომ, როცა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე საუბარი, ეს აღსრულება ეხება მთელ გადაწყვეტილებას. ერთ შემთხვევას გავიხსენებ, როცა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ელექტროენერჯის ტარიფებთან დაკავშირებულ სარჩელთან, იქ სერიოზული სამართლებრივი პოზიციები გამოითქვა უცხოელი ინვესტორების უფლებებზე მდგომარეობასთან დაკავშირებით, რაც, მართალია, „ეი-ეს-თელასს“ ეხებოდა, მაგრამ ზოგადსამართლებრივ პოზიციასაც წარმოადგენდა. ეს კი სავალდებულო უნდა გამხდარიყო საზოგადოდ. მოკლედ რომ ვთქვათ, არაკონსტიტუ-

ციურად ცნობილი ნორმის ადგილზე კონსტიტუციური ნორმის ჩანაცვლება არ არის საკმარისი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად. ასე რომ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ადრესატი არ არის მარტო მოპასუხე მხარე, პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც გადაწყვეტილება გაუგზავნია სასამართლოს არამოპასუხეებისათვისაც იმ მოტივით, რომ გადაწყვეტილების აღსრულება მასაც ეხებოდა. სამწუხაროდ, დღეს არ არსებობს რაიმე მაკოორდინირებული ორგანო, რომელიც კონტროლს თუ არა, შეთვალფურეობას მაინც გაუწევს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებას.

### აპირან კურტანიძე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს  
მოსამართლის თანაშემწე.

## რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოში საჩივრით მიმართვის უფლება და მისი რეალიზაციის პირობები

რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 125-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლო ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს საჩივრები, რომლებიც შეაქვთ მოქალაქეებს მათი ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დაცვის მიზნით, წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს.

“რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” კანონის 96-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, უფლება, საჩივრით მიმართონ კონსტიტუციური კონტროლის სასამართლო ორგანოს, აქვთ, უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეებს. ეს ნიშნავს, რომ ინდივიდებს შეუძლიათ, მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს დაკავშირებულია თვითონ განმცხადებლის უფლებების დაცვასთან.

კოლექტიურ საჩივრებს კონსტიტუციური კონტროლის სასამართლო ორგანოში ხელს აწერს ადამიანთა ჯგუფი ან რწმუნებული პირები, მაგრამ ეს დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყოველი განმცხადებელი თვითონ არის უფლებამოსილი, შეიტანოს ინდივიდუალური საჩივარი, ანუ ედავება სასამართლოს ან სხვა ორგანოს მის მიმართ შესაბამისი კანონის გამოყენებაში.

კანონი “რსფსრ-ს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” შეიცავდა პირდაპირ მითითებას იმაზე, რომ უფლება, საჩივრით მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებთან ერთად აქვთ უცხოეთის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს (66-ე მუხლის 1-ელი ნაწილი), დღეს მოქმედ კანონში ასეთი დებულება არ არსებობს, მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილის ნორმა, რომლის თანახმადაც, უცხოელები და მოქალაქეობის არმქონე პირები რუსეთში სარეგისტრაციო ინსტიტუტის უფლებებით, როგორცაც მისი მოქალაქეები, გარდა შემთხვევებისა, რომლებიც დაადგინეს ფედერალურმა კანონებმა და საერთაშორისო ხელშეკრულებებმა.

უფლება, საჩივრით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ასევე აქვს მოქალაქეთა გაერთიანებას, თუ სადავო კანონი არღვევს მისი წევრებისა და თავად გაერთიანებების კონსტიტუციურ უფლებებს და თავისუფლებებს. აღსანიშნავია, რომ ადრე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ჰქონდათ შესაძლებლობა, შუამდგომლობით მიემართათ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, რათა მას შეემოწმებინა სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობა ე.წ. “აბსტრაქტული” კონტროლის წესით, ანუ კონკრეტული სამართალგამოყენების ვითარებისგან დამოუკიდებლად. ახლა მათ შეუძლიათ, საჩივრით მიმართონ კონსტიტუციური

კონტროლის სასამართლო ორგანოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ მიერ სადავო კანონი გამოყენებულ იქნა ან უნდა გამოყენებინათ კონკრეტულ საქმეში, რომელიც აღძრულ იქნა სასამართლოში ან სხვა ორგანოში საზოგადოებრივი გაერთიანების თუნდაც ერთი წევრის მიერ.

მოქმედი კანონმდებლობა (1995 წლის 19 მაისის ფედერალური კანონის "საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ" 27-ე მუხლი, 1996 წლის 12 იანვრის ფედერალური კანონი "პროფესიონალური კავშირების, მათი უფლებების და მათი საქმიანობის გარანტიების შესახებ"<sup>1</sup>, 11 მუხლის 1-ლი ნაწილი) განიხილავს მოქალაქეთა ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დაცვას როგორც საზოგადოებრივი გაერთიანებების უმნიშვნელოვანეს ფუნქციას, რომლის რეალიზაციისთვის მათ აქვთ საჭირო უფლებამოსილებები.

"რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ახალი კანონის მიღებიდან უახლოეს დროში წარმოიქმნა პრაქტიკული კითხვა: შეუძლიათ კი საჩივრით მიმართონ ამ ორგანოს კომერციული ხასიათის გაერთიანებებმა? ისინი ხომ, უპირველეს ყოვლისა, შეიქმნა იმ საქმიანობის განსახორციელებლად, რომელიც მიმართულია მაქსიმალური მოგების მისაღებად.

მათი საორგანიზაციო-სამართლებრივი ფორმები, რომლებიც გათვალისწინებულია სამოქალაქო კანონმდებლობით, შეესაბამება ამ მიზანს. მოცემული პრობლემა უკვე გადაწყდა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკულ საქმიანობაში. ასე, დასაშვებია

გახდა შუბლედული პასუხისმგებლობის ამხანაგობების "ტიტანის", "კენტავრის" და შპს "ნოროვის" საჩივრები, რომლებშიც დაყენებულია საკითხი 1996 წლის 7 მარტის ფედერალური კანონის "რუსეთის ფედერაციის კანონში "აქციების შესახებ" ცვლილებების შეტანის თაობაზე" მე-2 თავის 1-ლი ნაწილის კონსტიტუციურობის შესახებ. განმცხადებლის აზრით, კანონის სადავო დებულებები არ შეესაბამებოდნენ კონსტიტუციის 57-ე მუხლს. ამ საქმესთან დაკავშირებული 1996 წლის 24 ოქტომბრის დადგენილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ, სააქციო საზოგადოების, შუბლედული პასუხისმგებლობის ამხანაგობების საჩივრები შეიძლება ცნობილი იყოს როგორც დასაშვები, თუ ამ კომერციული ორგანიზაციების საქმიანობა უშუალოდ არის დაკავშირებული იმ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების რეალიზაციასთან, რომლებიც მათი წევრები არიან. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუცია (125-ე თავის მე-4 ნაწილი) იმ პირობის ამომწურავ ნუსხას არ შეიცავს, რომლებსაც შეუძლიათ საჩივრით მიმართონ კონსტიტუციური კონტროლის სასამართლო ორგანოს. ამიტომ კანონმდებელმა კანონის "რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" 96-ე მუხლის 1-ელ ნაწილში დაადგინა, რომ ამგვარი უფლებით, გარდა მოქალაქეებისა და მათი გაერთიანებებისა, სარგებლობენ ასევე "სხვა ორგანოები და პირები, რომლებიც ფედერალურ კანონშია მითითებული". მოცემული ნორმა პერსპექტივაში საშუალებას გვაძლევს, მნიშვნელოვნად გავაფართოვოთ

<sup>1</sup> Собрание законодательства Российской Федерации. 1996, №3, с. 148.



კონსტიტუციური საჩივრების სუბიექტების ნუსხა.

“რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” კანონი აყალიბებს იმ პირობებს, რომლებიც აუცილებელია საკონსტიტუციო სასამართლოში საჩივრის მიღებისათვის. ამ კანონის ნორმების ანალიზი საშუალებას გვაძლევს, ჩამოვაყალიბოთ რიგი პირობებისა, რომელთა შესრულებისას კონსტიტუციური საჩივარი შეიძლება დასაშვებად ცნონ.

საჩივრის დასაშვებობის ფორმალურ-სამართლებრივი პირობა დაკავშირებულია იმასთან, რომ მასში შეიძლება დაყენებულ იქნეს საკითხი მხოლოდ კანონის კონსტიტუციურობის შემოწმების შესახებ. ეს ნიშნავს, რომ მოქალაქეს უფლება აქვს, შეედავოს როგორც ფედერალური კანონების და ნორმების, ასევე ფედერაციის სუბიექტების კანონების კონსტიტუციურობაზე.

ზოგი განმცხადებელი თავის საჩივარში აყენებს საკითხს, რომ შემოწმდეს კონსტიტუციურობაზე არა მხოლოდ კანონები, არამედ მათზე დაფუძნებული კანონქვემდებარე აქტები. ასე მაგალითად, მოქალაქე ვ. მ. მინაკოვა მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს საჩივრით, რათა შემოწმებულიყო რსფსრ-ის კანონის “მილიციის შესახებ” მე-19 მუხლის მე-7 ნაწილის მე-2 აბზაცის და უმაღლესი საბჭოს 1992 წლის 23 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცებული რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის შესახებ დებულების 58-ე მუხლის შესაბამისობა კონსტიტუციასთან. საკონსტიტუციო

სასამართლომ შეზღუდა განხილვის საგანი მხოლოდ “მილიციის შესახებ” კანონის ნორმებით და მიუთითა, რომ დებულება შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის შესახებ დაფუძნებულია სადავო კანონის ნორმებზე და მხოლოდ აკონერტებს მათ<sup>1</sup>. ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონის კონსტიტუციურობის შემოწმებასთან მიმართებაში, განსაზღვრავს აღნიშნული დებულების იმ ნორმების შემდგომი გამოყენების შესაძლებლობას, რომლებიც თავდაპირველად გაასაჩივრა განმცხადებელმა.

სადისკუსიო რჩება საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია მოქალაქეთა მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში ფედერალური საკონსტიტუციო კანონების ცალკეული დებულებების გასაჩივრება. როგორც ცნობილია, ამგვარი კანონები მიიღება ფედერალური კრების ორივე პალატის დეპუტატების (წევრების) ხმების კვალიფიცირებული უმრავლესობით იმ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც გათვალისწინებულია კონსტიტუციით და პრეზიდენტს არ შეუძლია ისარგებლოს მათთან დაკავშირებით “ვეტოს” უფლებით. როგორც კონსტიტუციის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან ჩანს, ფედერალურ კონსტიტუციურ კანონებს იურიდიული ძალის თვალსაზრისით, უკავიათ შუალედური მდგომარეობა საკუთრივ კონსტიტუციას და ფედერალურ კანონებს შორის. ბევრი მათგანი, რეგულირების საგნის მიხედვით, არსებითად ეხება მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების და თავისუფლებების რეალიზა-

<sup>1</sup> იხ. Постановление Конституционного Суда Российской Федерации от 24 июня 1995 г. // “Российская газета”. 1995, 15 июня.

ციის სფეროს (მაგალითად, ფედერალური კონსტიტუციური კანონი "რუსეთის ფედერაციის რეფერენდუმის შესახებ" იურიდიულ ლიტერატურაში ავტორთა უმრავლესობა (ს.ა. ავაკიანი, ლ.კ. ჯაზარევი, ბ.ს. ეზზევი, ი.ლ. შულეჟნო) იხრება იმ თვალსაზრისისკენ, რომლის თანახმადაც, თავისი ფორმით და შინაარსით ფედერალური კონსტიტუციური კანონები შეიძლება წარმოადგენდნენ კონსტიტუციური კონტროლის ობიექტს<sup>1</sup>. უფრო მეტიც, "კანონი" იმ დატვირთვით, როგორც თაც იგი გამოიყენება კონსტიტუციის 125 მუხლის მე-4 ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას, განიხილოს მოქალაქეთა მიმართულები, უნდა შეიცავდეს ფედერალურ კონსტიტუციურ კანონებს, რომლებიც ასევე შეუძლიათ გაასაჩივრონ ინდივიდებმა. საკონსტიტუციო სასამართლომ თავის 1995 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებაში, რომელიც ეხება კონსტიტუციის 136 მუხლის განმარტებასთან დაკავშირებულ საქმეს, ფედერალურ კანონებს მისცა იურიდიული დახასიათება და აღნიშნა, რომ ისინი მიღებულ უნდა იქნენ კონსტიტუციის აღსასრულებლად, არ შეუძლიათ შეცვალონ მისი დებულებები ან იყენენ მისი შემადგენელი ნაწილი<sup>2</sup>. ამით საკონსტიტუციო სასამართლომ ირიბი ფორმით დაამტკიცა, რომ ასეთი კანონები შეიძლება იყოს კონსტიტუციური კონტროლის ობიექტი. ამის მიუხედავად, ლიტერატურაში გვხვდება

ამ პოზიციის საწინააღმდეგო მოსაზრებები. ჟ.ი.ოვსეპიანს მოჰყავს ძალზე საინტერესო მოსაზრება ფედერალური კონსტიტუციური კანონების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმების დაუშვებლობის სასარგებლოდ. იგი მიუთითებს, რომ რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზება და უფლება-მოსილებები რეგულირებულია ცალკეული ფედერალური საკონსტიტუციო კანონით. თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს ფედერალური კონსტიტუციური კანონების შესაბამისობა კონსტიტუციასთან, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ (თუნდაც ჰიპოთეზურად), რომ კონსტიტუციური კონტროლის სასამართლო ორგანოს შეუძლია ანულირება გაუკეთოს ისეთი კანონის ნორმებს, რომლებიც აწარმოებენ საკუთრივ მის საქმიანობას, მაგრამ ეს დაუშვებელია, რადგან ჟ.ი.ოვსეპიანის აზრით, "საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება არა აქვს ეჭვქვეშ დააყენოს საკუთარი სამართლებრივი საფუძველი<sup>3</sup>.

კონსტიტუციური საჩივრის დასაშვებობის მატერიალურ-სამართლებრივი პირობა დაკავშირებულია სადავო აქტის შინაარსთან. შესაბამისად "რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" კანონის 97-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა, საჩივარი დასაშვებია მხოლოდ კანონის იმ დებულებებთან მიმართებაში, რომლებიც ეხება მოქალაქეთა კონსტიტუციურ

<sup>1</sup> ივ. ავაკიან С.А. Проблемы теории и практики конституционного контроля и правосудия // Вестник Московского университета. Серия "Право". 1995, №4, с. 23. Федеральный конституционный закон "О Конституционном Суде Российской Федерации". Комментарий. М., 1996, с.37,259. Конституция Российской Федерации. Комментарий. Под общ.ред.Б.Н.Топорнина, Ю.М.Батурина, Р.Г.Орехова. М.1994, с. 528.

<sup>2</sup> "Российская газета". 1995, 9 ноября.

<sup>3</sup> ივ. Овсепян Ж.И. Судебный конституционный контроль в Российской Федерации. Проблемы деполитизации (сравнит. анализ) // Государство и право. 1996, №1, с.32-42.

უფლებებს და თავისუფლებებს. ესენი შეიძლება იყოს ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ ამა თუ იმ კონსტიტუციური უფლების არსს ან ამაგრებენ მისი რეალიზაციის მექანიზმს. ამასთან, კონსტიტუციის 55-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარეობს, რომ ძირითადი კანონი არ შეიცავს მოქალაქეთა ძირითადი უფლებების და თავისუფლებების ამომწურავ ნუსხას. რუსეთის ფედერაცია აღიარებს და უზრუნველყოფს სახელმწიფო დაცვით მოქალაქეთა სხვა, საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს და თავისუფლებებს, შესაბამისად ფუძემდებელი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებისა, რომლებიც მიღებული იქნა ამ დარგში და რატიფიცირებულია რუსეთში. ეს ვითარება გათვალისწინებულია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მოქალაქეთა საჩივრების განხილვისას.

იმის მიუხედავად, რომ ინდივიდის მიმართვა დასაშვებია მხოლოდ კანონის იმ დებულებებთან მიმართებაში, რომლებიც ეხება მის კონსტიტუციურ უფლებებს. “რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” კანონის 99-ე მუხლის თანახმად, კონსტიტუციური კონტროლის სასამართლო ორგანო ახორციელებს შესაბამისი კანონის შემოწმებას სხვა კრიტერიუმების მიხედვითაც - ფორმის, ხელის მოწერის, გამოქვეყნების წესის და ა.შ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მიმართვის დასაშვებად აღიარებისთვის მნიშვნელობა არა აქვს ჰქონდა თუ არა სინამდვილეში ადგილი მოქალაქის უფლებების დარღვევას კონკრეტულ საქმეში, რადგან საკონსტიტუციო სასამართლო თავს ეყაუებს იმ ფაქტობრივი ვითარებების დადგენისაგან, რომლებიც

ამტკიცებენ ამგვარ დარღვევებს, რადგან ეს შედის სხვა სასამართლოების კომპეტენციაში. უფრო მეტიც, კონსტიტუციური სამართალწარმოების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში, როდესაც კანონი მოქალაქეთა საჩივრის გამო ცნობილია არაკონსტიტუციურად და ამის გამო თავიდან განიხილება საქმესთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, კონკრეტული საქმიდან გამომდინარე, სასამართლდარღვევების ფაქტები შეიძლება არ დამტკიცდეს.

კონსტიტუციური საჩივრის დასაშვებობის საპროცესო-სამართლებრივი პირობა დაკავშირებულია იმასთან, რომ მოქალაქებს უფლება აქვთ, იდავონ საკონსტიტუციო სასამართლოში კანონის მხოლოდ იმ ნორმებზე, რომლებიც გამოიყენეს ან უნდა გამოეყენებინათ კონკრეტულ საქმეში, რომლის განხილვაც დასრულებულია ან დაწყებულია სასამართლოში ან სხვა ორგანოში, რომელიც იყენებს ამ კანონს. საჩივრის დასაშვებობის ამ პირობის დაცვა საშუალებას გვაძლევს, უპირველეს ყოვლისა, მკაფიოდ განვსაზღვროთ სასამართლო განხილვის საგანი. ხშირ შემთხვევებში მოქალაქეები თავის მიმართებებში აყენებენ საკითხებს მთლიანად კანონის ან მისი რომელიმე მუხლის კონსტიტუციურობის შემოწმებასთან დაკავშირებით იმ დროს, როდესაც კონკრეტულ საქმეებში, განიხილავენ ზოგადი იურისდიქციის სასამართლოები, გამოიყენება მხოლოდ ამ კანონის ცალკეული ნორმა. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ყოველთვის ზღუდავს საქმის განხილვის საგანს.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს კანონის გამოყენება არა მხო-

ლოდ საბოლოო განაჩენში ან სასამართლოს დადგენილებაში, არამედ სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღებისას სასამართლო პროცესის მსვლელობის დროს, როდესაც ისინი ფორმდება როგორც სასამართლოს ცალკეული განჩინება და ასევე სხვაგვარადაც. როგორც წესი, ასეთი გადაწყვეტილებები სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივ სამართალწარმოებაში საჩივრდება საბოლოო განაჩენთან ან სასამართლოს განაჩენთან ერთად. მაგრამ იმისთვის, რომ მოქალაქემ მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, აუცილებელი არ არის დაელოდოს ზოგადი იურიდიუციის სასამართლოში პროცესის დამთავრებას.

კონკრეტულ საქმეში გამოყენებული ან გამოსაყენებელი კანონის გასაჩივრების პროცედურის უეჭველ დირსებას წარმოადგენს ის, რომ მისი გამოყენება საშუალებას აძლევს საკონსტიტუციო სასამართლოს, განიხილოს კანონის შესაბამისი ნორმა კონკრეტულ მოქალაქესთან მიმართებაში მისი გამოყენების თავისებურების გათვალისწინებით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მოქალაქეთა საჩივრების დასაშვებობის ყველა კრიტერიუმი ფორმულირებულია კანონში “რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” ფორმალურად განსაზღვრული და არა შეფასებითი ცნებების მეშვეობით. საჩივრის განხილვისას დაუშვებელია უარი მისი მიზანშეუწონლობის მოტივების გამო.

გარდა დასაშვებობის ზემოთ აღნიშნული პირობების დაცვის აუცილებლობისა, სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში უნდა აკმაყოფილებდეს ზოგადი ხასიათის რიგ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია ყველა მიმართულებისთვის და რომლებიც შედის

კონსტიტუციური კონტროლის სასამართლო ორგანოში. დაეასახელოთ ძირითადი მათგანი.

1. მოთხოვნა, რომელსაც შეიცავს საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი საჩივარი, უნდა ატარებდეს განსაკუთრებით სამართლებრივ ხასიათს და არ უნდა ეხებოდეს ფაქტობრივი ვითარებების დადგენას ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ეს შედის სხვა ორგანოების კომპეტენციაში.

აღნიშნული მოთხოვნა ზღუდავს ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსახილველად ისეთი საქმეების მიღების შესაძლებლობას, რომლებშიც დომინირებს პოლიტიკური მიზანშეწონილობის ასპექტები. ეს განსაკუთრებით ეხება იმ საჩივრების განხილვას, რომლებიც შეაქვთ საკონსტიტუციო სასამართლოში საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებსაც ამოძრავებთ პოლიტიკური მიზნები. მათი მიმართვები შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ ამ გაერთიანებების ცალკეული წევრების ან მთლიანობაში გაერთიანების უფლებების დაცვას. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები, ყველა შემთხვევაში, შესაძლებლობისდაგვიანდ უნდა იღებდნენ გადაწყვეტილებებს საქმის პოლიტიკური სარჩელის მიუხედავად.

2. საჩივარი შეიძლება მიღებულ იქნეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსახილველად, თუ აღმოჩენილია გაურკვეველობა საკითხში იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა კონსტიტუციას სადავო კანონის ნორმა (კანონის “რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” 36-ე მუხლის 2-ე ნაწილი).

ამ მოთხოვნის დასაცავად საკმარისი არ არის საჩივარში უბრა-



ლოდ მიუეთითოთ იმზე, რომ განმცხადებელმა აღმოაჩინა გაურკვეველობა კანონის ამა თუ იმ დებულების კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე. სასამართლო არ არის შეზღუდული მოსაზრებებით, რომლებიც მოყვანილია მოქალაქის მიმართვაში და როგორც აღნიშნავს ი.ე.კუდრიავეცივი, ვალდებულია, განიხილოს საქმის არსი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლეები მისი წინასწარი შესწავლის შედეგად მივლენ დასკვნამდე, რომ არსებობს გაურკვეველობები გასაჩივრებული კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხებში. 1996 წლის 19 თებერვლის პლენარულ სხდომაზე მოსამართლეთა უმრავლესობამ გამოხატა აზრი, რომ გაურკვეველობა სადავო აქტის კონსტიტუციურობის საკითხში შეიძლება ვადიაროთ მხოლოდ შემდეგი პირობების შესრულების შემთხვევაში:

ა) საკონსტიტუციო სასამართლოში მიმართვამდე განმცხადებელმა გამოიყენა სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებები;

ბ) გასაჩივრებული კანონი გამოყენებულია ან უნდა გამოიყენოს კონკრეტულმა სასამართლომ ან კვაზისასამართლომ;

გ) განსახილველი საქმის გამო სასამართლო ან კვაზისასამართლო ორგანოში აღძრულია კონკრეტული სამართლებრივი დავა;

დ) საჩივარი, რომელიც შედის საკონსტიტუციო სასამართლოში და დოკუმენტები, რომლებიც მას თან ახლავს, გაფორმების თვალსაზრისით უნდა ბასულობდნენ ყველა მოთხოვნებს, რომლებიც ვათავალისწინებულია კანონის "რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუ-

ციო სასამართლოს შესახებ" 37, 38 და 96 მუხლებში;

ე) კონსტიტუციური კონტროლის სასამართლო ორგანოში შეტანილი საჩივრის ხარჯები უნდა გადახდილ იქნეს სახელმწიფო ბაჟით;

ვ) მოქალაქის საჩივარი შეიძლება მიღებულ იქნეს განსახილველად, თუ მანამდე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიმართვის საგნის გამო, არ იყო გამოტანილი დადგენილება, რომელიც ინარჩუნებს თავის ძალას (კანონის "რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" 43-ე მუხლის 16 ნაწილის მე-3 პუნქტი);

ზ) საჩივარი საკონსტიტუციო სასამართლოში შეიძლება შეტანილ იყოს მხოლოდ მოქმედი კანონის კონსტიტუციურობის შემოწმებასთან მიმართებაში ("რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" კანონის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილი);

თუ განმცხადებლის მიერ სადავო ნორმა გაუქმებულია ან დაკარგა ძალა ახალი კანონის მიღების გამო, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება აქვს, შეწყვიტოს საქმის წარმოება. ერთადერთ გამოწვევის ამ წესიდან წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც შესაბამისი აქტის მოქმედებით დარღვეულ იქნა მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები;

თ) საკითხს, რომელიც უნდა განიხილოს კანონმა, რომლის კონსტიტუციურობაც შესამოწმებელია, უნდა ჰქონდეს კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველი და ხასიათით და მნიშვნელობით მიეკუთვნებოდეს კონსტიტუციური საკითხების რიცხვს ("რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" კანონის 68-ე მუხლი).

## თამარ ალფაიკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის  
თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის  
კათედრის, ასპირანტი.

## ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსი

ჟურნალისტი მასობრივი ინფრასტრუქტურის მთავარი სუბიექტია. მისი სამართლებრივი სტატუსი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სტატუსითაა განსაზღვრული. თუ მასმედიის მუშაობაში ძირითადია აუდიტორიისათვის ფელაზე ახალი, ობიექტური და სრული ინფორმაციის მიწოდება, ჟურნალისტი-სათვის აუცილებელია უფლება – მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. სწორედ ეს ძირითადი უფლება ფიგურირებს ჟურნალისტის სამართლებრივ სტატუსსა და პროფესიულ საქმიანობაში.

ჟურნალისტის უფლება-მოვალეობათა სრულყოფილი რეგლამენტაცია დროის მოთხოვნაა, თუმცა, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, მასმედიის შესახებ კანონმდებლობაში განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებშიც არ არის სპეციალური იურიდიული ნორმები, რომლებიც სათანადოდ განამტკიცებენ ჟურნალისტის განსაკუთრებულ უფლებებს და სოციალურ როლს<sup>1</sup>.

ანალოგიური სურათია ჩვენს რესპუბლიკაშიც. ძირითადი ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავდა ჟურნალისტის სტატუსის სამართლებრივ კონსტრუქციას იყო საქართველოს 1991 წლის 10 აგვისტოს კანონი “პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ”. იგი ძალადაკარგულად ცნო “სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლების შესახებ” საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონმა.

ჟურნალისტი არის პირი, რომელიც აგროვებს, ქმნის, რედაქტირებს უკეთეს და ამზადებს მასალებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოსაქვეყნებლად. საამისოდ მას აქვს სათანადო რწმუნება ან არის ჟურნალისტთა რეგისტრირებული კავშირის წევრი და თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ განსაზღვრული პრინციპებით.

ჟურნალისტის სამართლებრივ სტატუსში შერწყმულია სამი კომპონენტი: ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობის შემოქმედებითი ხასიათი, საჯარო სამსახურის ელემენტები (public service), ჟურნალისტსა და რედაქციას შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკა. გარდა ამისა, ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსის ფარგლებში რეალიზდება ის განსაკუთრებული სოციალური როლი, რომელიც ჟურნალისტს აკისრია სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Федотов М. А. Право массовой информации в Российской Федерации, М. 2002. С.45.

<sup>2</sup> Рассолов М.М. Информационное право. М. 1999. С. 87.

ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსი მისი უფლება-მოვალეობების კომპლექსია, რომელშიც შეიძლება გამოვყოთ სამი ჯგუფი:

- ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობანი;

- ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობანი;

- მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობასა და გავრცელებასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობანი.

თავისი პროფესიის სპეციფიკა საშუალებას აძლევს ჟურნალისტს, ისარგებლოს ისეთი უფლებებით, რაც მიუწვდომელია სხვა მოქალაქეებისათვის.

ჟურნალისტის უფლება-მოვალეობანი, რომლებიც რეალიზდებიან ინფორმაციის მოძიებასა და შეკრების პროცესში, შემდეგია:

- უფლება, მოითხოვოს მითხოვს და მიიღოს ინფორმაცია;

- უფლება, მოითხოვოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოებისაგან, სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანიზაციების, საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და მათი პრეს-სამსახურებისაგან ინფორმაციის მიწოდება;

- თავისი მოვალეობის შესრულებისას ნებისმიერ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში შესვლის, თანამდებობის პირებთან შეხვედრის უფლება;

- უფლება, ხელი მიუწვდებოდეს დოკუმენტებსა და მასალებზე, გარდა იმ ფრაგმენტებისა, რომლებიც შეიცავენ სახელმწიფო, კომერციულ და კანონით სპეციალურად დაცულ საიდუმლოებებს;

- დოკუმენტებისა და მასალის ასლების გადაღების უფლება, საავტორო უფლებისა და ინტელექტუ-

ალური საკუთრების უფლების გათვალისწინებით;

- ჩაწერის უფლება, მათ შორის აუდიო და ვიდეოტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება, კინო და ფოტო გადაღებები, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როცა ეს აკრძალულია კანონით;

- უბედური შემთხვევების, ავარიების და კატასტროფების, მასობრივი არეულობების, მოქალაქეთა მასობრივი თავშეყრის ადგილებში, სპეციალურად დაცულ ზონებში შესვლის უფლება, აგრეთვე იმ ადგილებში შესვლის უფლება, სადაც გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა, მიტინგებსა და დემონსტრაციებზე დასწრების და მათი გამუქების უფლება;

- შემოსული მასალების საიდუმლოების შემოწმების უფლება;

- ავტორობის საიდუმლოების შენახვის უფლება;

- მოვალეობა, დააკმაყოფილოს პირთა თხოვნა ინფორმაციის წყაროების დასახელებისა, მიუთითოს ციტირებული გამოთქმების ავტორებზე, თუ ისინი პირველად ქვეყნდებიან;

- მოვალეობა, დაიცავს ინფორმაციისა და მისი წყაროების კონფიდენციალობა;

- მოვალეობა, მოქალაქეებისა და თანამდებობის პირებისაგან ინფორმაციის მიღების დროს აცნობოს მათ აუდიო-ვიდეო ჩანაწერების, კინო და ფოტოგადაღებების ჩატარების შესახებ;

- მოვალეობა, თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელების პერიოდში პირველი მოთხოვნისთანავე წარადგინოს რედაქციის მოწმობა ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ჟურნალისტის პიროვნებას და უფლებამოსილებას.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება უფლება-მოვალეობანი, რომლებიც რეალნიდება ჟურნალისტის მიერ აუდიტორიისათვის ინფორმაციის გადაცემის პროცესში:

- ინფორმაციის გავრცელების უფლება;

- უფლება, გამოაქვეყნოს, გადმოსცეს ან სხვა საშუალებებით ასახოს დოკუმენტები და მასალა ისე, რომ არ დაირღვეს ავტორის და სხვა განსაკუთრებული უფლებები (ინტელექტუალური საკუთრების უფლება);

- უფლება, გამოთქვას თავისი პირადი მოსაზრება და შეფასება ცნობებში და მასალებში, რაც გათვალისწინებულია მასმედიაში გავრცელებისათვის;

- უფლება, მოხსნას თავისი ხელმოწერა ცნობისა და მასალის ქვეშ, რომელთა შინაარსი, მისი აზრით, დამახინჯებულია რედაქციული დამუშავების დროს;

- უფლება, გაავრცელოს მის მიერ მომზადებული ცნობა ან მასალა თავისი ხელმოწერით, ფსევდონიმით ან ხელმოწერადად;

- მოვალეობა, შეამოწმოს მიღებული ინფორმაციის საიმედოობა;

- მოვალეობა, მიიღოს თანხმობა, მასმედიაში გაავრცელოს ცნობები მოქალაქის პირადი ცხოვრების შესახებ პირადად მისგან ან მისი კანონიერი წარმომადგენლისაგან (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს აუცილებელია საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად);

- იმ ცნობებისა და მასალების გავრცელების უფლება, რომლებიც მომზადებულია ფარული აუდიო და ვიდეო ჩანაწერების გამოყენებით, კინო და ფოტო გადაღებით.

მესამე ჯგუფს მიეკუთვნება ჟურნალისტის უფლება-მოვალეობანი, რომლებიც რეალნიდება რედაქციის შიგნით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოშვების პროცესში:

- ჟურნალისტის უფლება, უარი თქვას იმ ცნობებისა და მასალების მომზადებაზე, რომლებიც ეწინააღმდეგება მის მრწამსს;

- ჟურნალისტის მოვალეობა, დაიცვას რედაქციის წესდება, რომელთანაც ის შრომით ურთიერთობაშია;

- ჟურნალისტის მოვალეობა, საქმის კურსში ჩააყენოს მთავარი რედაქტორი მომზადებული ცნობების ან მასალების გავრცელებასთან დაკავშირებით;

- ჟურნალისტის მოვალეობა, უარი თქვას მთავარი რედაქტორის ან რედაქტორის დავალებაზე, თუ მისი შესრულება დაკავშირებულია კანონის დარღვევასთან;

აღნიშნულ უფლება-მოვალეობათა კომპლექსი ჟურნალისტის სამართლებრივი სატატუსის ქვაკუთხედაა. ისინი მთლიანობაში უზრუნველყოფენ ჟურნალისტზე დაკისრებული სოციალური ფუნქციის განხორციელებას, რომელიც უმთავრესად ინფორმაციასთან არის დაკავშირებული. ჟურნალისტს აქვს მნიშვნელოვანი უფლება, შეამოწმოს მისთვის ცნობილი ინფორმაციის საიმედოობა. მეორე მხრივ, იგი მოვალეა, ინფორმაციის გავრცელებამდე, დარწმუნდეს მის უტყუარობაში. ეს ფაქტობრივად ნიშნავს იმას, რომ ჟურნალისტი პასუხს აგებს მის მიერ მომზადებული და გავრცელებული თითოეული სიტყვისათვის, რომელიც მოცემულია სტატიის ან გამოცხადებული ტელერადიო მაუწყებლობით.

თუ ჟურნალისტს მივიჩნევთ როგორც შუამავალ პირს მოქალაქის



უფლების რეალიზაციაში – მოიპოვოს ინფორმაცია, ნათლად შეიძლება განისაზღვროს მისი ადგილი შემდეგ ფაქტში: “ფაქტი – ინფორმაციის წყარო – ჟურნალისტი – აუდიტორია”. როცა ჟურნალისტი არის მოვლენის უშუალო მხილველი, იგი ვალდებულია, ზუსტად და კეთილსინდისიერად გადასცეს აუდიტორიას ის, რაც ნახა და მოისმინა”. სწორედ ასე არის ფიქსირებული დეკლარაციაში ჟურნალისტთა ქცევის პრინციპების შესახებ, რომელიც დამტკიცებულ იქნა ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ: “ამუქებს რა მოვლენებს, ჟურნალისტი მოვალეა დაეყრდნოს მხოლოდ ფაქტებს, რომლებიც დადგენილია პირადად მის მიერ”<sup>1</sup>. აქედან გამომდინარეობს ჟურნალისტის მოვალეობა – შეამოწმოს ის ინფორმაცია, რისი მოწმეც უშუალოდ თვითონ არ არის, რადგან ხშირ შემთხვევაში მისთვის აუცილებელ ცნობებს იღებს სხვა წყაროებიდან. ინფორმაციის შემოწმება იმ პრინციპს წარმოადგენს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ჟურნალისტს, მოითხოვოს პასუხი დასმულ კითხვაზე, მიმართოს სახელმწიფო ორგანოებსა და ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებს, გაეცნოს დოკუმენტებსა და მასალებს, მოახდინოს ჩაწერა, მივიღეს სტიქიური კატასტროფის ადგილზე და ა.შ.

ამდენად, გასაურცველებელი ინფორმაციის ყოველმხრივი შემოწმება ჟურნალისტის არა მარტო უფლებაა, არამედ მოვალეობაც, რაც, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს ჟურნალისტის სოციალურ პასუხისმგებლობას, რომლის სადარაჯოზე დგას კანონმდებლობა მასმედიის შესახებ.

მოპოვებული ინფორმაციის შემოწმება ჟურნალისტის მოვალეობა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი აუდიტორიას აცნობებს იმ ფაქტისა და მოვლენების შესახებ, რომლის უშუალო მოწმე თვითონ არ არის. ასეთ შემთხვევაში ის თავის თავზე იღებს მხილველის როლს, თუმცა ასეთს არ წარმოადგენს და როგორც მხილველი ვალდებულია უპასუხოს მისთვის ცნობილი ინფორმაციის საიმედოობაზე. ინფორმაციის საიმედოობის შემოწმება ზოგჯერ გარკვეულ სიზნელებთან არის დაკავშირებული. ჟურნალისტს ყოველთვის არ აქვს შესაძლებლობა, დარწმუნდეს ამა თუ იმ ფაქტის უტყუარობაში. მოკვლევის, გამოძიების, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებისაგან განსხვავებით, ჟურნალისტს არ შეუძლია ჩაატაროს რაიმე სახის ექსპერტინა, მოახდინოს დაპირისპირება და სხვა საგამომძიებლო მოქმედება ჭეშმარიტების დასადგენად. მაგრამ ჟურნალისტი ვალდებულია, ნებისმიერ სიტუაციაში განახორციელოს ყველა ღონისძიება ინფორმაციის საიმედოობის დასადასტურებლად, ვინაიდან დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესი მხოლოდ მაშინ შეიძლება ნორმალურად და გონივრულად განვითარდეს, როცა იგი ნამდვილ ფაქტებს და ინფორმაციებს ეყრდნობა.

ბუნებრივია, ჟურნალისტი პასუხს არ აგებს იმ ცნობების გავრცელებით, რომლის წყარო ცნობილია და იმსახურებს ნდობას, კერძოდ, თუ ცნობებს შეიცავდა ოფიციალური ინფორმაციები, თუ ისინი მიღებულია საინფორმაციო სააგენტოების, სახე-

<sup>1</sup> Op. cit.: Dennis E., Rivers W. Other Voices. The New Journalism in America. – N.Y., 1994. p. 187.



სკოს 1997 წლის სოფიის დეკლარაცია აღგენს: "ჟურნალისტი არ შეიძლება აიძულონ გაამჟღავნოს ინფორმაციის წყარო". ეს პრინციპი განმტკიცებულია ეროვნული კანონმდებლობის დონეზეც. საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი "სიტყვისა და გამონახატვის თავისუფლების შესახებ" აღგენს "ჟურნალისტის უფლებას, დაიცვას ინფორმაციის წყაროს საიდუმლოება და საკუთარი სინდიკატის შესაბამისად მიიღოს სარედაქციო გადაწყვეტილებანი"<sup>1</sup>. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, არ შეიძლება მოწმედ დაიკითხოს ჟურნალისტი, თუ მას ნაკისრი აქვს ვალდებულება, არ გაამჟღავნოს მიღებული ინფორმაციის წყარო, პუბლიკაციის ავტორის სახელი ან გამოუქვეყნებელი მასალის ავტორი და შინაარსი.

ჟურნალისტისათვის სპეციალური უფლებებისა და მოვალეობების მინიჭება გულისხმობს მისი სამართლებრივი მდგომარეობის ნათლად გამოხატულ საზღვრებს. ჟურნალისტის სამართლებრივ სტატუსში უპირველესია ინფორმაციის მოთხოვნის მიღებისა და გავრცელების უფლება.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის აუცილებელი პირობაა. დღეს აღარავინ დავობს იმაზე, რომ ინფორმირებულობის ხარისხი განსაზღვრავს ცივილიზებული საზოგადოების წარმატებას. საზოგადოება, რომელიც ინფორმაციის თავისუფლებასა და ხელმისაწვდომობას სოციალურ ღირებულებად მიიჩნევს,

ზოლო ხელისუფლება თავისი საქმიანობის ერთ-ერთ პრინციპად აღიარებს, დაცულია პოლიტიკური თუ სოციალური კატაკლიზმებისაგან.

"დემოკრატია მოქალაქეთა უფლების გარეშე - იცოდნენ ფარსია. მოქალაქის უფლება იცოდნენ პროცედურის გარეშე - ბლეფია. პროცედურები მოქალაქეთა გარეშე, რომლებიც ისწრაფვიან იცოდნენ - ტრაგედია" - ასეთი ტყევალი პოსტულატი ბეერის მოქმედია<sup>2</sup>.

ასეთივე აზრია ჩაქსოვილი აბრაამ ლინკოლნის ბრძნულ სიტყვებში - "მიეცით ხალხს შესაძლებლობა, იცოდეს ფაქტები და ქვეყანა უსაფრთხო იქნება". ამ სიტყვების ჭეშმარიტება ცხოვრებამ დაადასტურა. ამიტომ არის, რომ ნორმები ინფორმაციის თავისუფლებისა და ხელმისაწვდომობის შესახებ მრავალი საერთაშორისო კონვენციითა და დეკლარაციით არის განმტკიცებული, რომელთა ნებისმიერი სახით ხელყოფას დემოკრატიულ სახელმწიფოთა თანამეგობრობა განიხილავს როგორც მთლიანად ცივილიზებული სამყაროს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას.

ინფორმაციის მისაწვდომობასთან მიმართებაში საქართველოს კანონმდებლობა არ ცნობს არავითარ პრიორიტეტულ უფლებას და ყველა მოქალაქეს ანიჭებს შესაძლებლობას - შეუფერხებლად მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია, მიუხედავად ამისა, რეალურად ინფორმაციის ძირითადი მასა ჟურნალისტებზე მოდის და ჟურნალისტისა და საზოგადოების ურთიერთობის ხასიათს განსაზღვრავს.

<sup>1</sup> საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს კანონი "სიტყვისა და გამონახატვის თავისუფლების შესახებ", მუხლი 3, პ. "2". თბ., 2004წ., N19, გვ. 13.

<sup>2</sup> Российская журналистика. Свобода доступа к информации. М. 1996. С. 11.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, კანონით დადგენილი წესით, გაეცნონ სახელმწიფო დაწესებულებებში მათზე არსებულ ინფორმაციას, იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ოპერატიულად მიიღონ ცნობები სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ. ანალოგიურ წესს ითვალისწინებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლი, რომლის თანახმად, “ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში”.

მასშედია და ჟურნალისტები წარმოადგენენ შუამავლებს სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სფეროში. ამ მოვალეობის შესასრულებლად კანონმდებლობა ჟურნალისტებს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებას – მოიძიონ, მიიღონ და გაავრცელონ ინფორმაცია. ამ უფლების რეალიზაციის პროცესში ჟურნალისტები ხშირად აწყდებიან პრობლემებს იმის გამო, რომ არ არსებობს ინფორმაციის მიღების სრულყოფილი სამართლებრივი მექანიზმი. ერთი მხრივ, ეს სავსებით გასაგებია, რადგან საქართველოში დღეისათვის არ არსებობს სპეციალური კანონი “ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ”. მეორე მხრივ, ამ ხარვეზს აესებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომელიც შე-

იძლება დეტალურად არ არეგულირებს ინფორმაციის მიღების სრულ მექანიზმს, მაგრამ ითვალისწინებს მის ცალკეულ ელემენტებს.

რამდენადაც დემოკრატიულ საზოგადოებაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობა პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს პარამონიული ურთიერთობის მნიშვნელოვანი პირობაა, აუცილებელია, არსებობდეს სპეციალური კანონი “ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ”, რომელშიც დეტალურად იქნება განმტკიცებული ინფორმაციის მოძიების, მიღებისა და გავრცელების სამართლებრივი მექანიზმი. ასეთი კანონის არარსებობის გამო, მოქალაქენი და მათ შორის ჟურნალისტებიც, იძულებული არიან, ექებონ ცალკეული დებულებანი სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში, რაც, არცთუ ისე ადვილია.

ჟურნალისტი უფლებამოსილია ინფორმაციის მფლობელს დაუსაბუთოს ინფორმაციის მიღების აუცილებლობა, თუმცა ეს მისი მოვალეობა არ არის. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, პირი არ არის ვალდებული, განცხადებაში მიუთითოს ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. ეს წესი, უპირველეს ყოვლისა, ეხება ჟურნალისტს, რომლისთვისაც ინფორმაციის მიღება და გავრცელება ყოველდღიური საქმიანობაა.

ჟურნალისტს უფლება აქვს, ინფორმაცია მიიღოს ნებისმიერი ფორმით, როგორც ზეპირად, ისე წერილობით. ეს იმას ნიშნავს, რომ ჟურნალისტის ზეპირი მიმართვა, მაგალითად, მინისტრისადმი – მისცეს ინტერვიუ, სხვა არაფერია, თუ არა ინფორმაციის მოთხოვნა ზეპირი ფორმით. ჟურნალი-



სტის შეკითხვაზე პასუხი იმ პირის მიერ, ვისაც მიმართეს ინტერვიუსათვის, უნდა განვიხილოთ როგორც პასუხი ინფორმაციის მოთხოვნაზე. ეს თეზისი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ ჟურნალისტს პასუხისმგებლობა არ ეკისრება იმ ინფორმაციის შინაარსისათვის, რომელიც მიღებულია ინფორმაციის მოთხოვნის პასუხად.

ფართო უფლებებითან ერთად ჟურნალისტს აკისრია გარკვეული მოვალეობანიც. კერძოდ, ჟურნალისტი მოვალეა, დაიცავს რედაქციის წესდება და პროგრამა, შეამოწმოს მოპოვებული ინფორმაციის ზაიმედობა, უარი თქვას ისეთი დეკლარაციის შესრულებაზე, რომელიც არღვევს კანონს, პატივი სცეს მოქალაქეთა და ორგანიზაციათა კონსტიტუციურ უფლებებს, პატივი სცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, როგორც სახელმწიფოს სიმბოლოს ღირსებას ა.შ.

ჟურნალისტი სიტყვისა და ქვეყნის მსახურია. ჟურნალისტიკა საზოგადოების სარკეა და თუ მასში მრუდედ აისახება საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ეს აუნაზღაურებელ ზიანს მიაყენებს მთელი საზოგადოების ინტერესებს, სოციალურ პროგრესს, ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. ამით არის განპირობებული ის გარემოება, რომ ჟურნალისტს ღიდი სოციალური პასუხისმგებლობა აკისრია სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე.

ჟურნალისტის სოციალური პასუხისმგებლობის ინსტიტუტი მოიცავს არა მარტო სამართლებრივ, არამედ პროფესიული ეთიკის ნორმებსაც. მსოფლიო ჟურნალისტურმა პრაქტიკამ შემუშავა სოციალური პასუხისმგებლო-

ბის საშუალებანი, რომელთა შორის მთავარია მასმედიის შესახებ კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების დაცვა. ბევრ ქვეყანაში მიღებულია ჟურნალისტური ეთიკის კოდექსები, რომლის დარღვევა იწვევს შრომის კონტრაქტების შეწყვეტას.

ხარვეზები ჟურნალისტურ საქმიანობაში სშირად გამოწვეულია დაბალი სამართლებრივი კულტურით, მართლშეგნების დაბალი დონით. მასმედიის წარმომადგენლებს – ჟურნალისტებს, ტელეწამყვანებს, მაუწყებლობის ორგანიზატორებს საერთო კულტურასთან ერთად უნდა ჰქონდეთ სამართლებრივი კულტურა და თანამედროვეობის შესატყვისი სამართლებრივი ცნობიერება, უნდა იყვნენ კანონმორჩილი, თვითნებურად არ უნდა შეიჭრნენ სამართლებრივ სივრცეში და არ გადალახონ სამართლებრივი ზღვარი.

ჟურნალისტის აზრის გამოხატვის ფორმა შეიძლება იყოს რადიკალური, პოლემიკური და აგრესიულიც კი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი. პრესის მუშაობის მეთოდები არ უნდა აღიზიანებდეს საზოგადოებას, არ უნდა ბღალავდეს მოქალაქეთა ღირსებას, არ უნდა ახდენდეს უარყოფით ზემოქმედებას ადამიანთა ფსიქიკაზე.

მედიამ სშირად არღვევს ადამიანის უფლებებს, ანადგურებს მათ სულიერ სამყაროს, ეწვევა ფსიქოლოგიურ ტერორს, მიმართავს ისეთ არაკანონიერ და არავითაგორ საშუალებებს, როგორებიცაა ჩასაფრებით ფარული გადაღება, ლანძღვა, სენსაციური მასალის გამოქვეყნება. არსებობს კანონები ადამიანთა უფლებების დარღვე-

ვისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, მაგრამ უნდა არსებობდეს კანონი, რომელიც განსაზღვრავს, თუ ვინ უნდა მოხიზოვოს ჟურნალისტს პასუხი არამართლზომიერი ქვევისათვის, კერძოდ, ცილისწამებისათვის.

ეროვნულ კანონმდებლობაში ეს ხარვეზი რამდენადმე შეავსო “სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონმა. კანონის თანახმად, ცილისწამება ამოღებულია სისხლის სამართლის დანაშაულის სფეროდან და იგი სამოქალაქო სამართლებრივ დარღვევად არის მიჩნეული. დაწესდა სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა როგორც კერძო, ასევე საჯარო პირის ცილისწამებისათვის. კერძო პირის ცილისწამებისათვის ცილისმწამებულს ვკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მოსარჩელე დამატკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩლის შესახებ და ცილისმწამებლური განცხადებით მოსარჩელეს მიაღდა ზიანი. ანალოგიური წესა გათვალისწინებული საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ გაცხადებული ფაქტის სიმცდარე მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დარღვევა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.

კანონი ვერცვლდება ყველა მოქალაქეზე, მათ შორის ჟურნალისტებზეც. აბსტინენავე, იგი ადგენს დამატებით პასუხისმგებლობას მედიაში გამოქვეყნებული ცილისმწამებლური ცნობებისათვის, ითვალისწინებს რა, რომ მედიაში ჟურნალისტის მიერ გამო-

ქვეყნებულ განცხადებასთან დაკავშირებულ სასამართლო დავაში მოპასუხეს წარმოადგენს მედიის შესაკუთრე. ეს უდავოდ მიზანშეწონილი დანაწესია, რომელიც გაზრდის რედაქციის პასუხისმგებლობას ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებულ მასალაზე, ზღვს შეუწყობს მედიაპროდუქტის ხარისხის გაუმჯობესებას, შეამცირებს დაუსაბუთებელი, არაობიექტური და ცილისმწამებლური ცნობების გამოქვეყნებას. რედაქტორმა პასუხი უნდა აგოს ჟურნალისტის მასალაში არსებულ უზუსტობაზე, შეურაცხყოფასა და ცილისწამებაზე.

რამდენადაც ახალი კანონის თანახმად ცილისწამება არ ითვლება დასჯად ქმედებად და სამოქალაქო სამართლებრივ დარღვევადაა მიჩნეული, შესაბამისად, ცილისმწამებლის პასუხისმგებლობა ფულადი კომპენსაციის გადახდით განისაზღვრება.

მართებულია თუ არა ცილისწამებისათვის მხოლოდ სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება და რამდენად ეფექტური იქნება მისი იურიდიული და სოციალური შედეგი? საზოგადოებრივი აზრი ამ საკითხის ირგვლივ არაერთგვაროვანია. საზოგადოების გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ სიტყვით მიყენებული ზიანისათვის ადამიანის ციხეში ჩასმა სწორი არ არის. ვინც სხვა ცილს დასწამებს და თავისი სიტყვით შეურაცხყოფას მიაყენებს, თავად იქნება შეურაცხყოფილი და რეპუტაციამულახული. სასამართლოს მიერ ცილისმწამებლის გაკიცხვა ფაქტობრივად რეპუტაციამულახული ჟურნალისტის პროფესიის დაკარგვას ნიშნავს.

საზოგადოების მეორე ნაწილის თვალსაზრისით, ჟურნალისტის მიერ

ცილისწამებით მიყენებულ მორალურ ზიანს ზოგჯერ ვერავითარი მატერიალური ფასეულობა ვერ აანაზღაურებს. ცილისწამებისათვის სისხლის მართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმება ხელს შეუწყობს ცილისწამებლური თავდასხმების გახშირებას, რაც ერთგვარად სახიფათოც არის. ცილისწამება არის არა უბრალო სიტყვა, არამედ განზრახ ჩადენილი, საზოგადოებრივი სამშრობის შემცველი ქმედება, რომელსაც ხშირად მეტად მტკივნეული და საეკალაო შედეგი მოსდევს. იგი აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს დანარალებულს, ლახავს მის პატივს, ღირსებას, საქმიან რეპუტაციას, ხელყოფს მისთვის ყველაზე ძვირფასსა და ღირებულს. ამიტომ ცილისწამებელმა პასუხი უნდა აგოს მკაცრად. მას არ უნდა შეეძლოს სიმბოლური ანაზღაურების ფასად ნებისმიერი საშუალებით ნებისმიერი სიმძიმის ბრალდება წაუყენოს ნებისმიერ ადამიანს და დაუსჯელი დარჩეს.

მედია სერიოზული ბერეკტია ცილისწამებლის ხელში და ამის არაერთი მაგალითი არსებობს ჩვენი თუ უცხო ქვეყნის პრაქტიკაში. საზოგადოება მასმედიის მიერ შექმნილ “ვირტუოზულ” სამყაროში ცხოვრობს და თუ ეს სამყარო არასწორი, მონაჭორი და ცილისწამებლური ინფორმაციით იქნება “გაჯერებული”, შეიქმნება ნეგატიური ფონი საერთო სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, გაიზრდება უხელო და უაზრო დაპირისპირებები, ლანძღვა-ვინება, ქართული ტრადიციების უგულებელყოფა.

მედია თავისი გადაჭრელი სიტყვა უნდა თქვას საზოგადოებრივი

აზრის ჩამოყალიბების საქმეში, მაგრამ ეს უნდა იყოს პიროვნული, მიუკერძოებელი, მართალი და არა ცილისწამებლური სიტყვა. უპირველეს ყოვლისა, სწორედ ჟურნალისტს მართებს დიდი სიფრთხილე, რომ გზა არ გაეხსნას აგრესიულ, უარყოფითად დამუხტულ და ცილისწამებლური ინფორმაციის ნაკადს. ეს ჟურნალისტის სოციალური მოვალეობაა, ვინაიდან აზრისა და სიტყვის გამოქმნაზე დიდი დამატება ჟურნალისტია. მას არასოდეს უნდა დაავიწყდეს ქართული ანდაზა: “სანამ ხმალი მოვიდოდა, ენამ თავი მოჭრაო”, რომელშიც ბრძნულად არის გამოხატული, თუ რა ძალა აქვს სიტყვას და სიტყვის მოქმედება.

როცა დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად, სიტყვის თავისუფლება არ იზღუდება და ინფორმაცია ფართო საზოგადოებას მიეწოდება, ოქროს შუალედი ზომიერებაა. ამ ზღვრის უგულებელყოფა, დაუსაბუთებელი ცინიზმი, პიროვნების შეურაცხყოფა და ცილისწამება ძირს უთხრის საზოგადოების სამართლებრივ ცხოვრებას, მედიასა და საზოგადოებას შორის პარძონიული ურთიერთობის ჩამოყალიბებას, ქართულ ცნობიერებასა და ტრადიციებს.

ჟურნალისტის თავისუფლება პასუხისმგებლობისაგან იმ შემთხვევაში, თუ მან არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რომ ცილისწამებას ავრცელებდა. ჟურნალისტური საქმიანობის პროცესში სიმართლის აღდგენა ყოველთვის არ არის ადვილი, რთულია შეფასებითი კრიტიკიუმი, განსაკუთრებით, სიმართლის შეფასება. ფაქტები, რომლებზედაც ჟურნალისტი კეთილსინდისიერად აკებს თავის და-

სვენებს, შეიძლება იყოს ისტორია და ხმები ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. ამიტომ, თუ ჟურნალისტის ქმედება კეთილსინდისიერია, არ იცის და არც შეიძლება სცოდნოდა, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ცილისმწამებლურია, მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება არამართებული იქნება.

ამჟამად საქართველოში ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსი არც ერთი საკანონმდებლო აქტით არ

არის რეგულირებული. აუცილებელია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ სპეციალური, კლასიკური კანონის შემუშავება და მიღება. ეს საშური საქმეა.

დემოკრატიულ საზოგადოებაში უნდა არსებობდეს ჟურნალისტური შემოქმედებითი თავისუფლების გარანტიები და სათანადო სამართლებრივი სივრცე მუდის ეფექტური, ხარისხიანი და საზოგადოების ინტერესების შესაბამისი საქმიანობისათვის.



**ღადო ტანტურია**

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
მაქს-პლანკის სახელობის საზღვარგარეთის ქვეყნებისა  
და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტი ჰამბურგში,  
ბრემენის უნივერსიტეტი.

**ევროპის სააქციო საზოგადოება (SOCIETAS  
EUROPAEA) – უნივერსალური მოდელი  
თუ საკანონმდებლო კომპილაციი**

**1. შესავალი**

2004 წლის 8 ოქტომბერს ევროპის კავშირის ტერიტორიაზე ძალაში შევიდა დადგენილება<sup>1</sup> ევროპის სააქციო საზოგადოების<sup>2</sup> (Societas Europaea) სტატუტის შესახებ. ამ დადგენილებით, რომელიც ევროპის კავშირის მინისტრთა საბჭომ 2001 წლის 8 ოქტომბერს მიიღო, განისაზღვრა ეს-ის სამართლებრივი სტატუსი<sup>3</sup>. 30 წლის განმავლობაში ეს იყო მეოთხე მცდელობა ევროპის ერთიანი სამეწარმეო საზოგადოების შემოღებისა და წინამორბედებისაგან განსხვავებით იგი წარმატებით დასრულდა<sup>4</sup>. ევროპული სამართლის საზოგადოების შექმნის იდეა დაიბადა საფრანგეთში 1959 წელს საფრანგეთის ნოტარიუსთა 57-ე კონგრესზე<sup>5</sup>.

აღნიშნული დადგენილება კავშირის წევრ სახელმწიფოებში პირდაპირ მოქმედებს და მისი დანერგვისათვის რაიმე სპეციალური საკანონმდებლო აქტის მიღება საუაღრესად არ არის<sup>6</sup>. მაგრამ იმის გამო, რომ დადგენილება წევრ სახელმწიფოებს ავსრებს გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების ვალდებულებას, შესაბამისად, მიღებულ იქნა სპეციალური კანონები<sup>7</sup>.

<sup>1</sup> ინგლისურ ენაზე ამ დოკუმენტს ეწოდება Regulation, ხოლო გერმანულად Verordnung. ვველაზე მისადაგებულ ტერმინად ჩავთვალე დადგენილება. ეს დადგენილება შეიცავს ევროპის სააქციო საზოგადოების სტატუტს, რომელიც შედგება 70 მუხლისაგან. დადგენილების მუხლები და სტატუტის მუხლები იფინტურია.

<sup>2</sup> შემოკლებით არის ეს.

<sup>3</sup> Council Regulation (EC) No 2157/2001 of 8 October 2001 on the Statute for a European company (SE). Official Journal L 294, 10/11/2001 P. 0001 - 0021; Verordnung (EG) Nr. 2157/2001 des Rates vom 8. Oktober 2001 über das Statut der Europäischen Gesellschaft (SE). Amtsblatt Nr. L 294 vom 10/11/2001 S. 0001-0021. ვინაიდან როგორც ინგლისური, ისე გერმანული ენები ევროპის კავშირის ოფიციალურ ენებს წარმოადგენს, სამართლებრივი ტერმინოლოგიის ზუსტად გადმოცემის მიზნით, მიზანშეწონილად ჩავთვალე, რომ გამოყენებინა ორივე ენაზე გამოყენებული ტექსტები.

<sup>4</sup> Hopt, Klaus J., Europäische Aktiengesellschaft - per aspera ad astra? EuZW 1/2002, S. 1; El Mahi, Farida, Die Europäische Aktiengesellschaft. Societas Europaea. 2003. S. 7-10.

<sup>5</sup> Blanquet, Françoise, Das Statut der Europäischen Aktiengesellschaft (Societas Europaea "SE"). Ein Gemeinschaftsinstrument für die grenzübergreifende Zusammenarbeit im Dienste der Unternehmen. ZGR 1/2002, S. 21.

<sup>6</sup> Art. 249 Abs. 2 EGV; El Mahi, Farida, Die Europäische Aktiengesellschaft. Societas Europaea. 2003. S. 2.

<sup>7</sup> მაგალითად, ავსტრიაში 2004 წლის 27 მაის მიღებულ იქნა კანონი ევროპის სააქციო საზოგადოების შესახებ: Europäische AG: Grundlagen. Rechtsvorschriften. Bearb. Reinhard Bradatsch. Wien. 2004. ასევე გერმანიაში; Nagel, Bernhard, Die Europäische Aktiengesellschaft (SE) in Deutschland - der Regierungsentwurf zum SE-Einführungsgesetz. NZG 18/2004. S. 833-839.

დადგენილების პირველი მუხლის თანახმად, თანამეგობრობის ტერიტორიაზე სამეწარმეო საზოგადოებები<sup>1</sup> შეიძლება ჩამოყალიბდეს ევროპის საექციო საზოგადოების<sup>2</sup> (Societas Europaea)<sup>3</sup> ფორმით. მართალია, ამ საზოგადოების ლათინურ სახელწოდებაში არ ფიგურირებს სიტყვა “საექციო”, მაგრამ თავისი სამართლებრივი ბუნებით იგი წარმოადგენს საექციო საზოგადოებას. ამის თაობაზე პირდაპირ არის მითითებული დადგენილების სამოტივაციო ნაწილიში:<sup>4</sup> “SE უნდა წარმოადგენდეს კაპიტალურ საზოგადოებას<sup>5</sup> და იგი უნდა ჩამოყალიბდეს საექციო საზოგადოების ფორმით, ვინაიდან როგორც დაფინანსების, ისე ხელმძღვანელობის თვალსაზრისით, იგი ყველაზე მეტად შეესატყვისება თანამეგობრობის ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოების მოთხოვნებს”<sup>6</sup>.

საწარმოს რაციონალური სიდიდის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილად ჩაითვალა მინიმალური საწესდებო კაპიტალის განსაზღვრა<sup>7</sup>, რომელიც საზოგადოების სათანადო ქო-

ნებრივი საფუძვლების შექმნის გარანტია უნდა იყოს<sup>8</sup>. ამასთან, პრობლემები არ უნდა შეექმნათ მცირე და საშუალო საწარმოებს. აქედან გამომდინარე, ეს-ის დასაფუძნებლად აუცილებელია საწესდებო კაპიტალი, რომლის მინიმალური ოდენობა შეადგენს 120 000 ევროს<sup>9</sup>. ეს არ გამორიცხავს იმას, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უფრო მაღალი მინიმალური საწესდებო კაპიტალი დაადგინონ იმ საექციო საზოგადოებებისთვის, რომლებიც განსაზღვრული სახეობის საქმიანობას ახორციელებენ. მოცემულ სახელმწიფოში დაფუძნებულ ეს-ზე გაერცელებდა კანონმდებლობა მაღალი საწესდებო კაპიტალის შესახებ<sup>10</sup>.

საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია აქციებად<sup>11</sup>. ყოველი აქციონერი პასუხს აგებს მის მიერ ხელმოწერილი კაპიტალის ფარგლებში<sup>12</sup>. დადგენილების ეს ფორმულირება იურიდიულ ლიტერატურაში კრიტიკის საგანი გახდა, რამეთუ აქციონერები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს არ აგებენ<sup>13</sup>. გაბატონებული შე-

<sup>1</sup> დადგენილების ინგლისურ ტექსტში გამოიყენება ტერმინი company, ხოლო გერმანულში - Handelsgesellschaften (მუხლი პირველი).

<sup>2</sup> ინგლისურად - European public limited-liability company. გერმანულად - europäische Aktiengesellschaft.

<sup>3</sup> შემოკლებით SE.

<sup>4</sup> შემდგომში მოტივები.

<sup>5</sup> “The SE must take the form of a company with share capital” (მოტივების მე-13 პუნქტის პირველი წინადადების ინგლისური ტექსტი).

<sup>6</sup> მოტივების მე-13 პუნქტის პირველი წინადადება.

<sup>7</sup> თუმცა ევროპის კავშირის ბევრი ქვეყნის საკორპორაციო სამართალი სავალდებულოდ არ მიიჩნევს საწესდებო კაპიტალის არსებობას.

<sup>8</sup> მოტივების მე-13 პუნქტის მე-2 წინადადება.

<sup>9</sup> დადგენილების მე-4 მუხლის პირველი და მე-2 აზნაკები. 1970 წლის პროექტის მიხედვით, საწესდებო კაპიტალის ოდენობა შეადგენდა 500000 ეკუს, ხოლო 1975 წლის პროექტის თანახმად - 250000 ეკუს; Blanquet, Françoise, Das Statut der Europäischen Aktiengesellschaft (Societas Europaea “SE”). Ein Gemeinschaftsinstrument für die grenzübergreifende Zusammenarbeit im Dienste der Unternehmen. ZGR 1/2002, S. 63.

<sup>10</sup> დადგენილების მე-4 მუხლის მე-3 აზნაკი.

<sup>11</sup> დადგენილების პირველი მუხლის მე-2 აზნაკი.

<sup>12</sup> დადგენილების პირველი მუხლის მე-2 აზნაკის მე-2 წინადადება.

<sup>13</sup> El Mahi, Farida, Die Europäische Aktiengesellschaft. Societas Europaea. 2003. S. 3.

ხედულების თანახმად, აქციონერი პასუხს აკებს მხოლოდ შუუტანელი შესატანის ფარგლებში<sup>1</sup>.

ევროპის სააქციო საზოგადოება წარმოადგენს იურიდიულ პირს<sup>2</sup>.

## 2. დაფუძნება

ევროპის სააქციო საზოგადოების დაფუძნების ფორმები ამომწურავად არის განსაზღვრული დადგენილებით.

### ა. დაფუძნება შერწყმის გზით

ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებში დაფუძნებულ სააქციო საზოგადოებებს<sup>3</sup>, რომელთაც ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი)<sup>4</sup> და სათავო ოფისიც<sup>5</sup> თანამეგობრობის ტერიტორიაზე აქვთ, შეუძლიათ, ევროპის სააქციო საზოგადოება *შერწყმის* გზით<sup>6</sup> დააფუძნონ, თუკი, სულ ცოტა, ორი მათგანი მაინც ემორჩილება სხვადასხვა წევრი სახელმწიფოს სამართალს<sup>7</sup>. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნაციონალურ სააქციო საზოგადოებებს<sup>8</sup> შეუძლიათ, გაერთიანდნენ და შექმნან ევროპის სააქციო საზოგადოება.

ერთმანეთისაგან განსხვავდება *შერწყმა საზოგადოების შექმნით* და *შერწყმა ახალი საზოგადოების და-*

*ფუძნებით*. საზოგადოების შექმნის გზით შერწყმისას შექმნი საზოგადოება იღებს ევროპის სააქციო საზოგადოების ფორმას. ხოლო იმ შემთხვევებში, როცა ორი საზოგადოება ერთიანდება, ახალი საზოგადოება ყალიბდება ეს-ის ფორმით.<sup>9</sup> თუ დადგენილება სპეციალურ წესებს არ ითვალისწინებს, შერწყმის მიმართ გამოიყენება იმ წევრი სახელმწიფოს სამართალი, სადაც ფუძნდება ევროპის სააქციო საზოგადოება<sup>10</sup>.

### ბ. დაფუძნება პოლდინგის ჩამოვალბების გზით

სააქციო საზოგადოებებსა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს<sup>11</sup>, რომლებიც წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე არიან დაფუძნებული და იქ აქვთ იურიდიული მისამართი, შეუძლიათ შექმნან *ევროპის პოლდინგური სააქციო საზოგადოება (Holding SE)*<sup>12</sup>. ამგვარი პოლდინგის შექმნა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა დამფუძნებლებიდან, სულ ცოტა, ორი მაინც სხვადასხვა ქვეყნების სამართალს ემორჩილება ან მინიმუმ ბოლო ორი წლის განმავლობაში აქვს შეიღობილი საზოგადოება, ანდა ფილიალი სხვა წევრ სახელმწიფოში<sup>13</sup>.

<sup>1</sup> Lind, Michael, Die Europäische Aktiengesellschaft. Eine Analyse der Rechtsanwendungsvorschriften. Wien. 2004, S. 18.

<sup>2</sup> დადგენილების პირველი მუხლის მე-3 აზნატი.

<sup>3</sup> იმის გამო, რომ სააქციო საზოგადოებები სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა სტატუსითა და სახელწოდებით არსებობენ, მათი ჩამონათვალი მოცემულია დადგენილების ი დანართში.

<sup>4</sup> ინგლისურ ტექსტში მას ეწოდება registered office, ხოლო გერმანულში - der Sitz.

<sup>5</sup> ინგლისურად - head office, ხოლო გერმანულად - Hauptverwaltung.

<sup>6</sup> by means of a merger.

<sup>7</sup> დადგენილების მე-2 მუხლის პირველი აზნატი.

<sup>8</sup> Lind, Michael, Die Europäische Aktiengesellschaft, S. 18.

<sup>9</sup> დადგენილების მე-17 მუხლი.

<sup>10</sup> დადგენილების მე-18 მუხლი.

<sup>11</sup> ამ საზოგადოებების ჩამონათვალიც მოცემულია დადგენილების ი დანართში.

<sup>12</sup> დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 აზნატი.

<sup>13</sup> დადგენილების მე-2 მუხლის "ა" და "ბ" ქვეპუნქტები.

პოლდინგის დამფუძნებელმა საზოგადოებებმა უნდა წარმოადგინონ დაფუძნების გეგმა, რომელიც უნდა შეიცავდეს სამართლებრივი და ეკონომიკური თვალსაზრისით დასაბუთებულ მონაცემებს პოლდინგის თაობაზე და იმ შედეგების თაობაზე, რომლებიც შესაძლებელია პოლდინგის შექმნამ გამოიწვიოს. გეგმა ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას დამფუძნებლების პროცენტული მონაწილეობის შესახებ<sup>1</sup>.

დაფუძნების გეგმა, სულ ცოტა, ერთი თვით ადრე უნდა წარედგინოს დამფუძნებელი საზოგადოებების აქციონერთა საერთო კრებებს, რომელთაც უნდა მიიღონ გადაწყვეტილება პოლდინგის შექმნის თაობაზე<sup>2</sup>.

პოლდინგის დაფუძნების დროს აღსანიშნავია ერთი ვარემოება, რომელიც პოლდინგის დამფუძნებელი საზოგადოებების პარტნიორებს უფლებას აძლევს, საკუთარი წილები (აქციები) შეიტანონ პოლდინგურ საზოგადოებაში. ამისთვის დადგენილება მათ აძლევს სამთვიან ვადას, რომელიც აითვლება იმ მომენტიდან, როცა დაფუძნების გეგმა საბოლოოდ იქნება მომზადებული<sup>3</sup>.

### გ. შვილობილი საზოგადოების დაფუძნება

ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს სამართლის მიხედვით შექმნილ საჯარო თუ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, რომელთაც ადგილსა-

მყოფელი კავშირის ტერიტორიაზე აქვთ, შეუძლიათ დააფუძნონ *შვილობილი საზოგადოება (subsidiary SE)*. აქაც რამდენიმე წინა პირობაა გათვალისწინებული: პირველი, დამფუძნებლებიდან ორი მაინც უნდა წარმოადგენდეს სხვადასხვა ქვეყანას ან მეორე, სულ ცოტა ბოლო ორი წლის განმავლობაში უნდა ჰქონდეთ შვილობილი საზოგადოება ან ფილიალი ევროპის კავშირის წევრი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე<sup>4</sup>.

**დ. დაფუძნება რეორგანიზაციით**  
ესს შეიძლება დაფუძნდეს სააქციო საზოგადოების გარდაქმნით (რეორგანიზაციით) ევროპის სააქციო საზოგადოებად. ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა საზოგადოებას, რომლის რეორგანიზაციაც განზრახულია, ბოლო ორი წლის განმავლობაში ჰქონდა შვილობილი საზოგადოება კავშირის სხვა წევრ ქვეყანაში<sup>5</sup>.

სააქციო საზოგადოების ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების გარდაქმნა ევროპის სააქციო საზოგადოებად არ იწვევს ამ საზოგადოებათა არც ლიკვიდაციას და არც ახალი იურიდიული პირის დაფუძნებას<sup>6</sup>. მსგავსად პოლდინგის ფორმით დაფუძნებისა, ამ შემთხვევაშიც აუცილებელია რეორგანიზაციის დასაბუთებული გეგმა, რომელიც ერთი თვით ადრე უნდა წარედგინოს აქციონერთა იმ საერთო კრებას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას რეორგანიზაციის შესახებ<sup>7</sup>.

<sup>1</sup> დადგენილების 32-ე მუხლის მე-2 აბზაცი.

<sup>2</sup> დადგენილების 32-ე მუხლის მე-3 აბზაცი.

<sup>3</sup> დადგენილების 33-ე მუხლის პირველი აბზაცი.

<sup>4</sup> დადგენილების მე-2 მუხლის მე-3 აბზაცი.

<sup>5</sup> დადგენილების მე-2 მუხლის მე-3 აბზაციის "ა" და "გ" ქვეპუნქტები.

<sup>6</sup> დადგენილების მე-2 მუხლის მე-4 აბზაცი.

<sup>7</sup> დადგენილების 37-ე მუხლის მე-2 აბზაცი.

<sup>8</sup> დადგენილების 37-ე მუხლის მე-4 და მე-5 აბზაცი.



**ე. ევროპის სააქციო საზოგადოების შეილობილი საზოგადოებები**

ევროპის სააქციო საზოგადოებას თვითონაც აქვს უფლება, დააფუძნოს შეილობილი საზოგადოებები, რომელთა მიმართაც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ევროპის სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით, დაუმუშავებელია სააქციო საზოგადოების დაფუძნება მხოლოდ ერთი დამფუძნებლის მიერ. ეს აკრძალავს ევროპის სააქციო საზოგადოების მიმართ არ გამოიყენება, თუკი დამფუძნებლად ევროპის სააქციო საზოგადოება გამოდის<sup>1</sup>.

**ვ. დაფუძნების სხვა წინა პირობები**

ევროპის სააქციო საზოგადოების მიმართ გამოიყენება სააქციო საზოგადოების დაფუძნების ის წესები, რომლებიც არეგულირებენ სააქციო საზოგადოებათა დაფუძნების საკითხებს მოცემულ წევრ სახელმწიფოში, თუკი დადგენილება იმპერატიულად არ ადგენს განსხვავებულ წესებსა თუ მოთხოვნებს<sup>2</sup>.

ევროპის სააქციო საზოგადოების დაფუძნებისათვის აუცილებელია წესდების არსებობა. დადგენილება არ განსაზღვრავს წესდების ფორმას. იგი შემოიფარგლება იმის აღნიშვნით, რომ ევროპის სააქციო საზოგადოების წესდება გულისხმობს ასევე დამფუძნებელ დოკუმენტებსაც, თუკი წევრი სა-

ხელმწიფოს სამართალი წესდებასთან ერთად ასეთი დოკუმენტების არსებობას (მაგალითად, დამფუძნებელი ხელშეკრულება) საავალდებულოდ მიიჩნევს<sup>3</sup>. ამიტომ წესდება უნდა შედგეს იმ წესების თანახმად, რომლებიც დადგენილია სააქციო საზოგადოების წესდებისთვის კავშირის იმ წევრ სახელმწიფოში, რომელშიც ფუძნდება ევროპის სააქციო საზოგადოება.

როგორც უკვე აღინიშნა, ეს-ის დაფუძნებისათვის აუცილებელია საწესდებო კაპიტალის არსებობა. ამ კაპიტალის შეტანის სპეციალურ წესს დადგენილება არ განსაზღვრავს, თუმცა მიუთითებს, რომ საწესდებო კაპიტალის შეესების მიმართ გამოიყენება ის წესი, რომელიც დადგენილია იმ წევრ სახელმწიფოში, სადაც უნდა დაფუძნდეს საზოგადოება<sup>4</sup>.

ეს-ის დაფუძნების შემდეგ წინა პირობას წარმოადგენს ადგილსამყოფელი (registered office), რომელიც უნდა იმყოფებოდეს თანამეგობრობის ტერიტორიაზე, უფრო კონკრეტულად კი, იმ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც არის ეს-ის სათავო ოფისი (head office)<sup>5</sup>. ამასთან, წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ, მათ ტერიტორიაზე დაფუძნებული ეს-ისთვის დაადგინონ, რომ ამ საზოგადოებებს ადგილსამყოფელიცა და სათავო ოფისიც ერთ ადგილას ჰქონდეთ<sup>6</sup>. ადგილსამყოფელის გადატანა სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე დასაშვებია ისე, რომ ეს არ იწვევდეს არც არსებული ეს-ის ლიკვიდაციას და

<sup>1</sup> დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 აბზაცი.

<sup>2</sup> დადგენილების მე-15 მუხლის პირველი აბზაცი.

<sup>3</sup> დადგენილების მე-6 მუხლი.

<sup>4</sup> დადგენილების მე-15 მუხლი.

<sup>5</sup> დადგენილების მე-7 მუხლის პირველი წინადადება.

<sup>6</sup> დადგენილების მე-7 მუხლის მე-2 წინადადება.

არც ახალი იურიდიული პირის დაფუძნებას<sup>1</sup>.

ეს-ის საფირმო სახელწოდებასთან დაკავშირებით, დადგენილება რაიმე სპეციალურ წესებს არ შეიცავს. მხოლოდ მე-11 მუხლის მე-3 აბზაცის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ ეს-ის საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს SE-ს.

### ზ. რეგისტრაცია

ყველა ეს ექვემდებარება რეგისტრაციას იმ წესების მიხედვით, რომელიც მოქმედებს წევრ სახელმწიფოში, სადაც ფუნდება საზოგადოება<sup>2</sup> მიუხედავად წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე რეგისტრაციისა, ინფორმაცია რეგისტრაციის (ასევე ლიკვიდაციის) შესახებ უნდა გამოქვეყნდეს ევროპის თანამეგობრობათა ოფიციალურ ყურნალში<sup>3</sup>, რათა ამით უზრუნველყოფილი იყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებულ პირისათვის<sup>4</sup>. გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს: საზოგადოების საფირმო სახელწოდებას, რეგისტრაციის ნომერს, თარიღსა და ადგილს, გამოქვეყნების თარიღს, ადგილსა და დასახელებას<sup>5</sup>, საზოგადოების ადგილსამყოფელსა და საქმიანობის საგანს<sup>6</sup>.

ეს-ის რეგისტრაციას წინ უსწრებს ერთი მეტად მნიშვნელოვანი

პროცედურა, რომელიც ევროპის სააქციო საზოგადოების საქმიანობაში მუშა-მოსამსახურეთა მონაწილეობის საკითხს უკავშირდება. ამასთან დაკავშირებით, ევროპის კავშირის საბჭომ 2001 წლის 8 ოქტომბერს სპეციალურად მიიღო დირექტივა, რომელიც მიზნად ისახავს მუშა-მოსამსახურეთა მონაწილეობის უზრუნველყოფას ეს-ში და შესაბამისად აესებს დადგენილებას ეს-ის შესახებ<sup>7</sup>. მონაწილეობის ცნება გულისხმობს ნებისმიერ პროცედურას (ინფორმაციის მიღება, მოსმენა ანდა გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა), რომლის მეშვეობითაც მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლებს შესაძლებლობა ეძლევათ, გაეღწას მონაწილეობის საზოგადოების მიმართ გადაწყვეტილების მიღებაზე<sup>8</sup>.

აღნიშნული დირექტივა განამტკიცებს ისეთ დებულებებს, რომლებმაც უნდა აღკვეთონ ევროპის სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას იმ უფლებების იგნორირება, რომლებიც მუშა-მოსამსახურეებს ჰქონდათ, განსაკუთრებით, საწარმოს მართვაში მონაწილეობის თვალსაზრისით<sup>9</sup>. იმის გამო, რომ ევროპის კავშირის შიგნით არსებობს საწარმოს მართვაში მუშა-მოსამსახურეთა მონაწილეობის განსხვავებული მოდელები<sup>10</sup>, ღირე-

<sup>1</sup> დადგენილების მე-8 მუხლის პირველი აბზაცი.

<sup>2</sup> დადგენილების მე-12 მუხლის პირველი აბზაცი.

<sup>3</sup> Official Journal of the European Communities.

<sup>4</sup> დადგენილების მე-14 მუხლის პირველი აბზაცი.

<sup>5</sup> title of publication.

<sup>6</sup> დადგენილების მე-14 მუხლის პირველი აბზაციის მე-2 წინადადება.

<sup>7</sup> Council Directive 2001/86/EC of 8 October 2001 supplementing the Statute for a European company with regard to the involvement of employees. Official Journal of the European Communities. L. 294/22, 10.11.2001; Richtlinie 2001/86/EG des Rates vom 8. Oktober 2001 zur Ergänzung des Statuts der Europäischen Gesellschaft hinsichtlich der Beteiligung der Arbeitnehmer. Amtsblatt der Europäischen Gemeinschaften. L. 294/22, 10.11.2001.

<sup>8</sup> ასეთ დეფინიციას იძლევა დირექტივის მე-2 მუხლის h ქვეპუნქტი.

<sup>9</sup> დაწერილობით: Lind, Michael, Die Europäische Aktiengesellschaft. S. 23

<sup>10</sup> მაგალითად, გერმანულ საკორპორაციო სამართალში განმტკიცებული მუშა-მოსამსახურეთა თანამაწილეობის ინსტიტუტი, ე.წ. Mitbestimmung მოულებელი აღმოჩნდა ევროპის კავშირის სხვა ქვეყნებისათვის.

ქტივამ უარი თქვა მონაწილეობის ერთიანი მოდელის შემოთავაზებაზე. მაგრამ ეს-ის რეგისტრაციის აუცილებელ წინა პირობას წარმოადგენს ის, რომ საზოგადოების დამფუძნებლებსა და მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლებს შორის მიღწეულ იქნეს შეთანხმება ამ უკანასკნელთა მონაწილეობის შესახებ<sup>1</sup>. ამ შეთანხმების გარეშე, რომლის წესსაც დირექტივა განსაზღვრავს<sup>2</sup>, დაუშვებელია ევროპის სააქციო საზოგადოების რეგისტრაცია<sup>3</sup>.

ამ დირექტივის მიღებით, ევროპის კავშირი არა მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობის თავისუფალ განვითარებას უწყობს ხელს, არამედ მნიშვნელოვანი სოციალური დაცვის გარანტიებსაც ქმნის, რაც არცთუ იშვიათად, წინააღმდეგობაში მოდის თავისუფალი ბაზრის პრინციპებთან და რაც შეწარმეთა უკმაყოფილების საფუძველიც კი ხდება<sup>4</sup>. მუშა-მოსამსახურეთა მონაწილეობის საკითხი იყო ის ძირითადი პრობლემაური საკითხი, რომლის გამოც ათეული წლების მანძილზე გაჭიანურდა ევროპის სააქციო საზოგადოების შემოღება<sup>5</sup>.

### 3. საზოგადოების ორგანოები (სტრუქტურა)

ევროპის სააქციო საზოგადოების ორგანოთა დახასიათებისას ყველაზე თვალსაჩინოდ ჩანს ის თავისებურებები, რომლებითაც გამოირჩევა ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების კორპორაციული მართვის სისტემები<sup>6</sup>. მათში გავრცელებულია როგორც დუალისტური, ისე მონისტური სისტემები<sup>7</sup>. ამ სამართლებრივი რეალობისთვის კანონმდებელს ანგარიში უნდა გაეწია. ამიტომ დადგენილება ეს-ის მართვის ორგანოების განსაზღვრისას უშვებია ორივე სისტემის გამოყენების შესაძლებლობას<sup>8</sup>. ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოებიდან აღსანიშნავია საფრანგეთი, რომლის სამართალი ორივე სისტემის გამოყენების შესაძლებლობას ისედაც ითვალისწინებს<sup>9</sup>.

ევროპის სააქციო საზოგადოებას უნდა ჰქონდეს შემდეგი ორგანოები: ა) აქციონერთა საერთო კრება<sup>10</sup>, ბ) სამეთვალყურეო ორგანო და ხელმძღვანელი ორგანო (დუალისტური სისტემა – two-tier system) ანდა ერთი მმართველი ორგანო (მონისტური სისტემა

<sup>1</sup> დადგენილების მე-12 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.

<sup>2</sup> დირექტივის მე-4 მუხლი.

<sup>3</sup> დადგენილების მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>4</sup> მაგალითად, საწარმოს მართვაში მუშა-მოსამსახურეთა მონაწილეობის გერმანულ მოდელს ხშირად ეტყვიან უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშემშლელ ფაქტორად თლიან. Hopt, Klaus J., Europäische Aktiengesellschaft – per aspera ad astra? S. 1.

<sup>5</sup> Hopt, Klaus J., Europäische Aktiengesellschaft – per aspera ad astra? S. 1

<sup>6</sup> Hopt, Klaus J., Leyens, Patrick C., Board Models in Europe. Recent Developments of Internal Corporate Governance Structures in Germany, the United Kingdom, France, and Italy. p. 4-10; Lutter/Marcus, Corporate Governance in Deutschland und USA, S. 35-36; Plessis, Jean J Du, The German two-Tier Board and the German Corporate Governance Code.

<sup>7</sup> დაწერილობით: მარკუს ლუთერი, კორპორაციული მართვა (Corporate Governance) გერმანიასა და აშშ-ში. კრებულში "საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში". გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი. თბილისი, 2000 წლის 7-8 მარტი, გვ. 21-32.

<sup>8</sup> დადგენილების 38-ე მუხლი.

<sup>9</sup> საფრანგეთის საკავშირო კოდექსის 225-57 მუხლები (2001 წლის რედაქცია).

<sup>10</sup> ინგლისურად: A General meeting of shareholders, გერმანულად: eine Hauptversammlung der Aktionäre.

– one-tier system) იმის მიხედვით, თუ როგორ განისაზღვრება წესდებით.

#### ა. აქციონერთა საერთო კრება

როგორც იურიდიულ ლიტერატურაშია აღნიშნული, აქციონერთა საერთო კრებასთან დაკავშირებით, დადგენილება თითქმის არ ქმნის თანამეგობრობისთვის საერთო ნორმებს და იგი პრაქტიკულად შემოიფარგლება ისეთი საკითხების მოწესრიგებით, როგორებიცაა საერთო კრების მოწვევა, დღის წესრიგი და კრების ჩატარების ინტენსივობა<sup>1</sup>. სხვა მხრივ საერთო კრების მიმართ გამოიყენება ის წესები, რომლებიც მოქმედებს იმ წევრ სახელმწიფოში, სადაც ფუნქცია ეს<sup>2</sup>.

#### ბ. მართვის ორგანოები

ეს-ის მართვის ორგანოების განსაზღვრისას დადგენილება დამფუძნებლებს აძლევს მონისტურ და დუალისტურ სისტემებს შორის არჩევანის შესაძლებლობას. ამ დროს არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ როგორი სისტემა მოქმედებს მოცემულ სახელმწიფოში. ეს მიიჩნევა ევროპის სააქციო საზოგადოების შესახებ დადგენილების ყველაზე მნიშვნელოვან თავისებურებად<sup>3</sup>.

#### აა. დუალისტური სისტემა

დუალისტური სისტემისთვის დამახასიათებელია ის, რომ საზოგადოებას, საერთო კრების გარდა, აქვს ორი ორგანო, რომელთაგან ერთს ევა-

ლება კონტროლის, მეთვალყურეობის ფუნქცია ისე, რომ საზოგადოების ყოველდღიურ ხელმძღვანელობას არ ახორციელებს (მაგალითად, სამეთვალყურეო საბჭო)<sup>4</sup>, ხოლო მეორის ამოცანას წარმოადგენს საზოგადოების ყოველდღიური ხელმძღვანელობა (მაგალითად, გამგეობა გერმანულ სამართალში)<sup>5</sup>.

დუალისტურ სისტემაში ხელმძღვანელი ორგანო საზოგადოების საქმეებს უძღვება საკუთარი პასუხისმგებლობით<sup>6</sup>. ხელმძღვანელი ორგანოს წევრების დანიშნა და გათავისუფლება ხდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ<sup>7</sup>. თუმცა დადგენილება წევრ სახელმწიფოებს იმის უფლებასაც აძლევს, რომ თვითონ საზოგადოების წესდებით განისაზღვროს ხელმძღვანელი ორგანოს წევრების არჩევა და გამოწვევა საერთო კრების მიერ იმ წესების დაცვით, რომლებიც მოცემულ სახელმწიფოში მოქმედებს<sup>8</sup>. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ დუალისტური სისტემის ქვეყნებშიც კი შესაძლებელია მონისტური სისტემის ჩამოყალიბება, თუკი დამფუძნებლებმა იმას მიზანშეწონილად ჩათვლიან<sup>9</sup>.

დუალისტური სისტემის დროს დაუშვებელია, რომ ხელმძღვანელი ორგანოს წევრები, იმავდროულად, იყვნენ სამეთვალყურეო ორგანოს წევრები<sup>10</sup>. გამონაკლისის წესით, დადგენილება

<sup>1</sup> Lind, Michael, Die Europäische Aktiengesellschaft. S. 20.

<sup>2</sup> დადგენილების 53-ე მუხლი.

<sup>3</sup> Lutter, Marcus, Europäische Aktiengesellschaft - Rechtsfigur mit Zukunft? BB, Heft 1, 4. Januar 2002, S. 4.

<sup>4</sup> დადგენილების მე-40 მუხლის პირველი აბზაცი.

<sup>5</sup> დაწერილობით: ჰანტურია ლალო, ნინოქ თვლი, მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. შესაქ გამოცემა, „სამართალი“, 2002 წ., გვ. 128-130.

<sup>6</sup> დადგენილების 39-ე მუხლის პირველი აბზაცის პირველი წინადადება.

<sup>7</sup> დადგენილების 39-ე მუხლის მე-2 აბზაცის პირველი წინადადება.

<sup>8</sup> დადგენილების 39-ე მუხლის მე-2 აბზაცის მე-2 წინადადება.

<sup>9</sup> Lutter, Marcus, Europäische Aktiengesellschaft - Rechtsfigur mit Zukunft? BB, Heft 1, 4. Januar 2002, S. 4.

<sup>10</sup> დადგენილების 39-ე მუხლის მე-3 აბზაცის პირველი წინადადება.



უშვებებს იმის შესაძლებლობას, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი მივლინებულ იქნეს ხელმძღვანელ ორგანოში, თუკი არსებობს ვაკანსია. ასეთ შემთხვევაში მას უზრუნველდება სამეთვალ-ყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილება<sup>1</sup>.

სამეთვალყურეო ორგანოს წევრები ირჩევიან საერთო კრების მიერ. რაც შეეხება სამეთვალყურეო ორგანოს პირველ შემადგენლობას, იგი შეიძლება წესდებით განისაზღვროს<sup>2</sup>.

როგორც სამეთვალყურეო ორგანოს, ისე ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს წესდება და ამისთვის საკანონმდებლო რეგლამენტაცია სავალდებულო არ არის<sup>3</sup>.

ხელმძღვანელი ორგანო ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო ორგანოს წინაშე. სამ თვეში ერთხელ მან უნდა წარუდგინოს ინფორმაცია საქმიანობის შესახებ. იგი ასევე ვალდებულია, სისტემატურად და დროულად მიაწოდოს ინფორმაცია სამეთვალყურეო ორგანოს ყველა იმ საკითხზე, რომელთაც შესაძლოა გავლენა იქონიონ საზოგადოების მდგომარეობაზე<sup>4</sup>. თავის მხრივ, სამეთვალყურეო ორგანოც უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს ყოველგვარი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია დაკისრებული მოვალეობის სათანადოდ შესასრულებლად<sup>5</sup>.

### ბბ. მონისტური სისტემა

მონისტური სისტემა ერთმანეთისაგან არ განასხვავებს სამეთვალყურეო და ხელმძღვანელ ორგანოებს. მმართველი ორგანო, რომელიც საერთო კრების მიერ ირჩევა<sup>6</sup>, ორივე ფუნქციას – საკონტროლოსა და ხელმძღვანელობის – თვითონვე ახორციელებს.

მმართველი ორგანოს წევრთა რაოდენობა ან ამ რაოდენობის განსაზღვრის წესი რეგულირდება საზოგადოების წესდებით<sup>7</sup>. მმართველო ორგანოს თავმჯდომარე ირჩევა მმართველი ორგანოს წევრების მიერ საკუთარი შემადგენლობიდან<sup>8</sup>.

მმართველი ორგანოს სხდომების სიხშირე განისაზღვრება წესდებით. დადგენილება სავალდებულოდ მიიწევს, რომ მმართველი ორგანოს წევრები, სამ თვეში ერთხელ მაინც, უნდა შეიკრიბონ და იმსჯელონ საზოგადოების საქმიანობის პერსპექტივებზე<sup>9</sup>.

### გგ. ორივე სისტემისათვის საერთო ნორმები

გარდა ცალკეული სისტემებისათვის დამახასიათებელი სპეციალური ნორმებისა, დადგენილება ასევე განამტკიცებს წესებს, რომლებიც საერთოა ორივე სისტემისათვის და ამიტომ თანაბრად გამოიყენება, მიუხედავად იმისა, თუ მართვის რომელ მოდელს აირჩევენ დამფუძნებლები. მაგალითად, ორგანოების წევრთა უფლე-

<sup>1</sup> დადგენილების 39-ე მუხლის მე-3 აბზაცის მე-2 წინადადება.  
<sup>2</sup> დადგენილების მე-40 მუხლის მე-2 აბზაცი.  
<sup>3</sup> დადგენილების 39-ე მუხლის მე-4 აბზაცი და მე-40 მუხლის მე-3 აბზაცი.  
<sup>4</sup> დადგენილების 41-ე მუხლის პირველი და მე-2 აბზაცები.  
<sup>5</sup> დადგენილების 41-ე მუხლის მე-4 აბზაცი.  
<sup>6</sup> დადგენილების 43-ე მუხლის მე-3 აბზაცი.  
<sup>7</sup> დადგენილების 43-ე მუხლის მე-2 აბზაცი.  
<sup>8</sup> დადგენილების 45-ე მუხლი.  
<sup>9</sup> დადგენილების 44-ე მუხლი.

ბამოსილების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 წელს<sup>1</sup>. დადგენილება განმტკიცებს იმის შესაძლებლობასაც, რომ მართვის ორგანოებში იურიდიული პირებიც იქნენ წევრად არჩეული<sup>2</sup>. ეს წესი არ გამოიყენება იმ ქვეყნებში, რომელთა კანონმდებლობაც არ უშვებს იურიდიული პირების წევრობას მართვის ორგანოებში<sup>3</sup>.

ორივე სისტემისათვის საერთო მოვალეობას წარმოადგენს მართვის ორგანოთა წევრების დუმილის მოვალეობა. კერძოდ, ისინი ვალდებული არიან, რომ თანამდებობის დატოვების შემდეგაც არ გაახმაურონ ის ინფორმაცია, რომელიც შეიძლება საზოგადოებისთვის ზიანის მომტანი იყოს.<sup>4</sup>

#### დ. მართვის ორგანოების წევრთა პასუხისმგებლობა

მართვის ორგანოების წევრთა პასუხისმგებლობის მომწესრიგებელ რაიმე წესებს დადგენილება არ განამტკიცებს. იგი შემოიფარგლება მხოლოდ იმის მითითებით, რომ პასუხისმგებლობის მიმართ გამოიყენება ის წესები, რომლებიც ეს-ის ადგილსამყოფელის სახელმწიფოში მოქმედებს სააქციო საზოგადოებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის თაობაზე<sup>5</sup>.

#### 4. ახალი პერსპექტივები და ახალი პრობლემები

ევროპის სააქციო საზოგადოების შემოღების უმთავრეს მიზანს შეადგენს

იმ საწარმოებისთვის ფართო სამართლებრივი ასპარეზის მიცემა, რომელთა საქმიანობა სცილდება ერთი რომელიმე სახელმწიფოს საზღვრებს და ვრცელდება ევროპის კავშირის ტერიტორიაზე. ე.წ. ტრანსნაციონალური კორპორაციების ეფექტური საქმიანობის ერთ-ერთ ხელშემშლელ გარემოებად მიიჩნეოდა განსხვავებული სამართლებრივი სისტემების არსებობა თვით ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებში<sup>6</sup>.

ეს-ის შემოღებით, სხვადასხვა ქვეყნების კაპიტალურ საზოგადოებებს შესაძლებლობა ეძლევათ, გაერთიანდნენ, შექმნან პოლინგური საზოგადოებები, ანდა შეილობილი საზოგადოებები და ამით ეკონომიკური საქმიანობა მთლიანად კავშირის ტერიტორიაზე წინააღმდეგობების გარეშე განავითარონ<sup>7</sup>.

ეს, როგორც კაპიტალური საზოგადოებების ფორმა, გამოიყენება მხოლოდ ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებში დაფუძნებული სააქციო საზოგადოებებისათვის. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ ის კორპორაციები, რომელთაც ფილიალი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე აქვთ და ამ ფილიალის მეშვეობით ახორციელებენ საქმიანობას<sup>8</sup>. ლიტერატურაში მიიჩნევენ, რომ სააქციო საზოგადოების ეს ფორმა შესაძლოა მიმზიდველიც

<sup>1</sup> დადგენილების 46-ე მუხლის პირველი აბზაცი.

<sup>2</sup> დადგენილების 47-ე მუხლის პირველი აბზაცი; Brandes, Stephan M., Europäische Aktiengesellschaft: Juristische Person als Organ? In: NZG, 14/2004, S. 642-649.

<sup>3</sup> მაგალითად, ავსტრიის სააქციო კანონის 75-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი და 86-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი პირდაპირ მითითებენ, რომ იურიდიული პირი ან ამხანაგობა არ შეიძლება დაინშოს გამგეობის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრად.

<sup>4</sup> დადგენილების 49-ე მუხლი.

<sup>5</sup> დადგენილების 51-ე მუხლი.

<sup>6</sup> მოტივების მე-4 პუნქტი.


<sup>7</sup> მოტივების მე-10 პუნქტი.

<sup>8</sup> მოტივების მე-15 პუნქტი.

კი იყოს იმ საწარმოებისთვის, რომელნიც არ არიან ევროპის კავშირში დაფუძნებული<sup>1</sup>.

მართალია, ეს ახალ შესაძლებლობებს იძლევა სამეწარმეო საქმიანობის ტრანსნაციონალიზაციისათვის, მაგრამ იგი მაინც მჭიდროდ არის დაკავშირებული წვერი სახელმწიფოების სამართლებრივ სისტემებთან, რამეთუ ეს-ის საქმიანობის მრავალი ასპექტი სწორედ წვერი სახელმწიფოების სამართლით წესრიგდება. ამიტომ ევროპის სააქციო საზოგადოება პრაქტიკულად წარმოადგენს არა ერთიან და უნივერსალურ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, არამედ ევროპული სააქციო საზოგადოებების კომპლაცია, რაც პრაქტიკული საქმიანობისას, უდავოდ

შექმნის დამატებით სირთულეებს, რაზეც უთითებენ კიდევ იურიდიულ ლიტერატურაში<sup>2</sup>. აღნიშნავენ იმასაც, რომ რეალურ სამართლებრივ ცხოვრებაში იარსებებენ ერთმანეთისაგან განსხვავებული ევროპის სააქციო საზოგადოებები იმის მიხედვით, თუ სად იქნებიან ისინი დაფუძნებული: გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში, იტალიასა თუ ესპანეთში<sup>3</sup>. ალბათ ამიტაც აიხსნება ის გარემოება, რომ ეს-ის შემოღებიდან დღემდე, განსაკუთრებული ინტერესი მის მიმართ მეწარმეებს არ გამოუჩენიათ. იმედია, რომ დროთა განმავლობაში ეს ვითარება შეიცვლება. არც ისაა გამორიცხული, რომ მალე ამ ქართველ მეწარმეებსაც დასჭირდეთ სამართლებრივი ფორმის გამოყენება.



<sup>1</sup> *Blanquet, Françoise*, Das Statut der Europäischen Aktiengesellschaft (Societas Europaea "SE"). Ein Gemeinschaftsinstrument für die grenzübergreifende Zusammenarbeit im Dienste der Unternehmen. ZGR 1/2002, S. 64.

<sup>2</sup> *Hopt, Klaus J.*, Europäische Aktiengesellschaft - per aspera ad astra? EuZW 1/2002, S. 1

<sup>3</sup> *Lutter, Marcus*, Europäische Aktiengesellschaft - Rechtsfigur mit Zukunft? BB, Heft 1, 4. Januar 2002, S. 3.

**ზორენა ჯანსოთელი**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტი.

**ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციის**

(ქართული და უცხოური კანონმდებლობის მიხედვით)

ჩვენი ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში მოქალაქეთა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უფლებას წარმოადგენს მათ მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლება<sup>1</sup>, რომლის რეალიზებაც შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით. კერძოდ, ფიზიკური პირი შეიძლება იყოს პარტნიორი რომელიმე იურიდიული პირის, შეუძლია განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა სხვადასხვა შესაბამისი სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებების საფუძველზე და რაც უმნიშვნელოვანესია, მას შეუძლია, განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა ინდივიდუალური მეწარმის სტატუსის მოპოვებით. ინდივიდუალური მეწარმე წარმოადგენს ფიზიკურ და არა იურიდიულ პირს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ინდივიდუალური მეწარმის სტატუსს ფიზიკური პირის ზოგად უფლებაუნარიანობასთან მიმართებაში ახასიათებს გარკვეული თავისებურებები, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი – ინდივიდუალური მეწარმის სტატუსი მოიპოვება ფიზიკური პირის ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციის შედეგად. ფიზიკური პირი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე, მოქმედებს არალეგალურ, “ჩრდილოვან” ეკონომიკაში<sup>2</sup>.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე სტატიის მიზანს სწორედ ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები წარმოადგენენ, რომლებიც განხილული იქნებიან არა მარტო საქართველოს, არამედ რამდენიმე წამყვანი უცხოური ქვეყნის მაგალითზე.

ინდივიდუალური საწარმოს დაფუძნება და რეგისტრაცია დაკავშირებულია ბევრად მარტივ პროცედურებთან, ვიდრე ეს სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი იურიდიული პირების შემთხვევაში გვაქვს. აღნიშნული განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით, რომელთაგან უმთავრესია ინდივიდუალური საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოწყობის შედარებით მარტივი სისტემა, მმართველი ორგანოების თითქმის არარსებობა, პასუხისმგებლობის შეზღუდვა მისივე (დამფუძნებელი ფიზიკური პირის) ქონებით, საწესდებო კაპიტალის არარსებობა, მხოლოდ ერთი პარტნიორის არსებობა და სხვა. აქვე მოვიყვანთ რამდენიმე ძირითად სტატიისტიკურ მაჩვენებლს, რომელიც ადასტურებს ინდივიდუალური საწარმოს გავრცელებას.

საქართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა ერთიანი სახელმწიფო რეგისტრის მონაცემების მიხედვით, 2002 წლის დასასრულისათვის ქვეყანაში

<sup>1</sup>А.Н.Гуев, Гражданское право. Москва, 2003, т.1, с.62.

<sup>2</sup>С.Э.Жилинский, Предпринимательское право. Москва, 2004, 5-е издание, с.116.

რეგისტრირებული იყო 97 229 ეკონომიკური სუბიექტი, რომელთა უმეტესობა (51,4 პროცენტი) დაფუძნებულია ინდივიდუალური საწარმოს სახით<sup>1</sup>.

2003 წლისათვის ანალოგიური მონაცემები იყო: მსხვილი საწარმოების წილი 2,3%, საშუალო საწარმოების 6,7%, მცირე საწარმოების 91,0%. მცირე საწარმოეთან მიმართებაში ზრდა, თუმცა მცირეოდენი, მაგრამ მაინც სახეზეა<sup>2</sup>. 2004 წლის 1 იანვრისათვის კი საწარმოთა და ორგანიზაციათა ერთიანი სახელმწიფო რეგისტრის მონაცემების მიხედვით, ქვეყანაში რეგისტრირებული იყო 110 144 ეკონომიკური სუბიექტი, რომელთა უმეტესობა (52,8 პროცენტი) დაფუძნებული იყო ინდივიდუალური საწარმოს სახით<sup>3</sup>.

დაფუძნებულ ინდივიდუალურ საწარმოთა სტატისტიკური ზრდა ამ შემთხვევაშიც სახეზეა. 2004 წლის იანვარ-მაისის მონაცემებით, სამეწარმეო საქმიანობით დაკავებულ სტატისტიკური აღრიცხვით მოცულ საწარმოთა მთელ რაოდენობაში მსხვილი საწარმოების წილი 2,5%-ს, საშუალო საწარმოების 6,4%-ს, მცირე საწარმოებისა კი 91,1%-ს შეადგენდა<sup>4</sup>.

საინტერესო მონაცემებია რეგიონების მიხედვითაც. როგორც წესი, მცირე საწარმოთა უმეტესობა (ისევე როგორც სხვა სახის საწარმოები) დაფუძნებულია ქ. თბილისში, უმცირესობა კი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში. 2004 წლის 1 ია-

ნვრისათვის რეგისტრირებულ სუბიექტთა 42% სწორედ თბილისზე მოდიოდა, ხოლო 1,2% რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო-სვანეთზე. ამასთან, 2004 წლის 1 იანვრისათვის ეკონომიკურ სუბიექტთა, მათ შორის მცირე საწარმოთა უმეტესობა დაფუძნებულია ვაჭრობაში, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი სარგებლობის ნივთების რემონტში (59,7%, 65 699 ერთეული). ეკონომიკურ სუბიექტთა უმცირესი რაოდენობაა დაფუძნებული თევზჭერასა და სამთომპოვებით მრეწველობაში<sup>5</sup>.

ზემოაღნიშნული მონაცემები აშკარად ცხადყოფენ ინდივიდუალურ საწარმოთა არა მარტო გავრცელებას, არამედ ხაზს უსვამენ მათ მნიშვნელობას მრეწველობის ცალკეული დარგების განვითარებაში.

მოუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მარტივია ინდივიდუალური საწარმოს დაფუძნება, აღნიშნული მაინც არ არის მისი პოპულარიზაციის და გავრცელების ძირითადი განმსაზღვრელი. საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც პირები აფუძნებენ ინდივიდუალურ საწარმოებს სწორედ რეგისტრაციის მარტივი პროცედურის გამო, თუმცა ამას ხშირად მათთვის საკმაოდ სავალალო შედეგი მოჰყვება ხოლმე. ინდივიდუალური საწარმოს ქონება, როგორც წესი, ემთხვევა შესაბამისი პირის ქონებას. ამის გამო, ინდივიდუალური მეწარმე სწორედ მთელი თა-

<sup>1</sup> ჟურნ. "საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა". 2002 წ., საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, გვ.48.

<sup>2</sup> ჟურნ. "საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა". 2003 წ., საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, გვ.12.

<sup>3</sup> იქვე გვ.25.

<sup>4</sup> ჟურნ. "საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა". 2004 წ., იანვარ-მაისი, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, გვ.3.

<sup>5</sup> ჟურნ. "საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა". 2003 წ., საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, გვ.26.



ვისი ქონებით აგებს პასუხს, რაც უადრესად სერიოზულ და ფრთხილ მიდგომას მოითხოვს. ინდივიდუალური საწარმოს დაფუძნებისას ფიზიკურ პირს ნათლად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, რომ სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით. უფრო რომ დაავაზნერტოთ, იმ ქონებით, რომელიც მის საკუთრებაში იმყოფება (მათ შორის, წილი თანასაკუთრებაში და სხვა).

ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში რეგისტრაციას ისეთივე კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს, როგორც იურიდიული პირების შემთხვევაში. სამართლებრივი ურთიერთობის სრულფასოვანი და სრულყოფილი მონაწილე იგი სწორედ რეგისტრაციის შემდეგ ხდება.

“ფიზიკური პირის როგორც ინდივიდუალური მეწარმის სახელმწიფო რეგისტრაცია აუცილებელი და სავალდებულოა ძირითადად შემდეგ გარემოებათა გამო: პირველ რიგში – მათი აღრიცხვის საწარმოებლად; მეორე მხრივ, მათ სამეწარმეო საქმიანობაზე კონტროლის განსახორციელებლად და მესამე – რათა გადასახადის გადამხდელთა ცალკე კატეგორიად იქნენ გამოყოფილი მოქალაქე-მეწარმეები, რომლებიც იხდიან გაზრდილ გადასახადებს იმ მოქალაქეებთან შედარებით, რომლებიც არ ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას”<sup>1</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი პირდაპირ არ განსაზღვრავს რა არის რეგისტრაცია, შეიძლება კანონის ნორმათა ანალიზიდან დავასკვნათ, რომ ინდივიდუალური მეწარმის სახე-

ლმწიფო რეგისტრაცია არის საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს (საქართველოს შემთხვევაში შესაბამისი საგადასახო ორგანო) მოქმედება, რომელიც ხორციელდება სამეწარმეო რეესტრში ფიზიკური პირის მიერ ინდივიდუალური მეწარმის სტატუსის მოპოვებასთან, აგრეთვე ფიზიკური პირის როგორც ინდივიდუალური მეწარმის საქმიანობის შეწყვეტასთან და ინდივიდუალურ მეწარმესთან დაკავშირებული სხვა შესაბამისი მონაცემების შეტანით.

როგორც აღნიშნულიდან გამომდინარეობს, “ინდივიდუალური მეწარმის სახელმწიფო რეგისტრაცია მოიცავს სამი სახის სამართლებრივ აქტს:

1. უფლებაუნარიანობის წარმოშობი აქტი, რომელიც ადგენს ფიზიკური პირის მიერ ინდივიდუალური მეწარმის სტატუსის მოპოვების (შეძენის) ფაქტს. როგორც წესი, ესაა ფიზიკური პირის, როგორც ინდივიდუალური მეწარმის სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

2. უფლებაუნარიანობის შეწყვეტი აქტი, რომელიც ადგენს ფიზიკური პირის, როგორც ინდივიდუალური მეწარმის საქმიანობის შეწყვეტის (ინდივიდუალური მეწარმის სტატუსის დაკარგვის) ფაქტს. ასეთ აქტს მიეკუთვნება სახელმწიფო რეგისტრაციის აქტი, რომელიც მიიღება (გამოიცემა) ფიზიკური პირის როგორც ინდივიდუალური მეწარმის მიერ საქმიანობის შეწყვეტისას;

3. უფლებაუნარიანობის შემცველი აქტი, რომელიც აფიქსირებს ინდივიდუალურ მეწარმეებთან დაკავ-

<sup>1</sup>К.К.Лебедев, Хрестоматия по предпринимательскому и коммерческому праву. 2001. Санкт-Петербург, с.38.

შირებული და სამეწარმეო რეესტრში უკვე რეგისტრირებული მონაცემების ცვლილებებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი, სამივე ზემოაღნიშნული აქტიდან, არ მიეკუთვნება ნორმატიულ აქტს. მიუხედავად ამისა, მათ მაინც საავალდებულო ხასიათი აქვთ. შესაბამისად, ყველა სუბიექტი, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობას ამყარებს ინდივიდუალურ მეწარმესთან, ვალდებულია იმოქმედოს ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული აქტების შინაარის შესაბამისად<sup>1</sup>.

აღსანიშნავია, რომ ძალიან ხშირად დავას იწვევს საკითხი, თუ როდიდან ითვლება რეგისტრაცია განხორციელებულად.

როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, ზღვება რეგისტრაციასავალდებულო ფაქტების რეგისტრაცია. საინტერესოა საკითხი, რომელი ფაქტები (ინფორმაცია) მიეკუთვნება რეგისტრაციასავალდებულო ფაქტებს (ინფორმაციას). დაფუძნებისას ესაა კანონით პირდაპირ განსაზღვრული ფაქტები (ინფორმაცია). მას მიეკუთვნება ფიზიკური პირის სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადობის მოწმობის (პასპორტის) ნომერი, საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ კანონი ამომწურავად განსაზღვრავს აღნიშნულ ჩამონათვალს, რაც იმას ნიშნავს, რომ დაუშვებელია ანექტაში სხვა ინფორმაციის მითითების მოთხოვნა.

დავაკონკრეტოთ, რას მოიცავს თითოეული მათგანი. ყურადღებას არ ვაქცევთ პირადობის მოწმობის (პა-

სპორტის) ნომერზე. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა კი კონკრეტულ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, გული-სხმობს “ინდივიდუალურ საწარმოს”.

რაც შეეხება სახელს, გვარს და საფირმო სახელწოდებას, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, ფიზიკური პირის სახელი მოიცავს სახელსაც და გვარსაც. დავამატებდით, რომ იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, რამდენადაც სახელი მოიცავს სახელსაც და გვარსაც, შესაძლებელი იყო კანონში მითითებული ყოფილიყო მხოლოდ “სახელი”. “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, “საფირმო სახელწოდება ანუ ფირმა არის სახელი, რომლითაც საქმიანობს საწარმო”. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური საწარმო არ წარმოადგენს საწარმოს (ამავე კანონის 2.1. მუხლში მოცემულია საწარმოსა და ჩამონათვალი, რომელთა შორისაც არაა მითითებული ინდივიდუალური საწარმო; 2.2. მუხლი კი პირდაპირ უთითებს, რომ ინდივიდუალური მეწარმე არის ფიზიკური პირი), “მეწარმეთა შესახებ” კანონით, ეს მაინც არ გამოირიცხავს ინდივიდუალური მეწარმის საფირმო სახელწოდებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირების შესაძლებლობას. აღნიშნული კანონის 6.2. მუხლი სპეციალურად ეხება ინდივიდუალური მეწარმის საფირმო სახელწოდებას და ადგენს, რომ იგი უნდა შეიცავდეს ინდივიდუალური მეწარმის სახელსა და გვარს. კანონი შესაძლებლად მიიჩნევს მასზე დამატების დართვას, ოღონდ ისე, რომ ამან არ შეიყვანოს შეცდომაში მესამე პირი, ანდა გამო-

<sup>1</sup> М.Ю.Тихомиров, Индивидуальный предприниматель - гарантии деятельности, новый порядок государственной регистрации. Москва, 2004, с.42-43.

იწვიოს შეცდომა ან გაუგებრობა საწარმოს ფორმისა თუ საქმიანობის მოცულობის, ანდა პარტნიორთა ურთიერთობის გამო. მაგალითად, არ შეიძლება ინდივიდუალური მეწარმის საფირმო სახელწოდებას წარმოადგენდეს “ინდივიდუალური საწარმო – გიორგი ებრაელი და პარტნიორები” და სხვა. ფიზიკური პირის სახელისაგან განსხვავებით, ინდივიდუალური მეწარმის საფირმო სახელწოდებაზე შესაძლებელია დამატებების დართვა, რაც გამოწვეულია მისი, როგორც სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტის, თავისებურებით, მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური მეწარმე ფიზიკურ პირს წარმოადგენს. აღნიშნულთან დაკავშირებით მეტს აღარ შეეჩერდებით, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ რეგისტრაციისას მარგისტრირებული ორგანოს მიერ აუცილებლად უნდა იყოს შემოწმებული, შეესაბამება თუ არა წარმოდგენილი საფირმო სახელწოდება კანონის მოთხოვნებს.

კანონის მოთხოვნაა აგრეთვე, რომ ანექტაში მიეთითოს ინდივიდუალური მეწარმის, ანუ ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილი. ეს აუცილებელია, რამდენადაც ინდივიდუალური მეწარმე რეგისტრაციაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ტარდება. როგორც წესი, იურიდიული პირების შემთხვევაში, მითითებული უნდა იყოს მათი იურიდიული მისამართი, ასეთს კი კანონის თანახმად, წარმოადგენს იურიდიული პირის ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი. შეიძლება ითქვას, რომ ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში, ინდივიდუალური მეწარმის იურიდიულ მისამართს სწორედ მისი საცხოვრებელი ადგილი წარმოადგენს.

ინდივიდუალური მეწარმე ხომ უშუალოდ თვითონაა “ადმინისტრაცია”. რამდენადაც ინდივიდუალურ მეწარმეს, ისევე როგორც იურიდიულ პირებს, შეუძლია დაარსოს (შექმნას) ფილიალები, ნებისმიერი სხვა ადგილი, სადაც ინდივიდუალური მეწარმე ახორციელებს საქმიანობას, ჩათვლება მისი ფილიალის ადგილსამყოფლად.

როგორც უკვე აღინიშნა, რეგისტრაციასაეკლდებულო ფაქტს ასევე წარმოადგენს ყველა უკვე რეგისტრირებული მონაცემის ცვლილება, მაგალითად, თუ ინდივიდუალური მეწარმე შეიცვლის საცხოვრებელ ადგილს, აიღებს ახალ პირადობის მოწმობას და ა.შ. ცვლილებების რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს იმავე წესით, რა წესითაც მოხდა ძირითადი ინფორმაციის (ფაქტების) რეგისტრაცია. ამასთან, თუ არ მოხდება შეცვლილი მონაცემების რეგისტრაცია კანონით დადგენილი წესით, ეს გამოიწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას, მათ შორის ადმინისტრაციულს და სისხლისსამართლებრივს.

თუ იურიდიული პირების რეგისტრაციას ახორციელებს სასამართლო (არაკომერციული იურიდიული პირებისას - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, მათ შორის, კავშირისას - 2005 წლის 1 მარტიდან), ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაციას ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი საგადასახადო ორგანო. აქვე აღვნიშნავთ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 342-ე მუხლში 2004 წლის 24 ივნისს განხორციელებული ცვლილებით, ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაციას ისევე მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არსებული სასამართლო ახორციელებს. იმედს ვიტო-

ვებზე, რომ აღნიშნული ცვლილება საკანონმდებლო შეცდომაა, რომელიც მის ამოქმედებამდე (2005 წლის 1 მარტამდე) გამოსწორდება.

ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონით, კერძოდ კი 5<sup>1</sup> მუხლით და საგადასახადო შემოსავლების მინისტრის 2001 წლის 26 ივნისის N543 ბრძანებით “ინდივიდუალური საწარმოს სამეწარმეო რეესტრის წარმოების შესახებ”. ეს, რა თქმა უნდა, არანაირად არ ნიშნავს, რომ ეს ორი ნორმატიული აქტი არეგულირებს ერთსა და იმავე საკითხებს. “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის ზემოაღნიშნული მუხლი განსაზღვრავს ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციის პირობებს, იმავე 5<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, “სამეწარმეო რეესტრის წარმოების წესი და რეგისტრაციაზე უფლებამოსილი საგადასახადო ორგანოები განისაზღვრება საგადასახადო შემოსავლების მინისტრის ბრძანებით”. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო შემოსავლების მინისტრის ბრძანებით, ასევე დამტკიცდა ინდივიდუალური საწარმოს სამეწარმეო რეესტრის ფორმა, ინდივიდუალური საწარმოს ანექტის ფორმა, ცნობა ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციისა და სამეწარმეო რეესტრში ჩართვის შესახებ და ა.შ.

რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნულ ორ ნორმატიულ აქტს შორის იჭნება კოლიზია, გამოიყენება “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლი, როგორც იერარქიით უფრო მაღალ სა-

ფეხურზე მდგომი ნორმატიული აქტი.

2001 წლის 30 მარტს, “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონში განხორციელდა ცვლილება, “რომლის მიზანი იყო ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციის გაიოლება, თუმცა რეგისტრაციის უწინდელი პროცედურაც არ იყო რთული”<sup>1</sup>. აქვე აღვნიშნავთ, რომ ცვლილებამდე არსებული პროცედურაც კი ბევრად უფრო მარტივი იყო, ვიდრე, მაგალითად, რუსეთში არსებული პროცედურა ინდივიდუალური საწარმოების რეგისტრაციისა. ბოლო პერიოდში, რუსეთშიც ხორციელდება საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები აღნიშნული პროცედურების გამარტივების მიზნით, რომელიც ისევ და ისევ ბევრად უფრო რთული და მეცრია, ვიდრე საქართველოში გამარტივების შემდეგ არსებული პროცედურები.

კანონის თანახმად, ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაცია სამისოდ უფლებამოსილი საგადასახადო ორგანოს მიერ ხდება სამეწარმეო რეესტრში (კომერციული იურიდიული პირების რეგისტრაციაც ანალოგიურად ხდება სამეწარმეო რეესტრში, რომელსაც აწარმოებს სასამართლო), შესაბამისი ანექტის წარდგენიდან 1 დღის ვადაში (კომერციული იურიდიული პირების რეგისტრაცია სასამართლოების მიერ ხორციელდება შესაბამისი საბუთების წარდგენიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში). თუ ამ ვადაში განმცხადებელს არ ეცნობება მოტივირებული უარის შესახებ, საწარმო ჩაითვლება რეგისტრირებულად.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ეს აღიარებულია, ინდივიდუალური სა-

<sup>1</sup> ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის კომენტარი, შესამე გამოცემა, თბ., 2002, გვ.27.

წარმოს რეგისტრაცია ხდება შესაბამისი ანექტის წარდგენიდან 1 დღის ვადაში, ვფიქრობ, ეს მაინც კანონის განმარტებაა (დაზუსტებული საგადასახადო შემოსავლების მინისტრის ბრძანებით) და იგი პირდაპირ არ გამოდინარეობს კანონის შესაბამისი ნორმების ანალიზიდან. მხედველობაში მაქვს შემდეგი: “მეწარმეთა შესახებ” კანონის 51 მუხლის მე-11 პუნქტი უთითებს, რომ “საგადასახადო ორგანო ანექტის წარდგენიდან 1 დღის ვადაში ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციის თაობაზე”. ცხადია, რომ გადაწყვეტილების მიღება რეგისტრაციის თაობაზე ჯერ კიდევ არ ნიშნავს რეგისტრაციას. რეგისტრაცია ნიშნავს შესაბამისი ჩანაწერების შეტანას სამეწარმეო რეესტრში. თუცა ეს ერთი შეხედვით უდავო შეხედულებაც კი ეჭვქვეშ დგება ამავე მუხლის მე-2 პუნქტით, რომელიც ადგენს, რომ “საგადასახადო ორგანო ვალდებულია შექმნას სამეწარმეო რეესტრი, რომელშიც ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციიდან ერთი დღის ვადაში შეიტანება:

ა. ამ მუხლის მე-9 პუნქტის “ა-გ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები;

ბ. რეგისტრაციის ნომერი და თარიღი“.

მე-9 მუხლის „ა-გ“ ქვეპუნქტები შესაბამისად ადგენენ იმ მონაცემებს, რომელთაც უნდა შეიცავდეს ანექტა, ანუ იგი განსაზღვრავს რეგისტრაციასავალდებულო ფაქტებს (ინფორმაციას). თუ რეესტრში რეგისტრაციიდან ერთი დღის შემდეგ შეიტანება ინდივიდუალური მეწარმის საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამა-

რთლებრივი ფორმა, ინდივიდუალური მეწარმის სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილი და პირადობის მოწმობის (პასპორტის) ნომერი, მაშინ საერთოდ გაურკვეველი ხდება თვით რეგისტრაციის მომენტში რა მონაცემები შეიტანება სამეწარმეო რეესტრში ან საერთოდ, რას მოიცავს ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაცია, რადგან, თურმე მხოლოდ მისი რეგისტრაციიდან 1 დღის ვადაში ხდება მითითებული მონაცემების შეტანა სამეწარმეო რეესტრში. რეგისტრაცია, უფრო ზუსტად კი რეგისტრაციის ფაქტი, როგორც ნორმის განმარტებიდან ჩანს, საერთოდ ყურადღების მიღება დარჩენილი.

უდავოდ საჭიროებს დაკონკრეტებას, რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება ნიშნავს თუ არა უკვე რეგისტრაციის განხორციელებას და ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციისაგან რით განსხვავდება მასთან დაკავშირებული კანონით განსაზღვრული მონაცემების შეტანა სამეწარმეო რეესტრში, ასევე, რა ვადაში ხდება საწარმოს რეგისტრაცია.

ვფიქრობ, აღნიშნულის გამოსასწორებლად საჭიროა, განსახილველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რელაქციით: „საგადასახადო ორგანო ვალდებულია შექმნას სამეწარმეო რეესტრი, რომელშიც საწარმოს რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 1 დღის ვადაში ხორციელდება ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაცია რეესტრში შემდეგი მონაცემების შეტანით:

ა. ინდივიდუალური მეწარმის საფირმო სახელწოდება;

ბ. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა;



გ. ინდივიდუალური მეწარმის სახელი (სახელი და გვარი), საცხოვრებელი ადგილი და პირადობის მოწმობის (პასპორტის) ნომერი;

დ. რეგისტრაციის ნომერი და თარიღი.

ამასთან, გადაწყვეტილება ან უარი ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციაზე მიიღება ანკეტის წარდგენიდან 1 დღის ვადაში. ინდივიდუალური მეწარმე რეგისტრირებულად ითვლება სამეწარმეო რეესტრში შესაბამისი მონაცემების შეტანის მომენტიდან”.

5<sup>1</sup> მუხლის მე-2 და მე-11 მუხლები საჭიროებენ ურთიერთშესაბამისობაში მოყვანას. არანაირად არ იკვეთება, რას ნიშნავს რეგისტრაცია. თუ რეგისტრაცია ნიშნავს სამეწარმეო რეესტრში შესაბამისი მონაცემების შეტანას, მაშინ გაურკვეველია რეგისტრაციიდან ერთი დღის ვადაში როგორ უნდა იქნეს სამეწარმეო რეესტრში სათანადო მონაცემები შეტანილი. ასევე, თუ მხოლოდ რეგისტრაციიდან ერთი დღის შემდეგ შეიტანება (რეგისტრირდება) სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი, ანუ, თუ მხოლოდ ამის შემდეგ არის იგი რეგისტრირებული, მაშინ რეგისტრირებულს როგორ მიენიჭება სარეგისტრაციო ნომერი (მე-11 პუნქტი). სარეგისტრაციო ნომრის მინიჭება და მისი რეესტრში შეტანა ერთი და იგივე მოვლენაა და შედეგად სწორედ ინდივიდუალურ მეწარმეს წარმოშობს.

თუ ზემოთ მოყვანილ მსჯელობას გავეყვებით, არანაირად არ იქნება ნათელი ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციის ვადა (რომელიც, გავიქორებ, არ უთანაბრდება რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას), მით უფრო 1 დღის ვადაში.

რის გამოც, მიუხედავად არსებული პრაქტიკისა, მაინც აუცილებლად მიმაჩნია, აღნიშნული, ისევე როგორც საკითხი, თუ რას გულისხმობს რეგისტრაცია, გამოვეთილად უნდა ჩანდეს კანონის შესაბამის დებულებებში და არა მხოლოდ ბრძანებაში.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ, როგორც ეს მე-12 პუნქტშია მითითებული, რეგისტრაცია არ არის მხოლოდ იმის გარკვევა, შესაბამეა თუ არა წარდგენილი ანკეტა კანონის შესაბამისი მუხლის მოთხოვნებს და ამის გამო მასზე ბეჭდის დასმა და რეგისტრაციის თარიღის, სარეგისტრაციო ნომრისა და გადასახადის გადასხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მითითება. რეგისტრაცია უფრო მნიშვნელოვანი ფაქტია, ვიდრე ეს ბეჭდის დასმაა. რეგისტრაცია წარდგენილი მონაცემების კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობების დადგენის შემდეგ სათანადო მონაცემების შეტანა სამეწარმეო რეესტრში, რის შემდეგაც უნდა მიენიჭოს რეგისტრირებულ ინდივიდუალურ საწარმოს შესაბამისი ნომრები და არა პირიქით.

რაც შეეხება თვით ანკეტას. კანონის თანახმად, ფიზიკური პირი დადგენილი ფორმის ანკეტას ავსებს ორ ეგზემპლარად და აუცილებელია მათი დადასტურება სანოტარო წესით. სწორედ ამგვარი ფორმით უნდა წარედგინოს იგი საგადასახადო ორგანოს. ანკეტის შესავსებად პირს უფლება აქვს, გამოიყენოს საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ანკეტა ან მისი ასლი. ანკეტა, თავის მხრივ, უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: ინდივიდუალური მეწარმის საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, ინდივიდუალური

მეწარმის სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილი და პირადობის მოწმობის (პასპორტის) ნომერი, ინდივიდუალური მეწარმის ხელმოწერა. ანექტას ინდივიდუალური მეწარმე ან საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი საგადასახადო ორგანოს წარუდგენს უშუალოდ ან უგზავნის დაზღვეული წერილით.

როგორც აღნიშნული ადასტურებს, საკმაოდ განსხვავებული და გამარტივებულია ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციისათვის წარსადგენი დოკუმენტები. თუ მაგალითად, შპს-ისა და სხვა საწარმოების რეგისტრაციისათვის მოითხოვება შესაბამისად წესდება, განცხადება, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, საწესდებო კაპიტალში შესატანის შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტი და ა.შ. ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციისათვის ფიზიკური პირი ავსებს მხოლოდ ანექტას, რომელიც მან დაუბრკოლებლად უნდა მიიღოს საგადასახადო ორგანოში.

საყურადღებოა "მეწარმეთა შესახებ" კანონის იმპერატიული მოთხოვნა, რომ რეგისტრაციისათვის "დაუშვებელია რაიმე სხვა დოკუმენტის ან ინფორმაციის მოთხოვნა" (5<sup>1</sup> მუხლის მე-14 პუნქტი). თუმცა ამ დანაწესიდან არ ჩანს, რომელიც არის რაიმე სხვა დოკუმენტის ან ინფორმაციის მოთხოვნა დაუშვებელი. ალბათ აქ იგულისხმება, რომ აღნიშნული დაუშვებელია რეგისტრაციისათვის. თუმცა თუ ეს ასეა, ისიც ნათელია, რომ არანაირი დოკუმენტის წარდგენას კანონი არ ითვალისწინებს ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციისათვის, თუ არ ჩავთვლით ანექტას.

თავის მხრივ საინტერესოა საკითხი, უნდა შეეძლოს თუ არა საგადასახადო ორგანოს, მოსთხოვოს ინდივიდუალურ მეწარმეს "სხვა რაიმე დოკუმენტი ან ინფორმაცია". კანონის დანაწესი, რომლითაც არა აქვს მას ამის უფლება, უდავოდ პროგრესულია და იცავს ინდივიდუალურ მეწარმეს თანამდებობის პირთა დაუსაბუთებელი მოთხოვნებისაგან, მაგრამ ისიც უნდა აღნიშნოთ, რომ ეს არ ნიშნავს ინდივიდუალური მეწარმისათვის ანექტაში არასწორი მონაცემების შეტანის შესაძლებლობის დატოვებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანექტა წარადგენილი უნდა იყოს სანოტარო წესით დადასტურებული ფორმით. ეს კითხვა არ დაიბადებოდა, თუ კანონი გაითვალისწინებდა არა სანოტარო წესით დადასტურებას, არამედ დამოწმებას. დადასტურების დროს, განსხვავებით დამოწმებისაგან, ნოტარიუსის მიერ არ ზდება შესაბამისი დოკუმენტის სამართლებრივი შესაბამისობის დადგენა, იგი მხოლოდ უფლებამოსილი პირის ხელმოწერას ადასტურებს. ეს, რა თქმა უნდა, იწვევს იმას, რომ ანექტაში შეტანილი მონაცემების სისწორეზე, გარდა თვით უშუალოდ ფიზიკური პირისა, არავინ არ ავებს პასუხს. რაც, ვფიქრობ, დაუშვებელია. ან უნდა მოხდეს ანექტის დამოწმება და ნოტარიუსი იქნება პასუხისმგებელი ანექტაში შეტანილი მონაცემების სისწორეზე, ან საგადასახადო ორგანოს უნდა მიეცეს უფლება, გადაამოწმოს ანექტაში მითითებული მონაცემები, რისთვისაც შესაძლოა, სწორედ რომ დასჭირდეს სხვა დოკუმენტების ან ინფორმაციის მოთხოვნა. მაგალითად, თუ შეეპარება ეჭვი ანექტაში მითითებული საცხოვრებელი ადგილის სისწორეში, მოითხოვოს რე-

გვისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და ა.შ. ეს მით უფრო უდავოა, თუ გაეთვალისწინებთ, რომ ანკეტაში შეტანილ ნებისმიერ მონაცემს უკავშირდება მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგები - რეგისტრაცია ხდება მითითებული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აღნიშნულზეა დამოკიდებული მისი გადასახადის გადასხედლად რეგისტრაცია კონკრეტულ სავადასახადო ორგანოში, მაშინ როდესაც პირი შესაძლოა, სულაც არ იყოს შესაბამისი სავადასახადო ორგანოს ქვემდებარე ტერიტორიის მცხოვრები. მით უფრო შესაძლოა, ის იყოს პირი, რომელსაც საქართველოში საერთოდ არა აქვს საცხოვრებელი ადგილი.

ვფიქრობ, ეს საკითხი საჭიროებს უფრო მეტ ყურადღებას და მკაცრ რეგულირებას, რამდენადაც ზედმეტი ლიბერალიზმი ისეთივე უარყოფითი შედეგების მომტანია, როგორც მოჭარბებული ბიუროკრატიზმი და ფორმალზმი.

საკანონმდებლო ცვლილებების მნიშვნელოვანი სიახლეა ისიც, რომ ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციისათვის არ გადაიხდება სახელმწიფო ბაჟი, მოსაკრებელი ან სხვა რაიმე გადასახდელი, აგრეთვე ამომწურავად განისაზღვრა რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები, კერძოდ, თუ ანკეტა არ არის წარდგენილი ორ ეგზემპლარად და თითოეული მათგანი არ არის დადასტურებული სანოტარო წესით.

ამასთან, თანამდებობის პირის მიერ ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციაზე პირისათვის უკანონოდ უარის თქმა იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას, მათ შორის სისხლისსამართლებრივს და ადმინისტრაციულ-სამართლებრივს.

ახლა კი მოვლედ შევეხოთ სხვა ქვეყნებში ფიზიკური პირების როგორც ინდივიდუალური მეწარმეების რეგისტრაციის საკითხს.

**გერმანიის სავაჭრო კოდექსის** თანახმად, ფიზიკური პირი - მეწარმე შეიძლება მივაკუთვნოთ გერმანულ სამართალში კომერსანტების ჯგუფს, რომელსაც უწოდებენ კომერსანტებს სურვილით (*kann Kaufmann*). აღნიშნულ ჯგუფს მიეკუთვნებიან მეწარმეები, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას აწარმოებენ მცირე მოცულობით და არ მოითხოვენ განსაკუთრებული წესით მოწყობილ საწარმოს. ესენი არიან ეგრეთ წოდებული წვრილი კომერსანტები, ე.ი. მცირე საწარმოების მფლობელები. მათ ასევე მიეკუთვნებიან ის კომერსანტები, რომლებიც საქმიანობენ სოფლისა და სატყეო მეურნეობის სფეროებში. მათ უფლება აქვთ, მკარამ არ არიან ვალდებული დარეგისტრირდნენ სავაჭრო რეესტრში.

მაშასადამე, ყველა კომერსანტი ექვემდებარება სავაჭრო რეესტრში (რეგისტრი - *Handelsregister*) რეგისტრაციას სავალდებულო წესით ან სურვილით. სავაჭრო რეესტრის ქვეშ მოიაზრება სპეციალურ გამოცემებში გამოქვეყნებული სავაჭრო სუბიექტების, აგრეთვე სავაჭრო სამართლის სუბიექტებთან დაკავშირებული სხვა იურიდიული ფაქტების (შეტყობინება გაკონტრებისა და დიკვიდაციის პროცედურების, საწესდებო კაპიტალის გაზრდის ან შემცირების შესახებ და ა.შ.) სია. მას აწარმოებენ პირველი ინსტანციის საერთო სასამართლოები, მიწების ხელმძღვანელობის ან იუსტიციის სამინისტროების მიერ დადგენილი წესით.

სავაჭრო რეესტრის მნიშვნელოვანი პრინციპს წარმოადგენს ის, რომ

გერმანიის სავაჭრო სჯულდების მე-9 მუხლის მიხედვით, სავაჭრო რეესტრის, აგრეთვე რეესტრში წარდგენილი დოკუმენტების გაცნობა არის თითოეულის უფლება. პირს უფლება აქვს, გაცნოს მონაცემებს, რომლებსაც შეიცავს სავაჭრო რეესტრი და იგი არ არის ვალდებული, მოიყვანოს მტკიცებულებები ამგვარი მონაცემების მიღებაში, თავისი დანიტერესების შესახებ. აღნიშნული მონაცემები ქვეყნდება სპეციალურ ოფიციალურ გამოცემაში “ფედერალური მოამბე” (“Bundesanzeiger”) და აგრეთვე სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ერთ-ერთ ყოველდღიურ გამოცემაში (როგორც წესი, ესაა ადგილობრივი პრესა).

განცხადება სავაჭრო რეესტრში რეესტრაციის თაობაზე, აგრეთვე ინდივიდუალური მეწარმის ხელმოწერა, რომელიც ინახება რეესტრის მწარმოებელ შესაბამის სასამართლოებში, წარდგენილი უნდა იყოს სანოტარო წესით დამოწმებული ფორმით.

დიდ ბრიტანეთში ინდივიდუალური მეწარმე (Sole Trader) – ესაა ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას საკუთარი სახელითა და თავისი ხარჯით. ინდივიდუალური სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად პირს არ მოეთხოვება სპეციალური სახელმწიფო რეგისტრაციის გავლა სავაჭრო რეესტრის მწარმოებელ ორგანიზაციაში. ამასთან, ინდივიდუალური მეწარმეების აღრიცხვა ხორციელდება საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო დაბეგვრის მიზნებისათვის. ფინანსური შედეგები არ ექვემდებარება სავალდებულო აუდიტორულ შემოწმებას და

შეიძლება არ გამოქვეყნდეს. ინდივიდუალური მეწარმე მის მიერ განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით<sup>2</sup>.

რაც შეეხება საფრანგეთს, აქაც სამეწარმეო საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირების - ინდივიდუალური კომერსანტების მიერ, მათ შორის როგორც საფრანგეთის მოქალაქეების, ისე უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების მიერ. ინდივიდუალური მეწარმეები სამეწარმეო საქმიანობას დაიწყებენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც სავაჭრო რეესტრში შევა შესაბამისი მონაცემები მეწარმის შესახებ, ანუ გაივლიან რეგისტრაციას.

ინდივიდუალური მეწარმეები შეადგენენ კომერციული საქმიანობის მონაწილეთა უმრავლესობას. მათზე მოდის ძირითადად ეკონომიკის ის სექტორები, რომლებიც მიეკუთვნებიან მცირე და საშუალო ბიზნესს, ეს კი თავის მხრივ, დაახლოებით, პაზრის მონაწილეთა 90%-ია. რეგისტრაციას ახორციელებენ სავაჭრო სასამართლოების მდივნები. იქ კი, სადაც არაა სავაჭრო სასამართლოები – პირველი ინსტანციის საერთო სასამართლოები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ყველა კომერსანტი უნდა იყოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრი. ამიტომაც ყველა ინფორმაცია რეგისტრირებული კომერსანტების, მათ შორის ორგანიზაციების შესახებ, ნიწოდება სავაჭრო-სამრეწველო პალატას. თუმცა შესაბამისი ინფორმაციის გაცნობა შესაძლებელია მხოლოდ სასამა-

<sup>1</sup> А. Ю. Бушев, О.А. Макарова, В. Ф. Попондопуло, Коммерческое право зарубежных стран. изд. "Питер", 2003, с. 31-34.

როლოში და არა სავაჭრო-სამრეწველო პალატაში. სავაჭრო რეესტრის ღიაა. გამოქვეყნება ხორციელდება სავაჭრო რეესტრის შესახებ დეკრეტით განსაზღვრული წესით გამოცემაში "მოქალაქეთა და კომერციული განცხადებების ოფიციალური ბიულეტენი"<sup>1</sup>.

კომერსანტი ფიზიკური პირები ვალდებული არიან, დადგინდეს ვადაში შეიტანონ განცხადება რეგისტრაციის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსამართლეს, საკუთარი ინიციატივით, რეესტრის პრაქტიკის ან ნებისმიერი დაინტერესებული პირის მოთხოვნით, გამოაქვს დადგენილება, რომელიც ავალდებულებს პირს შესაბამისი განცხადების შეტანას. საფრანგეთის სავაჭრო კოდექსი რეგისტრაციის წესის დარღვევისათვის ითვალისწინებს პირის ქონებაზე როგორც ყადაღის დადებას, ისე სხვა შედეგებსაც.

კომერსანტის საქმიანობისთვის რეგისტრაციის მნიშვნელობა გამოკვეთილია, კერძოდ, საფრანგეთის სავაჭრო კოდექსის 123-8 მუხლში. ამ წესის შესაბამისად, კომერციული საქმიანობის დაწყებიდან 15 დღის განმავლობაში რეგისტრაციაზე განცხადების შეუტანლობისას, პირს არ შეუძლია ისარგებლოს მესამე პირებთან და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობებში კომერსანტის სტატუსის უფლებებითა და უპირატესობებით. ამასთან, მას არ შეუძლია მიუთითოს რეესტრში მის შესახებ ჩანაწერის არარსებობის თაობაზე იმისათვის, რომ გათავისუფლდეს იმ პასუხისმგებლობისაგან და მოვალეობე-

ბისაგან, რაც უკავშირდება კომერსანტის სტატუსს.

პირები, რომლებიც ვწვეიან ისეთ სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც არ არის გათვალისწინებული კანონით როგორც კომერციული, მაგრამ არსებითად წარმოადგენს ასეთს, ექვემდებარებიან რეგისტრაციის სავაჭრო რეესტრში როგორც კომერსანტები. საფრანგულ დასახელებაში კეთდება აღნიშვნა "რეგისტრირებული კომერსანტი". სასოფლო და სატყეო მეურნეობების სფეროს კომერსანტებს არ ევალებათ სავაჭრო რეესტრში რეგისტრაცია.

რაც შეეხება რუსეთს, ინდივიდუალურ მეწარმედ მიიჩნევა ფიზიკური პირი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს ოურიდიული პირის შეუქმნელად. ამასთან, "ავტომატურად მეწარმედ მიიჩნევა საოჯახო (ფერმერული) მეურნეობის უფროსი შესაბამისი მეურნეობის სახელმწიფო რეგისტრაციის მომენტიდან და მას განსაკუთრებული რეგისტრაცია ინდივიდუალურ მეწარმედ არ მოეთხოვება"<sup>2</sup>.

აღსანიშნავია, რომ "ინდივიდუალური მეწარმის მიმართ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ოურიდიული პირების საქმიანობას, თუ სხვა რამ არ გამომდინარეობს კანონიდან, სხვა სამართლებრივი აქტებიდან ან სამართალურთიერთობის ბუნებიდან, მაგალითად, წესი, რომელიც დადგენილია ოურიდიული პირების რეგისტრაციის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციისათვის და ა.შ. არ გამოიყენება ინდივიდუალური მეწარმეების მიმართ"<sup>3</sup>.

<sup>1</sup> А. Ю. Бушев, О.А. Макарова, В. Ф. Попондопуло, Коммерческое право зарубежных стран. изд. "Питер", с.99-100.

<sup>2</sup> С. Э. Жилинский, Предпринимательское право. 5-е издание. Москва, 2004, с.116.

<sup>3</sup> А. Н. Гув, Гражданское право. Москва, 2003, т.1, с.63-64.



2003 წლის 23 ივნისს რუსეთმა მიიღო კანონი “ინდივიდუალურ მეწარმეთა სახელმწიფოებრივი რეგისტრაციის შესახებ”, რისი აუცილებლობაც განპირობებული იყო ფედერალურ დონეზე იმ ურთიერთობების ერთიანი სამართლებრივი რეგულირების არარსებობით, რომლებიც წარმოიშობოდნენ ინდივიდუალურ მეწარმეთა სახელმწიფოებრივი რეგისტრაციასთან დაკავშირებით, როგორც ეს რუე სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლითაა დადგენილი.

ფედერალური კანონის არარსებობა, რომელიც დაარეგულირებდა ინდივიდუალურ მეწარმეთა სახელმწიფოებრივი რეგისტრაციის სფეროში არსებულ ურთიერთობებს, ქმნიდა გაურკვეველობას მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლების - სამეწარმეო საქმიანობისათვის მათი შესაძლებლობისა და ქონების თავისუფალ გამოყენებაში. ამასთან, ასეთი მდგომარეობა ქმნიდა ნიადაგს ბოროტად გამოყენების მრავალრიცხოვანი შემთხვევებისათვის და მნიშვნელოვანწილად ამუხრუჭებდა ურთიერთობების განვითარებას სამეწარმეო საქმიანობის სფეროში.

აღსანიშნავია, რომ, თუმცა ინდივიდუალური მეწარმე რეგისტრირდება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საცხოვრებელი შენობის (ფართის) ფაქტობრივად გამოიყენება არა საცხოვრებლად, არამედ ოფისისათვის, არ შეიძლება. საცხოვრებელი შენობის შესაყურთვე ვალდებულია გამოიყენოს იგი მისი დანიშნულების მიხედვით, თანახმად რუე სამოქალაქო კოდექსის 288 მუხლის მე-2 ნაწილისა, რომელიც ადგენს, რომ საცხოვრებელი შენობა-ნაგებობები გათვალისწინებულია მოქალაქეთა საცხოვრებლად. ამავდემუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, “სა-

ცხოვრებელ სახლებში სამრეწველო წარმოების განთავსება აკრძალულია”. მესაყურთის მიერ საცხოვრებელ შენობა-ნაგებობაში ორგანიზაციის, დაწესებულების, საწარმოს განთავსება შეიძლება მხოლოდ მისი არასაცხოვრებლად გადაკეთების შემდეგ, რაც ცალკე სპეციალურად წესრიგდება საბინაო კანონმდებლობით.

რუსეთის კანონმდებლობა აღნიშნულთან დაკავშირებით საკმაოდ დეტალური და მოწესრიგებულია და უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართული და რუსული კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები ანალოგიურია ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციის საკითხთან დაკავშირებით. თუმცა ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ, რამდენადაც კონკრეტულია რუსული კანონმდებლობა და საკანონმდებლო დონეზე თითქმის ამომწურავად არეგულირებს ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, იმდენად ზოგადია ქართული კანონმდებლობა, რომელიც ამ ნაწილშიც საჭიროებს შესაბამისი გამოცდილების გაზიარება-გათვალისწინებას.

რუსეთში ინდივიდუალური საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაცია ხორციელდება მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ სახელმწიფო რეგისტრაციის წიგნში შესაბამისი ჩანაწერის გაკეთების გზით შესაბამისი დოკუმენტების წარდგენიდან 5 დღის ვადაში (აღნიშნული ვადა მოიცავს დოკუმენტების მიღების დღეს). რეგისტრაციამდე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მისი შეტანის დღიდან 5 დღეში კონკრეტულ დარღვევებზე მითითებით. რეგისტრაციამდე უარი შეიძლება გასაჩივრდეს სამართლოში.

აქვე აღნიშნავთ, რომ “ფიზიკური პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე, არ ანიჭებს მას უფლებას, მის მიერ დადებულ გარიგებებთან დაკავშირებით, დაეყრდნოს იმას, რომ ის არ ითვლება მეწარმედ. სასამართლოს შეუძლია იგი მიიჩნიოს “ფაქტობრივ მეწარმედ” და გამოიყენოს სამოქალაქო სამართლის ნორმები ვალდებულებათა შესახებ მის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას დადებულ გარიგებებთან დაკავშირებით (რუსეთის სამოქალაქო კოდექსის 23-ე მუხლის მე-4 ნაწილი)”<sup>1</sup>.

დაბოლოს, მოვიყვანთ მცირე სტატისტიკას ინდივიდუალური საწარმოების რეგისტრაციასთან დაკავშირებით რუსეთთან მიმართებაში.

სსრკ-ის სტატისტიკით, 1990 წლის 1 იანვრისათვის საბჭოთა კავშირში იყო 90000-ზე მეტი ადამიანი, რომლებიც ინდივიდუალურ შრომით საქმიანობაში იყვნენ ჩართული, 2001 წლის 1 იანვრისათვის მხოლოდ რუსეთის ფედერაციაში 3 მლნ-ზე მეტი ადამიანი, ხოლო 2002 წლის 1 ივლისის რუსეთის საგადასახადო და შემოსავლების სამინისტროს მონაცემ-

ბით 4,6 მლნ ადამიანი, რომლებიც 1,5-ჯერ აღემატებოდნენ იურიდიულ პირებს - 3,2 მლნ-ს. ამგვარად, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების პოპულარობა, იურიდიული პირის შექმნის გარეშე, თანდათან იზრდება. იმავედროულად, ხისტი სახელმწიფო პოლიტიკა ამ სფეროში, ადმინისტრაციული ბარიერების დიდი რაოდენობა, სტიმულირებული საგადასახადო სისტემის არარსებობა გვევლინება დაბრკოლებად რფ-ში მცირე ბიზნესის დინამიკური განვითარებისათვის<sup>2</sup>.

წარმოდგენილი სტატია ადასტურებს, რომ მიუხედავად ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციის პროცედურის სიმარტივისა, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭიროა მისი უფრო მეტად დახვეწა, რათა აღნიშნული გახდეს სამართლებრივად უფრო მოქნილი და გამოირიცხოს ყველა ის ზემოაღნიშნული ხარვეზი, რაც მას განსაკუთრებით ახასიათებს ქართულ კანონმდებლობაში. ამასთან, იმედს ვიტოვებთ, რომ წარმოდგენილი უცხოური გამოცდილება გარკვეულწილად გახდება შესაბამისი ცვლილებების მომზადების საფუძველი.

<sup>1</sup> В.А.Белов, Гражданское право. Общая и особенная части. Москва, 2003, с.66.

<sup>2</sup> Т.А.Гусева, Н.В.Ларина, Индивидуальный предприниматель, от регистрации до прекращения деятельности. Москва, 2004, с. 16.

**გურამ ნაჭყია**

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**სახელმწიფოსთან პიროვნების  
სისხლისსამართლებრივი კავშირის საკითხისათვის**

სახელმწიფოსთან პიროვნების სამართლებრივი კავშირის პრობლემა შეიძლება სხვადასხვა ასპექტით განვიხილოთ. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს სამართლის ფილოსოფია, რომელიც ადამიანის ყოფიერების ფუნდამენტური კანონზომიერების ფონზე, შეეხება სახელმწიფოსთან პიროვნების სამართლებრივი კავშირის საზრისის პრობლემას. პოლიტიკურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, არსებითაა მოქალაქეობის ცნება, რომელიც კონსტიტუციური სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს ასახავს. კონსტიტუცია საზოგადოდ სამართლის სისტემის მწვერვალია, რომელშიც გაცხადებულია სამართლის ფუნდამენტური პრინციპები. ეს პრინციპები, სამართლის სისტემის კანონზომიერებათა შესაბამისად, განსაზღვრავენ სამართლის დარგების იერარქიულ ბუნებას სამართლებრივ ღირებულებათა გადანაწილების აქსიოლოგიური კანონის შესაბამისად. ამ თვალსაზრისით აშკარაა, რომ კონსტიტუცია სამართლებრივი ღირებულების მწვერვალსაც წარმოადგენს, რადგან მასში უმაღლესი სამართლებრივი მოთხოვნაა გამოხატული (მაგალითად, საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის დამკვიდრება). ამ მხრივ კი სისხლის სამართალში მინიმალური სამართლებრივი მოთხოვნაა გამოხატული, რადგან იგი დანაშაულის, როგორც უკიდურესი სამართალდარღვევის, თავიდან აცილებას მოითხოვს. ამიტომაც რომ სამართლის სისტემას იწყებს კონსტიტუციური სამართალი და ამთავრებს სისხლის სამართალი. ეს ფაქტი სისტემის ენაზე და კანონზომიერების მიხედვით იმას ნიშნავს, რომ კონსტიტუციურ სამართალსა და სისხლის სამართალს შორის უფრო მეტია ანალოგიური ნიშნები, ვიდრე სამართლის სხვა შუალედურ რგოლებს შორის. რამდენადაც სამართლის ყოველი დარგის სპეციფიკა გამოხატულია შესატყვის სამართლებრივ ურთიერთობაში, ამდენად, ეს ანალოგია კონსტიტუციურ-სამართლებრივ და სისხლისსამართლებრივ ურთიერთობებში უნდა ვეძიოთ. ამ მხრივ სადავო არ არის, რომ კონსტიტუციურ სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი აუცილებელი სუბიექტი სახელმწიფოა. მასსადავად, სახელმწიფოსთან პიროვნების სისხლისსამართლებრივი კავშირი დაეას არ უნდა იწვევდეს. ეს კავშირი აუცილებელია იმისათვის, რომ დასაბუთდეს როგორც სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, ისე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

სამწუხაროდ, იმის გამო, რომ იურიდიულ ლიტერატურაში სახელმწიფოსთან სისხლისსამართლებრივი კავშირი გაურკვეველია, გაურკვეველია სისხლის სამართლის მეცნიერების მთელი რიგი საკითხები. ეს ბუნებრივია, რადგან სამართლებრივ ურთიერთობას სამართლის ნებისმიერ დარგში ფუნდამენტური



მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს. მაგრამ საქმე ისაა, რომ გერმანელი კოლეგები სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის პრობლემას, როგორც წესი, არც განიხილავენ. ამ ვითარებაში კი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა ვერც დაისმება და ვერც გადაიჭრება, რადგან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სახელმწიფოსთან პიროვნების კავშირის გარეშე შეუძლებელია. მით უმეტეს, რომ განაჩენი სახელმწიფოს სახელით გამოდის. მაგრამ „პასუხისმგებლობა“ არ ნიშნავს მხოლოდ ამ ფენომენის ნეგატიურ ასპექტს, ე.ი. უარყოფით რეაქციას უკვე ჩადენილ ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე, არამედ ნიშნავს პასუხისმგებლობასაც მომავლისათვის, ე.ი. ვალდებულებისადმი პასუხისმგებლურ დამოკიდებულებასაც, რომლის წყალობით არსებობს ადამიანი როგორც სოციალური არსება. სამწუხაროდ, რუსი კოლეგები დღემდე ფიქრობენ, რომ სისხლის სამართალი დანაშაულის ჩადენის გამო წარმოშობილ ურთიერთობას აწესრიგებს. დანაშაული კი ნეგატიურ პასუხისმგებლობას მოითხოვს. ამკარაა, რომ დანაშაულის ჩადენის გამო, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის იდეა გამოირიცხავს სისხლის სამართალში პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტის შესაძლებლობას. ეს კი არსებითად ეწინააღმდეგება პასუხისმგებლობის პოზიტიურად და ნეგატიურად დაყოფის ფილოსოფიურ ტრადიციას. საქმე ის გახლავთ, რომ სუბიექტს უნდა ჰქონდეს თავისი მოვალეობისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულების უნარი, რომ შემდგომ, ნეგატიური წესით, პასუხი აგოს მის მიერ ჩადენილი ანტისაზოგადოებრივი

ქმედებისათვის. ამაზე მეტყველებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე და 34-ე მუხლები (შეურაცხაობა ასაკისა და სულიერი ჯანმრთელობის გამო), კერძოდ, სუბიექტი შერაცხავდა უნდა იყოს, რათა მას შეეძლოს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება. უპასუხისმგებლოდ, ანუ ბრალეულად მხოლოდ ამგვარ პირს შეუძლია მოიტყვეს. ამიტომ შეცდომაა, როდესაც შერაცხავლობის თუ შეურაცხაობის ცნებას მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან მიმართებით განიხილავენ და, როგორც წესი, მხედველობაში არ იღებენ მართლზომიერი ქმედების მექანიზმში პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტის გადამწყვეტ მნიშვნელობას. კერძოდ, მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება ამ ქმედების ჩადენის საკმარისი პირობაა. მაგრამ სისხლის სამართალში პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტის გამოვლენისათვის საჭიროა იმისი დასაბუთება, დანაშაულთა თავიდან აცილების გამო, რომ არსებობს სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა. ამაზე მეტყველებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მესამე ნაწილი, რომლის თანახმად, ამ კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა. მაშასადამე, საზოგადოების ყველა დელიქტუნარიანი წევრი ვალდებულია, იმოქმედოს მართლზომიერად, ე.ი. შესარულოს სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნა, რათა დანაშაულის ჩადენა თავიდან იქნეს აცილებული. ამ მიმართებით იკვეთება სახელმწიფოსა და სი-

სხლის სამართლის სუბიექტის (შერაცხადი პირის) სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც დანაშაულთა თავიდან აცილების მიზანს ემსახურება. სახელმწიფო, როგორც კანონმდებელი, დანაშაულთა წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრძოლის ორგანიზატორია. ეს, უპირველეს ყოვლისა, დანაშაულთა თავიდან აცილების ასპექტით ვლინდება.

ამრიგად, სისხლის სამართლის კანონის პრაქტიკული ამოქმედების მომენტიდან იქმნება სახელმწიფოსთან პიროვნების სისხლისსამართლებრივი კავშირ-ურთიერთობა, რომელიც პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტის გამოვლენის იურიდიულ ფორმას წარმოადგენს. სამწუხაროდ, იურიდიულ ლიტერატურაში, როგორც წესი, პასუხისმგებლობას განმარტავენ როგორც სუბიექტის მოვალეობას, რითაც პასუხისმგებლობა გაიგივებულია ურთიერთობასთან. ამ გაიგივებამ კი დამახინჯა როგორც ურთიერთობის, ისე პასუხისმგებლობის ბუნება. ამიტომაც, რომ იურიდიული პასუხისმგებლობის თეორიაში, როგორც იტყვიან, ძალი პატრონს ვერ ცნობს. ამ მოკლე სტატიაში, ცხადია, ამ ურთულეს პრობლემას არსებითად ვერ შევხებით. გვინდა მხოლოდ ყურადღება მივაქციოთ სახელმწიფოსთან პიროვნების სისხლისსამართლებრივი კავშირის ზოგიერთ მეთოდოლოგიურ საკითხს, რათა შევაშალოთ სისხლის სამართალში ნეგატიური პასუხისმგებლობის პრობლემა.

ვფიქრობთ, სუბიექტი, მის მიერ დანაშაულის ჩადენამდე, სახელმწიფოსთან არის როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ კავშირში. სახელმწიფოსთან ობიექტური კავშირი მყარდება

სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან. ვერ დავეთანხმებით მტკიცებას, რომ სისხლის სამართლის კანონში აღწერილია დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები, ხოლო დანაშაულებრივი ქმედების აკრძალვა ხდება სისხლის სამართლის კანონამდე და მის გარეთ. რატომაც მხედველობიდან რჩებათ ის ფაქტი, რომ დანაშაულებრივი ქმედების დასჯადობის დაწესებით, სახელმწიფო კრძალავს კიდევ მის ჩადენას. უმოქმედობით დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას კი უპირისპირდება აქტიური მართლზომიერი ქმედების ვალდებულება. შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის კანონი ადგენს მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას, რომელიც დანაშაულთა თავიდან აცილების მიზანს ემსახურება.

ამრიგად, სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც დანაშაულთა თავიდან აცილების გამო წარმოიშობა, სახელმწიფოსთან პიროვნების ობიექტურ კავშირს გამოხატავს. ცხადია, „კავშირი“ და „ურთიერთობა“ ერთი და იგივე არ არის, მაგრამ ამჯერად „კავშირის“ ცნებას ფართო აზრით ვიყენებთ. კერძოდ, სახელმწიფოს წინაშე მართლზომიერი ქმედების ვალდებულება, რომელიც მართლწესრიგის შექმნას ემსახურება, სახელმწიფოსთან პიროვნების ობიექტურ კავშირს გამოხატავს. ეს კავშირი ობიექტურია იმიტომ, რომ სისხლის სამართლის კანონითაა დადგენილი და ამ კანონის ადრესატების ნებაზე არაა დამოკიდებული. მაგრამ საქმე ისაა, რომ სახელმწიფოსთან პიროვნების ეს ობიექტური კავშირი საქმარისი არ არის. საჭიროა სახელმწი-



ფოსთან პიროვნების სუბიექტური კავშირიც. ამ სუბიექტურმა კავშირმა არა მარტო უნდა განამტკიცოს აღნიშნული ობიექტური კავშირი, არამედ უზრუნველყოს მართლზომიერი ქმედების ჩადენა და მართლწესრიგის შექმნა. სამწუხაროდ, სახელმწიფოსთან პიროვნების სუბიექტური კავშირი დღემდე ბუნდოვანია. ტრადიციულად, იგულისხმება მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის ფსიქიური დამოკიდებულება. ბრალის ფსიქოლოგიური თეორიაც ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს. მართლაც, თუ ბრალი არის ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება, რომელიც განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით გამოიხატება, მაშინ აშკარაა, რომ ეს ფსიქიკური დამოკიდებულება მართლზომიერი ქმედების ჩასადენად საკმარისია. ცხადია, ეს ფსიქიკური დამოკიდებულება საკმარისი უნდა იყოს მართლზომიერი ქმედების ჩასადენადაც, „ფსიქიკური დამოკიდებულება“, მისი წმინდა ფსიქოლოგიური გაგებით, ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა, მართლზომიერი ქმედების ვალდებულების შეგნებას, ხოლო შემდეგ – მართლზომიერი ქმედების ჩადენის სურვილს. მაგრამ რა უფრო ისეთ შემიხვევებს, როდესაც სუბიექტი მოქმედებს მართლზომიერად, მაგრამ საკუთარი ნების წინააღმდეგ (მაგალითად, დანაშაულის ჩადენისათვის ნეგატიური პასუხისმგებლობის მუქარის ზეგავლენით)? ამ მოვლენის წმინდა ფსიქოლოგიური ახსნა შეუძლებელია. ამიტომ სახელმწიფოსთან პიროვნების სუბიექტური კავშირის დასადგენად ადამიანის ფსიქიკური აპარატი საკმარისი არ არის.

ამრიგად, სახელმწიფოსთან პიროვნების სუბიექტური კავშირი ფსიქოლოგიიდან გასვლას მოითხოვს. ეს ბუნებრივია, რადგან ადამიანი მხოლოდ ფსიქოლოგიური შესწავლის საგანი არ არის. ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, სოციალური არსებია. ამიტომაც, რომ სამართლებრივი ურთიერთობა მხოლოდ იურიდიული ფორმა როდია, მას სოციალური შინაარსი აქვს. სამწუხაროდ, სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს ხშირად უფლება-მოვალეობის კავშირით ამოწურავენ. ეს კავშირი სამართლებრივი ურთიერთობის მხოლოდ იურიდიულ შინაარსს შეადგენს, ხოლო ეს იურიდიული ფორმა მართლზომიერი ქმედების ჩასადენად სრულიადაც არ კმარა. ამიტომ ჩვენ კვლავ დაგუბრუნდებით პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეას, რადგან მიგვაჩნია, რომ სამართლებრივი ურთიერთობის სოციალურ შინაარსს პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტი წარმოადგენს. იგულისხმება, რომ სისხლის სამართლის სუბიექტი ვალდებულია, იმოქმედოს მართლზომიერად და მოწოდებულია, ამ ვალდებულებას პასუხისმგებლურად მოეკიდოს. მართლზომიერი ქმედების ვალდებულება სამართლებრივ ურთიერთობაზე მიუთითებს, ხოლო ამ ვალდებულებისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება პოზიტიური პასუხისმგებლობის ნიშანია. მაშასადამე, პოზიტიური პასუხისმგებლობა სამართლებრივი ურთიერთობის ფორმაში ვლინდება. აქედან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობისა და პოზიტიური პასუხისმგებლობის ერთიანობა ამ მხრივ ფორმისა და შინაარსის ერთიანობას გამოხატავს. მაშასადამე, სახელმწიფო-

სთან პიროვნების სუბიექტურ კავშირს ქმნის მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი არა ფსიქიკური დამოკიდებულება, არამედ სწორედ პასუხისმგებლური დამოკიდებულება, რომელიც მართლზომიერი ქმედების ჩადენის საკმარისი პირობაა.

ამრიგად, მართლზომიერი ქმედების ვალდებულება, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი ელემენტი, სახელმწიფოსთან პიროვნების ობიექტურ კავშირს გამოხატავს, ხოლო ამ ვალდებულებისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება სახელმწიფოსთან პიროვნების სუბიექტური კავშირის ნიშანია. აქედან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ დანაშაულის ჩადენა ერთდროულად არის სახელმწიფოსთან პიროვნების როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური კავშირის დარღვევა. ობი-

ექტური კავშირის დარღვევა გამოიხატება ქმედების მართლწინააღმდეგობით, ხოლო სუბიექტური კავშირის დარღვევა – სუბიექტის ბრალით, ანუ მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით. მაშასადამე, დანაშაულის ჩადენას მისი ჩამდენი პირი გაჰყავს სახელმწიფოსთან კავშირის გარეთ, რაც დაუშვებელია და ამიტომ დგება ნეგატიური პასუხისმგებლობის დანიშნულების საკითხი. ამ მსჯელობიდან ნათელი ხდება, რომ ნეგატიურმა პასუხისმგებლობამ დანაშაულის ჩამდენი პირი კვლავ სახელმწიფოს უნდა დაუკავშიროს, რადგან სახელმწიფო პიროვნებასთან სამართლებრივი კავშირის გარეშე შეუძლებელია. მაგრამ ნეგატიური პასუხისმგებლობის პრობლემა შემდგომ მსჯელობას მოითხოვს.

### შოთა ფაფიაშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრის გამგე, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი, პროფესორი.

## განზრახ მკვლელობის კვალიზიფიკაციის ზომიერით პრობლემა

საგამოძიებო სასამართლო პრაქტიკაში გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული ხულიგნობისა (სსკ 239-ე მუხ.) და ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილი (სსკ 109-ე მუხლის “კ” პუნქტი) განზრახ მკვლელობის კვალიფიკაციის პრობლემა. მისი სირთულე იმაშიც გამოიხატება, რომ სისხლის სამართლის თეორიასა და საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკაში ეს მნიშვნელოვანი საკითხი ჯერ კიდევ ერთნაირად არაა გადაწყვეტილი. გასული საუკუნის 60-70-იან წლებში და მის შემდგომ პერიოდშიც ქართულ და რუსულ ენაზე გამოცემულ სისხლის სამართლის სახელმძღვანელოებსა და სხვა სპეციალურ იურიდიულ ლიტერატურაში გატარებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილი განზრახ მკვლელობას თუ თან სდევდა ხულიგნობის ჩადენა, მაშინ იგი უნდა დაკვალიფიცირებულიყო ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილი განზრახ მკვლელობის (სსკ 109-ე მუხლის “კ” პუნქტით) და საკუთრივ ხულიგნობის (სსკ 239-ე მუხ.) ამსახველი სისხლის სამართლის კოდექსის მუხლის შესაბამისი პუნქტით. შეიძლება ითქვას, რომ თეორიასა და პრაქტიკის ეს მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხი დღესაც მოწესრიგებული არაა რაიმე ერთიანი კრიტერიუმით და ამ მიმართებით სასამართლო პრაქტიკაც არათანმიმდევრულია. სისხლის სამართლის თეორიაშიც იგი მეტად ბუნდოვნადაა გაშუქებული. მაგალითად, სისხლის სამართლის პრაქტიკის კომენტარის ავტორები იზიარებენ და სწორად მიიჩნევენ რა ამ მიმართებით შექმნილ პრაქტიკას გ-ს ბრალდების საქმეზე, ცდილობენ დაასაბუთონ დებულება იმისა, თუ პირის ქმედება შეიცავს ხულიგნობის ნიშნებს და ასეთ გარემოებაში იქნება ჩადენილი განზრახ მკვლელობა, მაშინ პირის ასეთი ქმედება დაკვალიფიცირებული უნდა იქნეს სსკ-ის ორივე მუხლით, კერძოდ, სსკ-ის 109-ე მუხლის “კ” პუნქტით და სსკ-ის 239-ე მუხლის შესაბამისი პუნქტით<sup>1</sup>, რაც ჩვენი აზრით გარკვეულ შეკამათებას იწვევს.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, განზრახ მკვლელობის ჩადენა ხულიგნური ქვენა გრძნობით, უმეტეს შემთხვევაში ხდება საზოგადოებრივი შეკრების ადგილებში და იგი გამოიხატება საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობაში.

<sup>1</sup> სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თბილისი, 2002, გვ. 36-38.

ამასთან, მისი ჩადენის მოტივებად გვევლინება პირადი ძალისა და შესაძლებლობის დემონსტრირება, რომ მის ჩამდენს, რომ იტყვიან: “ცა ქუდად არ მიაჩნია და დედაძიწა ქალაქმნად”. ამ მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედების ჩამდენი პირისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, პეტრეს მოკლავს იგი თუ ივანეს. ამასთან, ასეთ დროს გამორიცხულია ისეთი მოტივი, როგორცაა: დაზარალებულთან რაიმე მტრული დამოკიდებულების არსებობა, შურისძიება, რაიმე სახის მატერიალური გამორჩენის მიღება და სხვა. აქ მთავარი ისაა, რომ პირის ქმედება გამოიხატება საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობაში, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში და ა.შ. საზოგადოებრივი წესრიგის ასეთ დარღვევას შეიძლება მოჰყვეს პირის მიერ საზოგადოებრივი შეკრების ადგილებში ან ქუჩაში დებოშის ატეხვა, იქ მყოფი პირებისათვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება, უწმინდური (უხამსი) სიტყვების ხმარება, ცეცხლსასროლი იარაღის უმისამართოდ გამოყენება (სროლა), ამა თუ იმ პირის ჩხუბში გამოწვევა, თითქოს დაზარალებულის მხრიდან მოჩვენებითად შეურაცხყოფილი და განაწყინებული არტყამს მას დანას, ან იყენებს ცეცხლსასროლ იარაღს და იყენებს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მძიმე დაზიანებას და სხვა.

ასეთ შემთხვევაში, მიზანშეწონილია, ამ დანაშაულის ჩამდენი პირის ქმედება დაკვალიფიცირდეს, როგორც დამამძიმებელი გარემოების გარეშე ჩადენილი განზრახ მკვლელობა სსკ-ის 108-ე მუხლით, ხულიგნობის მომცველი

სსკ-ის 239-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით და არა სსკ-ის 109-ე მუხლის “კ” პუნქტით, როგორც ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილი განზრახვი მკვლელობა.

ასე მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2001 წლის 21 დეკემბრის განაჩენით ჯ. დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილითა და იმავე მუხლის მეორე ნაწილის “ბ” ქვეპუნქტით. აგრეთვე სსკ-ის 109-ე მუხლის “გ”, “ე” და “კ” პუნქტებით. მაგრამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განიხილა რა მოცემულ საქმეზე შეტანილი საკასაციო საჩივარი, იგი ნაწილობრივ დააკმაყოფილა იმ მიმართებით, რომ მსჯავრდებულ ჯ-ს წარდგენილი ბრალდებიდან არასწორად მიიჩნია და მოუხსნა სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილი ამავე მუხლის მეორე ნაწილის “ბ” ქვეპუნქტითა და 109-ე მუხლის “გ” პუნქტით გათვალისწინებული ბრალდება. ამასთან, თავის განჩინებაში აღნიშნა, რომ “ჯ-ემ გ-ეს მკვლელობა ჩაიდინა ხულიგნური ქვენა გრძნობითა და განსაკუთრებული სისასტიკით. მან გ-ეს ამ უკანასკნელის დედის, მეუღლისა და დის თანდასწრებით ორჯერ დაარტყა დანა გულმკერდისა და მუცლის არეში, რამაც გამოიწვია მწვავე სისხლნაკლებობა და დაზარალებულის სიკვდილი”<sup>1</sup>.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, ჯ-ს მიერ გ-ს მკვლელობის ასეთი კვალიფიკაცია დაასაბუთა იმით,

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, N4, გვ.412-416.

რომ ჯ-ს მიერ ე.წ. “გოგოჭურის” სასაფლაოზე საქმის გასარჩევად ნ-ს დაბარება, რომელსაც თან ახლდა გ. და სხვა პირები, იქ “წარმოშობილი კონფლიქტი, რომლის განმუხტვაში მონაწილეობდა დაზარალებული გ-ე, არ იძლევა ჯ-ეს ქმედების ხულიგნობით კვალიფიკაციის შესაძლებლობას. სასაფლაოს ტერიტორიაზე მხარეებისა და მათი თანმხლები პირების გარდა არავინ იმყოფებოდა, რაც გამორიცხავს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას და საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კონფლიქტური სიტუაციის ერთ-ერთი განმუხტველი, საქმეში დაზარალებული გ-ე უკანონო ქმედების აღმკვეთ პირად ვერ ჩაითვლება. ასევე ვერ შეფასდება ბოროტ ხულიგნობად ჯ-ეს ქმედება ჯ-ეს სახლში მისვლისას, სადაც ჯ-ესა და გ-ეს შორის ისევე მოხდა “შელაპარაკება,” ურთიერთისტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება და “ეს უკანასკნელი სასიკვდილოდ დაჭრა ჯ-ემ. მოცემულ სიტუაციაში ჯ-ეს ქმედება არ მოიცავდა ბოროტი ხულიგნობის ნიშნებს და არ გამოხატავდა საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას”.

ამასთან, სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მართებულად არ მიიჩნია სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე ზემოაღნიშნულ პირთა ურთიერთისტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება ბოროტ ხულიგნობად, რადგან სასაფლაოზე განსვენებულითა სულელებისა და ამ მოჩხუბარ პირთა მეტი არავინ ყოფილა, არ დარღვეულა საზოგადოებრივი წესრიგი და მათი ეს ქმედება არ გადაქცეულა საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობაში, რაც ხულიგნობის შემა-

ღვენილობის აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანია. მაგრამ ვერ გაეიზიარებთ იმას, რომ მათი შემდგომი მართლსაწინააღმდეგო იმავე სახის ქმედება (ურთიერთისტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, ჩხუბი და აყაღმაყალი), რომელიც მათ ოჯახში და ქუჩაში გადაინარდა, თითქოს ხულიგნობის ნიშნებს არ შეიცავდეს და ხულიგნობად არ იქნეს მიჩნეული. ამასთან, ბუნებრივად იბადება კითხვა: თუ ჯ-ს ქმედება გ-ს განზრახი მკვლელობის გარდა არ შეიცავდა ხულიგნობის ნიშნებს, მაშინ რის საფუძველზე მიიჩნია სწორად ჯ-ს კვალიფიკაცია სსკ-ის 109-ე მუხლის “კ” პუნქტით – განზრახ მკვლელობა ჩადენილი ხულიგნური ქვენაგრძნობით – და რას ემყარებოდა პალატა, როცა თავის განჩინებაში მიუთითა, რომ “საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით უდაოდაა დადასტურებული, რომ ჯ-ემ გ-ეს მკვლელობა ჩაიდინა ხულიგნური ქვენაგრძნობით”. ვფიქრობთ, პალატის ეს მოსაზრება და დასაბუთებულობა ურთიერთწინააღმდეგობრივია. თუ იგი ჯ-ს ქმედებიდან გამორიცხავს ხულიგნობის ნიშნებს, მაშინ უფრო ლოგიკური და დამაჯერებელი იქნებოდა ჯ-სთვის ასევე მოეხსნა სსკ-ის 109-ე მუხლის “კ” პუნქტით წარდგენილი ბრალდება და მისთვის დაეტოვებინა სსკ-ის 109-ე მუხლის “კ” პუნქტი – განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობა. რადგან იგი ჩადენილი იქნა დაზარალებულ გ-ს დედის, მისი მეუღლისა და დის თანდასწრებით გულმკერდისა და მუცლის არეში დანის ორჯერ დარტყმით.

ამ მხრივ ინტერესმოკლებული არაა შემდეგი მაგალითიც:



საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2001 წლის 27 დეკემბრის განაჩენით, კ. დამნაშავედ იქნა ცნობილი სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის "ზ" და "კ" პუნქტებით და სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილით.

იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი იმში, რომ მან დაუდგენელი პირისაგან შეიძინა ორი ცალი ხელყუმბარა "რდგ-5", "ფ-1", ერთი ცალი ტროტილი ბრიყტის სახით და ინახავდა სახლში. 2000 წლის 15 აპრილს მთვრალ მდგომარეობაში მყოფი კ. თავის ნათესავთან ერთად ჩაჯდა ტაქსში და სთხოვა 4 ლარად სახლში მიეყვანა. სახლთან მისვლის შემდეგ იგი ავიდა სახლში ფულის ჩამოსატანად, მძლოლი დაბლა დაელოდა, მაგრამ, როცა აღარ ჩამოვიდა, მეზობლების გამოკითხვით, იგი ავიდა მეექვსე სართულზე ფულის გამოსართმევად. ამასვე კ. განაწყენდა, კარადიდან აიღო "რდგ-5" ტიპის ხელყუმბარა, ჩავიდა ეზოში, არ მოერიდა, რომ ავტომანქანიდან დაახლოებით სამ მეტრში არსებულ სკამზე ისხდნენ მისი მეზობლები, მივიდა მძლოლთან და ჩაწყული ფანჯრიდან საბრძოლო მდგომარეობაში მყოფი ხელყუმბარა ჩააგდო ა/მანქანაში. საფრთხის თავიდან აცილების მიზნით მძლოლი სწრაფად გადმოვიდა ა/მანქანიდან და გაიქცა სადარბაზოს შესასვლელისაკენ, რა დროსაც მანქანაში აფეთქდა ხელყუმბარა. მანქანა მთლიანად დაიწვა და იქვე ახლოს სკამზე მჯდომ რვა მეზობელს შეექმნა საფრთხე. მათგან ორმა მიიღო სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება. მეზამბრეების მოსვლამდე მანქანა მთლიანად დაიწვა, რითაც მძლოელმა მიიღო 1020 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ თავისი 2002 წლის 18 აპრილის განჩინებით, განაჩენი უცვლელად დატოვა ძალაში.

სამწუხაროდ, საგამოძიებო სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ისეთი საპირისპირო შემთხვევებიც, როცა პირის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებას აკვალიფიცირებენ ხულიგნობის ამსახველი სსკ-ის 239-ე მუხლის შესაბამისი პუნქტით, როგორც დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ ხულიგნობას და სსკ-ის 109-ე მუხლის "ზ" პუნქტით, როგორც განზრახ მკვლელობას, ჩადენილს ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და ქმედებას არ აკვალიფიცირებენ სსკ-ის 109-ე მუხლის "კ" პუნქტით, როგორც განზრახ მკვლელობას ჩადენილს ხულიგნური ქვენა გრძნობით. ე.ი. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობას, ანუ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ დანაშაულებრივ ქმედებას აკვალიფიცირებენ ხულიგნობის ამსახველი სსკ-ის 239-ე მუხლის შესაბამისი პუნქტით და სსკ-ის 109-ე მუხლის "ზ" პუნქტით, როგორც განზრახ მკვლელობას ჩადენილს ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ მიუთითებენ სსკ-ის 109-ე მუხლის "კ" პუნქტზე, ანუ ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილ განზრახ მკვლელობაზე.

მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის

რთლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2001 წლის 30 ნოემბრის განჩინებით ნ. დამნაშავედ იქნა ცნობილი საქ.სსკ-ის 239-ე მუხლის შესამე ნაწილით და 109-ე მუხლის "ზ" პუნქტით, იმისათვის, რომ მან 1998 წლის 2 ოქტომბერს, დაახლოებით 22 საათზე, დაბა შესტიის ცენტრში "კალაშნიკოვის" კონსტრუქციის ავტომატური იარაღიდან დაიწყო სროლა ა-სა და გ-ს საცხოვრებელი სახლების მიმართულებით. შემდეგ მანვე, როგორც განჩინებაში მითითებული, ქუჩაში მიმავალ ლ-ს მახლობლად მიწას დაახალა სამი ტყვია, რითაც მან "მყუდროება დაურღვია მოქალაქეებს, რომლებიც ისვენებდნენ თავიანთ ოჯახებში და გამოხატა აშკარა უპატივცემულობა როგორც მათი, ასევე მოქალაქე ლ-ს მიმართ". იმავედროულად, მან არაპირდაპირი განზრახვით, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნიდა საფრთხეს სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, განზრახ მოკლა ზ". მან "ზ-ინის ეზოს მიმართულებით მის მიერ განზრახ ნასროლი ტყვიებიდან ერთი მოხვდა ზ-ინის ყბისა და კეფის არეში, რის შემდეგაც ეს უკანასკნელი იქვე გარდაიცვალა. მის მიერ ნასროლმა სხვა ტყვიებმა საფრთხე შეუქმნა იქვე ახლოს მყოფ ზ-ინს, მ-ინს, ზ-ესა და ჩ-ეს, ხოლო რ-ეს სახლის მიმართულებით ნასროლი ტყვიებიდან ერთი მოხვდა საცხოვრებელ სახლს, ფანჯარასთან ახლოს, რითაც საფრთხე შეუქმნა ფ-ინს, რ-ინსა და მათ შვილებს".

საკასაციო საჩივარი ითხოვდა განაჩინებდა ხულიგნობის ბრალდების გამორიცხვას იმის გამო, რომ მან "ავტომატიდან გასროლები მოახდინა იარაღის გასინჯვის მიზნით და არა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და

ვინმეს უპატივცემულობის გამოსახატავად" და, რომ მას "ავტომატიდან გასროლის დროს ვინმეს მოკვლის არავითარი განზრახვა არ ჰქონია. ნ-მა ზ-ის მკვლელობა ჩაიდინა დაუდევრობაში გამოხატული გაუფრთხილებელი ქმედებით".

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ თავისი 2002 წლის 11 აპრილის განჩინებით ზემოაღნიშნული განაჩინი დატოვა უცვლელად, რადგან უდავოდ დადგენილად მიიჩნია მსჯავრდებულ ნ-ს მიერ "1998 წლის 2 ოქტომბერს დაბა შესტიაში ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ხულიგნობის ჩადენისა და არაპირდაპირი განზრახვით, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნიდა საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ზ-ინის განზრახ მოკვლის ფაქტი, რასაც სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა განაჩინში სასამართლო კოლეგიამ". ამასთან, შეეცადა რა დაესაბუთებინა სასამართლო კოლეგიის მიერ გამოტანილი ზემოაღნიშნული განაჩინის კანონიერება და კვალიფიკაციის სისწორე, სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩინზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ მსჯავრდებულმა ნ-მა "დაიწყო ჯერით სროლა იქვე ახლოს მცხოვრებები ზ-ინს, რ-ინისა და სხვათა ეზოებისა და საცხოვრებელი სახლების მიმართულებით, რაც გაგრძელდა დაახლოებით 20-25 წუთი. შემდეგ კი ქუჩაში მიმავალ განის მახლობლად ჯერით მიწას დაახალა სამი ტყვია. ყოველივე ამით მან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მყუდროება დაურღვია მოქალაქეებს, რომლებიც ისვენებდნენ თავიანთ ოჯახებში და გამოხატა აშკარა უპატი-

ვეცემულობა, როგორც მათი, ისე მოქალაქე გ-იანის მიმართ. იმავდროულად მან არაპირდაპირი განზრახვით, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნიდა საფრთხეს სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას განზრახ მოკლა ხ-იანი. სახელდობრ ხ-იანის ეზოს მიმართულებით მის მიერ განზრახ ნასროლი ტყვიებიდან ერთი მოხვდა ხ-იანს ყბისა და კეფის არეში, რის შემდეგაც ეს უკანასკნელი იქვე გარდაიცვალა. მის მიერ ნასროლმა ტყვიებმა საფრთხე შეუქმნა იქვე ახლოს მყოფ ხ-იანს, მ-იანს, ა. და ზ. ხ-იანებს, ზ. და ზუ. ჩ-იანებს, ხოლო რ-იანის სახლის მიამართულებით ნასროლი ტყვიებიდან ერთი მოხვდა საცხოვრებელ სახლს, ფანჯარასთან ახლოს, რითაც საფრთხე შეუქმნა ფ-იანს, რ-იანსა და მათ შვილებს<sup>1</sup>.

ზემოაღნიშნული ფაბულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს არის ტიპური მაგალითი საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის "კ" პუნქტით გათვალისწინებული ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილი განზრახი მკვლელობისა. ამიტომ ნ-ის ეს ქმედება აუცილებლად უნდა დაკვალიფიციერებულიყო აგრეთვე ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილი განზრახ მკვლელობის ამსახველი მუხლებითაც, ე.ი. სსკ-ის 109-ე მუხლის "კ" და "ზ" პუნქტებით. სსკ-ის 239-ე მუხლის მესამე ნაწილით წარდგენილი ბრალდება კი მას უნდა მოხსნოდა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იგი ზედმეტად აქვს წარდგენილი. მის მაგიერ უნდა წარდგენოდა სსკ-ის 109-ე მუხლის "კ" პუნქტი. მეორეც, იმიტომ, რომ იგი ზემოაღნიშნული ფორმულირების მიხე-

დვით, არ შეიცავს სსკ-ის 239-ე მუხლით გათვალისწინებული დამოუკიდებელი სახის დანაშაულის ნიშნებს, რადგან, კანონის თანახმად ხულიგნობად მიჩნეულია ისეთი "მოქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით ნ. ძალადობის მუქარით". განაჩენის ფორმულირებით კი ნ-მ თავისი ასეთი მოქმედებით "მყუდროება დაურღვია მოქალაქეებს, რომლებიც ისვენებდნენ თავიანთ ოჯახებში და გამოხატა აშკარა უპატივცემულობა, როგორც მათი, ასევე მოქალაქე გ-იანის მიმართ." ე.ი. ნ-ის მოქმედებით "უხეშად კი არ დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგი" და იგი კი არ გამოიხატა "საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობაში", არამედ, თურმე ასეთი "უპატივცემულობა გამოხატა გ-იანისა" და სხვათა მიმართ და არა საზოგადოებისადმი.

როგორც აღვნიშნეთ, წინასწარი გამოძიების პროცესში დანაშაულებრივი ქმედების არასწორი კვალიფიკაცია, ზოგჯერ სხვადასხვა მოტივებით, გამოუსწორებელი რჩება და მის გამოსწორებას ზემდგომი სასამართლოებიც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ასე მაგალითად, ნ-ს მკვლელობის ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სსკ-ის 104-ე მუხლის მეორე პუნქტით – ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილი განზრახ მკვლელობა, სსკ-ის 228-ე მუხლის მესამე ნაწილით (სსკ 1960 წლის რედაქციით) და სსკ-ის ამ მუხლებით გ. მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებამი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართ-

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვადამწვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002 წ., N6, გვ. 641-648.

რთლის საქმეთა სასამართლო კოლეგიაში 2000 წლის 4 თებერვლის განაჩენით გ. დამნაშავედ ცნო ხულიგნური ქვენა გრძობით ჩადენილი განზრახ მკვლელობისათვის სსკ-ის 104-ე მუხლის მეორე პუნქტით, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ხულიგნობისათვის სსკ-ის 228-ე მუხლის შესაბამის ნაწილით, სსკ-ის 91-ე მუხლის შესაბამის ნაწილით (სსკ-ის აღრიხველი რედაქციით) და სასჯელად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 18 წლით მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

გ-ს დანაშაულებრივი ქმედება გამოხატა იმაში, რომ გ. და თ. იმყოფებოდნენ რა ზ-სთან, დალიეს არაყი და მთერალ მდგომარეობაში გავიდნენ ბაღში, რა დროსაც ნ-სა და თ-ს მოუვიდათ კამათი. ბ., ლ. და ქ. შეეცადნენ მათ დაწინარებას, მაგრამ გ. მანც აგრძელებდა ნ-ს შეურაცხყოფას, იგინებოდა ნ-ს მისამართით და უხეშად არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს. იგი არავის დაემორჩილა, დასტაცა ხელი იქვე ახლოს დადებულ დანას და განზრახ მკვლელობის მიზნით დაარტყა ნ-ს მარჯვენა თემოს ფოსოს მიდამოში, რის შედეგადაც ნ. საავადმყოფოში მიყვანიდან 4 საათში გარდაიცვალა. იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი აგრეთვე შ-ს საქთმიდან 10 ინდურისა და 30 ქათმის მოპარვაში. გ-მ სსკ-ის 104-ე მუხლის მეორე პუნქტით და სსკ-ის 228-ე მუხლის შესაბამის ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო და საკასაციო საჩივრით მიმართა უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატას, მაგრამ პალატამ საკასაციო საჩივარი არ დაამყარებდა და თავის 2000 წლის 14 აპრილის განჩინებით გ-ს მიმართ გა-

მოტანილი განაჩენი უცვლელად დატოვა ძალაში<sup>1</sup>, რაც, ჩვენი აზრით, არასწორია. ეს, შეიძლება ითქვას, ტიპური მაგალითია სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობისა, რომელიც ჩადენილი იქნა ურთიერთშელაპარაკებისა და ჩხუბის დროს და თუ მისი ეს ქმედება შეიცავდა აგრეთვე ბოროტი ხულიგნობის ნიშნებს, მაშინ მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო ხულიგნობისა და განზრახ მკვლელობის (სსკ 108) მუხლით. სამწუხაროა, რომ ეს შეცდომა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო პალატის მიერაც არ იქნა გამოსწორებული. ამ მხრივ, ასევე საყურადღებოა შემდეგი მაგალითი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიაში თავის 2001 წლის 30 ოქტომბრის განაჩენში გ. რომელმაც ხულიგნური ქვენა გრძობით ჩაიდინა პ-ს განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებაში, დამნაშავედ იქნა ცნობილი მართოდენ საქართველოს სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის "თ" და "კ" პუნქტებით და სასჯელად შეეფარდა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში მოხდით. მისი ეს დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა იმაში, რომ მან მ-სთან ერთად, ჯგუფურად და ხულიგნური ქვენა გრძობით ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა შემდეგ გარემოებაში:

2001 წლის 4 აპრილს, დაახლოებით 20 საათზე, მ. სტუმრად მივიდა თავის მეგობარ გ-სთან სახლში დედის დაბადების დღის მისალოცად.

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, ნაწ. III, თბილისი, 2000 წ., N9, გვ. 335-337.



გ-მ მებობლის ავტოფარეხში გაშალა სუფრა, სადაც მათ ახლობლებთან ერთად იქიფდნენ. მ-მ და გ-მ დალიეს ღვინო და დათვრნენ. დაახლოებით 23 საათზე დაამთავრეს ქეიფი, რის შემდეგაც მ. და გ. ავიდნენ ამ უკანასკნელის სახლში და იქ ცოტა ხანს დავეგს. შემდეგ, დაახლოებით 24 საათზე, გამოვიდნენ ქუჩაში, სადაც გაჩერებული იყო კერძო ტაქსი – “გან-21011” მარვის ავტომანქანა, რომელსაც ა. მართავდა. მთურად მდგომარეობაში მყოფი მ. გ. და გამოძიებით დაუდგენელი ახალგაზრდა ბიჭი მივიდნენ ა-თან და ჰკითხეს, ვაზისუბანში რამდენად წაიყვანდა მათ, რაზეც ა-მა უპასუხა, რომ 2 ლარად წაიყვანდა. გ-მ, რომელიც მძღოლის კარებთან იდგა, გამოშვევდა ჰკითხს ა-ს: “რა, ლარნახევრად, არ წახვალ ბიჭო?” ამ დროს ავტომანქანის წინა მარჯვენა კარი მ-მ გააღო, ჩაჯდა მანქანაში და მძღოლს ლანძღვა-გინება დაუწყო, რადგან მან წაყვანაზე უარი უთხრა. მძღოლის პასუხით უმოტივოდ გაბრაზებულმა მ-მ ხულიგნური ქვენა გრძობით განიზრახა ა-ს მოეკლა და ამ მიზნით დანა დაარტყა გულმკერდის მარჯვენა ნახევარში და მას სიცოცხლისათვის სახიფათო ჭრილობა მიაყენა – 5X1,5 სმ-ზე. ა-მ ფერილით ჰკითხა მ-ს, რატომ კლავდა, რაზედაც მ-მ მეორედაც მოუქნია დანა. ა-მ მარჯვენა ხელით დაიჭირა მოქმედი დანის პირი, რა დროსაც საჩვენებელი თითის შესამე ფაღანზე მიიღო ამპუტირებული ჭრილობა, ხოლო მესამე თითის დორზალურ მხარეში ჭრილობა, ზომით 3X0,5 სმ-ზე. ამ დროს გ-მ გააღო მძღოლის მხარეს მანქანის წინა მარცხენა კარი და ხულიგნური ქვენა გრძობით

ა-ს მოეკლის პირდაპირი განზრახვით, დანა დაარტყა თუბოში, რის შედეგადაც ა-მ მიიღო ძლიერი სისხლმდენი ჭრილობა, ზომით 2X1 სმ-ზე. ა. გადმოსტა ავტომანქანიდან და ყვირილით მიმართა თავდამსხმელებს, თუ რატომ კლავდნენ. მ. გ. და გამოძიებით დაუდგენელი უცნობი პიროვნება მისცვივდნენ ა-ს და მოქმედებდნენ რა ხულიგნური ქვენა გრძობით, მოეკლის ერთიანი, პირდაპირი განზრახვით, დაუწყეს ცემა და სიცოცხლისათვის სახიფათო ადგილებში დანებით ჭრილობების მიყენება. ა-მ თავდაცვის მიზნით თითოჯერ დაარტყა მუშტი მ-ს და გ-ს. რის შედეგადაც ისინი წაიქცნენ, მაგრამ მალევე წამოდგნენ და გააგრძელეს ა-ს ცემა და დანებით ჭრილობების მიყენება. მიყენებული ჭრილობებისაგან დასუსტებული ა. ძირს დაეცა, მაგრამ მათ მინც გააგრძელეს მისთვის ჭრილობების მიყენება და გინება. მათ ა-ს მიაყენეს სულ 14 ჭრილობა და როცა დარწმუნდნენ, რომ ა-ს სიკვდილი გარდაუვალად დადგებოდა, შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

მძიმედ დაჭრილი ა. ხ-მ მიიყვანა სასწრაფო დახმარების ცენტრში, საიდანაც გადაიყვანეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში, სადაც აღმოუჩინეს კვალფიციური სამედიცინო დახმარება და იგი სიკვდილს გადაურჩა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო პალატამ განიხილა რა მოცემულ საქმეზე შეტანილი საკასაციო საჩივარი, გ-ს მიმართ გამოტანილ განაჩენში კვალიფიციაციის საკითხი ცნო სწორად და ამ მიმართებით განაჩენი დატოვა უცვლელად<sup>1</sup>.

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002 წ., N5, გვ. 520-524.



მოცემულ შემთხვევაში უფრო სწორი და სრული იქნებოდა თუ გ-ს ქმედება დაკვალიფიცირდებოდა აგრეთვე განსაკუთრებული სისასტიციით ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობით სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის "კ" პუნქტით.

ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილი განზრახ მკვლელობის კვალიფიკაციის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიექცეს მოძალადე პირის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათს, კერძოდ იმას, თუ სად, როდის, რა გარემოებაში, რა ხერხებითა და საშუალებებით, როგორ და რა ფორმით გამოიხატა პირის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა, რამდენად დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი და ცინიურია მისი ქმედება საზოგადოების წარმომადგენლებისადმი და როგორია მოქმედების მოტივი, იყო თუ არა იგი განაწყენებული რაიმე გარემოების გამო დაზარალებულზე, ამ უკანასკნელმა პირადად მას, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან მის ნაცნობ მეგობარს ზომ არ მიაყენა რაიმე სახის შეურაცხყოფა და სხვა. ფოკუსირებული ამის დადგენა აუცილებელია, თუ გვინდა, რომ შეცდომა არ დაუშვათ და მოვახდინოთ ჩადენილი ქმედების სწორი კვალიფიკაცია.

ამ გარემოებათა ანალიზი და ჩადენილი ქმედების მთლიანი მექანიზმის სრულყოფილი გამოკვლევა საშუალებას მოგვცემს, სწორად მოვახდინოთ თვით ჩხუბში ჩადენილი განზრახ მკვლელობის კვალიფიკაციის განსაზღვრა. ჩხუბში ჩადენილ განზრახ მკვლელობას ხშირ გავუსვით იმიტომ, რომ საგამოძიებო სასამართლო პრაქტიკაში სწორედ ასეთ გარემოებაში ჩადენილ

განზრახ მკვლელობათა კვალიფიკაციის დროს გვხვდება უმეტესი შეცდომები. აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ხულიგნური ქვენა გრძნობით განზრახი მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით. ამიტომ ქმედების – ხულიგნური ქვენა გრძნობით განზრახ მკვლელობის კვალიფიკაციაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ პირმა განზრახ მკვლელობა ჩაიდინა არაპირდაპირი განზრახვით, არასწორია.

მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2002 წლის 22 ნოემბრის განაჩენით ბ. დამანაშვედ იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის "კ" პუნქტით (ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილი განზრახ მკვლელობისათვის) იმაში, რომ 2001 წლის 29 ნოემბერს, დაახლოებით 14 საათზე, თიანეთის რაიონის სოფ. ვეძთხევის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ე.წ. "ჭყატიანის" ტყეში, შემის გადმოზიდვისას, მიღებული შენიშვნის გამო უმნიშვნელო საბაბით განაწყენებულმა, საკუთარი თავაშეგებლობიდან და ქცევის წესების არად ჩაგდებიდან, ასევე წესრიგის მიმართ თავხედური დამოკიდებულებიდან გამომდინარე, ხულიგნური ქვენა გრძნობით, დასახმარებლად მისული რ-ს კუთვნილი "იჟე" მოდელის ერთლულიანი სანადრო თოფიდან კისრის მიმართულებით გასროლით განზრახ მოკლა თავისი ნათესავი, არასრულწლოვანი ს.

მოცემულ საქმეზე შეტანილი საკასაციო საჩივარი განიხილა რა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ თავისი 2003 წლის 10 აპრილის

განწინებით, ბ-ს მიმართ გამოტანილ განაჩენში შეიტანა ცვლილებები იმ მიმართებით, რომ ბ-ს ქმედება სსკ-ის 109-ე მუხლის "კ" პუნქტიდან გადააკვალიფიცირა სსკ-ის 108-ე მუხლზე და იგი დაასაბუთა იმით, რომ "მსჯავრდებული ბ. დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედებდა არაპირდაპირი განზრახვით, ანუ მას გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და თუმცა არ სურდა ეს შედეგი, მაინც გულგრილად მოეკიდა მის დადგომას. "ეს გარემოება გამორიცხავს მკვლელობის ხულიგნური ქვენაგრძობით ჩადენას და სახეზე ვვაქვს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული".

თავისთავად ბ-ს ზემოაღნიშნული ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა სსკ-ის 109-ე მუხლის "კ" პუნქტიდან 108-ე მუხლზე სწორია, მაგრამ არა ამ დასაბუთებით. მისი ზემოაღნიშნული ქმედება ნამდვილად არ შეიცავდა სსკ-ის 109-ე მუხლის "კ" პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, რადგან იმ ტყვეში რომელი საზოგადოებრივი წესრიგის აშკარა დარღვევაზე და საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობაზე შეიძლება ყოფილიყო მსჯელობა? ამ ძირითადი ნიშნის არარსებობა თავიდანვე გამორიცხავს განზრახ მკვლელობის ჩადენას ხულიგნური ქვენა გრძობით. ამიტომ ამ გარემოებაზე უნდა ყოფილიყო აქცენტირება გადატანილი და არა იმაზე, თითქოს არ შეიძლებოდა დამამძიმებელ გარემოებაში ხულიგნური ქვენა

გრძობით განზრახ მკვლელობის ჩადენა არაპირდაპირი განზრახვით.

პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა წინასწარი გამოძიების და სასამართლოში საქმის განხილვის დროს არასწორად ახდენენ პირის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაციის შეზღუდვას და საქმე სასამართლოს მიერ ბრუნდება დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად. მაგალითად: წინასწარი გამოძიებით ზაქროს ბრალად შეერაცხა საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილით, სსკ-ის 129-ე და 108-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული. არასრულწლოვან ლაცაბიძეს კი სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობის ჩადენა.

2000 წლის 31 აგვისტოს, დაახლოებით 20 საათზე, ზაქრო სტუმრად იმყოფებოდა წიწყაშვილის ოჯახში, სადაც ასევე მისული იყვნენ არასრულწლოვანი დები – ნანა და ნატა. სახლში ყოფნისას ნატამ ხუმრობით თავზე ხელი გადაუსვა ზაქროს, ამ უკანასკნელმა კი მას სახეში ხელი გაართვა. შეკითხვაზე, თუ რატომ გაართვა, მან იგი წააქცია იატაკზე და ფეხი ჩაართვა, თან ავიწყებდა. ისინი გააშველეს და ცალ-ცალკე ოთახში გაიყვანეს. გასვლისას მან კიდევ ამოართვა ფეხი და თან შეაგინა. ნატას ეზოში ჩასვლისას შეხვდა მჭობელი ტიტე, რომელსაც მოუვვა მომხდარის შესახებ. ტიტემ ჰკითხა ზაქროს, თუ რატომ სცემა ნატას, ამზე ზაქრომ მასაც აგინა, გაართვა და ქვა აიღო დასარტყმელად, მაგრამ ეზოში ჩასულმა დებმა მას ქვა წაართვეს. ზაქრო მაინც განაგრძობდა მის ლანძღვა-

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ხისხლის სამართლის საქმეებზე. 2003, N4, 33. 452-454.

გინებას. შემდეგ ისინი თავიანთ ამხანაგებთან ერთად შეხვდნენ საქმის გასარჩევად, რაც მალე ჩხუბში გადაიზარდა, რა დროსაც ზაქრომ და ლაცაბიძემ დანებით ჯიხუბაქს ვულჟერდისა და წელის არეში მიაყენეს სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის მძიმე დაზიანება, რის შემდეგაც იგი გარდაიცვალა.

ასევე, ჩხუბის დროს, გამოძიებით დაუდგენელმა პირებმა მჩხვლეტავე, მჭრელი საგნების მოქმედებით დათოს და ტიტეს მიაყენეს სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის დაზიანება, რის შემდეგაც ტიტე ადგილზევე გარდაიცვალა.

საქმის სასამართლოში განხილვისას სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერმა პროკურორმა ზაქროს და ლაცაბიძეს მოუხსნა სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდება. დაზარალებულმა ლ. ჯიხუბაქემ მისი შვილის განზრახ მკვლელობის ნაწილში გააგრძელა სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნა.

გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ 2001 წ. 20 ივლისის განჩინებით, ჯავახიას მკვლელობის ბრალდების ნაწილში, სისხლის სამართლის საქმე ზაქროს და ლაცაბიძის მიმართ დამატებითი გამოძიებისათვის დაუბრუნა გლდანი-ნაძალადევის რაიონულ პროკურატურას.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატამ 2001 წ. 15 ნოემბერს გააუქმა გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2001 წ. 20 ივლისის განჩინება და საქმე მკვლელობის ბრალდების ეპიზოდში განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლეს.

ხსენებული სასამართლოს 2002 წ. 5 მაისის განაჩენით, ლაცაბიძე გამართლებულ იქნა სსკ-ის 108-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში და ის პატიმრობიდან გათავისუფლდა. ამავე განაჩენით, ზაქროს, სსკ-ის 108-ე მუხლით, სასჯელის ზომად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

დაზარალებულ ლ. ჯიხუბაქის საჩივრის საფუძველზე, თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2002 წ. 19 ნოემბერს გააუქმა გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2002 წ. 5 მაისის განაჩენი ლაცაბიძისა და ზაქროს მიმართ და საქმე დამატებითი გამოძიებისათვის დაუბრუნა ქ. თბილისის პროკურატურას შემდეგი მოტივებით: წინასწარი გამოძიება საქმეზე ჩატარებული არასრულად, სრულყოფილად არ არის გამოკვლეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მხილებული არ არის ყველა დამნაშავე პირი, შეფასებები არა აქვს მიცემული მოწმეთა და ბრალდებულთა ჩვენებებს, ზაქროსა და ლაცაბიძის მიერ მკვლელობა ჩადენილია ჯგუფურად. გამოძიებლის 2000 წ. 18 ნოემბრის დადგენილება ზაქროსა და ლაცაბიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრზე უარის თქმის შესახებ, ჯგუფური მკვლელობის ნაწილში, უკანონოა, უნდა გაუქმდეს და სხვა.

წარმოდგენილი კერძო საკასაციო საჩივრით ლაცაბიძის ინტერესების დამცველმა მოითხოვა სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება.

განსასჯელმა ზაქრომ, საკასაციო საჩივრით, მოითხოვა სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება და სა-



ქმის სააპელაციო პალატის სხვა შემადგენლობისათვის გადაცემა მისი ხელმოწერად განხილვის მიზნით.

შესაგებელ საჩივარში დაზარალებულმა ლ. ჯიხვაძემ კი მოითხოვა სააპელაციო პალატის განჩინების უცვლელად დატოვება.

საკასაციო პალატამ განიხილა რა საქმის მასალები, შეამოწმა კერძო საკასაციო საჩივრების მოტივების საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეების პოზიცია, ჩათვალა, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წ. 19 ნოემბრის განჩინება, რომლითაც გაუქმდა გლდანინაძე დედის რაიონული სასამართლოს 5 მაისის განაჩენი ზაქროსა და ლაცაბიძის მიმართ, რომლითაც საქმე დაუბრუნდა დამატებითი გამოძიებისათვის ქ. თბილისის პროკურატურას, უნდა დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატა დაეთანხმა სააპელაციო პალატის მოსაზრებებს და ჩათვალა, რომ საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, ყოველმხრივ ობიექტურად და სრულად უნდა მოხდეს საქმის გარემოებათა გამოკვლევა, სწორი სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს ზაქროსა და ლაცაბიძის ქმედებებს. გამოძიებამ უნდა იმსჯელოს, ზომ არ ჩაიდინეს მათ ბრალად შერაცხული დანაშაული ჯგუფურად ან ხულიგნური ქვენა გრძნობით. უნდა შესრულდეს სააპელაციო პალატის მითითებებიც მოწმეთა დამატებითი დაკითხვების, მათი ჩვენებების სრულყოფილად შეფასების და სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ. მოპოვებულ მტკიცებულებებს უნდა მიეცეს სამართლებრივი შეფასება და საქმეზე

მიღებულ უნდა იქნეს ობიექტური და კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატამ საჭიროდ მიიჩნია, განჩინებიდან ამორიცხულიყო სააპელაციო პალატის მიერ დადგენილად მიჩნეული დებულებები: “ზაქრომ და ლაცაბიძემ ჩაიდინეს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის “თ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული ჯგუფურად”. “ისინი შეიარაღებულნი იყვნენ დანებით” და მითითება იმის შესახებ, რომ გაუქმდეს გამოძიებლის 2000 წ. 18 ნოემბრის დადგენილება - ჯგუფურად მკვლელობის ჩადენის თაობაზე ზაქროსა და ლაცაბიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ. ამასთან, საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ სააპელაციო პალატას, რომელმაც მოცემული საქმე დააბრუნა დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად, უფლება არ ჰქონდა, დადგენილად მიეჩნია ისეთი გარემოებები ან განესაზღვრა ბრალდებულთა მართლსაწინააღმდეგო ქმედების იურიდიული კვალიფიკაცია, რომელიც დამატებით შემოწმებას და შეფასებას მოითხოვს, ან გაუუქმებინა გამოძიებლის კანონიერ ძალაში შესული დადგენილება, რომელიც არ იყო სააპელაციო წესით გასაჩივრებული. დამატებით გამოძიებას შეუძლია, იმსჯელოს ხსენებული დადგენილების კანონიერებაზე და საჭიროების შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება მისი გაუქმების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო პალატამ თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2002

წ. 19 ნომბრის განჩინება, რომლითაც გაუქმდა თბილისის გლდანინა-ძალადევის რაიონული სასამართლოს 2002 წ. 5 მაისის განაჩენი ზაქროსა და ლაცაბიძის მიმართ და საქმე დაუბრუნდა ქ. თბილისის პროკურატურას დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად<sup>1</sup>.

ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილ განზრახ მკვლელობისა და ასეთის მცდელობის კვალიფიკაციის მიმართებით ჯერ კიდევ შემუშავებული არ არის ერთიანი სასამართლო პრაქტიკა, შემუშავებული არაა თვით ამ დანაშაულის ჩადენის მოტივაცია და ხშირად ზოგიერთი ნაშრომის ავტორის მსგავსად, სასამართლოებიც ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილ განზრახ მკვლელობას მიიჩნევენ უმოტივო დანაშაულებრივ ქმედებად, რაც არასწორია. ყოველივე ეს კი აშკარად უარყოფითად მოქმედებს საგამოძიებო სასამართლო პრაქტიკაზე.

მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2003 წლის 6 თებერვლის განჩინებით, არასწორად მიიჩნია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2002 წლის 30 ოქტომბრის განაჩენით პ-ს მსჯავრდება სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის “კ” პუნქტის თანახმად. პ. დამნაშავედ იქნა ცნობილი იმაში, რომ მან ს-სთან შეკამათების დროს განიზრახა ამ უკანასკნელის განზრახ მკვლელობა და თავისი ამ მიზნის განსახორციელებლად მან “რგდ-5” ტიპის ხელყუმბარას მოაძრო დამცავი

მექანიზმი და ს-ს გვერდზე დაუგდო. ხელყუმბარის აფეთქებისა და მისგან წარმოშობილი ნამსხვრევების შედეგად ს-მ, ბ-მ და მ-მ მიიღეს სხეულის მსუბუქი ზარისხის დაზიანებები ჯანმრთელობის მოშლით. პალატამ ჩათვალა, რომ ამ შემთხვევაში პ-ს ქმედებაში ხელყუმბარის გამოყენებისას ხულიგნური ქვენა გრძნობა არ იკვეთება. და, რომ მოცემულ შემთხვევაში იგი მოქმედებდა შურისძიების მოტივით, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ამიტომ, მის მიმართ სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის “ზ” და “კ” პუნქტებიდან ამოირიცხა “კ” პუნქტით (ხულიგნური ქვენა გრძნობით ჩადენილი განზრახ მკვლელობა) წარდგენილი ბრალდება და იგი დამნაშავედ ცნო სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის “ზ” პუნქტით, როგორც განზრახ მკვლელობის მცდელობა ისეთი საშუალებებით, რომლებიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას<sup>2</sup>.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ მსჯავრდებულ პ-ს ქმედებიდან სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის “კ” პუნქტით გათვალისწინებული ბრალდების – ხულიგნური ქვენა გრძნობით განზრახ მკვლელობის მცდელობის ამოირიცხვა, ჩვენი აზრით, არასწორია. არც ისაა სწორი, თითქოს მან ეს დანაშაულებრივი ქმედება ჩადინა ს-სადმი შურისძიების მოტივით. პირიქით, ამით მას უნდოდა ს-სა და იქ მყოფი პირებისათვის დაემტკიც-

<sup>1</sup> დასახელებული გადაწყვეტილებანი, 2003, N1, გვ. 77-80.

<sup>2</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2003, N2, გვ. 180-184.



ცებინა თავისი სიძლიერე, ყოვლისშემძლეობა და მოეხდინა მათი დატერორება, რადგან ს-ს გვერდით გასწილ ხელყუმბარას რომ აგდებდა, მან იცოდა, რომ მისი აფეთქებით მართო ს. კი არ მიიღებდა სხეულის დაზიანებას ან მართო ს. კი არ მოკვდებოდა, არამედ მის გვერდით მყოფი პირებიც. იგი, უდავოდ, ითვალისწინებდა ამ მძიმე შედეგს და სურდა ან შეგნებულად უშვებდა მის დადგომას. ამიტომ მისთვის სულ ერთი იყო ვინ ემსხვერპლებოდა მის მიერ გადაგდებულ ხელყუმბარას. ამასთან, მან ეს ქმედება ჩაიდინა მრავალი ადამიანის თანდასწრებით, ურთიერთშეკამათების, ლანძღვისა და ჩხუბის დროს, რითაც მან კიდევ უფრო აშკარად გამოხატა საზოგადოებისადმი უპატივცემულობა და დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი. ამიტომ, წინასწარი გამოძიების პროცესში მის მიმართ წარდგენილი ბრალდება და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ გამოტანილ განაჩენში, ვეფირობთ, სწორად იყო ჩამოყალიბებული სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის “ზ” და “კ” პუნქტებით და მასში ზემოაღნიშნული მიმართებით ცვლილებების შეტანა არასწორია.

რაც შეეხება ანგარების მიზნით ჩადენილ განზრახ მკვლელობას, იგი უმეტეს შემთხვევაში დაკავშირებულია სხვისი მოძრავი ჭონების არამართლზომიერ დასაკუთრებასთან, რა დროსაც თავისი დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად პირი იყენებს ძალადობას, ფიზიკურ და ფსიქიკურ ზემოქმედებას, აგრეთვე პირის მოწამვლას. ზოგჯერ კი განზრახ მკვლელობის კვალის დაფარვის მიზნით, აწყობენ თვითმკვლე-

ლობის ან უბედური შემთხვევის ინსცენირებას.

ზოგჯერ ფულის ან სხვა ძვირფასი საგნების გადაცემის მოთხოვნაზე უარის თქმისას, მოძალადე იყენებს ყველა საშუალებას წინააღმდეგობის დასაძლევად. მიზნის მიღწევის შემდეგ კი სჩადის მკვლელობას, რათა დაფაროს თავისი დანაშაულის კვალი. ასეთი ქმედებები, როგორც წესი, ძარცვის ან ყაჩაღური თავდახმის ამსახველი მუხლებით დამატებით კვალიფიკაციას არ საჭიროებენ.

მაგალითად, კ. დაუკავშირდა თავის ახლო ნათესავ ზ-ს და გ-ს და სთხოვა მათ გაჰყოლოდნენ ა-სთან ფულის სასესხებლად, რათა მას გაესტუმრებინა ი-სთან ნარდში წაგებული 1800 ლარი. ამასთან, მათ შეუთანხმდა, რომ საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ჩაედინათ მასზე ყაჩაღური თავდასხმა, რაზეც ისინი შეთანხმდნენ და გაჰყვნენ. რაც შეეხება მკვლელობის ჩადენას, ამაზე ისინი არ შეთანხმებულან. ამ მიზნით მან აიღო “ნაგანის” სისტემის რევოლვერი, რომელსაც იგი უკანონოდ ინახავდა და ატარებდა, ეს იარაღი მისცა გ-ს და თან გააფრთხილა ზ., რომ ა-სთვის არ მიეცა ავტომანქანიდან გადასვლის უფლება. ისინი მანქანით მივიდნენ გორის ცენტრალურ ბაზართან, სადაც ა. ვალუტის გადაცვლით იყო დაკავებული. კ-მ იმ მოტივით, თითქოს სურდა ფულის გადახურდაცემა, ჩასვა ა. ავტომანქანაში და ნელი სვლით გაემართნენ ქალაქის განსასვლელისაკენ. გზაში კ-მ სთხოვა, რომ მისთვის ფული ესესხებინა პროცენტებით ან ბინის დაგირავების პირობით, რაზეც ა-მ მას უარი უთხრა. როდესაც კ. დარწმუ-

ნდა, რომ იგი ა-სგან ფულს ვერ მიიღებდა, გ-ს გამოართვა მისთვის მიბარებული რევოლვერი, მოიყვანა საბრძოლო მდგომარეობაში, დაუმინა და მოკვლის შუქარით მოსთხოვა, მიეცა ის ფული, რაც მას თან ჰქონდა. ა-მ დოლარების შეკვრა გადასცა და უთხრა, რომ იქ ათასი დოლარი იყო. ამით კ. არ დაკმაყოფილდა და ყვირილით აიძულებდა დანარჩენი ფულიც მიეცა. ა-სთან დარჩენილი ფულის დაუფლებისა და აგრეთვე იმის შიშით, რომ იგი ამხელდა მათ დანაშაულში, კ-მ გადაწყვიტა მისი მოკვლა. ამისთვის მან უთხრა ზ-სა და ბ-ს, რომ მისთვის ესროლათ, რაზეც მათ უარი განუცხადეს და მანქანიდან გადავიდნენ. მაშინ თვითონ კ-მ შუბლში დამიზნებით ესროლა ა-ს და მას მიაყენა სიცოცხლისათვის სახი-

ფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება, რის შედეგადაც იგი შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა. ამის შემდეგ კ-მ აიძულა ზ. და გ. ადგილზე დაბრუნებულ იყვნენ და მანქანიდან გადაეცნათ მოკვლის გვაში. მათ შეასრულეს კ-ს მოთხოვნა, ჯერ ჯიბიდან ამოუღეს დარჩენილი ფული, სულ 4000 ლარი, და გადასცეს კ-ს. შემდეგ ავტომანქანიდან გადაიტანეს ა-ს გვაში და იქვე საავტომობილო გზის მახლობლად დააგდეს. მიღებული თანხიდან კ-მ ზ-ს მისცა 200 ლარი, გ-ს კი 20 ლარი, დანარჩენი ფულით წაგებული ვალი გადაიხადა და ცოლ-შვილთან ერთად დასასვენებლად წავიდა ქობულეთში. ჩადენილი ქმედებისათვის კ-ს მსჯავრი დაჯდო საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის "ი" პუნქტით – ანგარებით ჩადენილი განზრახ მკვლელობისათვის.

**ედიშარ ფუტყარაძე**

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

**რაჟდენ ფუტყარაძე**

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

**კორუფციასთან ბრძოლის  
კონსტიტუციური-სამართლებრივი  
და სისხლისსამართლებრივი ასპექტები**

**I. კორუფციული დანაშაულის ცნება**

კორუფცია და მასთან ბრძოლა ყოველთვის იყო და რჩება სახელმწიფოსა და საზოგადოების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი. სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლებოდა კორუფციულ ქმედებათა გამოვლენის ფორმები, მაგრამ შინაარსი უცვლელი რჩებოდა. კორუფციული ქმედებები ყოველთვის ხელყოფდა სახელმწიფოსა და საზოგადოებაში დადგენილ წესწესობილებას, ეკონომიკურ სტრუქტურას, მმართველობის წესსა და ცალკეულ მოქალაქეთა ინტერესებს.

არსებობს კორუფციის სხვადასხვაგვარი განმარტება. თუმცა სრულყოფილად რომელიმე მათგანის მიჩნევა ძალზე ძნელია. ეს თუნდაც იმიტომ, რომ კორუფციამ შეიძლება მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფერო და დაზიანოს, სერიოზულად შეასუსტოს იგი. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ქმედებათა ერთიან ცნებაში მოთავსება კი მოითხოვს ამ ქმედებისათვის საერთო ნიშნის მოძებნას და მის ქვეშ გაერთიანებას. ჩვენი აზრით, ასეთ ნიშანს კი მათი დანაშაულებრივი ხასიათი წარმოადგენს. კორუფციული ქმედებები, თუკი ისინი სერიოზულ ზიანს შედეგებს იწვევენ, ამავე დროს დანაშაულებრივი ქმედებები არიან. დანაშაულებრივი ქმედება კი სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადი ქმედებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა კორუფციული ქმედება დანაშაულებრივი, დასჯადი ქმედება უნდა იყოს. უფრო ზუსტად კი – ყველა კორუფციული ქმედება უნდა ჩაითვალოს დანაშაულად და შესაბამისად, დასჯადად.

ისე როგორც ადამიანის ყველა ქმედება არ არის დანაშაული, ასევე სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა დანაშაული არ არის “კორუფციული”. საზოგადოებრივი ურთიერთობა მრავალმხრივია, ამ ურთიერთობათაგან განსაზღვრულია წრე კი დანაშაულებრივი. დანაშაულებრივ ქმედებათა წრე იცვლება სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარებასთან ერთად, რაც დაკავშირებულია ცალკეულ ქმედებათა კანონმდებლობაში კრიმინალიზაციასა და დეკრიმინალიზაციასთან.

დანაშაულებრივ ქმედებათა კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის საკითხი ასევე ძალზე მნიშვნელოვანია კორუფციულ დანაშაულებრივ ქმედებ-

ბთან ბრძოლის თვალსაზრისით. კორუფციულ ქმედებათა განვითარებისა და სრულყოფის შესაბამისად, წინმსწრებად უნდა განვითარდეს მასთან ბრძოლის საშუალებები. კორუფციასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალებაა მასთან სამართლებრივი ბრძოლა. სამართლის დარგთაგან კი ყველაზე ეფექტურს, ვფიქრობთ, რომ სისხლის სამართალი წარმოადგენს.

იმისათვის, რომ მართლმსაჯულების და საერთოდ სამართალდამცავმა ორგანოებმა ნაყოფიერად ებრძოლონ კორუფციას, საჭიროა მათ ჰქონდეთ სათანადო სამართლებრივი საკანონმდებლო ბაზა. სხვა ნორმატიულ აქტებთან ერთად, ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან კანონს სისხლის სამართლის კოდექსი წარმოადგენს.

თუკი სათანადოდ გამოვივლევთ კორუფციულ ქმედებათა ხასიათს, მოვახდენთ მათ კრიმინალიზაციას, დანაშაულებრივ ქმედებად გამოცხადებას, რისთვისაც დავაწესებთ “გონიერულ” სასჯელს და ამით არ შემოვიფარგლებით, რაც უპირველეს ყოვლისა გულისხმობს კორუფციული დანაშაულებრივი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარდაუვალობას, ვფიქრობთ, მაშინ კორუფციულ ქმედებათა ჩადენის მსურველი ცოტა იქნება. ისევე, როგორც სხვა, “კორუფციულ” დანაშაულებთან ბრძოლის დროსაც, მნიშვნელოვანია ასეთი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარდაუვალობა. ამასთან ერთად, აუცილებელია სისხლის სამართლის კანონიერების პრინციპის დაცვა, რაც იმას გულისხმობს, რომ პირს შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს ისეთი ქმედების

ჩადენისათვის, რაც მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით დანაშაულადაა გამოცხადებული.

აქედან გამომდინარე, თუკი პირი ჩაიდენს ქმედებას, რომელიც “კორუფციული შინაარსისაა”, მაგრამ სისხლის სამართლის კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული, ის თავისუფალია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. თუკი “კორუფციული შინაარსის” ქმედება ზშირად ხდება პრაქტიკაში და მასთან საბრძოლველად აუცილებელია ბრძოლა სისხლისსამართლებრივ ასპექტში, მაშინ საჭიროა ასეთი “კორუფციული შინაარსის” ქმედება გამოცხადდეს დანაშაულად, მოხდეს მისი კრიმინალიზაცია. თუმცა აქვე ისმება კითხვა: როგორი ქმედება ჩაითვალოს “კორუფციული შინაარსის” ქმედებად? კორუფციულ ქმედებებს, მათი გამორჩევის სხვადასხვა ფორმის მიუხედავად, ახასიათებთ საერთო ნიშანი, რაც მათ ერთნაირ შინაარსს აძლევს. ვფიქრობთ, ასეთ ნიშანს ანგარებითი მოტივი და პირადი სარგებლობის მიღების მიზანი წარმოადგენს. ქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს კორუფციულად, თუ მოქმედს არ ამოძრავებდა ანგარებითი მოტივი, მას არ ჰქონდა რაიმე გამორჩენის, მოგების, პირადი კეთილდღეობის, სარგებლობისა და ა.შ. მიღების მიზანი. ამავე დროს, ვფიქრობთ, მსგავსი მოტივითა და მიზნით ჩადენილი ყველა დანაშაულებრივი ქმედებაც არ შეიძლება ჩაითვალოს კორუფციულ დანაშაულად. უნდა გამოვიყოთ ისეთი დანაშაულები, რომლებიც “კორუპმირებულ დანაშაულებს” არ აიძულებს, თავისი მიზნის მისაღწევად, “ერთი შეხედვით კანონიერი ხასიათის ქმედებაზე” ხელი აიღოს.



კორუფციული მიზნით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება ხასიათდება ობიექტური და სუბიექტური თავისებურებებით. ეს თავისებურებები მას აძლევს სხვა დანაშაულთაგან განმასხვავებელ ნიშანს. ჩვენი აზრით, ობიექტური თავისებურებები განსხვავებულ კორუფციულ დანაშაულებად უნდა მივიჩნიოთ ისეთი დანაშაულები, როცა კორუფციული მიზნის მისაღწევად დამნაშავეს რაიმე სპეციალური თავისებულები არ სჭირდება და თავისებურება თვით ქმედების ხასიათშია. ასეთ ქმედებათა ჩადენა ნებისმიერ ფიზიკურ პირს შეუძლია, მაგ., ცრუ მეწარმეობა (სსკ-ის 193-ე მუხლი), უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (სსკ-ის 194-ე მუხლი) და ა.შ.<sup>1</sup> მათგან უნდა განვასხვავოთ ისეთი კორუფციული დანაშაულები, რომლის ჩადენაც მხოლოდ სპეციალური თავისებულის მქონე ამსრულებელს შეუძლია. მაგალითად, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (სსკ-ის 332-ე მუხლი), სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა (სსკ-ის 337-ე მუხლი), ქრთამის აღება (სსკ-ის 338-ე მუხლი) და ა.შ.<sup>2</sup>

კორუფციული დანაშაული, ჩვენი აზრით, ეს ისეთი დანაშაულია, როდესაც დამნაშავე ანგარების მოტივით და პირადი სარგებლობის მიღების მიზნით, ჩადენილი ქმედებით ხელყოფს ადამიანის, საზოგადოების ან სახელმწიფოს ინტერესებს. აქვე გვიხსენდა აღენიშნოთ, რომ სამართლებრივი ინტერესებზე ხელყოფის ფორმის მიხედვით, კორუფციულ დანაშაულებს “კანონიერი ქმედების მსგავსი” ხასიათი აქვთ. ეს დანაშაულები ატარებენ

“შენიღებულ” სახეს და მათში არ ჩანს ქმედების აშკარა დანაშაულებრივი ხასიათი. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ პირადი სარგებლობის მიღების მიზნითა და ანგარების შეიძლება ჩადენილ იქნეს განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში (სსკ-ის 109-ე), ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (სსკ-ის 117-ე მუხ. მეორე ნაწ.), ქურდობა (მუხ. 177-ე), ძარცვა (მუხ. 178-ე), ყაჩაღობა (მუხ. 179-ე) და ა.შ. მაგრამ დასახული პირადი სარგებლობის მიღების მიზნის მისაღწევად ჩადენილი ასეთი დანაშაულები არ შეიძლება მივიჩნიოთ კორუფციულ დანაშაულად, რასაც ვერ ვიტყვით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე (მუხ. 194-ე), მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შეზღუდვაზე (სსკ-ის მუხ. 195-ე), ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადებასა და გასაღებაზე (სსკ-ის 212-ე მუხლი), საბაჟო წესის დარღვევაზე (სსკ-ის 214-ე მუხლი) და ა.შ.

კორუფციული დანაშაულები დაკავშირებულია პირადი სარგებლობის, მოგების მიღებასთან. ეს კი, თავის მხრივ, დაკავშირებულია საზოგადოებაში არსებული ეკონომიკური ურთიერთობების ხელყოფასთან, რასაც სისხლის სამართლის კოდექსის მერვე კარი – ეკონომიკური დანაშაული – იცავს. ამიტომ კორუფციულ დანაშაულთა შემადგენლობები, ჩვენი აზრით, ძირითადად სწორედ ამ კარში უნდა ვეძიოთ. მათ უნდა მივუმატოთ ის სამოხელეო დანაშაულები, რომლებიც მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებათა დასჯადობას ითვალისწი-

<sup>1</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, გამოც. “სამართალი”, თბ., 2003 წ., გვ. 114-115.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 198-200.



ნებს. აქედან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, კორუფციული დანაშაულები ძირითადად გათვალისწინებულია კოდექსის XXVI, XXVII, XXVIII, XXIX და XXXIX თავებში.

## II. კორუფციული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი იწვება მეშვიდე კარიდან, რომელსაც ეწოდება დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. ჩვენი აზრით, ისინი არ შეიძლება ჩაითვალოს კორუფციულ დანაშაულებად. თუმცა ზოგიერთი მათგანის განხორციელებით შეიძლება მიღწეულ იქნეს დამნაშაულის "კორუფციული" მიზნები. მაგალითად, სსკ-ის 143<sup>1</sup> მუხლი ითვალისწინებს ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს). ტრეფიკინგით დამნაშავემ შეიძლება დიდძალი შემოსავალი მიიღოს, ვიდრე სხვა დანაშაულებრივი ქმედებით. ამავე დროს ეს მუხლი ითვალისწინებს ისეთ მაკვალიფიცირებელ გარემოებას, როგორცაა იგივე ქმედების ჩადენა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მაგრამ ამ შემთხვევაში დამნაშავე მოქმედებს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ. ამიტომ ამ დანაშაულის კორუფციულ ხასიათს ფარავს უფრო მძიმე შედეგი, რაც სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფაა.

აქედან გამომდინარე, დანაშაულებრივი ქმედება არ უნდა მივიჩნიოთ

კორუფციულად, თუ ეკონომიკური კეთილდღეობა უფრო მძიმე სამართლებრივი სიკეთის ხელყოფით მიიღწევა, ვიდრე ეკონომიკური ურთიერთობის ხელყოფაა.

ასეთ შემთხვევაში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სხვა სამართლებრივ სიკეთეს, ვიდრე საზოგადოებაში არსებული ეკონომიკური ურთიერთობების დაცვას. (მაგ., ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობა და ა.შ.)

რაც შეეხება თვით ეკონომიკურ დანაშაულს, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობითაა გათვალისწინებული, არც ყველა მათგანი შეიძლება მივიჩნიოთ კორუფციულ დანაშაულად.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სისხლის სამართლის კოდექსის XXVI, XXVII, XXVIII და XXIX თავებში გათვალისწინებულ დანაშაულებრივ ქმედებათა უმრავლესობის განხორციელება ხელყოფს იმ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებული არიან მატერიალური დოვლათის განაწილებასთან. როგორც პროფ. ზ. წულაია აღნიშნავს, "სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ჩადენილი დანაშაული ესაა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული... ქმედობა, რომელიც ხელყოფს იმ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც იქმნება მატერიალური დოვლათის წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების საფუძველზე"<sup>1</sup>. ასე ახასიათებს პროფ. ზ. წულაია კოდექსის XXVI თავით გათვალისწინებულ დანაშაულებს, რომლებსაც ეწო-

<sup>1</sup> ზ. წულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, მეორე ტომი, გამომც. "ინტელექტი", თბ., 2001წ., გვ.149.

დება დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ. ხოლო მომდევნო XXVII თავით – დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში – გათვალისწინებულ დანაშაულთა მიმოხილვისას აღნიშნავს, რომ “დასახელებულ დანაშაულთა გვარობითი ობიექტია ის ურთიერთობები, რომელიც აწესრიგებს (არეგულირებს) ფულად-საკრედიტო სისტემის სწორად წარმართვასა და საქმიანობას, ე.ი. ობიექტია ბანკებისა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციების საკრედიტო საქმიანობა”<sup>1</sup>.

დამნაშაის “კორუმპირებულები” მიზნების მიღწევას ხელს უწყობს ასევე ისეთი დანაშაულების ჩადენა, როგორიცაა დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში (კოდექსის XXVIII თავი) და დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ (კოდექსის XXIX თავი). აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ თავებით გათვალისწინებული ყველა დანაშაული არ შეიძლება მივიჩინოთ კორუფციულ დანაშაულად. უნდა გამოიკეთოს ისეთი შემადგენლობები, რომელთა განხორციელება კორუმპირებული დამნაშაის მატერიალურ და ფინანსურ ინტერესებს ემსახურება. ჩვენი აზრით, ეკონომიკურ დანაშაულთაგან ასეთს მიეკუთვნება კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლა (მუხ. 190-ე), უკანონო სამეწარმეო საქმიანობა (მუხ. 192-ე), ცრუ მეწარმეობა (მუხ. 193-ე), უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (მუხ. 194-ე), მონოპოლიური საქმიანობა და კონკურენციის შეზღუდვა (მუხ. 195-ე),

ფალსიფიკაცია (მუხ. 197-ე), ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია (მუხ. 198-ე), კრედიტის უკანონოდ მიღება (მუხ. 208-ე), ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება (მუხ. 210-ე), ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება (მუხ. 212-ე), საბაჟო წესის დარღვევა (მუხ. 214-ე), საზღვარგარეთიდან უცხოურ ვალუტაში თანხის დაუბრუნებლობა (მუხ. 217-ე), გადასახადისათვის თავის არიდება (მუხ. 218-ე), მომხმარებლის მოტყუება (მუხ. 219-ე), უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (მუხ. 220-ე), კომერციული მოსყიდვა (მუხ. 221-ე). შეიძლება სხვა შემადგენლობებზეც გავვეძახვილებინა ყურადღება, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ეკონომიკურ დანაშაულთაგან ყველაზე უფრო “კორუფციული” სწორედ ეს დანაშაულებია და თითოეულ ასეთ ფაქტზე სათანადო რეაგირება კორუფციასთან საბრძოლველად მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს.

ეკონომიკური დანაშაულის შემდგომ “კორუფციული დანაშაულის შემადგენლობები” გვხვდება სამოხელეო და მმართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაულებში. ჩვენი აზრით, ამის მიზეზია ის, რომ “სამოხელეო და მმართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაულებში სჭარბობს ანგარებითი და სხვა პირადი მოტივები”<sup>2</sup>. ამ დანაშაულთაგანაც უნდა გამოვყოთ ისეთი დანაშაულები, რომლის ჩადენის დროსაც ყველაზე ნა-

<sup>1</sup> ს. წულაია, სისხლის სამართალი, კრძო ნაწილი, მეორე ტომი, გამომც. “ინტელექტი”, თბ., 2001წ., გვ. 264.

<sup>2</sup> მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, დანაშაული სახელმწიფოსა და სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ, გამომც. “მერიდიანი”, თბ., 2002წ., გვ. 7.

თლად იკვეთება დანაშაულის კორუმპირებულობა. ჩვენი აზრით, ასეთ დანაშაულებს მიეკუთვნება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (მუხ. 332-ე), სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (მუხ. 333-ე), სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა (მუხ. 337-ე), ქრთამის აღება (მუხ. 338-ე), ქრთამის მიცემა (მუხ. 340-ე), ქონებრივი მდგომარეობის ან საფინანსო დეკლარაციის წარუდგენლობა, ანდა დეკლარაციაში არასრული ან არასწორი მონაცემის შეტანა (მუხ. 355-ე), ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება (მუხ. 362-ე).

ამ დანაშაულთა დისპოზიციაში პირდაპირაა მითითებული დანაშაულის "კორუმპირებულ" მიზნებსა და მოტივებზე. ამიტომ ისინი უნდა მივაკუთვნოთ კორუფციულ დანაშაულებს. შეიძლება ითქვას, რომ ყველა მათგანი კორუფციული ქმედებაა. კორუფციულს სხვა დანაშაულებებზე ქმედებებიც შეიძლება მივაკუთვნოთ, მაგრამ, ჩვენი აზრით, სხვა ქმედებებში ისე აშკარად არ არის გამოკვეთილი კორუფციული ინტერესები, როგორც ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებულ დანაშაულთა შემადგენლობებში, რომლებსაც, ვფიქრობთ, სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ კორუფციული დანაშაულები. რა თქმა უნდა, კორუფციულ დანაშაულთა ჩვენ მიერ შემოთავაზებული ჩამონათვალი პირობითია. ის შეიძლება შეიცვალოს საზოგადოებრივი ურთიერთობის ცვლილებასთან ერთად. ამავე დროს, კორუფციული ინტერესების დასაკმაყოფილებლად ადამიანმა შე-

იძლება სხვადასხვა გზას მიმართოს. კორუფციასთან ბრძოლა კი გული-სხმობს ყველა იმ გზისა და წყაროს გადაკეტვას, რაც კორუფციულ შემოსავალს ასაზრდოებს.

### III. სასამართლო პრაქტიკა კორუფციულ დანაშაულებთან მიმართებაში

კორუფციასთან ბრძოლა ასევე გულისხმობს ნებისმიერ კორუფციულ დანაშაულზე სათანადო რეაგირებას. კორუფციულ ქმედებათა ობიექტური გამოძიება, დანაშაულისათვის სამართლიანი სასჯელის დანიშვნა და სასჯელის კანონმდებლობის შესაბამისად აღსრულება ხელს უწყობს კორუფციულ ქმედებათა აღმოფხვრას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სისხლის სამართალი ვერ შეასრულებს თავის პრევენციულ ფუნქციას და დანაშაულები არ მოიშლიან კორუფციულ ქმედებებს. ვფიქრობთ, ინტერესი მოკლებული არ იქნება, აქვე განვიხილოთ სასამართლო სტატისტიკა ე.წ. "კორუფციულ დანაშაულებთან" მიმართებაში<sup>6</sup>.

ჩვე მიერ ზემოთ გაკეთებული კორუფციული დანაშაულის ჩამონათვლის შესაბამისად, რომელიც ძირითადად ცალკეულ შემადგენლობებს მოიცავს, მოვახდინეთ ამ დანაშაულთა სტატისტიკური მონაცემების შეჯერება 2002 და 2003 წლებისათვის. ამ მონაცემების შესაბამისად, 2002 წლის განმავლობაში, სასამართლო ორგანოებში განსახილველად იყო უკანონო სამეწარმეო საქმიანობის 29 საქმე (მუხ. 192-ე). 2003 წლისათვის კი ასეთ საქმეთა რაოდენობა შეადგენდა 48-ს. თუმცა ეს პირდაპირ არ მიუთითებს

<sup>6</sup> სტატისტიკური მონაცემები აღებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკისა და ინფორმაციის განყოფილების სტატისტიკის სექტორში.



იმანზე, რომ 2003 წელს უფრო მეტი იყო უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტები. შეიძლება ასეთ საქმიანობას ადგილი ადრეც ჰქონდა, მაგრამ არ ხდებოდა სათანადო რეაგირება სამართალდამცავი ორგანოების მიერ. სამწუხაროდ, სტატისტიკური მონაცემები არ ასახავს იმ რეალურ სინამდვილეს, რაც ცხოვრებაში ხდება. ეს ის მონაცემებია, რომლებიც ოფიციალურად სასამართლომდე მიღწეულ საქმეთა რაოდენობას ასახავენ. შეიძლება უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ბევრ ფაქტს ჰქონდა ადგილი, მაგრამ ისინი არ გამოვლენილა ან გამოვლენის შემდეგ მათზე სათანადო რეაგირება არ მომხდარა. ეს კი კორუფციის მსგავსი ფაქტების განვითარებას უწყობს ხელს და არა აღმოფხვრას.

2002 წელს სასამართლო ორგანოებში იყო განსახილველი ფალსიფიკაციის 188 საქმე. 2003 წლისათვის კი მათი რიცხვი 152-მდე შემცირდა. ამან შეიძლება მიუთითოს როგორც ფალსიფიკაციის შემთხვევათა შემცირებაზე, ასევე სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის შესუსტებაზე, ნაკლები ფაქტების გამოვლენაზე, მათ გამოძიებასა და სასამართლოში წარმართვაზე. რაც შეეხება ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადებას ან გასაღებას – 2002 წლისათვის სასამართლოებში იყო 46 საქმე, 2003 წლისათვის კი 33, ე.ი. შეინიშნება შემცირება (საკითხავია, ფაქტების თუ გამოვლენა-რეაგირების?!). სხვა მდგომარეობაა საბაჟო წესის დარღვევასთან მიმართებაში. თუკი 2002 წელს სასამართლოში იყო 55 საქმე, 2003 წლისათვის მათი რიცხვი 75-მდე

გაიზარდა. ასევე გაიზარდა სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საქმეთა რიცხვი 45-დან 54-მდე. 4 ერთეულით გაიზარდა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საქმეთა რაოდენობა 2002წ.-16; 2003წ.-20 საქმე. შემცირებულია და საერთოდ ნაკლებია კომერციული მოსყიდვის საქმეები. 2002წ.-3 საქმე, 2003წ.-1, 2002 წელს დაფიქსირდა სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობის 1 საქმე, 2003 წლისათვის კი ასეთი ფაქტი არ გვხვდება, რაც, ვფიქრობ, ნაკლებად დასაჯებელი უნდა იყოს.

ასევე ნაკლებად უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს ის მონაცემები, რაც ქრთამის აღებისა და ქრთამის მიცემის მუხლებს შეეხება. დაფიქსირებულია 2002 წელს ქრთამის აღების 6 საქმე, 2003 წელს 7, 2002 წელს ქრთამის მიცემის 4 საქმე, 2003 წელს კი 8, ე.ი. მაინც შეინიშნება ასეთ შემთხვევათა მატება ან მასთან ბრძოლის გაუმჯობესება. საყურადღებოა ასევე სამსახურებრივი სიყალბის მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა კლება. ამ მუხლის დისპოზიცია პირდაპირ მიუთითებს, რომ ის არის „ჩადენილი ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით“<sup>1</sup>. 2002 წელს სასამართლოებში ამ მუხლით 33 საქმე იყო, 2003 წელს კი 28. არის უძნობიერად სხვაობა სხვა კორუფციულ დანაშაულებშიც. ასე მაგალითად, 2002 წელს სასამართლოში იყო 1 საქმე ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადების, გასაღების ან გამოყენების მუხლით, რასაც ვეღარ ვხვდებით 2003 წელს. სამაგი-

<sup>1</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 2001წ., გვ.147.

ეროდ, 2002 წელს არ ყოფილა საქმე კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლის მუხლით, რომლის მხოლოდ ერთ ფაქტს ვხვდებით 2003 წლისათვის. ჩვენი აზრით, არც ამ დანაშაულთან მიმართებით არსებული სტატისტიკური მონაცემი უნდა ასახავდეს რეალურ სურათს. ძნელი დასაჯერებელია, რომ 2002-2003 წლების მანძილზე მხოლოდ ერთხელ მოხდა კანონიერი სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლა ისე, რომ მასზე სს-ის საქმე აღიძრა და სასამართლოში წარიმართა. ნუთუ სხვა ასეთ დანაშაულებრივ ქმედებებს ადგილი არ ჰქონია ან საგამოძიებო ორგანოებიდან სასამართლოში ამ მუხლით გათვალისწინებული სს-ის საქმეები არ გადაგზავნილა? ან იქნებ საგამოძიებო ორგანოებამდეც არ მიუღწევია სათანადო სამსახურებიდან მოკვლეულ მასალებს? თუ რეალურად ხდება ასეთი, “კორუფციული ხასიათის დანაშაულებრივი ქმედება” და მასზე არ ხორციელდება სათანადო რეაგირება,

მაშინ მისი აღმოფხვრაც შეუძლებელია. თუკი გვსურს, რომ კორუფცია აღმოფხვრათ, მაშინ საჭიროა მისი გამოვლენის ნებისმიერ ფორმას სამართლებრივად შევებროლოთ.

ვფიქრობთ, ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობა საკმაოდ ენობით შეიცავს კორუფციულ დანაშაულთა შექმნის საფრთხეებს. მთავარია, მათზე დაყრდნობით შეურიგებლად ვებროლოთ კორუფციულ ქმედებათა ნებისმიერ დანაშაულებრივ გამოვლენას, რათა ამით პრევენციული ზემოქმედება მოვახდინოთ როგორც თვით დანაშაულის ჩამდენ პირზე, ისე დანაშაულის ჩადენის მსურველ სხვა ნებისმიერ მოქალაქეზე.

სისხლის სამართალს, როგორც სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს, თავისი დაცვითი ფუნქციიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ყველაზე უკეთესად შეუძლია დაიცვას ჯანსაღი საზოგადოებრივი ურთიერთობა კორუფციულ-დანაშაულებრივ ქმედებათა ხელყოფისაგან.



რუბრეაში, რომელსაც უძღვება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი ნანა მჭედლიძე, გაშუქებულია 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით განმტკიცებული უფლებები და თავისუფლებები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართება, ევროპული კონვენციის და ევროპული სასამართლოს პრეკედენტული სამართლის გავლენა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოებაზე.

## სასამართლოს ხელმისაწვდომობა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი ითვალისწინებს უფლებას კანონით შექმნილ დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოზე. სასამართლოზე უფლებებაში ევროპული სასამართლო მოიხარებს სამ ასპექტს: უფლებას სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე, ქმედით უფლებას სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე (ე.წ. სამართლებრივი დახმარება) და უფლებას სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე.

მე-6 მუხლის ტექსტში პირდაპირი მითითება სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე არ არსებობს, მაგრამ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული მუხლი ვეელასთვის უზრუნველყოფს უფლებას, მიმართოს სასამართლოს მის სამოქალაქო უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით. მე-6 მუხლი განამტკიცებს უფლებას სასამართლოზე და სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებას, ანუ პირის უფლებას, დაიწყო სამართალწარმოება სასამართლოში სამოქალაქო საქმეებზე, მხოლოდ ერთ-ერთ ასპექტს შეადგენს.

საქმეზე გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ

*თუ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი თავისი განმარტებით დაკავშირებული იქნებოდა მხოლოდ იმ სამართალწარმოებასთან, რომელიც უკვე დაწყებულია სასამართლოში, ხელშეწყვერელ მხარეს შეეძლებოდა, აღნიშნული ფორმულირების დაურღვეველად, გაეუქმებინა ეროვნული სასამართლოები ან ჩამოერთმია მათთვის სამოქალაქო ხასიათის დაკების გარეგანი კატეგორიის საქმეების განხილვის უფლებამოსილება და გადაეცა აღმასრულებელ ხელისუფლებებზე დამოკიდებული ორგანოებისათვის... სასამართლოს შეზღუდვებით, წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტში საქმის განხილვის მიმდინარეობის მხარეთათვის მინიჭებული საპროცესო გარანტიები დეტალურად ყოფილიყო ასახული და, პირველ რიგში, არ იცავდეს იმას, რაც ფაქტობრივად, სხვა გარემოებებისგან დამოუკიდებლად, შესაძლებელს ხდის ამ გარანტიებით სარგებლობას, ანუ სასამართლოს ხელმისაწვდომობას. სასამართლო განხილვის სამართლიანობის, სეგაროობისა და ოპერატიულობის მატანათებლები საერთოდ არანაირ ფასეულობას არ წარმოადგენს, როცა სასამართლო განხილვა არ შედგება<sup>1</sup>.*

<sup>1</sup> გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Goder v. the United Kingdom), 1975 წლის 21 თებერვალი, პუნქტი 35.

თუმცა სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება აბსოლუტური უფლება არ არის. სასამართლომ გოლდერის გადაწყვეტილებიდან ზემოთ ციტირებული მსჯელობა გააგრძელა და დაადგინა, რომ თავად აღნიშნული უფლების ხასიათი მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან რეგლამენტაციას, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს დროისა და ადგილის მიხედვით საზოგადოების და ცალკეულ პირთა საჭიროების მიხედვით, თუმცა ასეთი რეგლამენტაცია არასოდეს უნდა არღვევდეს უფლების არსს და არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში კონვენციით გათვალისწინებულ სხვა უფლებებთან.

თავის პრეცედენტულ სამართალში ევროპულმა სასამართლომ მოვიანებით დაადგინა, რომ ნებისმიერი შეზღუდვა შეიძლება იყოს შესაბამისობაში მე-6 მუხლთან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ

შეზღუდვა კანონიერ მიზანს ისახავს

და

გამოყენებულ საშუალებებსა და კანონიერ მიზანს შორის, რომლის მიღწევასაც შეზღუდვა ისახავს, გონივრული თანაბარზომიერება არსებობს<sup>1</sup>.

საქმე გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ეხებოდა პატიმარს, რომელსაც უარი ეთქვა დაკავშირებოდა თავის ადვოკატს, რათა შეეტანა სამოქალაქო სარჩელი ცილისწამებაზე ციხის ადმინისტრაციის მოხელის წინააღმდეგ. სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული მე-6 მუხლის დარღვევას შეადგენდა ის, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება არა მარტო უნდა არსებობდეს, არამედ იგი აგრეთვე ეფექტიანი უნდა იყოს. სასამართლომ აგრეთვე დაადგინა, რომ, ვინაიდან პატიმარს არ შეეძლო ჰქონოდა ადვოკატთან კონფიდენციალური კონსულტაციები, მას უარი ეთქვა სასამართლოს ქმედით ხელმისაწვდომობაზე<sup>2</sup>.

ზოგიერთ შემთხვევაში პირი უარს იღებს სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე თავად პირის გამოისობით. სასამართლომ აღიარა, რომ არასრულწლოვანებისთვის, სულით ავადმყოფებისთვის, ბანკროტებისთვის და არაკეთილსინდისიერი მოსარჩელებისთვის სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე უარის თქმა კანონიერ მიზანს ისახავს<sup>3</sup>. საქმეზე კანის კათოლიკური ეკლესია საბერძნეთის წინააღმდეგ<sup>4</sup>, ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელ ეკლესიას არ ჰქონდა სამართალსუბიექტურობა შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით. რის გამოც, არ იქნა დაკმაყოფილებული სარჩელი საკუთრების უფლებების შესახებ. ამის საწინააღმდეგოდ ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ აღნიშნულის გამო დაირღვა სასამართლოზე უფლების არსი და რომ ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის დარღვევას. სასამართლომ აგრეთვე დარღვევა დაადგინა, როდესაც პროცესი შეიძლება წარმართულიყო მხოლოდ სხვა ორგანოს მიერ, მიუხედავად განმცხადებლების უშუალო ინტერესისა. საქმეზე ფი-

<sup>1</sup> ამინგლენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Ashingdane v. the United Kingdom), 1985 წლის 28 მაისი, პუნქტი 57.

<sup>2</sup> კამპელი და ფელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Campbell and Fell v. the United Kingdom), 1984 წლის 28 ივნისი, 111-113 პუნქტები.

<sup>3</sup> მ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (M. v. the United Kingdom), 52 DR 269.

<sup>4</sup> კანის კათოლიკური ეკლესია საბერძნეთის წინააღმდეგ (Canea Catholic Church v. Greece), 1997 წლის 16 დეკემბერი.

ლისი საბერძნეთის წინააღმდეგ<sup>1</sup> განმცხადებელი, პროფესიით ინჟინერი, ითხოვდა შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებას. აღნიშნული შეიძლება განხორციელებული ყოფილიყო მხოლოდ საბერძნეთის ტექნიკური პალატის მეშვეობით. სასამართლომ დაასკვნა, რომ, თუმცა აღნიშნული პროცედურა შესაძლოა უზრუნველყოფდა ინჟინრებს პროფესიონალური იურიდიული წარმომადგენლობით მცირედი გასამრჯელოს საფასურად, ეს არასაკმარისი იყო განმცხადებლისთვის თავისი ინტერესების დასაცავად, დამოუკიდებელი მოქმედების შესაძლებლობის ჩამორთმევის გასამართლებლად.

საქმეზე *ერთი ირლანდიის წინააღმდეგ*, ქალბატონს, რომელსაც არ გააჩნდა საკმარისი თანხები, უარი ეთქვა სამართლებრივ დახმარებაზე, რათა დაეწყოს სამართალწარმოება სასამართლოში, მეუღლესთან გაცილების მიზნით. სასამართლომ დაასკვნა, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი შეიძლება ზოგჯერ სახელმწიფოს ავალდებულებდეს, უზრუნველყოს პირისთვის ადვოკატის დახმარება, როდესაც ასეთი დახმარება სასამართლოს ქმედითი ხელმისაწვდომობისთვის აუცილებელია, ვინაიდან იურიდიული წარმომადგენლობა სავალდებულოა, როგორც ეს დადგენილია ზოგიერთი ხელშეკრული სახელმწიფოს კანონმდებლობით რიგი დავებისათვის, სამართალწარმოების ან საქმის სირთულის გამო<sup>2</sup>.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელმა აღნიშნულ საქმეზე ვერ

ისარგებლა უმაღლესი სასამართლოს ქმედითი ხელმისაწვდომობით და ვერ შეიტანა შუამდგომლობა მეუღლესთან გაცილების თაობაზე.

უფლება სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე შეიძლება დაირღვეს, როცა სახელმწიფო გათავისუფლებული ვალდებულებისგან, უზრუნველყოს აღნიშნული უფლება, რის გამოც, პირი ვერ მიმართავს სასამართლოს (ე.წ. ხელშეუხებლობის, იმუნიტეტის შემთხვევა). საქმეზე *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*<sup>3</sup>, რომელიც შეეხებოდა საჯარო პოლიტიკის სასარჩელო იმუნიტეტს საკამოძიებო ამ აღძვევითი უფლებამოსილებების განხორციელებისას პოლიციის ქმედებასთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საგამონაკლისო ნორმის მიზანი შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც კანონიერი, თუ იგი მიმართულია პოლიციის ქმედითობის შესანარჩუნებლად უწყსრიგობისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამის მიუხედავად, საგამონაკლისო ნორმის აღნიშნულ საქმეზე შეფარდება ისე, რომ ადგილი არ ჰქონია შემდგომ დანტერესებას, შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა.

თუმცა საქმეზე *აშინგდენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*<sup>4</sup>, რომელიც ეხებოდა სასარჩელო იმუნიტეტის სხვა შემთხვევას, ევროპულმა სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა. აღნიშნულ საქმეზე სასარჩელო იმუნიტეტი გათვალისწინებული იყო კა-

<sup>1</sup> ფილისი საბერძნეთის წინააღმდეგ (Philis v. Greece), 1991 წლის 27 აგვისტო.

<sup>2</sup> ერთი ირლანდიის წინააღმდეგ (Airey v. Ireland), 1979 წლის 9 ოქტომბერი პუნქტი 26.

<sup>3</sup> ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom), 1998 წლის 28 ოქტომბერი.

<sup>4</sup> აშინგდენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Ashingdane v. the United Kingdom), 1985 წლის 28 მაისი.

ნონით, რომელიც კრძალავდა სამოქალაქო სარჩელის შეტანას სულით ავადმყოფი პაციენტების მიერ ჯანმრთელობის დაცვის სამსახურების პერსონალის ან ორგანიზაციის წინააღმდეგ არაკეთილსინდისიერების ან ზრუნვის ნაკლებობის საფუძველზე. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ აღნიშნულ საქმეზე გათვალისწინებული შეზღუდვები, რომლებიც გამოირჩევა შესაბამისი ორგანიზების ყოველგვარ პასუხისმგებლობას, არ არღვევდა განმცხადებლის უფლების არსს სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე და არ ხელყოფდა თანასწორობის პრინციპს. ამას გარდა, სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე დაადგინა რომ განმცხადებელს, მიუხედავად ზემოთქმულისა, შეეძლო, წამოეწყო სამართალწარმოება დაუდევრობის საფუძველზე.

ევროპულმა სასამართლომ შესაძლოა, აგრეთვე დაადგინოს სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე უფლების დარღვევა, როდესაც ეროვნულ სასამართლოს არ აქვს სრული იურისდიქცია მისი განსახილველი საქმის ფაქტებსა და სამართლებრივ გარემოებებზე. დარღვევის საკითხის გადაწყვეტისას ევროპული სასამართლო მხედველობაში მიიღებს დავის საგანს, იმას, შეუძლია თუ არა სასამართლოს, თუნდაც შეზღუდული უფლებამოსილების ფარგლებში, ადეკვატურად განიხილოს სადავო საკითხები, ის, თუ როგორ იქნა გადაწყვეტილება მიღებული და დავის შინაარსი, გასაჩივრების სასურველი და ფაქტობრივი საფუძველების ჩათვლით.

საქმე *ბრაიანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*<sup>1</sup> შეეხებოდა დაგეგმარების ნებართვის დარღვევის საად-

სრულებო წარმოებას. სასამართლომ დაადგინა, მიუხედავად იმისა, რომ უმაღლეს სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა შემოიფარგლებოდა იურიდიული საკითხებით და ამიტომ მისი იურისდიქცია შეზღუდული იყო ფაქტებთან მიმართებით, აღნიშნულმა მე-1 მუხლის დარღვევა არ შეადგინა. ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა დაგეგმარების თავისებურ ხასიათს, რაც განიხილებოდა როგორც მოქალაქეთა ქცევის რეგულირებისას ხელისუფლების დისკრეციული გადაწყვეტილების აღსრულების ტიპური მაგალითი. აქედან გამომდინარე, უმაღლესი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის უფლებამოსილების ფარგლები საკარისად ჩაითვალა.

თუმცა საქმეზე *ვასილესკუ რუმინეთის წინააღმდეგ*<sup>2</sup> სასამართლომ სწორედაც რომ დაადგინა მე-1 მუხლის დარღვევა, რადგან ეროვნულ სასამართლოებს არ გააჩნდათ უფლებამოსილება, განეხილათ სარჩელი კომუნიკაციის რეჟიმის განმავლობაში კონფისკაციის რეჟიმის რესტიტუციის თაობაზე. ევროპულმა სასამართლომ მიიღო ეროვნული საპროცესო კანონმდებლობის რუმინეთის მართლმსაჯულების უხეიამის სასამართლოსეული განმარტება, რომლის თანახმადაც, ფაქტობრივად არც ერთ სასამართლოს არ გააჩნდა იურისდიქცია განმცხადებლის სარჩელის განსახილველად. ერთადერთი ხელმისაწვდომი საშუალება იყო გენერალური პროკურატურის დეპარტამენტი. სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ დეპარტამენტი არ იყო დამოუკიდებელი სასამართლო ორგანო მე-1 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით.

<sup>1</sup> ბრაიანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Byan v. the United Kingdom), 1995 წლის 22 იანვარი, პუნქტი 45.

<sup>2</sup> ვასილესკუ რუმინეთის წინააღმდეგ (Vasilescu v. Romania), 1998 წლის 22 მაისი.



## ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საპარლამენტო სისტემაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უკანასკნელ წლებში რეალურად განიცდის ინდივიდუალურ განაცხადთა მოჭარბებას, ეს კი არსებით საფრთხეს უქმნის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კონტროლის სისტემის ეფექტიანობას. "გადატვირთვის პრობლემის პოლიტიკური აღიარება მოხდა ევროპის მინისტრთა კონფერენციასზე რომში 2000 წლის 3-4 ნოემბერს, რომელიც ადამიანის უფლებათა თემას მიეძღვნა"<sup>1</sup>. მანამდე კი "საზედამხედველო ორგანოთა გადატვირთვის გამო, რაც განაპირობა ევროპის საბჭოში ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის სახელმწიფოების გაწევრიანებამ და რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა განაცხადების რაოდენობა, 1994 წელს მიიღეს კონვენციის მე-11 ოქმი, რომლის კონცეფცია საზედამხედველო სისტემის რეფორმირებასა და განაცხადთა განხილვის პროცედურების გამარტივებას ითვალისწინებდა. 1998 წლის 1 ნოემბერს, მე-11 ოქმის ძალაში შესვლის შედეგად, ფუნქციონირება შეწყვიტა ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ და ამოქმედდა რეფორმირებული, მუდმივმოქმედი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელიც თავად წვევებს განაცხადთა როგორც დასაშვებობას, ასევე არსებითად იხილაეს მათ"<sup>2</sup>.

რომში 2000 წლის 3-4 ნოემბერს ევროპის მინისტრთა ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილ კონფერენციას მოჰყვა ადამიანის უფლებათა წარმმართველი კომიტეტის (CDDH) სათათბირო ჯგუფის სამწლიანი მუშაობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გრძელვადიანი ქმედუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

2004 წლის 12 მაისს 114-ე სხდომაზე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო "ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 დამატებითი ოქმი" და მასთან ერთად მე-14 დამატებითი ოქმის "განმარტებითი მოწესება".

მე-14 დამატებითი ოქმის მოსამზადებელ და საინიციატივო სტადიაზე კონვენციის კონტროლის სისტემის გაუმჯობესების მრავალი შესაძლო წინადადება იქნა განხილული როგორც მინისტრთა კომიტეტის მიერ შექმნილი შეფასებითი ჯგუფის, ისე CDDH-ის სათათბირო ჯგუფის მიერ. რამდენიმე წინადადება გათვალისწინებული და შენარჩუნებული იქნა ოქმის სრულყოფილ ვარიანტში, განსხვავებით იმ საინიციატივო წინადადებებისაგან, რომლებიც ითვალისწინებდნენ კონტროლის სისტემის რადიკალურ ცვლილებებს, რაც საფუძველი გახდა მათი უარყოფის მოსამზადებელ სტადიაზე<sup>3</sup>. თუმცა რამდენიმე

<sup>1</sup> F. მჭედლიძე, "ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ქმედითობის ღონისძიებათა შესახებ", ფურნალი "ადამიანი და კონსტიტუცია", 2003 წ., N4, გვ. 200. იხილეთ აგრეთვე "Declaration of the Rome Ministerial Conference on Human Rights: 'The European Convention on Human Rights at 50: What future for the protection of human rights in Europe?'".

<sup>2</sup> კ. კორეელია, ი. ქურაძე, "ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით", 2004 წ., გვ. 103.

<sup>3</sup> იხ. "The activity report of the CDDH's Reflection group (document CDDH-GDR(2001)10, especially its Appendices I and II), the report of the Evaluation group as well as the CDDH's interim report of October 2002 (document CM(2002)146)".

მათგანი შეიძლება გამოიყოს: ერთ-ერთი ვერსია ეფუძნებოდა კონვენციის ფარგლებში “პირველი ინსტანციის რეგიონალური სასამართლოს” შექმნას. ეს ინიციატივა დაწუნებულ იქნა იმის გამო, რომ ერთი მხრივ იმის დიდი ალბათობა იყო, რომ მსგავსი ცვლილება გამოიწვევდა განსხვავებული პრეცედენტული სამართლის შექმნას და მეორე მხრივ, დაკავშირებული იქნებოდა დიდ ფინანსურ ხარჯებთან. ასევე, ნოვაციური ცვლილება, რომელიც ადგენდა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს გამოეჩინა კეთილგონიერება და ზედმეტი სიფრთხილე განაცხადის წარმოებაში მიღების მომენტში, ამასთანავე განმცხადებლისათვის საკვალდებულო გამხდარიყო განაცხადის წარმოდგენა მხოლოდ სამართალმცოდნის ან ადვოკატის მეშვეობით, დაწუნებულ იქნა, რადგან ეს ფორმულირება ზღუდავდა ისეთ ფუნდამენტურ პრინციპს, რომელიც ითვალისწინებს, რომ ყველას აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს. ტენდენცია, შექმნილიყო ცალკე განაცხადთა გამფილტრაციე ორგანო და დაკომპლექტებულიყო არა მოსამართლეთაგან, ასევე უარყოფილ იქნა, ამასთან კავშირში მე-14 დამატებითი ოქმში ხაზგასმულია ორი ფუნდამენტური წინამძღვარი: ა) განაცხადის დასაშვებადობის განსაზღვრა უნდა ხდებოდეს სასამართლოს სამართლებრივ ჩარჩოებში, ბ) დაუშვებელია განსხვავებული კატეგორიის მოსამართლეთა ერთ ორგანოში საქმიანობა.

მე-11 ოქმისაგან განსხვავებით, მე-14 დამატებითი ოქმი არ ახდენს ძირეულ ცვლილებებს კონვენციის სისტემაზე, რადგან ის უფრო მიმართულია სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესებისაკენ. ამასთანავე, მე-14 ოქმის ცვლილებები ითვალისწინებს სასამართლო სისტემის მოქნილობის გაზრდას პროცესუალური ნორმების ცვლილებათა ხარჯზე ისე, რომ ყოველი განაცხადი დროულად იქნეს განხილული და ასევე, კონცენტრირება მოხდეს იმ უმნიშვნელოვანეს სასამართლო საქმეებზე, რომლებიც მოითხოვენ სიღრმისეულ და გადაუდებელ განხილვას.

აქედან გამომდინარე, შეიძლება საუბარი ცვლილებების სამ მიმართულებაზე:

1. სასამართლოში განაცხადების ფილტრაციის ეფექტურობის ოპტიმიზაცია უამრავი შეუსაბამო განაცხადის გათვალისწინებით.

2. განაცხადთა დასაშვებადობის ახალი კრიტერიუმი, რომელიც დაკავშირებულია იმ საქმეებთან, რომლებშიც განმცხადებელს არ მიაღდა მნიშვნელოვნად დიდი ზიანი.

3. ქმედებები დაკავშირებული “განმეორებით” საქმესთან.

ამ ელემენტებთან ერთად რეფორმა ასევე მიმართულია იქითკენ, რომ, რაც შეიძლება ნაკლები დრო დაიხარჯოს აშკარად დაუშვებელ და განმეორებად განაცხადებებზე, ეს კი საშუალებას მისცემს სასამართლოს, კონცენტრაცია მოახდინოს ისეთ საქმეებზე, რომლებშიც წამოჭრილია ადამიანის უფლებათა უმნიშვნელოვანი საკითხები.

უფრო კონკრეტულად, მე-14 დამატებითი ოქმის ტექსტი მრავალ პროცესუალურ ცვლილებებს მოიცავს, რომლებიც, მთლიანობაში, მიმართულია სასამართლოს სისტემის ეფექტურობისაკენ. დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი ადგენს, რომ ევროსასამართლოს მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადა გაიზარდოს

9 წლამდე, ასევე დაუშვებელია მათი განმეორებით არჩევა, ეს ცვლილება მიმართულია სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გაზრდისაკენ. უკანასკნელ წლებში არასასიამოვნო შედეგს იძლეოდა ის გარემოება, რომ მოსამართლეები უფლებამოსილების მცირე ვადით იყვნენ არჩეული. ასევე ოქმის გარდამავალი დებულებების მიხედვით, იმ მოსამართლეების თანამდებობაზე ყოფნის ვადა, რომლებიც ამ ოქმის ძალაში შესვლის დროისათვის მსახურობენ პირველი ვადით *ipso jure*, უნდა გაგრძელდეს იმგვარად, რომ შეადგინოს მთლიანი ცხრაწლიანი ვადა, სხვა მოსამართლეები დაასრულებენ თავიანთ ვადას, რომელიც უნდა გაგრძელდეს 2 წლის ვადით.

მნიშვნელოვანი სიახლე გახლავთ ის, რომ სასამართლოში წარმოდგენილ საქმეებს, კომიტეტების, პალატების და დიდი პალატის გარდა განიხილავს ერთი მოსამართლე, რომლის უფლებამოსილება მოიცავს: მიუღებლად გამოაცხადოს ან კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს საქმეთა სიიდან ამოიღოს წარმოდგენილი განაცხადი, როცა მსგავსი გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს შემდგომი განხილვის უფლების გარეშე. გადაწყვეტილება უნდა იყოს საბოლოო, თუ ერთი მოსამართლე არ გამოაცხადებს განაცხადს მიუღებლად ან არ ამოიღებს მას სასამართლოს საქმეთა სიიდან, მაშინ მან უნდა გადაუგზავნოს ის კომიტეტს ან პალატას შემდგომი განხილვის მიზნით, ანუ ერთი მოსამართლის უფლებამოსილება შემოფარგლულია მხოლოდ გადაწყვეტილების მიღებით, ცნოს თუ არა დასაშვებად ესა თუ ის განაცხადი, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს განაცხადთა ეფექტურ ფილტრაციას. შესაბამისად, გაიზარდა სამი მოსამართლისაგან შემდგარი კომიტეტების უფლებამოსილება. თუ კომიტეტების კომპეტენციაში შედიოდა მხოლოდ მიუღებლად გამოცხადებინა ან საქმეების სიიდან ამოეღო ინდივიდუალური განაცხადი მე-14 დამატებითი ოქმის ცვლილებების გათვალისწინებით, კომიტეტს შეუძლია, მისაღებად გამოაცხადოს განაცხადი და ამავე დროს გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმის არსიდან გამოდინარე, თუ საქმის ძირითადი საკითხი, კონვენციის ან ოქმების გამოყენებასთან ან განმარტებებთან დაკავშირებით უკვე წარმოადგენს სასამართლოს მიერ დაფუძნებულ პრეცედენტულ სამართალს. პრეცედენტულ სამართალში კი ჩვეულებრივ იგულისხმება ის გადაწყვეტილებები, რომლებიც დროთა განმავლობაში გამოიყენებოდა პალატების მიერ. ამასთანავე, კომიტეტების მიერ მიღებული დღევანდელი და გადაწყვეტილებები უნდა იყოს საბოლოო. აღნიშნული ახალი პროცედურა გამარტივებული და დაჩქარებული ფორმისა, ამასთანავე, სრულყოფილია საქმის მიღების და სათანადო ზომების გატარების პრინციპი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მე-14 დამატებითი ოქმის ერთ-ერთი ფუნდამენტური ცვლილება საქმეების დაშვებადობის ახალი კრიტერიუმი, კერძოდ, ცვლილებები შეეხო კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტს და მას დაემატა ახალი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც, თუ განმცხადებელს არ განუცდია მნიშვნელოვანი ზიანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერესები კონვენციისა და ოქმების შესაბამისად მოითხოვს განაცხადის არსებით განხილვას, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ და-



უშვებელია ზემოაღნიშნული საფუძვლით უარის თქმა რომელიმე საქმის განხილვაზე, რომელიც შიდა სასამართლოს მიერ საფუძვლიანად არ არის შესწავლილი. საქმეთა დამუშავების კრიტერიუმისათვის ახალი მექანიზმის დამატების მიზანია, ხელი შეუწყოს სასამართლოში განაცხადთა ფილტრაციის გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ საშუალებას მისცემს სასამართლოს, ყურადღება გაამახვილოს არსებით საქმეებზე, რომლებიც აუცილებელი და გადაუდებელია კონვენციისა და დამატებით ოქმებში განმტკიცებულ უფლებათა დასაცავად. აღნიშნული კრიტერიუმის წარმოდგენა აუცილებლად მიიჩნევა სასამართლოში განაცხადთა ზედმეტად მოჭარბების ფონზე. ამიტომ საჭირო გახლდათ, სასამართლოს მისცემოდა დამატებითი მოწილობისა და ეფექტურობის გარკვეული დონე, რის საშუალებასაც ეს ცვლილება იძლევა. მთავარი ელემენტი, რომელსაც ახალი კრიტერიუმი მოიცავს, გახლავთ ტერმინი “შინიშნულოვანი ზიანი”, რომელსაც ისევე როგორც სხვა სამართლებრივ ტერმინებს, განმარტავს ეტაპობრივად განვითარებადი სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. მეორე არსებითი დაცვითი პუნქტი, რომელიც ჩადებულია მოცემულ კრიტერიუმში გახლავთ ის, რომ სასამართლოს არ ექნება საშუალება, დაუშვებლად მიიჩნიოს განაცხადი მისი უშინიშნულო ხასიათიდან გამომდინარე, თუ აღნიშნული საქმე არ იქნა განხილული სათანადოდ ეროვნული სასამართლოს მიერ. ეს პუნქტი სუბსიდიარობის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომელიც ადგენს, რომ ახალ განაცხადთა დამუშავების კრიტერიუმის მიზნების შესაბამისად, არც ერთი საქმე არ უნდა დარჩეს სასამართლო განხილვის გარეშე, იქნება ეს ეროვნულ თუ ევროპულ დონეზე. ამავე ოქმის გარდამავალი დებულების შესაბამისად, 35-ე მუხლის მე-3(ბ) პუნქტში ჩამატებული დამუშავების ახალი კრიტერიუმები არ გამოიყენება იმ განაცხადთა მიმართ, რომლებიც გამოცხადდნენ ამ ოქმის ძალაში შესვლამდე. ამ ოქმის ძალაში შესვლიდან 2 წლის განმავლობაში, დასაშვებობის ახალი კრიტერიუმები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ პალატების და დიდი პალატის მიერ.

მე-14 დამატებითი ოქმის მე-13 მუხლის თანახმად, კონვენციის 36-ე მუხლს, რომელიც შეეხება განსახილველ საქმეში მესამე მხარის მონაწილეობას, უნდა დაემატოს მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვით, ყველა შემთხვევაში, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისარს შეუძლია პალატას ან დიდ პალატას წარუდგინოს წერილობითი შენიშვნები და მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მექანიზმის ინიციატორია თავად ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარია, რომელსაც მხარი დაუჭირა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ<sup>1</sup>. ცვლილებების შედეგად, სასამართლოს თავჯდომარეს როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე თხოვნის საფუძველზე, შეუძლია მოიწვიოს ადამიანის უფლებათა კომისარია, რომელიც საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, განსახილველ საქმეში ჩა-

<sup>1</sup> Parliamentary Assembly in its Recommendation 1640 (2004) on the 3rd Annual Report on the Activities of the Council of Europe Commissioner for Human Rights (1 January-31 December 2002), adopted on 26 January 2004.



ერევა როგორც მესამე მხარე. ადამიანის უფლებათა კომისიის გამოცდილება და მალაღმა პროფესიონალიზმა შეიძლება ნათელი მოჰყენოს განსახილველ საქმეში არსებულ გარკვეულ დეტალებს.

ახალბურთად მოხდა საქმის მეგობრულად გადაწყვეტის პროცედურის ფორმულირება და კონვენციის 39-ე მუხლის მიხედვით, საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, სასამართლოს შეუძლია იხელმძღვანელოს დაინტერესებულ მხართა სურვილით, უზრუნველყონ საქმის მეგობრულად გადაწყვეტა ადამიანის უფლებათა პატივისცემის საფუძველზე, როგორც ეს დადგენილია კონვენციისა და მის დამატებით ოქმებში. ამასთანავე, აღნიშნული საქმისწარმოება კონფიდენციალური უნდა იყოს. საქმის მეგობრულად გადაწყვეტის შემთხვევაში, სასამართლომ საქმე უნდა ამოიღოს სიიდან გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც უნდა შემოიფარგლებოდეს ფაქტებისა და მიღწეული გადაწყვეტილებების მოკლე აღწერით. სიახლე კი გახლავთ ის, რომ ეს გადაწყვეტილება უნდა გაეგზავნოს მინისტრთა კომიტეტს, რომელიც განახორციელებს საქმის მეგობრული გადაწყვეტილების შესრულებაზე მეთვალყურეობას. კონვენციის 46-ე მუხლის მიხედვით, მინისტრთა კომიტეტი ახდენდა მხოლოდ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებათა აღსრულების მონიტორინგს, თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც მოპასუხე სახელმწიფო მხარე არ ახდენს საქმის მეგობრულად მოგვარების გადაწყვეტილებათა ზომიერ დაცვას, რაც საფუძველი გახდა, მინისტრთა კომიტეტი დატვირთულიყო ამგვარი ფუნქციით.

შესწორების შედეგად კონვენციის 46-ე მუხლის ორ პუნქტს, რომელიც შეეხება სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულო ძალის აღიარებას, შეტანილ იქნა ცვლილება, რაც მწვენილოვნად შეუწყობს ხელს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას, კერძოდ, თუ მინისტრთა კომიტეტი მიიჩნევს, რომ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულება ყოვნდება გადაწყვეტილების განმარტებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, მას შეუძლია გადაწყვეტილება გაუგზავნოს სასამართლოს განმარტებისათვის. ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისათვის კი საჭიროა კომიტეტის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხმათა ორი-მესამედის უმრავლესობა. თუ მინისტრთა კომიტეტი მიიჩნევს, რომ მაღალი ხელშეწყვერელი მხარე უარს ამბობს სასამართლოს მიერ იმ საქმესთან დაკავშირებით გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების შესრულებაზე, რომლის მხარესაც წარმოადგენს იგი, კომიტეტს შეუძლია მხარისათვის ფორმალური შეტყობინების შემდეგ და კომიტეტის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მიმართოს სასამართლოს შეკითხვით, ხომ არ დაარღვია მხარემ გათვალისწინებული ვალდებულება და თუ სასამართლო აღმოაჩენს 46-ე მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას, მან საქმე უნდა გადასცეს მინისტრთა კომიტეტს მისაღები ზომების განხილვის მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლომ საქმე უნდა გადასცეს მინისტრთა კომიტეტს, რომელმაც უნდა შეწყვიტოს საქმის განხილვა. ამოსავალი წერტილი ამ დამატებისა გახლავთ საბოლოო გადაწყვეტილებათა სწრაფი და სრული აღსრულება.

მე-14 დამატებითი ოქმის დასკვნითი და გარდამავალი დებულებების მიხედვით, ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს კონვენციის ხელმომწერი წევრებისათვის, რომელთა თანხმობა ამ ოქმის სავალდებულოდ აღიარებაზე შეიძლება გამოიხატოს ხელმოწერით რატიფიკაციის, მიერთების ან დამტკიცების პირობით, რომელსაც მოჰყვება რატიფიკაცია, მიერთება და დამტკიცება. ამის შემდგომ კი აღნიშნული დოკუმენტები დეკონირდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან. ოქმი ძალაში შევა იმ სამთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველ დღეს, რომლის ათვლა დაიწყება იმ დღიდან, როდესაც კონვენციის მონაწილეები გამოთქვამენ თანხმობას ამ ოქმის სავალდებულობაზე.

რომან ცხოვრებაძე



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

პირველი კოლეგია

განმჯსრიგებელი სელომის

გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

N1/13/297

თბილისი, 2004 წლის 6 ოქტომბერი

**კოლეგიის შემადგენლობა:** ბესარიონ ზოიძე (თავმჯდომარე); ვახტანგ გვარამია; იაკობ ფუტყარაძე (მომხსენებელი მოსამართლე); ნიკოლოზ შაშვიანი.

**სხდომის მიღვანი:** დარეჯან ჩალიგავა.

**საქმის დასახელება:** შპს „ფინერი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

**დავის საგანი:** „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გვზის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2004 წლის 15 ივნისის კანონის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან, 21-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან და 30-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

**საქმის განხილვის მონაწილე:** შპს „ფინერის“ წარმომადგენელი გიორგი ყავლაშვილი.

შპს „ფინერის“ კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში 2004 წლის 27 ივლისს შემოვიდა (რეგისტრაციის ნომერი 297). სასამართლოს პირველ კოლეგიას იგი მიმდინარე წლის 20 სექტემბერს გადმოეცა არსებითი განხილვისათვის მიღების საკითხის გადაწყვეტის მიზნით. კოლეგიის ღია განმწესრიგებელი სხდომა 2004 წლის 28 სექტემბერს გაიმართა.

კონსტიტუციური სარჩელის შემოტანის საფუძველია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი, 45-ე მუხლი და 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, 31-ე მუხლი და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

კონსტიტუციური სარჩელის მიხედვით, 2004 წლის 15 ივნისის კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გვზის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე“ ზღუდავს საქართველოს კერძო სამართლის იურიდიული პირის შპს „ფინერის“ უფლებებს, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით არის გარანტირებული. სადავო აქტით, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გვზის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლს დამატა მე-9 და მე-10 პუნქტები. დამატებული პუნქტები, მოსარჩელის მტკიცებით, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს, 21-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებსა და 30-ე მუხლის მე-2 პუნქტს. დამატებათა ძალით, საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარს (ელექტრობაზარს) უფლება ეძლევა ჰქონდეს საკუთარი სრულფასოვანი ანგარიშსწორების ანგარიში და ამავე დროს ქვეანგარიშების დაწესებით შეზღუდოს მისი წევრების ანგარიშზე რიცხული თანხების საკუთარი შეზღუდულებისამებრ გამოყენების უფლება, რაც არღვევს თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს, კონკურენციის წესებსა და საკუთრების უფლებას.



მოსარჩელე მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საკუთრების უფლება აღიარებული და გარანტირებულია. ეს ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ უნდა შექმნას პირობები საკუთრების ობიექტით თავისუფალი სარგებლობის უფლების განხორციელებისათვის. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კანონით დასაშვებია საკუთრების უფლების შეზღუდვა მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის. მოსარჩელის განმარტებით კი მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება ელექტრობაზრის წევრთა საკუთრების უფლების შეზღუდვისათვის.

კონსტიტუციურ სარჩელში მითითებულია საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის გამგეობის 1993 წლის 26 თებერვლის N1 დადგენილებით დამტკიცებული N5 ინსტრუქცია, რომლის თანახმად სუბანგარიში (ქვეანგარიში) წარმოადგენს საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების შუამდგომლობით მათ არასამეურნეო-ანგარიშიან ქვედანაყოფებთან (მაღაზიები, საწყობები, ფილიალები) ანგარიშსწორებისათვის გახსნილ ანგარიშებს შემოსავლის ჩასარიცხად. მოსარჩელის განმარტებით კი, განსახილველ შემთხვევაში, ელექტრობაზარი არის დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირი, ხოლო წევრები წარმოადგენენ ელექტრობაზრისაგან დამოუკიდებელ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს და არა მის ქვედანაყოფებს.

მოსარჩელე „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად მოითხოვს გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერებას საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. მისი განმარტებით, სადავო აქტი შეიძლება გამოცხადდეს ძალადაკარგულად, რაც არ ნიშნავს ბათილად ცნობას – მას არ ექნება გავლენა ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილ ვალდებულებებსა და სამართლებრივ შედეგებზე. ამასთან, კონსტიტუციური სარჩელს განხილვის ექვსთვიანი ვადის გათვალისწინებით შპს „ფინერს“ შეიძლება დიდი ხნით შეეზღუდოს საკუთრების უფლება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ გააანალიზა შპს „ფინერის“ 297-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი, თანდართული მასალები, მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებები განმწესრიგებულ ხედობაზე და ამის საფუძველზე გამოარკვია სასარჩელო მოთხოვნის ასრულებით განხილვისათვის მიღების საკითხის გადასაწყვეტად საჭირო გარემოებანი.

სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ კონსტიტუციურ სარჩელში არ არის დაცული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის უპირველესი, თანაც კატეგორიული მოთხოვნაა, რომ „კონსტიტუციური სარჩელი ხელმოწერილი უნდა იყოს მოსარჩელეთა მიერ (თუ მოსარჩელე საქართველოს პრეზიდენტი ან საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფია, მათი ხელმოწერები დამოწმებული უნდა იყოს ამ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული წესით)“. განსახილველი (297-ე ნომრით რეგისტრირებული) კონსტიტუციური სარჩელი კი ხელმოწერილია არა შპს „ფინერის“ წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი თანამდებობის პირის მიერ, არამედ მას ხელს აწერენ მინდობილობით წარმომადგენლები ლევან პლაფიშვილი და ვიორგი ვაჟლავაშვილი, რაც არ შეესაბამება „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის ზემოთ მოყვანილ დებულებას.



„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი დასაბუთებული უნდა იყოს - შეიცავდეს სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის დამადასტურებელ მტკიცებულებებს. საქმეში არსებული მასალები კი არ მიანიშნებენ, რომ სადავო აქტით დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს მოსარჩელის კონსტიტუციური უფლებები. შესაბამისად, არ დასტურდება სადავო აქტის მიმართება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის, 21-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის სათანადო დებულებებთან.

სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებლად მოსარჩელე ეყრდნობა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის გამგეობის 1993 წლის 26 თებერვლის N1 დადგენილებით დამტკიცებულ N5 ინსტრუქციას „საქართველოს რესპუბლიკის საბანკო დაწესებულებებში საანგარიშსწორებო, საკორესპონდენტო, სავალუტო, მიმდინარე, საბიუჯეტო და დროებითი ანგარიშების გახსნის შესახებ“, მაგრამ იგი არ არის შეტანილი ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში, ხოლო 1999 წელს დამტკიცდა შესაბამისი დროებითი ინსტრუქცია, ამჟამად კი მოქმედებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2004 წლის 17 მარტის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საქართველოს საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ“.

კონსტიტუციურ სარჩელში გასაჩივრებული აქტის გამომქვეყნებელ ორგანოდ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ნაცვლად მითითებულია „საქართველოს პარლამენტის უწყებანი“ და, ამასთან ერთად, მოთხოვნის არსიც არასწორადაა ჩამოყალიბებული. შპს „ეინერი“ არის საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის (ელექტრობაზრის) წევრი-ლიცენზიატი, სადავო აქტი კი პირდაპირ მომხმარებლებსაც შეეხება. მიუხედავად ამისა, მოსარჩელე სადავო აქტის მთლიანად ძალადაკარგულად გამოცხადებას მოითხოვს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ შპს „ეინერის“ 297-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი არც ფორმითა და არც შინაარსით არ შეესაბამება „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 16-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, რის გამოც იგი, ამავე კანონის მე-18 მუხლის „ა“ პუნქტის ძალით, განსახილველად არ მიიღება.

იხელმძღვანელა რა საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლითა და 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 31-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, 43-ე მუხლის მე-5, მე-7 და მე-8 პუნქტებით, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტით, მე-18 მუხლის „ა“ პუნქტითა და 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 30-31 მუხლებითა და 33-ე მუხლის პირველი პუნქტით,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

ა დ გ ე ნ ს:

1. არ იქნეს მიღებული საკონსტიტუციო სასამართლოში არსებითი განხილვისათვის შპს „ეინერის“ კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს

კანონში დამატებების შეტანის თაობაზე” საქართველოს 2004 წლის 15 ივნისის კანონის კონსტიტუციურობის საკითხზე საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან, 21-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან და 30-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით და შეწყდეს სამართალწარმოება ამ სარჩელზე;

2. განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

**კოლეგიის წევრები:** ბესარიონ ზოიძე (თავმჯდომარე), ვახტანგ გვარამია, იაკობ ფუტყარაძე (მოსესენებელი მოსამართლე), ნიკოლოზ შაშვინი.

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო**  
**მეორე კოლეგია**  
**განმწესრიგებელი სსდომის**  
**გ ა ნ ი ნ ე ბ ა**

N2/8/302

თბილისი, 2004 წლის 7 ოქტომბერი

**კოლეგიის შემადგენლობა:** ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი – სსდომის თავმჯდომარე; ოთარ ბენიძე – წევრი; ლამარა ჩორგოლაშვილი – მომსენებელი მოსამართლე; ზაურ ჯინჯოლაძე – წევრი.

**სსდომის მდივანი:** ელენე ლალიძე.

**საქმის დასახელება:** მოქალაქე ნელი ნებიერიძე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა საკასაციო პალატის შემადგენლობის წინააღმდეგ.

**დავის საგანი:** საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა საქმეთა საკასაციო პალატის Nბს-501-602ა-კ-04 განჩინება, მიღებული 2004 წლის 28 აპრილს. საქართველოს კონსტიტუციის მე-14, მე-16, მე-17, მე-20 მუხლის პირველ პუნქტთან, 42-ე მუხლის პირველ, მე-2, მე-3, მე-7 და მე-9 პუნქტებთან, 44-ე მუხლის პირველი პუნქტთან და 45-ე მუხლთან მიმართებით.

საქმის განხილვის მონაწილენი: მოსარჩელე ნელი ნებიერიძის წარმომადგენელი ზურაბ ინაშვილი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ

**გ ა მ ო ა რ კ ე ი ა :**

2004 წლის 3 სექტემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის N302) მომართა მოქალაქე ნელი ნებიერიძემ და მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა საქმეთა საკასაციო პალატის 2004 წლის 28 აპრილს მიღებული Nბს-501-602ა-კ-04 განჩინების საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამობის დადგენა საქართველოს კონსტიტუციის მე-14, მე-16, მე-17, მე-20 პირველ პუნქტთან, 42-ე მუხლის პირველ, მე-2, მე-3, მე-7 და მე-9 პუნქტებთან, 44-ე მუხლის პირველი პუნქტთან და 45-ე მუხლთან მიმართებით.

კონსტიტუციური სარჩელის შემოტანის საფუძველია საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, მე-5 მუხლის პირველი პუნქტი, მე-9 პირველი



პუნქტი, მე-14, მე-16, მე-17 მუხლები, მე-20 მუხლის პირველი პუნქტი, 21-ე მუხლის პირველი პუნქტი, 42-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-7 და მე-9 პუნქტები, 44-ე მუხლის პირველი პუნქტი და 45-ე მუხლი, 82-ე მუხლის პირველი პუნქტი, 83-ე მუხლის პირველი პუნქტი, 84-ე მუხლის პირველი პუნქტი და 89-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტი, "საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი "ე" ქვეპუნქტი, 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტი და მე-2 პუნქტი, 43-ე მუხლის პირველი და მე-8 პუნქტები. "საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, მე-15 და მე-16 მუხლები, "ნორმატიული აქტების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის "ა" და "გ" ქვეპუნქტები, მე-20 მუხლის პირველი პუნქტი, 25-ე მუხლის პირველი პუნქტი და პრაიმპულა.

კონსტიტუციურ სარჩელში მითითებულია, რომ მოსარჩელეს აღნიშნულ თემაზე არაერთხელ მიუმართავს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, თუმცა მაშინ იგი სადავოდ ხდიდა კანონებს "საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" და "საქართველოს კანონი მიწის რეგისტრაციის შესახებ". საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და სამივე შემთხვევაში განჩინებით უარი ეთქვა სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე.

ამჯერად მოსარჩელე მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინების შეუსაბამობაზე საქართველოს კონსტიტუციასთან და მოქმედ კანონმდებლობასთან. მოსარჩელის აზრით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა მისი საკასაციო საჩივარი და უცვლელად დატოვა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება. რომლითაც ნელი ნებიერიძეს უარი ეთქვა ქალაქ თბილისში, გ. ჭანტუიას ჩიხი N3-ში მდებარე 816.98 კვ.მ. მიწის ნაკვეთის დაბრუნებაზე, სახლის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენასა და მის საკუთრებად აღრიცხვაზე, 1991 წლის შემდეგ დადებული გარიგებების ბათილად ცნობასა და ქალაქ თბილისის მერიისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ დღემდე არ არის შესრულებული "საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა, რომელიც ითვალისწინებს რეაბილიტირებული პირის ქონებრივი უფლებების აღდგენის წესის ცალკე კანონით განსაზღვრას; ასეთი კანონი პარლამენტს დღემდე არ მიუღია.

მოსარჩელის აზრით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღნიშნულმა განჩინებამ დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის მე-14, მე-16, მე-17 მუხლებით, მე-20 მუხლის პირველი პუნქტით, 21-ე მუხლით, 42-ე მუხლის პირველი, მეორე, მე-3, მე-7 და მე-9 პუნქტებით, 44-ე მუხლის პირველი პუნქტით და 45-ე მუხლით მისთვის მინიჭებული უფლებები. მოსარჩელე თვლის, რომ სადავო აქტი ასევე ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველ მუხლს, მე-6 მუხლის პირველ პუნქტს, მე-8, მე-13 და მე-14 მუხლებს.

მოსარჩელე მოითხოვს შემოწმებულ იქნას სადავო აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობა და მისი არაკონსტიტუციურობის დადგენის შემდეგ გაუქმებულ იქნეს,

როგორც კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის საწინააღმდეგოდ მიღებული და გამოცემული.

მოსარჩელეს მიაჩნია, რომ საქმის განხილვის პერიოდში შეჩერებულ უნდა იქნეს სადავო აქტის მოქმედება, რადგან იგი არღვევს მის უფლებებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ საქმეში არსებული მასალების განმწესრიგებულ სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენლის მოსმენის შემდეგ დაადგინა, რომ კონსტიტუციური სარჩელი არ უნდა იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლო წარმოადგენს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლეს და საბოლოო ინსტანციის სასამართლოს, რომელიც დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობას უწევს მართლმსაჯულების განხორციელებას საერთო სასამართლოებში. ხოლო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არის საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო. მათი კომპეტენციები მკვეთრად გამიჯნულია და საქართველოს კონსტიტუციის 89-ე და "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლების თანახმად საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის საერთო სასამართლოების მიერ განხილულ საქმეებზე ზედამხედველობა. "საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის "გ" პუნქტი ადგენს, რომ კონსტიტუციური სარჩელი განსახილველად არ მიიღება, თუ მასში მითითებული არც ერთი სადავო საკითხი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი;

2. ამასთან, "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის "ე" პუნქტით სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით მიღებული ნორმატიული და არა სხვა სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის საკითხი;

3. სასამართლო კოლეგია ვერ იმსჯელებს მოსარჩელის იმ მოსზრების თაობაზეც, რომ "საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრეზენტაციის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულითა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამე პუნქტის გათვალისწინებით საქართველოს პარლამენტი ვალდებული იყო დაუყოვნებლივ მიეღო ცალკე კანონი რეაბილიტირებული პირის ქონებრივი უფლების აღდგენის წესის შესახებ, რაც შემდგომში მისი საკუთრების დაბრუნების საფუძველი გახდებოდა. საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ ერთხელ უკვე იმსჯელა ამის თაობაზე და 2004 წლის 19 თებერვლის N1/3/273 განჩინებით დაადგინა, რომ აღნიშნული საკითხი არ იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი. იმავედროულად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ სთხოვა საქართველოს პარლამენტს "საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესირების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამე პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულიყო რეაბილიტირებული პირის ქონებრივი უფლებების აღდგენის წესი, რომლის არ არსებობა სერიოზულ პრობლემებს ქმნის მათი ქონებრივი უფლებების აღდგენის საკითხში.

"საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად საკონსტიტუციო სასამართლოს



მიერ კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად მიუღებლობა გამოიციხავს იმავე საგანზე და იმავე საფუძველზე განმეორებითი სარჩელის განსახილველად მიღებას”.

იხელმძღვანელა რა საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლით, “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” ორგანული კანონის მე-19 მუხლით, 43-ე მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტებით, საქართველოს კანონით “საკონსტიტუციო სამართალწარმოების” შესახებ მე-16 მუხლით, მე-18 მუხლის “გ” ქვეპუნქტით და 21-ე მუხლის მეორე პუნქტით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია

#### **ა დ გ ე ნ ს :**

1. არ იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად მოქალაქე ნელი ნებიერიძის 302 ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა საქმეთა საკასაციო პალატის წინააღმდეგ, საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა საქმეთა საკასაციო პალატის Nბს-501-602ა-კ-04 განჩინების კონსტიტუციურობის თაობაზე, საქართველოს კონსტიტუციის მე-14, მე-16, მე-17, მე-20 მუხლის პირველ პუნქტთან, 42-ე მუხლის პირველ, მე-2, მე-3, მე-7 და მე-9 პუნქტებთან, 44-ე მუხლის პირველ პუნქტთან და 45-ე მუხლთან მიმართებით;

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

**კოლეგიის წევრები:** ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, ოთარ ბენიძე,  
ლამარა ჩორგოლაშვილი, ზაურ ჯინჯოლავა.

### **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო**

#### **პირველი კოლეგია**

#### **განმმართველი სსდომის**

#### **გ ა ნ ე ნ ი მ ბ ა**

N1/14/298

თბილისი, 2004 წლის 13 ოქტომბერი

**კოლეგიის შემადგენლობა:** ბესარიონ ზოიძე (თავმჯდომარე); ვახტანგ გვარამია (მომხსენებელი მოსამართლე); იაკობ ფუტყარაძე; ნიკოლოზ შაშინი.

**სხდომის მდივანი:** დარეჯან ჩალიგაძე.

**საქმის დასახელება:** საქართველოს მოქალაქე ქართლოს ფრიდონაშვილი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ.

**დავის საგანი:** “საქართველოში სამეცნიერო ხარისხების მინიჭების წესის შესახებ” დებულებისა და ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 28 ივნისის N316 ბრძანებულებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 და მე-19 მუხლებთან, 23-ე მუხლის პირველ და 35-ე მუხლის მე-2 პუნქტებთან მიმართებით.

**საქმის განხილვის მონაწილე:** მოსარჩელე ქართლოს ფრიდონაშვილი.

მოქალაქე ქართლოს ფრიდონაშვილის 298-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შემოტანილია

2004 წლის 28 ივლისს, აღნიშნული სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოს პირველ კოლეგიას არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტის მიზნით 21 სექტემბერს გადმოეცა, 5 ოქტომბერს კი ღია განმწესრიგებელი სხდომა გაიმართა.

საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის საფუძვლად კონსტიტუციურ სარჩელში დასახელებული საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის “ე” ქვეპუნქტი, “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის “ე” ქვეპუნქტი და 39-ე მუხლი, “საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ” საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი.

მოსარჩელე კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა 2003 წლის 28 ივნისის N316 ბრძანებულებით დამტკიცებული “საქართველოში სამეცნიერო ხარისხების მინიჭების წესის შესახებ” ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტების თანახმად, სამეცნიერო ხარისხის მაძიებლისათვის სავალდებულოა განსაზღვრული რაოდენობის სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს (სეს-ის) მიერ აღიარებულ გამოცემებში. ამასთან, საკანდიდატო დისერტაციის დაცვასა და სადოქტორო დისერტაციის წარდგენას შორის ინტერვალი უნდა იყოს სულ ცოტა 7 წელი. მოსარჩელის აზრით, აღნიშნული ნორმები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტს, რომლითაც დადგენილია სახელმწიფოს მოვალეობა უზრუნველყოს ქვეყნის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა საერთაშორისო წესებთან და სტანდარტებთან. ამასთან, არცერთი განვითარებული ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტი არ ითვალისწინებს სადავო ნორმებით დადგენილ რთულ პროცედურებს.

მოსარჩელის მტკიცებით, საკანდიდატო დისერტაციის დაცვასა და სადოქტორო დისერტაციის წარდგენას შორის არსებული შიდაწლიანი ინტერვალი აგრეთვე ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით და 23-ე მუხლის პირველი პუნქტით უზრუნველყოფილ კვლევასა და სწავლების თავისუფლებას, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას და ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლებას. გარდა ამისა, იგი აღნიშნავს, რომ ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი “სტატიების გამოქვეყნების იძულება, პირდაპირ არის დაკავშირებული შეხედულებათა გამოთქმის იძულებასთან, თუნდაც ეს შეეხებოდეს სამეცნიერო საკითხებს”. ეს ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის თანახმადაც დაუშვებელია ადამიანის იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებით.

მოსარჩელე მოითხოვს კონსტიტუციური სარჩელის მიღებას არსებითად განსახილველად და სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ კონსტიტუციური სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების, ასევე განმწესრიგებელ სხდომებზე მოწვეული მოსარჩელის განმარტებების გაანალიზების საფუძველზე გამოარჩევა სასარჩელო მოთხოვნის არსებითად განსახილველად მიღებასთან დაკავშირებული გარემოებანი.

საქმის მასალებიდან ჩანს, რომ კონსტიტუციური სარჩელი ვერ უპასუხებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

“საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ” კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის მოთხოვნით, კონსტიტუციურ სარჩელში მითითე-



ბული უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის, "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონისა და ამ კანონის (ე.ი. "საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" კანონის) დებულებები, რომლებიც მოსარჩელეს აძლევს კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებას. მოსარჩელე საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის საფუძვლად კონსტიტუციურ სარჩელში "საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" კანონის მე-13 მუხლის მე-9 პუნქტს ასახელებს. ეს პუნქტი კი არ შეიცავს დებულებას, რომელიც მოსარჩელეს აძლევს კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებას. ასევე, მითითებული უნდა იყოს "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის 39-ე მუხლი არა მთლიანად, არამედ მისი მხოლოდ პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტი.

ამასთან ერთად, სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, "კონსტიტუციური სარჩელი ... დასაბუთებული უნდა იყოს. კონსტიტუციურ სარჩელში ... აუცილებლად უნდა იყოს მოყვანილი ის მტკიცებულებები, რომლებიც მოსარჩელის ... აზრით, ადასტურებენ სარჩელის ... საფუძვლიანობას". ანალოგიურ მოთხოვნას შეიცავს "საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტიც, რომლის თანახმადაც კონსტიტუციურ სარჩელში მითითებული უნდა იყოს "მტკიცებულებანი, რომლებიც მოსარჩელის აზრით, ადასტურებენ კონსტიტუციური სარჩელის საფუძვლიანობას". სასამართლო კოლეგიის აზრით, კანონმდებლობის აღნიშნული მოთხოვნა კონსტიტუციურ სარჩელში არ არის შესრულებული და ამიტომ იგი დასაბუთებულად ვერ ჩაითვლება. კონსტიტუციურ სარჩელში წარმოდგენილი არგუმენტები და მოსარჩელის განმარტებები განმწესრიგებულ სხდომაზე არ მიანიშნებენ მოსარჩელის იმ უფლებების დარღვევაზე, რომლებიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-16 და მე-19 მუხლებით, 23-ე მუხლის პირველი და 35-ე მუხლის მე-2 პუნქტებით.

სასამართლო კოლეგია ვერ დაეთანხმება მოსარჩელის იმ არგუმენტს, რომ სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ნაშრომების გამოქვეყნება წარმოადგენს აზრის გამოთქმის იძულებას. განმწესრიგებულ სხდომაზე მოსარჩელის განმარტების მიხედვით, საკანდიდატო ხარისხის მძიებელმა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო მეცნიერებათა კანდიდატმა სადოქტორო დისერტაცია შეძლება დაიცვას ისე, რომ საერთოდ არ გამოაქვეყნოს არცერთი სამეცნიერო ნაშრომი. ეს, სასამართლო კოლეგიის აზრით, ხელს ვერ შეუწყობს მეცნიერული აზრის განვითარებას.

მოსარჩელე მოითხოვს სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმებას საქართველოს კონსტიტუციის მე-16 და მე-19 მუხლებთან, 23-ე მუხლის პირველ და 35-ე მუხლის მე-2 პუნქტებთან მიმართებით. ამასთან დაკავშირებით სასამართლო კოლეგია მიუთითებს "საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტზე. ამ ქვეპუნქტის თანახმად, კონსტიტუციურ სარჩელში მითითებული უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის დებულებანი, რომლებსაც, მოსარჩელის აზრით, არ შეესაბამება ან არღვევს სადავო აქტი. აქ, ცხადია, იგულისხმება სადავო აქტის არა ფორმალური, არამედ საგნობრივი მიმართება კონსტიტუციის შესაბამის დებულებებთან. არც კონსტიტუციური სარჩელიდან არ ჩანს და ვერც განმწესრიგებულ სხდომაზე მოწვეულმა მოსარჩელემ ვერ აჩვენა სადავო ნორმების არსებითი შემხებლობა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 და მე-19 მუხლებთან, 23-ე მუხლის პირველ და 35-ე მუხლის მე-2 პუნქტების სათანადო დებულებებთან.

ამგვარად, ირეკვევა, რომ მოქალაქე ქართლოს ფრიდონაშვილის 298-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი შინაარსით არ შეესაბამება “საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ” კანონის მე-16 მუხლის “დ”, “ე” და “ზ” ქვეპუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს. ამის გამო კი იგი, ამავე კანონის მე-18 მუხლის “ა” პუნქტის ძალით, ვერ იქნება განსახილველად მიღებული.

მიუხედავად ამისა, სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ ამჟამად განათლებისა და მეცნიერების სფეროში მიმდინარე სერიოზული რეფორმის, მოწინავე საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინების ფონზე, მიზანშეწონილია სამეცნიერო ხარისხების მინიჭების სისტემასთან დაკავშირებული კანონმდებლობის სრულყოფა, მისი შემდგომი დახვეწა-განვითარება.

იხელმძღვანელა რა საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის “ვ” ქვეპუნქტით, “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის “ე” ქვეპუნქტით, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 31-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის “ა” ქვეპუნქტით, 43-ე მუხლის მე-5, მე-7 და მე-8 პუნქტებით, “საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ” საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტით, მე-17 მუხლის მე-5 პუნქტით, მე-18 მუხლის “ა” პუნქტითა და 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 30-31-ე მუხლებითა და 33-ე მუხლის პირველი პუნქტით,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

**ა დ გ ე ნ ს :**

1. არ იქნეს მიღებული საკონსტიტუციო სასამართლოში არსებითად განსახილველად საქართველოს მოქალაქის ქართლოს ფრიდონაშვილის 298-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი “საქართველოში სამეცნიერო ხარისხების მინიჭების წესის შესახებ” დებულებისა და ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 28 ივნისის N316 ბრძანებულებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტების კონსტიტუციურობის თაობაზე საქართველოს კონსტიტუციის მე-16 და მე-19 მუხლებთან, 23-ე მუხლის პირველ და 35-ე მუხლის მე-2 პუნქტებთან მიმართებით და შეწყდეს სამართალწარმოება ამ სარჩელზე;

2. განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

**კოლეგიის წევრები:** ბესარიონ ზოიძე; ვახტანგ გვარამია;  
იაკობ ფუტყარაძე; ნიკოლოზ შაშინი.

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო**  
**პირველი კოლეგია**  
**შ ა ნ ი ნ ე ბ ა**

N1/15/216

თბილისი, 2004 წლის 20 ოქტომბერი

**კოლეგიის შემადგენლობა:** ბესარიონ ზოიძე (თავმჯდომარე); ვახტანგ გვარამია; იაკობ ფუტყარაძე; ნიკოლოზ შაშინი (მომხსენებელი მოსამართლე).



**სხდომის მდივანი:** დარეჯან ჩალიგავა.

**საქმის დასახელება:** შებნუღული პასუხისმგებლობის საზოგადოება “სამება” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

**დავის საგანი:** კონსტიტუციურია თუ არა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მიმართებით 1) “ფინიური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ” საქართველოს 1998 წლის 28 ოქტომბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის ჩანაწერი - “საზღვაო ნავსადგურებით, ჰიდროტექნიკური ნაგებობებით დაკავებულ და მათ სანიტარულ-ტექნიკურ ზონას მიეკუთვნებულ მიწებზე, აგრეთვე ნავმისადგომების ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად არსებულ ტერიტორიებზე” და 2) საქართველოს საზღვაო კოდექსის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

**საქმის განხილვის მონაწილენი:** მოსარჩელის წარმომადგენელი, ადვოკატი დიმიტრი გაბუნია, მოპასუხის - საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები - საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის სასამართლოებში წარმომადგენლობის განყოფილების უფროსი ბათარ ჩანქსელიანი და ამავე განყოფილების მოწვეული სპეციალისტი მარინე რობაქიძე, სპეციალისტი - ივ. ვავანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ეკა ზარნაძე, მოწვე - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა კონტროლისა და აუდიტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ანზორ მესხიშვილი. კონსტიტუციური საჩივლი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ 2003 წლის 16 იანვარს მიიღო არსებითი განხილვისათვის (საოქმო ჩანაწერი N1/16/216).

კონსტიტუციური საჩივლის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 27 მარტის N159 დადგენილების საფუძველზე შებნუღული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სამებას“ ფოთის ნავსადგურის ტერიტორიიდან მუდმივ სარგებლობაში გამოეყო 2,21 ჰექტარი ფართობის N7 ნავმისადგომი ალკოპოლიანი სასმელების, მინერალური და წყაროს წყლების ტერმინალის მშენებლობისათვის. აღნიშნულ ფართობზე 1998 წლის 29 დეკემბერს ქ. ფოთის მიწის მართვის სამმართველომ შპს „სამების“ სახელზე გასცა საკუთრების უფლების მოწმობა პირველადი რეგისტრაციის ფორმით და დაარეგისტრირა საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრის ეს ჩანაწერი, როგორც უკანონო, გაუქმდა ფოთის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რაც უცვლელად იქნა დატოვებული ჯერ ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის, ხოლო შემდეგ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განჩინებებით. ამასთან დაკავშირებით, მოსარჩელე მიუთითებს სადავო ნორმებზე და მიიჩნევს, რომ სწორედ მათ საფუძველზე უშუალოდ შეიზღუდა მისი საკუთრების უფლება - დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მოთხოვნები. აქედან გამომდინარე, იგი საკონსტიტუციო სასამართლოს სთხოვს სადავო ნორმების ანტიკონსტიტუციურად ცნობას.

საქმის არსებითად განხილვის დროს, 2004 წლის 15 ოქტომბრის სხდომაზე, მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა ბათარ ჩანქსელიანმა სასამართლო კოლეგიის წინაშე დააყენა შუამდგომლობა საქმის განხილვის შეწყვეტის შესახებ იმ მოტივით, რომ არ დასტურდება სადავო ნორმების მიმართება (შემხებლობა) საქართველოს

კონსტიტუციის 21-ე მუხლით. მისი აზრით, საქმის მასალებიდან არ ჩანს, რომ სადავო ნორმებით ვინმეს საკუთრების უფლება ირღვეოდეს. შპს “სამებას” არ წარმოშობა შესაბამის ფართობზე საკუთრების უფლება. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 27 მარტის N159 დადგენილების საფუძველზე აღნიშნული ფართობი მოსარჩელეს გადაეცა მუდმივ სარგებლობაში. მუდმივი სარგებლობა არ ნიშნავს საკუთრებას და შესაბამისი უფლების დარღვევაზე საკითხის დაყენება მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება.

მოსარჩელე მხარე არ დაეთანხმა შუამდგომლობას და განაცხადა, რომ შპს “სამებას”, მართალია, არ ჰქონია ფოთის საზღვაო ნავსადგურის N7 ნავმისადგომთან არსებული მიწის ფართობი საკუთრებაში, მაგრამ სადავო ნორმებით მას წაერთვა ყოველგვარი შესაძლებლობა ამ ფართობზე საკუთრების უფლების შექმნისა.

სპეციალისტად მოწვეულმა ეკა ზარნაძემ აღნიშნა, რომ სწორად უნდა ჩაითვალოს მოპასუხე მხარის შუამდგომლობა. საქმეში არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ შპს “სამებას” არ ჰქონია საკუთრებაში ფოთის საზღვაო ნავსადგურის N7 ნავმისადგომთან არსებული მიწის ფართობი. ამიტომაც უმართებულოა მოსარჩელის მხრივ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლზე მითითება - შეუძლებელია არარსებული საკუთრების უფლების ჩამორთმევა ან სხვაგვარად შეზღუდვა. სპეციალისტის აზრით, მოსარჩელის მტკიცება, რომ სადავო ნორმებით მას წაერთვა საკუთრების შექმნის უფლება, ვერ ჩაითვლება არგუმენტირებულად, ვინაიდან სახელმწიფოს თვითონ შეუძლია დაადგინოს, თუ რისი პრევატიზება შეიძლება და რისი - არა.

მოწმე ანზორ მესხიშვილის განცხადებით, შპს “სამების” სახელზე ქ. ფოთის მიწის მართვის სამმართველოს მიერ საკუთრების უფლების მოწმობის გაცემა მოხდა შეცდომით და შემდგომ სასამართლოს ეთხოვა შესაბამისი ჩანაწერის გაუქმების შესახებ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ გაანალიზა სამართალწარმოების მონაწილეობა არგუმენტები, სპეციალისტისა და მოწმის ჩვენებები და დაადგინა საქმის შეწყვეტის შუამდგომლობის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო გარემოებანი.

მართალია, შპს “სამების” 216-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი უკვე მიღებულია არსებითად განსახილველად, მაგრამ, ამასთან დაკავშირებით, სასამართლო კოლეგია პირველ რიგში მიუთითებს განმწესრიგებელი სხდომისათვის დამახასიათებელ თავისებურებებზე, კერძოდ კი იმ გარემოებაზე, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოების ამ სტადიაზე პროცესში არ მონაწილეობს მოპასუხე და მისი წარმომადგენელი. ამიტომ არ გამოირიცხება, რომ ზოგჯერ ვერ მოხერხდეს ამა თუ იმ საკითხის გამოკვლევა და საბოლოოდ გადაწყვეტა. ასეთ შემთხვევაში რჩება ერთადერთი შესაძლებლობა, რომ კონსტიტუციური სამართალწარმოების დანიშნულებიდან გამომდინარე, საკითხი პროცესის შემდგომ სტადიაზე იქნეს დაზუსტებული.

საქმის არსებითად განხილვის პროცესში, სადაც მონაწილეობდნენ მხარეები, სპეციალისტი და მოწმე, გამოირკვა და დაზუსტდა სხვადასხვა გარემოებანი, რომლებიც არ ადასტურებენ სადავო ნორმების მიმართებას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით. კერძოდ, სასამართლო კოლეგია ყურადღებას მიაქცევს იმ მნიშვნელოვან გარემოებას, რომ შპს “სამებას” არ ჰქონია საკუთრების უფლება ფოთის N7 ნავმისადგომთან არსებულ მიწის ფართობზე, რაც დასტურდება საერთო სასამა-

როლოების სათანადო გადაწყვეტილებებით და თვით მოსარჩელის წარმომადგენელმა აღიარა საქმის არსებითად განხილვის პროცესში. ამგვარად, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არ არსებობს საკუთრების უფლება და, შესაბამისად, შეუძლებელია საუბარი მისი შეზღუდვის ან ჩამორთმევის შესახებ. არარსებული უფლება კი, ცხადია, ვერ გახდება კონსტიტუციური კონტროლის საგანი.

სასამართლო კოლეგია მოსარჩელის ვერც იმ აზრს ვერ დაეთანხმება, რომ სადავო ნორმებით თითქოს მოხდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საკუთრების შექმნის "საყოველთაო უფლების გაუქმება" - შპს "სამებას" წაერთვა შესაძლებლობა გამხდარიყო მესაკუთრე მის სარგებლობაში არსებული ქონებისა. სადავო ნორმები მხოლოდ იმის კონსტატაციას ახდენენ, რომ გარკვეული ქონება სახელმწიფოს საკუთრებაა. სახელმწიფოს კი კანონმდებლობის გზით სრული უფლება აქვს განსაზღვროს, თუ რისი გასხვისება შეიძლება და რისი - არა. ამ უფლებამოსილების განხორციელება პერანაირად ვერ ჩაითვლება რაიმე უფლების შელახვად, მით უმეტეს - საკუთრების უფლებისა.

საქმის არსებითად განხილვის დროს გამოვლენილი ზემოაღნიშნული გარემოებანი იმის მაჩვენებელია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს დავის საგანი, რის გამოც, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლო პროცესის შემდგომი წარმართვა გამორიცხულია.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის, "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტის, 29-ე მუხლის, 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, "საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-16 მუხლის პირველი პუნქტის დებულებებიდან გამომდინარე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

#### ა დ გ ე ნ ს:

1. დაკმაყოფილდეს მოპასუხე მხარის შუამდგომლობა და შეწყდეს სამართალწარმოება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "სამების" კონსტიტუციური სარჩელზე იმის თაობაზე, რომ კონსტიტუციურია თუ არა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით 1) "ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ" საქართველოს 1998 წლის 28 ოქტომბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის ჩანაწერი - "საზღვაო ნავსადგურებით, პიდროტექნიკური ნაგებობებით დაკავებულ და მათ სანიტარულ-ტექნიკურ ზონას მიეუთვნებულ მიწებზე, აგრეთვე ნავმისადგომების ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად არსებულ ტერიტორიებზე" და 2) საქართველოს საზღვაო კოდექსის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილი;

2. განჩინება საბოლოო და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

**კოლეგიის წევრები:** ბესარიონ ზოიძე (თავმჯდომარე); ვახტანგ გვარამია; იაკობ ფუტყარაძე; ნიკოლოზ შაშინი (მომხსენებელი მოსამართლე).



სამართლებლოვ საკონსტიტუციო სასამართლო  
 მეორე კოლეჯია  
 განმარტებული სხდომის  
 ბ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

N2/9/305

თბილისი, 2004 წლის 22 ოქტომბერი

**კოლეჯის შემადგენლობა:** ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი – სხდომის თავმჯდომარე, მომსახურებელი მოსამართლე; ოთარ ბენიძე – წევრი; ლამარა ჩორგოლაშვილი – წევრი; ზაურ ჯინჯოლავა – წევრი.

**სხდომის მდივანი:** ელენე ლალიძე.

**საქმის დასახელება:** მოქალაქე მზია ჯღარაკავას 305-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

**საქმის განხილვის მონაწილენი:** მოსარჩელე მზია ჯღარაკავა.

**დავის საგანი:** საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და 39-ე მუხლებთან, აგრეთვე 42-ე მუხლის პირველ, მე-3 და მე-9 პუნქტებთან მიმართებით.

მოქალაქე მზია ჯღარაკავას 305-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შემოტანილია 2004 წლის 5 ოქტომბერს. განმწესრიგებელი სხდომა დაინიშნა მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს.

წარმოდგენილ კონსტიტუციურ სარჩელში საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის საფუძვლად მითითებულია საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის “ე” ქვეპუნქტი, “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის “ე” ქვეპუნქტი და 39-ე მუხლი, “საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ” საქართველოს კანონის პირველი და მე-16 მუხლები.

კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნულია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილი – “პირს, რომელმაც შეიტყო მისთვის გამოგზავნილი ან მის მიერ გაგზავნილი საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის დაყადლების, დათვალიერებისა და ამოღების შესახებ, უფლება აქვს ამ მოქმედების უკანონობის ან უსაფუძვლობის გამო საჩივრით მიმართოს შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, აგრეთვე თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების საგამოძიებო კოლეგიებს, სადაც მის საჩივარს ერთპიროვნულად განიხილავს მოსამართლე მომჩივნის ან მისი წარმომადგენლის მონაწილეობით. თუ საჩივარი საფუძვლიანად ცნეს, მომჩივანს წერილობით უნდა მოუხადოს ბოდიში ბრძანების გამცემმა მოსამართლემ. მომჩივანს აგრეთვე უფლება აქვს მოითხოვოს მიყენებული მორალური ზიანის მატერიალური ანაზღაურება და დაზნავე პირის დასჯა”. – ატარებს დისკრიმინაციულ ხასიათს იმ მოქალაქეების მიმართ, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებათ 332-ე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ინფორმაციაზე და შესაბამისად ვერ ისარგებლებენ საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული იმ უფლებებით, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის თანახმად თავისთავად გამოდინარეობენ კონსტიტუციის პრი-



ნციებთან – კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით, “ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის” მე-7 და მე-12 მუხლებით და “სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ” საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით და 26-ე მუხლით აღიარებული თანასწორობისა და სამართლებრივი დაცვის უფლებებით; აგრეთვე, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი, მესამე და მე-9 პუნქტებით განსაზღვრული სასამართლოსადმი მიმართვის უფლებით.

განმწესრიგებელ სასამართლოს სხდომამზე კონსტიტუციური სარჩელის ავტორმა დააზუსტა დავის საგანი და მოითხოვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილის მხოლოდ სიტყვების – “პირს, რომელმაც შეიტყო...” არაკონსტიტუციურად ცნობა.

მოსარჩელის აზრით, იმისათვის, რათა აღმოფხვრილი იქნეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის პირველი პუნქტის დისკრიმინაციული ხასიათი, პირის საფოსტო-სატელეგრაფო გზაწერილის დაყადების, დათვლიერების და ამოღების შემთხვევაში, აღნიშნული ღონისძიებების გამტარებელ ორგანოებს უნდა დაეკისროს ვალდებულება აცნობოს პირს ამ ფაქტის შესახებ მისაღები ვადის განმავლობაში.

საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ 305-ე ნომრით რევისტორიული კონსტიტუციური სარჩელის, თანდართული დოკუმენტების განხილვისა და განმწესრიგებელ სხდომამზე მოსარჩელის განმარტებათა საფუძველზე გამოარკვია წარმოდგენილი კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში არსებითად განსახილველად მიღება-არმიღების საკითხთან დაკავშირებული გარემოებანი.

1. მოსარჩელე მ. ჯღარაკავა მოითხოვს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული სადავო დებულების არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და 39-ე მუხლებთან მიმართებით.

სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი მოიცავს ყველა ადამიანის დაბადებით თავისუფლებისა და კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას, ანალოგიურ უფლებას მოიცავს აგრეთვე მოსარჩელის მიერ დასახელებული “ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის” მე-7 მუხლი და “სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ” საერთაშორისო პაქტის 26-ე მუხლი. ამრიგად, აღნიშნულ ნორმებში საუბარია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილისაგან განსხვავებულ, კანონის წინაშე თანასწორობის უფლებებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არც კონსტიტუციურ სარჩელში და არც განმწესრიგებელ სასამართლო სხდომამზე მოსარჩელე ვერ მოიყვანა ის მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საფუძვლიანობას, კერძოდ სადავო აქტის მიმართებას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან, ასევე “ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის” მე-7 და “სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ” საერთაშორისო პაქტის 26-ე მუხლებთან.

2. მოსარჩელე ასევე მოითხოვს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის სადავო დებულების არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ, მე-3 და მე-9 პუნქტებთან, აგრეთვე “ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის” მე-12 მუხლთან, ასევე “სამოქა-

ლაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ” საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებთან მიმართებით.

სასამართლო სხდომზე მოსარჩელე ძირითადად დაეთანხმა სადავო მუხლის დებულებებს. კონსტიტუციური სარჩელის ავტორი დისკრიმინაციულად მიიჩნევს მხოლოდ იმ გარემობას, რომ სადავო ნორმამ არ გადაწყვიტა დაინტერესებული პირისათვის საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილების დაყადაღების, დათვალიერებისა და ამოღების შესახებ შეტყობინების გაგზავნის საკითხი.

საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია აღნიშნავს, რომ როგორც საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლში, ისე მოსარჩელის მიერ დასახელებულ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში ძირითადად საუბარია სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში სამართლებრივი დაცვის და მიყენებული ზიანის ანაზღაურების ეფექტური საშუალებების უზრუნველყოფაზე.

სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილი მოცემული საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში იძლევა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან პირის საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილების უკანონო ან უსაფუძვლო დაყადაღების, დათვალიერებისა და ამოღებისაგან დაცვის საშუალებას. აქვე სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის შესაბამისად, ყოველი ადამიანის პირადი მიმოწერის ასევე გზავნილების ხელშეუხებლობა არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და აღნიშნული უფლების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია მიიჩნევს, რომ კონსტიტუციურ სარჩელში არ არის მოყვანილი “საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ” საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის “ე” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ის მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ კონსტიტუციური სარჩელის საფუძვლიანობას. ამავე კანონის მე-18 მუხლის “ა” პუნქტის შესაბამისად “კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება განსახილველად არ მიიღება, თუ: ა) ფორმით ან შინაარსით არ შეესაბამება ამ კანონის მე-16 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს...”

იხელმძღვანელა რა საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის “ვ” ქვეპუნქტით, “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის “ე” ქვეპუნქტით, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის “ა” ქვეპუნქტითა და მე-2 პუნქტით; 43-ე მუხლის მე-5 და მე-8 პუნქტებით, “საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ” საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის “ე” ქვეპუნქტით, მე-18 მუხლის “ა” პუნქტით, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით და 22-ე მუხლით

საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია

**ა დ გ ე ნ ს :**

1. არ იქნეს მიღებული საკონსტიტუციო სასამართლოში არსებითად განსახილველად მოქალაქე მზია ჯღარაკავას 305-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი, რომელიც ენება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო



კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-14 და 39-ე მუხლებთან და 42-ე მუხლის პირველ, მე-3 და მე-9 პუნქტებთან მიმართებით;

2. განჩინება საბოლოო და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება;

*კოლეგიის წევრები:* ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი; ოთარ ბენიძე;  
ლამარა ჩორგოლაშვილი; ზაურ ჯინჯოლაძე.

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო**  
**პირველი კოლეგია**  
**განმწესრიგებელი სსდომის**  
**გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა**

N1/16/304

თბილისი, 2004 წლის 28 ოქტომბერი

*კოლეგიის შემადგენლობა:* ბესარიონ ზოიძე (თავმჯდომარე); ვახტანგ გვარამია; იაკობ ფუტყარაძე; ნიკოლოზ შაშინი (მომხსენებელი მოსამართლე).

*სსდომის მდივანი:* დარეჯან ჩალივაძე.

*საქმის დასახელება:* საქართველოს მოქალაქე ვახტანგ ცხომელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

*დავის საგანი:* "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონის მე-5 მუხლის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან, მე-17 მუხლის პირველ პუნქტთან, მე-19 მუხლის მე-3 პუნქტთან, 24-ე მუხლის მე-4 პუნქტთან და 42-ე მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებთან მიმართებით.

*საქმის განხილვის მონაწილე:* მოსარჩელე ვახტანგ ცხომელიძე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველ კოლეგიას 2004 წლის 11 ოქტომბერს გადამოცა საქართველოს მოქალაქის ვახტანგ ცხომელიძის 304-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი არსებითი განხილვისათვის მიღების საკითხის გადაწყვეტის მიზნით. ამ საკითხზე სასამართლოს ღია განმწესრიგებელი სსდომა გაიმართა 2004 წლის 21 ოქტომბერს.

მოქალაქე ვახტანგ ცხომელიძემ კონსტიტუციური სარჩელით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა 2004 წლის 4 ოქტომბერს. კონსტიტუციური სარჩელის შემოტანის საფუძვლად მითითებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები, 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

კონსტიტუციური სარჩელის მიხედვით, არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს ცნობილი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი, ვინაიდან იგი პოლიტი-

კური და სასამართლო სიტყვის თავისუფლების უზრუნველყოფის მოტივით გამოცხადეს პასუხისმგებლობას ცილისწამებისათვის. საქართველოს კონსტიტუცია კი ერთმნიშვნელოვნად კრძალავს არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადებების გავრცელებას. ამასთანავე, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი აღიარებს ადამიანის სიტყვის თავისუფლებას, თუ მისი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს. ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახველი არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი ცნობების გავრცელება, მოსარჩელის აზრით, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ პუნქტს. სადავო პუნქტი ასევე ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მოთხოვნებს, ვინაიდან წინააღმდეგობაში მოდის კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპთან.

მოსარჩელეს ასევე არაკონსტიტუციურად მიაჩნია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი, ვინაიდან იგი ხელყოფს საქართველოს კონსტიტუციის 42-მუხლით აღიარებულ სასამართლო დაცვის უფლებას და ეწინააღმდეგება იმ პრინციპს, რომლის თანახმად ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მოითხოვს არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონის მე-5 მუხლი საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან, მე-17 მუხლის პირველ პუნქტთან, მე-19 მუხლის მე-3 პუნქტთან, 24-ე მუხლის მე-4 პუნქტთან და 42-ე მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებთან მიმართებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ კონსტიტუციური სარჩელისა და თანდართული მასალების, განმწესრიგებულ სხდომაზე მოწვეული მოსარჩელის განმარტებათა გაანალიზების საფუძველზე გამოარკვია სასარჩელო მოთხოვნის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტისათვის საჭირო გარემოებანი.

სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს კანონიერი საფუძველი წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნის არსებითად განსახილველად მიღებისათვის.

სასამართლო კოლეგიის აზრით, მოსარჩელე ვახტანგ ცხომელიძე მოცემულ შემთხვევაში არ არის უფლებამოსილი სუბიექტი. არც კონსტიტუციური სარჩელში არ არის აღნიშნული (ნაჩვენები) და ვერც განმწესრიგებულ სხდომაზე ვერ დაასაბუთა მოსარჩელემ, რომ სადავო ნორმებით ირღვევა ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს მისი კონსტიტუციური უფლებები. განმწესრიგებულ სხდომაზე მოსარჩელემ განაცხადა, რომ სადავო ნორმები არღვევენ მოქალაქეთა უფლებებს ზოგადად, რაც მას, როგორც ადვოკატს, საფუძველს აძლევს შეიტანოს სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. სასამართლო კოლეგია ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის ასეთ სუბიექტს არ იცნობს მოქმედი კანონმდებლობა. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ძალით, კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვს მოქალაქეს, თუ მას მიაჩნია, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მისი უფლებანი და თავისუფლებანი.



ამგვარად, მოქალაქე ვახტანგ ცხომელიძე 304-ე ნომრით რეგისტრირებულ კონსტიტუციურ სარჩელთან მიმართებით უფლებამოსილ სუბიექტად ვერ ჩაითვლება.

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგია მიუთითებს "საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის "ვ" პუნქტზე, რომლის მიხედვითაც, კონსტიტუციური სარჩელი განსახილველად არ მიიღება, თუ "შეტანილი არ არის უფლებამოსილი პირის ან ორგანოს (სუბიექტის) მიერ".

იხელმძღვანელა რა საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით, 43-ე მუხლის მე-2, მე-5, მე-7 და მე-8 პუნქტებით, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტით, მე-18 მუხლის „ბ“ პუნქტითა და 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 30-ე და 31-ე მუხლებით,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

#### ა დ გ ე ნ ს :

1. არ იქნეს მიღებული საკონსტიტუციო სასამართლოში არსებითად განსახილველად საქართველოს მოქალაქის ვახტანგ ცხომელიძის 304-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი „სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონის მე-5 მუხლის კონსტიტუციურობის თაობაზე საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან, მე-17 მუხლის პირველ პუნქტთან, მე-19 მუხლის მე-3 პუნქტთან, 24-ე მუხლის მე-4 პუნქტთან და 42-ე მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებთან მიმართებით და შეწყდეს სამართალწარმოება ამ სარჩელზე;

2. განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

**კოლეგიის წევრები:** ბესარიონ ზოიძე (თავმჯდომარე); ვახტანგ გვარამია; იაკობ ფუტყარაძე; ნიკოლოზ შაშინი (მომხსენებელი მოსამართლე).

**სამართლებლო საკონსტიტუციო სასამართლო**

**მეორე კოლეგია**

**განმფხვრიდავადი სხდომის**

**ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

N2/11/306

თბილისი, 2004 წლის 1 ნოემბერი

**კოლეგიის შემადგენლობა:** ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი - სხდომის თავმჯდომარე; ოთარ ბენიძე - წევრი; ლამარა ჩორგოლაშვილი - მომხსენებელი მოსამართლე; ზაურ ჯინჯოლავა - წევრი.

**სხდომის მდივანი:** ლია ჯალაღონია

**საქმის დასახელება:** შპს „ლილი და კომპანის“ დამფუძნებელი პარტნიორი მერაბ კიკვაძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ

**დავის საგანი:** „ფოთის საზღვაო ნავსადგურის, როგორც საჯარო სამართლის ოურიდიული პირის, შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 31

დეკემბრის N705 ბრძანებულების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე და 30-ე მუხლის მეორე პუნქტთან მიმართებით.

**საქმის განხილვის მონაწილენი:** მოსარჩელე – მერაბ კიკვაძე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ ღია სასამართლო სხდომაზე

**გ ა მ თ ა რ კ ე ი ა**

2004 წლის 12 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით მომართა შპს “ლილი და კომპანის” დამფუძნებელმა პარტნიორმა მერაბ კიკვაძემ და მოითხოვა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 31 დეკემბრის N705 ბრძანებულების არაკონსტიტუციურად ცნობა.

კონსტიტუციური სარჩელის შემოტანის საფუძვლად მითითებულია “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის “კ” ქვეპუნქტი, 23-ე მუხლის პირველი პუნქტი და 39-ე მუხლის “ა” პუნქტი.

მოსარჩელეს მიაჩნია, რომ სადავო აქტით დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გათვალისწინებული მისი საკუთრების უფლება და 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით აღიარებული უფლება თავისუფალი მეწარმეობისათვის ხელის შეწყობის შესახებ.

სარჩელეში მითითებულია, რომ საკუთრების საგანს, მოცემული დავის პირობებში, წარმოადგენს მოსარჩელის მოთხოვნის უფლება, რომელიც რეგლამენტირებულია ქალაქ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2000 წლის 24 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული განჩინებით, ამავე სასამართლოს 2004 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით, N2ა-373 საქმეზე 2004 წლის 23 აგვისტოს განჩინებით, 2004 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით და N1/15-00, N2ა-153-04 საქმეებზე გაცემული სააღსრულებო ფურცლებით, რომელიც მიხედვითაც საკუთრების უფლება ფოთის საზღვაო ნავსადგურში ნავთობპროდუქტების გადასაქაჩი მიწისზედა N1 და N2 ტერმინალსა და შესაბამისად, იმ 1,2 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე, რომელიც ამ ობიექტის მშენებლობის პროცესში დატანილი იქნა მშენებლობის გენერალურ გეგმაზე, როგორც მასზე დამაგრებული მიწა და რომელზედაც განთავსდა ნავთობპროდუქტების გადასაქაჩი მიწისზედა N1 და N2 ტერმინალის უძრავი და მოძრავი ქონება, ეკუთვნის შპს “ლილი და კომპანის”.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ “საკუთრების უფლების შესახებ” საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 15 ივლისის კანონის თანახმად, საკუთრების შემქნი შეუზღუდავად იქნის საკუთრების უფლებას შექნილ ქონებაზე და ეს უფლება ვრცელდება იმ ობიექტზეც, რომლის გარეშეც შეუძლებელია ამ უფლების რეალიზაცია. ამდენად, შპს “ლილი და კომპანია” ფოთის საზღვაო ნავსადგურში ნავთობპროდუქტების გადასაქაჩი მიწისზედა N1 და N2 ტერმინალის შექმნასთან ერთად შეიძინა უფლება იმ 1,2 ჰექტარ ფართის მიწის ნაკვეთზეც, რომელზედაც განთავსებულია აღნიშნული ტერმინალის ქონება.

მოსარჩელეს მიაჩნია, რომ, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 31 დეკემბრის N705 ბრძანებულება, როგორც ნორმატიული აქტი, არღვევს ფოთის საზღვაო ნავსადგურის უკანონო მფლობელობაში არსებული მისი, როგორც ქონების მფლობელის კანონიერ უფლებებს, რადგან ამ ბრძანებულების საფუძველზე მიღებულ იქნა ფოთის საკრებულოს 2004 წლის 4 ოქტომბრის N23/158 დადგენილება და ქალაქ ფოთის მერიის 2000 წლის 11 ოქტომბრის N410 განკარგულება. ამასთანავე სადავო აქტის საფუძველზე დაიდო 2002 წლის 12 დეკემბრის ხელშეკრულება,



რომლის თანახმადაც ფოთის საზღვაო ნავსადგურს უსასყიდლო უზუფერუქტით გადაეცა 421,256 ჰექტარი ფართობის მიწა, რომელშიც მოქცეულია ის 1, 2 ჰექტარიც, რაზედაც განთავსებულია შპს “ლილი დაკომპანიის” კუთვნილი ნავთობპროდუქტების გადასაქანი მიწისზედა N1 და N2 ტერმინალის უძრავი და მოძრავი ქონება.

კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნულია ის გარემოებაც, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 31 დეკემბრის N705 ბრძანებულების საფუძველზე ქალაქ ფოთის საკრებულოს მიწის განკარგვისათვის აუცილებელი ნორმატიული აქტის – საკრებულოს გადაწყვეტილების ნაცვლად, 2004 წლის 4 ოქტომბერს მიღებულია საკრებულოს დადგენილება. ამასთანავე, ფოთის მერიის დადგენილების ნაცვლად მიწის გასხვისების თაობაზე გამოცემულია მხოლოდ მერიის ინდივიდუალურ – სამართლებრივი აქტი, რაც მოსარჩელის აზრით უკანონოა, რადგან არ შეესაბამება “ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნებს.

მოსარჩელე თვლის, რომ სადავო აქტი, რომლის მიხედვითაც მისი საკუთრება გადაეცა სხვა სუბიექტს, არაკონსტიტუციურია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე და 30-ე მუხლებთან მიმართებით.

მოსარჩელის აზრით, ბრძანებულება მიღებულია უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ და ამდენად “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად წარმოადგენს ნორმატიულ აქტს.

სარჩელში აღნიშნულია რომ ბრძანებულებით გათვალისწინებულია ურთიერთობის მოწესრიგება რამდენიმე იურიდიულ პირს შორის – ფოთის საზღვაო ნავსადგურსა და საქართველოს ქონების მართვის (დღეისათვის საქართველოს ეკონომიკის განვითარების), ტრანსპორტის, ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროებს, აგრეთვე სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურსა და ქალაქის მერიას შორის. შესაბამისად, მოსარჩელეს მიაჩნია, რომ პირთა მრავალრიცხოვან წრესთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგება დამახასიათებელია ნორმატიული აქტის ბუნებისათვის.

მოსარჩელე მიუთითებს, რომ ბრძანებულებით გადაწყვეტილია ნავსადგურის რესტრუქტურისა და პროგრამის განხორციელება. აქედან გამომდინარე, დადგენილია გამოყენების წესი. ამდენად ბრძანებულება აკმაყოფილებს “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და იგი წარმოადგენს ნორმატიულ აქტს.

მოსარჩელის აზრით, ბრძანებულების არაკონსტიტუციურობა მდგომარეობს შემდეგში: ბრძანებულებით დადგენილია, რომ ფოთის საზღვაო ნავსადგურს გადაეცა მის ბალანსზე რიცხული მთელი ქონება, ხოლო ამ ბრძანებულებით დამტკიცებული ფოთის საზღვაო ნავსადგურის წესდების დანართში მოცემულია ჩამონათვალი, სადაც საკუთრებაში გადაცემულ ქონებაში მოხსენიებულია ნავთობპროდუქტების გადასაქანი N1 და N2 ტერმინალი, რომელიც, არც საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს და არც ფოთის საზღვაო ნავსადგურის ბალანსზე არ იმყოფებოდა. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ მისი, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონება და ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია ეს ქონება უკანონოდ გადაეცა ახალ მფლობელებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელე მოითხოვს, ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 31 დეკემბრის N705 ბრძანებულება იმ ნაწილში, რომლითაც ფოთის საზღვაო ნავსადგურს უსასყიდლო უზუფერუქტით გადაეცა 1,2 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია შპს

“ლილი და კომპანიის” უძრავი და მოძრავი ქონება. აგრეთვე, მოსარჩელე მოითხოვს კონსტიტუციური სარჩელის არსებით განხილვამდე, “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის თანახმად შეჩერებულ იქნას სადავო აქტის მოქმედება.

განმწესრიგებელ სხდომაზე მოსარჩელემ მხარი დაუჭირა კონსტიტუციურ სარჩელს. საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია კონსტიტუციური სარჩელის და მასზე დართული მასალების, განმწესრიგებელ სხდომაზე მოსარჩელის განმარტებების საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კონსტიტუციური სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში არ უნდა იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად შემდეგი მოსაზრებების გამო:

1. მოსარჩელე საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 31 დეკემბრის N705 ბრძანებულების იმ ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობას მოითხოვს, რომლითაც ფოთის საზღვაო ნავსადგურს უსასყიდლო უზუფრუქტით გადაეცა მის მფლობელობაში მყოფი 1,2 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების უძრავი და მოძრავი ქონება.

სასამართლო კოლეგია თვლის და მოსარჩელემაც დაადასტურა სასამართლო სხდომაზე, რომ არც პრეზიდენტის N705 ბრძანებულება და არც ამ ბრძანებულებით დამტკიცებული ფოთის საზღვაო ნავსადგურის წესდება არ შეიცავს რაიმე დებულებას მიწის ნაკვეთის გადაცემის ან გადასაცემი ნაკვეთის ფართობის თაობაზე. ბრძანებულების მე-3 პუნქტი ადგენს ფოთის საზღვაო ნავსადგურისათვის უსასყიდლო უზუფრუქტით მხოლოდ მის ბალანსზე რიცხული მიწის ქონების გადაცემას, რაც საქართველოს კონსტიტუციის შეუსაბამო რაიმე დებულებას არ შეიცავს.

მოსარჩელის მოსაზრება, რომ სადავო ნორმატიული აქტი არასწორად იქნა გამოყენებული ქალაქ ფოთის მერიისა და საერებულოს მიერ, რომლებმაც ფოთის საზღვაო ნავსადგურისათვის გადაცემულ მიწის ფართობში მის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთიც შეიტანეს, არ განეკუთვნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველ საკითხთა წრეს.

სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელე ფაქტობრივად ქონებრივი დავის გადაწყვეტის მიღწევას ცდილობს. სახელდობრ, ფოთის საზღვაო ნავსადგურისათვის გადაცემულ ფართობში შეტანილი, მის მფლობელობაში მყოფი, მიწის ნაკვეთის დაბრუნებას, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის. “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის მეორე პუნქტისა და “საკონსტიტუციო სასამართალწარმოების შესახებ” საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის “ე” ქვეპუნქტის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა კონსტიტუციური სარჩელი, ვერ მოიყვანა სარჩელის საფუძველიანობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რაც “საკონსტიტუციო სასამართალწარმოების შესახებ” საქართველოს კანონის მე-18 მუხლის “ა” პუნქტის შესაბამისად კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს.

ამავე მოსარჩელის კონსტიტუციური სარჩელი იმავე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2004 წლის 17 ივნისის განჩინებით, იმ განსხვავებით, რომ თუ იმ საქმეში მოსარჩელე ნავთობპროდუქტების



გადასაქარ მიწისზედა ტერმინალების გადაცემას ხდიდა სადავოდ, მოცემულ საქმეში დავის საგანი მიწის ნაკვეთია;

2. კონსტიტუციური სარჩელის საფუძვლად მიითებულა სადავო ნორმატიული აქტით დამტკიცებული ფოთის საზღვაო ნავსადგურის წესდების დანართი, რომელიც ამ წესდების მეორე მუხლის თანახმად, წესდების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მაგრამ აღნიშნული დანართი მოსარჩელემ სასამართლო სხდომაზე ვერ წარმოადგინა, ხოლო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შეტყობინების შესაბამისად, იგი არ ერთვოდა ბრძანებულებას მისი რეგისტრაციის დროს და არ გამოქვეყნებულა "საყანონმდებლო მაცნეში", რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს დავის საგნის არარსებობას.

კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებზე უარის თქმა თავისთავად გამორიცხავს სადავო აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

იხელმძღვანელა რა საქართველოს კონსტიტუციის 89-ე და 42-ე მუხლებით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 43-ე მუხლის მე-5, მე-7 და მე-8 პუნქტებით, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით და მე-18 მუხლის „ა“ პუნქტითა და 21-ე მუხლის მეორე პუნქტით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია

#### ა დ გ ე ნ ს :

1. არ იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად 306-ე ნომრით რეგისტრირებული მოსარჩელე შპს „ლილი და კომპანის“ დამფუძნებელი – პარტნიორის მერაბ კვიციანი კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, „ფოთის საზღვაო ნავსადგურის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის, შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 31 დეკემბრის N705 ბრძანებულების კონსტიტუციურობის თაობაზე საქართველოს კონსტიტუციის 21-ე და 30-ე მუხლის მეორე პუნქტთან მიმართებით.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

**კოლეგიის წევრები:** ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი (თავმჯდომარე); ოთარ ბენიძე (წევრი); ლამარა ჩორგოლაშვილი (მომხსენებელი მოსამართლე); ზაურ ჯინჯოლავა (წევრი).

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო**

**მეორე კოლეგია**

**ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

N2/12/260

თბილისი, 2004 წლის " 5 ნოემბერი "

**კოლეგიის შემადგენლობა:** ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი – სხდომის თავმჯდომარე; ოთარ ბენიძე – წევრი; ლამარა ჩორგოლაშვილი – მომხსენებელი მოსამართლე; ზაურ ჯინჯოლავა – წევრი.

**სხდომის მდივანი:** ელენე ლალიძე

**საქმის დასახელება:** მოქალაქე ავთანდილ თურქიაშვილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ.

**დავის საგანი:** “პოლიციის შესახებ” 1993 წლის 27 ივლისის საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მესამე პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2003 წლის 24 ივნისის N217 ბრძანებით დამტკიცებული “საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების” მე-3 მუხლის “ზ” პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მეორე პუნქტთან მიმართებით.

**საქმის განხილვის მონაწილენი:** მოსარჩელე ავთანდილ თურქიაშვილის წარმომადგენელი დავით ბაკურიძე.

2003 წლის 14 ნოემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა მოქალაქე ავთანდილ თურქიაშვილმა და მოითხოვა “პოლიციის შესახებ” 1993 წლის 27 ივლისის საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მესამე პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2003 წლის 24 ივნისის N217 ბრძანებით დამტკიცებული “საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების” მე-3 მუხლის “ზ” პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მეორე პუნქტთან მიმართებით. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ახმეტის რაიონული განყოფილების უფროსად მუშაობის დროს, პანჯისის ხეობაში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 1996 წლის 26 ნოემბრის N906 ბრძანების მე-13 მუხლის “ა” პუნქტის მე-7 ნაწილის საფუძველზე მას შეუფარდეს 10 დღით დისციპლინური პატიმრობა, რომელსაც საფუძველად დაედო “პოლიციის შესახებ” 1993 წლის 27 ივლისის საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მესამე პუნქტის “ზ” ქვეპუნქტი და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2003 წლის 24 ივნისის N217 ბრძანებით დამტკიცებული “საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების” მე-3 მუხლის “ზ” პუნქტი.

მოსარჩელეს მიაჩნია რომ, “პოლიციის შესახებ” 1993 წლის 27 ივლისის საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მესამე პუნქტის “ზ” ქვეპუნქტით და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2003 წლის 24 ივნისის N217 ბრძანებით დამტკიცებული “საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების” მე-3 მუხლის “ზ” პუნქტით დაირღვა მისი კონსტიტუციური უფლებები, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, “თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.”

მოსარჩელის წარმომადგენელმა დავით ბაკურიძემ საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე, 2004 წლის 1 ნოემბერს წარმოადგინა წერილობითი განცხადება კონსტიტუციურ სარჩელზე სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე, სადავო ნორმის არ არსებობის მოტივით.

სასამართლო კოლეგიამ გამოარკვია რომ, საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 13 აგვისტოს “პოლიციის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონით შეტანილი იქნა ცვლილება “პოლიციის შესახებ” 1993 წლის 27 ივლისის საქართველოს კანონში. კერძოდ, ამოღებულ იქნა 30-ე მუხლის მესამე პუნქტის “ზ” ქვეპუნქტი, ხოლო აღნიშნული ცვლილების

საფუძველზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2004 წლის 10 მარტის N92 ბრძანებით ასევე შეტანილი იქნა ცვლილება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2003 წლის 24 ივნისის N217 ბრძანებით დამტკიცებულ "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინურ წესდებაში" და ამოღებულ იქნა წესდების მესამე მუხლის „ზ“ პუნქტი, რომელიც სამსახურობრივი დისციპლინის დარღვევისათვის პოლიციის თანამშრომელთა მიმართ ითვალისწინებდა დისციპლინურ პატიმრობას 3-დან 10 დღე-ღამემდე ვადით.

მოსარჩელე ავთანდილ თურქიაშვილის წარმომადგენელი დავით ბაკურიძე 2004 წლის 1 ნოემბერს წარმოდგენილი შუამდგომლობით მოითხოვს ამ მოტივით საქმის წარმოების შეწყვეტას.

"საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად, საქმის განხილვის მომენტიდან დადგინდეს აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა, ასევე მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმა იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას, ვინაიდან მოსარჩელის შუამდგომლობა წარმოდგენილია საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე.

იხელმძღვანელა რა "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტით, "საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია

#### ა დ გ ე ნ ს :

1. ავთანდილ თურქიაშვილის 260-ე ნომრით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი მოპასუხე საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ "პოლიციის შესახებ" 1993 წლის 27 ივლისის საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მესამე პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2003 წლის 24 ივნისის N217 ბრძანებით დამტკიცებული "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების" მე-3 მუხლის "ზ" პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მეორე პუნქტთან მიმართებით წარმოებით შეწყდეს;

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

**კოლეგიის წევრები:** ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი (თავმჯდომარე); ოთარ ბენიძე (წევრი); ლამარა ჩორგოლაშვილი (მომხსენებელი მოსამართლე); ზაურ ჯინჯოლავა (წევრი).

### საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

მეორე კოლეგია

გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

N2/13/307

თბილისი, 2004 წლის 11 ნოემბერი

**კოლეგიის შემადგენლობა:** ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი – თავმჯდომარე, ოთარ ბენიძე – წევრი (მომხსენებელი მოსამართლე), ლამარა ჩორგოლაშვილი – წევრი, ზაურ ჯინჯოლავა – წევრი.



**სტდომის მდივანი:** ელენე ლალიძე.

**საქმის დასახელება:** მოსარჩელე ნელი ნებიერიძე, ზურაბ ინაშვილი და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

**დავის საგანი:** საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან, მე-15 მუხლის პირველ პუნქტთან, მე-16, მე-17 და 21-ე მუხლებთან, 42-ე მუხლის პირველ, მე-2, მე-3, მე-7 და მე-9 პუნქტებთან, 43-ე მუხლთან და 44-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

**საქმის განხილვის მონაწილენი:** მოსარჩელე ზურაბ ინაშვილი და მისი წარმომადგენელი თამარ გოგრიჯიანი.

2004 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის N307) მომართა მოქალაქე ნელი ნებიერიძე, ზურაბ ინაშვილმა და მოქალაქეთა ჯგუფმა. სასამართლოს თავმჯდომარის რეზოლუციით კოლეგიას საქმე გადაეცა 2004 წლის 27 ოქტომბერს.

კონსტიტუციური სარჩელის შემოტანის საფუძველია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი, 89-ე მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტი, "საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის "ე" პუნქტი, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტი, "საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს კანონის "საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის" 105-ე მუხლის კონსტიტუციურობის დადგენა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან, მე-15 მუხლის პირველ პუნქტთან, მე-16, მე-17 და 21-ე მუხლებთან, 42-ე მუხლის პირველ, მე-2, მე-3, მე-7 და მე-9 პუნქტებთან, 43-ე მუხლთან და 44-ე მუხლის პირველი პუნქტთან მიმართებით.

მოსარჩელეებს არაკონსტიტუციურად მიაჩნიათ ის ფაქტი, რომ სადავო ნორმები საერთო სასამართლოებში მოსამართლეებს ანიჭებთ პირადი შინაგანი რწმუნის საფუძველზე, მტკიცებულებების შეფასების და სუბიექტური მოსაზრებით გადაწყვეტილებების მიღების უფლებას.

აღინიშნულმა სამართლებრივმა დათქმამ, მოსარჩელეების აზრით, მათ ერთ ნაწილს უკვე დაურღვია საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით აღიარებული უფლებები, ხოლო მეორე ნაწილისათვის შესაძლოა ანალოგიური უფლებების დარღვევის საფუძველი გახდეს.

სარჩელის ავტორთა განცხადებით, სადავო ნორმებით მოსამართლეებისათვის მისი პირადი შინაგანი რწმენით და სუბიექტური მოსაზრებებით კანონის გამოყენების უფლებამოსილება არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს მათ სხვა პირებთან და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით აღიარებულ კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს.

მოსარჩელეთა თქმით, სასამართლოს გადაწყვეტილებები გამოაქვს საქართველოს სახელით (საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-4 პუნქტი), რაც გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას ნორმატიული აქტების საფუძველზე და არა მოსამართლის სუბიექტური მოსაზრებით. გასაჩივრებული ნორმები კი ადგენენ მოსამართლის შესაძლებლობას, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას იმოქმედოს არა მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპებით, არამედ შინაგანი რწმენით და მოსაზრებით, რაც მოსამართლის პოლიტიზირებას იწვევს და აკანონებს მის მიყვრობას.



მოსარჩელეთა აზრით, სადავო 105-ე მუხლის არაკონსტიტუციურობას ადასტურებს ასევე "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონი. კერძოდ, აღნიშნული კანონით, ნორმატიული აქტების საჯაროობის და საქართველოს მოქალაქეებისათვის შესასრულებლად საგალდებულო დოკუმენტის გაცნობისათვის, დადგენილია მათი ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნების აუცილებლობა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სადავო მუხლი კი უფლებას აძლევს მოსამართლეს, ისე დავემორჩილოთ მის შინაგან რწმენას და სუბიექტურ მოსაზრებას, რომ არც კი გვექნდეს საშუალება ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გავეცნოთ მათ.

სარჩელის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ზემოთ მოყვანილი მტკიცებულებები იწვევენ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შელახვას, რადგან საერთო სასამართლოები მართლმსაჯულებას უნდა ანხორციელებდნენ კანონის უზენაესობის საფუძველზე და არა სადავო ნორმებით დაკანონებული სუბიექტური მოსაზრებებითა და გაუგებარი შინაგანი რწმენით კანონების განმარტებისა და გადაწყვეტილებების მიღების უფლებით.

აღნიშნული სუბიექტური შეხედულების ინდივიდუალური ხასიათის გამო, შეუძლებელი ხდება სათანადო დაცვა, რაც ხელყოფს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტით გარანტირებული დაცვის უფლებასაც.

კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნულია, რომ სადავო ნორმები მოსამართლეებს აძლევენ მანიპულაციის საშუალებას. სარჩელს თან ერთვის საერთო სასამართლოების პრაქტიკა, რომლებიც მოსარჩელეთა აზრით ადასტურებენ მოსამართლეების მიერ საქმისადმი მიყვრძობის ფაქტებს.

ასევე მოსარჩელები ითხოვენ, რომ სასამართლო კოლეგიამ შეაჩეროს სადავო ნორმების მოქმედება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე და საქმეზე ექსპერტად იქნეს მოწვეული დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტი და საქართველოს სახალხო დამცველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელები მოითხოვენ არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან, მე-15 მუხლის პირველ პუნქტთან, მე-16 მუხლთან, მე-17 და 21-ე მუხლებთან, 42-ე მუხლის პირველ, მე-2, მე-3, მე-7 და მე-9 პუნქტებთან, 43-ე მუხლთან და 44-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ საქმის განმწესრიგებელ სხდომაზე განხილვის შედეგად, კონსტიტუციური სარჩელისა და მხარის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაანალიზების, სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებათა საფუძველზე გამოარკვეა შემდეგი გარემოებანი:

1. განმწესრიგებელ სხდომაზე სასამართლომ მოისმინა მოსარჩელის განმარტებები სასარჩელო მოთხოვნის საფუძველიანობასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ სადავო აქტის კონსტიტუციურობის დადგენა კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით უსაფუძვლოა. მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა, თუ როგორ შეეძლო დაერღვია სადავო მუხლს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით აღიარებული კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი.

2. რაც შეეხება სადავო აქტების საფუძველზე საქართველოს კონსტიტუციით ხელშეუვალ უფლებად აღიარებულ სიცოცხლის უფლების შეზღუდვის საკითხს (საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი), საკონსტიტუციო

სასამართლო თვლის, რომ სადავო აქტი და საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული მუხლი სასარჩელო მოთხოვნის არსიდან გამომდინარე განსხვავებულ საკითხებს აწესრიგებს. დავის საგანსა და სასარჩელო მოთხოვნას შორის არავითარი მიმართება არ არსებობს.

3. განმწესრიგებელ სხდომაზე სასამართლომ მოისმინა მოსარჩელის განმარტებები საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით აღიარებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების დარღვევის თაობაზე და მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ, როგორც კონსტიტუციურ სარჩელში, ისე განმწესრიგებელ სხდომაზე ვერ შეძლო სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საფუძვლიანობის დასაბუთება. მან ვერ დაასაბუთა, თუ როგორ დაარღვია სადავო აქტმა, ან შესაძლებელია მომავალში დაარღვიოს, მოსარჩელეების უფლებები საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით.

4. მოსარჩელები ასევე აღნიშნავენ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი მოსამართლის უფლებამოსილება შესაძლებელია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით გარანტირებული მათი პატივისა და ღირსების ხელყოფის საფუძველი გახდეს. მოსარჩელის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ ზანგერძლივი პროცესები საერთო სასამართლოებში იწვევს მის წამებას, საკონსტიტუციო სასამართლო ვერ მიიღებს კონსტიტუციური სარჩელის მიღების საფუძვლიანობის დამადასტურებელ გარემოებად.

5. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სადავო ნორმები თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ვერ დაარღვევდნენ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებულ საკუთრების უფლებასაც.

მოსარჩელების არგუმენტები ძირითადად ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ მოსამართლეები სადავო ნორმებს იყენებენ ბოროტად და გადაწყვეტილებებს იღებენ სუბიექტური შეხედულებით. სარჩელში მტკიცებულებად მოყვანილია საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები და კონკრეტული სამოქალაქო საქმეების მასალები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ მისი განსჯადი არ არის საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის შემოწმება და მით უმეტეს, მოსამართლის კეთილსინდისიერებაზე მსჯელობა. მოსარჩელების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და ასევე მათ მიერ განმწესრიგებელ სხდომაზე მოყვანილი არგუმენტები, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლოს დაუსაბუთებლად მიიჩნია.

6. სარჩელის ავტორთა განცხადებით, სადავო მუხლი, რომლის თანახმადაც, სასამართლო მტკიცებულებებს აფასებს თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, არღვევს როგორც სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას (საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი), ასევე ვფიქტური დაცვის გარანტიასაც, რადგან ზავსებით შესაძლებელია, აღნიშნული უფლება მოსამართლის მხრიდან გამოყენებულ იქნეს ბოროტად და სუბიექტური შეხედულებით გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდეს.

მხოლოდ ის გარემოება, რომ სადავო ნორმები შეიძლება არასწორად იქნეს გამოყენებული და არ გამოიცილება მოსამართლის მიერ მოქმედებას, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, არ შეიძლება ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძველი გახდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტით გარანტირებულ დაცვის უფლებასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიღებული აქტს N2/6/205,232 გადაწყვეტილება.

რაც შეეხება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 და მე-9 პუნქტებთან სადავო მუხლის მიმართების საკითხს, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნა და დავის საგანი განსხვავებულ საკითხებს ეხება.

7. მოსარჩელემ განმწესრიგებელ სხდომაზე აღნიშნა, რომ სადავო აქტმა დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლიც, რომელიც არეგულირებს საქართველოს სახალხო დამცველის არჩევსა და საქმიანობის ძირითად საკითხებს. რაც იმაში გამოიხატა, რომ საქართველოს სახალხო დამცველმა, სადავო ნორმის საფუძველზე ვერ განახორციელა მისთვის კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებული უფლებები და ვერ უზრუნველყო მისი უფლებების დაცვა.

საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი ამ ნაწილში შემოტანილია არაუფლებამოსილი სუბიექტის მიერ, რადგან “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეებს მხოლოდ მაშინ აქვთ საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება, როდესაც დარღვეულია ან უშუალოდ შესაძლებელია დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი. ეს ნორმა გამორიცხავს პირის უფლებას, იდავოს სხვა პირის (კონკრეტულ შემთხვევაში სახალხო დამცველის) უფლების დარღვევის თაობაზე.

8. კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნულია, რომ სადავო ნორმა წინააღმდეგობაშია “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნებთან.

ამასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კანონებს შორის შეუსაბამობის თაობაზე დავების განხილვის უფლებამოსილება მას კანონით არ გააჩნია.

9. მოსარჩელე ზ. ინაშვილი მოითხოვს სადავო მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, რომლის თანახმად საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია, ასრულვდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. მოსარჩელის არგუმენტები ძირითადად დაფუძნებულია მოსამართლის მიერ კანონის არასწორად გამოყენებაზე მითითებით, რაც სცდება საკონსტიტუციო სასამართლოს კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებს.

10. რაც შეეხება მოსარჩელის შუამდგომლობას, სასამართლოს კოლეგიამ შეაჩეროს სადავო ნორმების მოქმედება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიუღებლობა თავისთავად გამორიცხავს კანონის მოქმედების შეჩერებას.

“საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება დასაბუთებული უნდა იყოს. ხოლო საქართველოს კანონის “საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ” მე-18 მუხლის თანახმად: “კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება განსახილველად არ მიიღება, თუ:

ა) ფორმით ან შინაარსით არ შეესაბამება ამ კანონის მე-16 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს”.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შინაარსობრივად კონსტიტუციური სარჩელი არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განსახილველად არ შეიძლება მიღებულ იქნეს.

იხელმძღვანელა რა საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის “ვ” ქვეპუნქტებით, “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის “ე” ქვეპუნქტებით და 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის მე-5, მე-7 და მე-8 პუნქტებით, “საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ” საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, მე-18 მუხლის “ა” და “ბ” ქვეპუნქტებითა და 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 30-ე, 31-ე და 33-ე მუხლებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

**ა დ გ ე ნ ს :**

1. არ იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად 307-ე ნომრით რეგისტრირებული მოსარჩელე ნელი ნებიერიძის, ზურაბ ინაშვილის და სხვათა კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის კონსტიტუციურობის თაობაზე საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან, მე-15 მუხლის პირველ პუნქტთან, მე-16 მუხლთან, მე-17 და 21-ე მუხლებთან, 42-ე მუხლის პირველ, მე-2, მე-3, მე-7 და მე-9 პუნქტებთან, 43-ე მუხლთან და 44-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

2. განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

**კოლეგიის წევრები:** ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, ოთარ ბენიძე,  
ლამარა ჩორგოლაშვილი, ზაურ ჯინჯოლაყა.





**ი ა კ ო ბ ფ უ ტ კ ა რ ა ა მ**

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**კ ა ნ ო ნ შ ე მ ო ქ მ ე დ ბ ი ს რ ე ფ ო რ მ ი რ ა ბ ი ს  
მ ი ც ნ ი ა რ უ ლ ი კ ვ ლ ე ვ ი ს ს რ უ ლ ყ ო ვ ი ს ა თ ი ვ ი ს**

**ოფიციალური ოპონენტის რეცენზია პაატა ცნობილადის  
სადოქტორო დისერტაციაზე – „კანონშემოქმედების  
რეფორმირების მიმართულებები: თეორიული და  
პრაქტიკული ასპექტები“**

ბატონი პაატა ცნობილადის სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომი საკონსტიტუციო სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და საინტერესო თემას ეძღვნება.

თანამედროვე საქართველოს სამართლებრივი სისტემის წარმატებული ფუნქციონირება უმეტესწილად კანონშემოქმედებითი საქმიანობის სწორად წარმართვაზე არის დამოკიდებული. ამ საქმეში კი, კანონშემოქმედების რეფორმირების თეორიული და პრაქტიკული მიმართულებების შესწავლით დისერტანტმა თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა, მით უფრო იმ ფონზე, როცა პრობლემა არსებითად დაუმუშავებელია ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში.

საკვებით სწორად შენიშნავს დისერტანტი, რომ კანონშემოქმედებით საქმიანობაში არაკომპეტენტურობა, ბრმა მიმბაძველობა, დილეტანტიზმი, სუბექტივიზმი და ზერელობა ძალიან ბევრად უჯდება საზოგადოებას.

სადისერტაციო ნაშრომი შეეხება უადრესად აქტუალურ საკითხს, თანაც მოიცავს პრობლემის როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მხარეს. ახალი კონსტიტუციის მიღება იწვევს კარდინალურ ცვლილებებს მოქმედ კანონმდებლობაში. ასეთი გარდაქმნის მიმართულებების დასახვა და წარმატებით განხორციელება მეტისმეტად საძნელო საქმეა. მასში მონაწილეობა მოითხოვს საფუძვლიან თეორიულ მომზადებასა და მრავალმხრივი სამართლებრივი პრაქტიკის რთულ საკითხებში გარკვევის უნარს.

სარეცენზიო დისერტაციიდან ჩანს და იურიდიული საზოგადოებრიობისათვის ისედაც კარგად არის ცნობილი, რომ დისერტანტი იურისპრუდენციამოკარგად ჩანედული და ფართოდ განსწავლული პიროვნებაა.

დისერტანტი ქართული საკონსტიტუციო სამართლის საკითხებისადმი მიძღვნილი მრავალი მნიშვნელოვანი ნაშრომის ავტორია, რომელთაგან ბევრი დისერტაციის თემაზე არის გამოქვეყნებული.

დისერტანტის მნიშვნელოვან მიგნებად მიმაჩნია თვით საკითხის დასმა – სადისერტაციო კვლევა-ძიების თემად კანონშემოქმედების რეფორმირების თეორიული და პრაქტიკული მიმართულებების შერჩევა.

ავტორი კანონშემოქმედების ურთულეს პრობლემატიკას შეეჭიდა. თავისი მეცნიერული მომზადების მაღალი დონისა და ხანგრძლივი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გამოცდილების მეშვეობით მან შეძლო ამ ერთ-ერთი დიდი სამეცნიერო

პრობლემის დაძლევა და ქართული საკონსტიტუციო სამართლის მეცნიერებას სარეცენზიო დისერტაციის სახით შემატა ღირსეული გამოკვლევა, რომელიც, დარწმუნებული ვარ, სამართლის სხვა დარგების სპეციალისტებსაც გამოადგებათ.

მისასალმებელია, რომ სადისერტაციო ნაშრომში ფართოდ არის გამოყენებული სამეცნიერო კვლევა-ძიების შედეგებით-სამართლებრივი მეთოდო.

დისერტაცია ფართოდ მოხაზული გეგმის მიხედვით შესრულებული ვრცელი გამოკვლევაა. იგი თემატურად მრავალმხრივი და შინაარსობრივად ტევადი ნაშრომია. მართალია, დისერტაციაში არაა წარმოდგენილი პრობლემის უკლებლივ ყველა მხარე, მაგრამ ძირითადი და ყველაზე აქტუალური საკითხები გათვალისწინებულია.

ასე რომ, სადისერტაციო თემა მთლიანობაში მაინც ფართო პრობლემატიკას მოიცავს. დისერტანტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შეძლო თემის უმთავრესი საკითხების საფუძვლიანად განხილვა. კვლევა-ძიების მასშტაბურობა დისერტაციის გეგმით განსაზღვრული თავებისა და პარაგრაფების თუნდაც მხოლოდ დასახელებითაც კი თვალსაჩინოდ დასტურდება. დისერტაციის თითოეული თავი მსხვილ პრობლემას მოიცავს, როგორცაა: კანონის როლი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში (კანონი, როგორც სამართლის გამოხატვის ფორმა, კანონის ადგილი საქართველოს სამართლებრივ სისტემაში, სამართლებრივი რეგლამენტაციის ცენტრალიზაცია და დეცენტრალიზაცია, ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ურთიერთქმედება); კანონშემოქმედებაში დაშვებული ხარვეზები და სამართლებრივი ნიჰილიზმი (კანონების სიუხვე და მისი ნეგატიური შედეგები, ქართული კანონმდებლობის სისტემის შესახებ); საკანონმდებლო პროცედურების შედარებითი ანალიზი (საკანონმდებლო პროცესი თუ კანონშემოქმედება, კანონპროექტის მომზადების სტადიები, საკანონმდებლო ინიციატივა, კანონპროექტის განხილვა, კანონის მიღება, კანონის დამტკიცება, პრომულგირება და გამოქვეყნება, ვეტოს უფლება, სპეციალური პროცედურები ცალკეული კანონებისათვის); კანონის ხარისხი – სტაბილურობისა და დინამიურობის გარანტია (კანონის შინაარსისა და მისი ფუნქციური მიმართულების ტრანსფორმაცია, კანონშემოქმედების მეთოდოლოგია, კანონის ხარისხის კრიტერიუმები, კანონის ხარისხის გაველნა სამართალგამოყენებით პრაქტიკასა და მოქალაქეთა მართლშეგნებაზე); საკანონმდებლო ტექნიკის ცნება და ელემენტები (საკანონმდებლო ტექნიკის არსი და მნიშვნელობა, საკანონმდებლო ტექნიკის წესები, სამართლებრივი ცნებების გამოყენება კანონის ტექსტში, ლოგოვა და კანონის სტრუქტურა, კანონის სათაური და პრეამბულა, კანონპროექტის ტექსტის მომზადების ზოგადი ხერხები, საკანონმდებლო ტექნიკის ენობრივი და გრაფიკული საშუალებები, კანონის კავშირის ხერხები სხვა სამართლებრივ აქტებთან, საკანონმდებლო ტექნიკის უცხოური გამოცდილება); საკანონმდებლო გადაწყვეტილების ფორმირების სოციალური ასპექტები (პრობლემური სიტუაცია და საკანონმდებლო საქმიანობის სოციალური ფაქტორები, სოციალური ფაქტორების როლი კანონმდებლობის დარგების და ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში, სოციალური ფაქტორების ურთიერთქმედება და საკანონმდებლო გადაწყვეტილების ჩამოყალიბება); ინტელექტუალური სისტემები და ტექნოლოგიები საკანონმდებლო საქმიანობაში (კომპიუტერინა-

ციის ამოცანები საკანონმდებლო საქმიანობაში, ინტელექტუალური ტექნოლოგიის გამოყენების გზები საკანონმდებლო საქმიანობაში, საკონსულტაციო კომპიუტერული სისტემების შექმნა კანონმდებლობისათვის, საკანონმდებლო აქტების ტექსტების ავტომატიზირებული ანალიზი).

სადისერტაციო თემა მთლიანად, მისი ძირითადი საკითხები განხილულია დიდაქლი ფაქტობრივი მასალის გაანალიზების საფუძველზე და გაკეთებულია ფრიად მნიშვნელოვანი თეორიული, აგრეთვე პრაქტიკულად გამოსაყენებელი დასკვნები.

დისერტაციაში მრავლადაა მაღალ დონეზე ჩატარებული მეცნიერული კვლევის ნიმუშები. ბევრი საკვანძო საკითხი საფუძვლიანად არის გამოკვლეული. მაგალითისათვის დაეასახელებ პარაგრაფს, რომელიც კანონშემოქმედების მეტოდიკისადმი მიძღვნილი (გვ. 121-134). აქ სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის, საკონსტიტუციო სამართლის, საერთოდ იურიდიული მეცნიერების, აგრეთვე ლოგიკის, ლინგვისტიკის და საკანონმდებლო ტექნიკის პოზიციებიდან საინტერესოდ არის განხილული კანონშემოქმედების მეტოდიკის, ზოგადი და კერძო მეტოდების საკითხები, ჩამოყალიბებულია სახელმძღვანელო მნიშვნელობის დებულებები, რომელთა გათვალისწინების გარეშე მოზადებული და მიღებული სამართლებრივი აქტი იქნება გაუმართავი, დეფექტური და ვერ შეასრულებს თავის დანიშნულებას. ამას, ავტორის სამართლიანი შენიშვნით, თვალსაჩინოდ ადასტურებს ქართული სამართლებრივი პრაქტიკა. ეს პარაგრაფი ერთ-ერთი საუკეთესოა სადისერტაციო ნაშრომში. მასში სრულადაა გამოვლენილი დისერტანტის ნიჭი, მისი შესაძლებლობანი და ეს ძალზე მნიშვნელოვანია სარეცენზიო დისერტაციის საერთო შეფასებისათვის.

ანალოგიურად შეიძლება ითქვას აგრეთვე ნაშრომის სხვა ცალკეული ნაწილების შესახებ. სადისერტაციო ნაშრომში დისერტანტის არაერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა ასახული და რეცენზიაში თითოეულ მათგანზე მსჯელობა გამოირჩევა. აქ ნიმუშად მხოლოდ ზოგიერთი დებულება იქნება აღნიშნული.

გასაზიარებელია მოსაზრება, რომ XX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში კანონმა განიცადა არსებითი შინაარსობრივი ცვლილება, რაც პუმანიზაციით – ადამიანზე ორიენტაციით გამოიხატა. ყველაზე რელიეფურად ამ პროცესის შედეგები 1995 წლის კონსტიტუციაში აისახა. ნაშრომში მოყვანილი ამ დებულების დამადასტურებელი მონაცემები.

ასევე გასაზიარებელია დისერტანტის დასკვნა, რომ ქართული კანონმდებლობის სისტემის განვითარება უნდა წარმართოს მისი მთლიანობისა და შინაგანი კავშირების განმტკიცების, იურიდიული კოლიზიების აღმოფხვრის გზით, საერთაშორისო სამართლის ნორმათა შესაბამისად.

დამაჯერებელია მსჯელობა საკანონმდებლო პროცესისა და კანონშემოქმედების ცნებების შინაარსის განსაზღვრისა და ერთმანეთისაგან განსხვავება-გამიჯვნის შესახებ.

დისერტაციაში გამოკვლეულია საკანონმდებლო აქტების სტრუქტურა. დასაბუთებულია კანონის პრეამბულით უზრუნველყოფის საჭიროება, რაც მნიშვნელოვანია დღევანდელი ქართული კანონმდებლობის სრულყოფისათვის. გამოკვეთილია პრეამბულით სავალდებულო უზრუნველყოფის შემთხვევები, ახსნილია პრეამბულის მნიშვნელობა კანონის ნორმალური მოქმედებისათვის.



ვფიქრობ, პრინციპული მნიშვნელობის მქონე და ანგარიშგასაწევეა დებულება, რომ ყველა შემთხვევა, „როცა ცდილობენ კანონის ფორმით ნორმების მიღებას სამართლებრივი რეგულირების მეორეხარისხოვან, კერძო საკითხებზე, წარმოადგენს ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციური პრინციპის დარღვევას და საკანონმდებლო ხელისუფლების შეჭრას აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის სფეროში“ (სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 139).

დისერტაციაში განსაზღვრულია ეკონომიკური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული, გეოგრაფიული, პოლიტიკურ-სამართლებრივი, ორგანიზაციული და ღირებულებით-ფსიქოლოგიური, სოციალურ-კულტურული, ეროვნული, საინფორმაციო ფაქტორების თანაფარდობა და როლი კანონმდებლობის დარგებისა და ცალკეული ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში.

საგულისხმოა ავტორის მსჯელობა ისტორიზმის პრინციპის იგნორირებაზე სამართალშემოქმედებით საქმიანობაში და უცხოური სამართლებრივი ინსტიტუტების „უაპელიციოდ, სიტყვა-სიტყვით გადმოთარგმნის“ უარყოფითი შედეგების შესახებ. გასაზიარებელია იდეა სამართალშემოქმედებისა და სამართალგამოყენების პროცესში დაშვებული შეცდომების ბანკის შექმნის შესახებ (იხ. გვ. 118 -119).

შუქლებელია არ დაეთანხმო დისერტანტს, რომ კანონმდებლობის განვითარებამ „უკანასკნელ წლებში ... შეიძინა არნახული გაქანება“, მაგრამ ამათთან ერთად, „არ არის დაძლეული სტიქიურობა და აჩქარება“. ასევე მართებულად მიუთითებს ავტორი, რომ „კანონპროექტის შემუშავებისას უნდა ხდებოდეს მეცნიერულ-სამართლებრივი ცოდნის გათვალისწინება და რეგულირების იურიდიული საშუალებების საგულდაგულოდ შერჩევა“. უთუოდ გასათვალისწინებელია მოსაზრებაც, რომ „თავი უნდა შევიკავოთ სამართლის დარგებისა და კანონმდებლობის მექანიკური გაიგივებისა და ერთი ან რამდენიმე კანონის სამართლის დარგად ნაჩქარევად გამოცხადებისაგან“ (იხ. სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 50 -52). მართლაც არ შეიძლება, რომ სამართლის იმდენი დარგი იყოს, რამდენიც კანონია.

მოსაწონია დისერტანტის დაუცხრომელი მისწრაფება - ვამოავლინოს მოქმედი კანონმდებლობის დეფექტები, საფუძვლიანად გააანალიზოს ისინი და შეიმუშაოს მათი დაძლევის რეკომენდაციები. დისერტანტის ეს მცდელობა ზმირ შემთხვევებში წარმატებულია და იმედოვნია, რომ სამომავლოდ სასურველი შედეგის მომტანიც იქნება.

სწორადაა აღნიშნული დისერტაციაში (გვ. 46-47), რომ დღესდღეობით გამოცემული კანონების უმეტესობა ცვლილება-დამატებებია, რაც კანონმდებლობის უზარისხოობის მაჩვენებელია. ამის მოგვარება კი კანონშემოქმედების სრულყოფით, მისი რეფორმირებით არის შესაძლებელი.

დისერტანტი აყალიბებს კანონის ხარისხის განმსაზღვრელ ნიშან-თვისებებს და იძლევა მათ კლასიფიკაციას, რითაც თავისი წვლილი შეაქვს სამართალშემოქმედებითი საქმიანობის მეთოდებისა და კანონმდებლობის სრულყოფის საქმეში.

მთლიანობაში გასაზიარებელია დისერტანტის წინადადება საქართველოს კანონთა კრებულის მომზადებისა და გამოცემის შესახებ. თუმცა საკითხავია - რამდენად იქნება გამართლებული ასეთი გამოცემა დღევანდელი მოუწესრიგებელი, გამალებული და წარამარა ცვალებადი კანონმდებლობის პირობებში.



დისერტანტის მნიშვნელოვან დამსახურებად და დისერტაციის ღირსებად მიმაჩნია თანდართული რეკომენდაციები საქართველოს კანონების პროექტების მომზადებისა და გაფორმების შესახებ. მათი შედგენისას ავტორს ამოძრავებდა კეთილშობილური მიზანი, რომ რეკომენდაციების გამოყენებით გაუჭიკბნებოდა კანონპროექტების მომზადება და გაფორმება. სარეკომენდაციო დებულებების სახით ჩამოყალიბებულია დისერტანტის სამეცნიერო კვლევა-ძიების შედეგები. რეკომენდაციების ნუსხა საკმაოდ ვრცელია (მოიცავს 14 გვერდს) და საგრძობლად ზრდის დისერტაციის პრაქტიკულ მნიშვნელობას. შეიძლება ერთი შეხედვით მეტი სმეტად თამამ ნათქვამად ჩაეთვალოს დისერტანტს, მაგრამ ნამდვილად აქვს საფუძველი მის განცხადებას, რომ დისერტაციაში შემოთავაზებული „სარეკომენდაციო წინადადებების ... განუხრელი დაცვა და გამოყენება მნიშვნელოვნად აამაღლებს კანონშემოქმედებითი საქმიანობის ხარისხს საქართველოში“ (დისერტაცია, გვ. 8).

გულდაჯერებით ვამბობ, რომ დისერტანტი თავისი პიროვნული თვისებებით, ცოდნის დონითა თუ შესაბამისი პრაქტიკული საქმიანობითა და, რაც მოკმეულ შემთხვევაშია მთავარი - სარეკომენდაციო დისერტაციის მიხედვით წარმოჩნდება, როგორც საკონსტიტუციო სამართლის სერიოზული მკვლევარი და ქართული სამართლებრივი მეცნიერების ღირსეული წარმომადგენელი.

ერთი სიტყვით, ბატონი პაატა ცნობილადის სადისერტაციო ნაშრომი იძლევა საფუძველს ვთქვა, რომ იგი შესრულებულია შესაფერის მეცნიერულ ღონეზე და ავტორი იმსახურებს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებას.

ამასთან ერთად, მინდა გამოვთქვა ზოგიერთი კრიტიკული მოსაზრება, ცალკეული შენიშვნები, რომლებიც შეიძლება ნაწილობრივ მაინც გამოადგეს ავტორს სამომავლო სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

სარეკომენდაციო სადისერტაციო ნაშრომის სერიოზულ ნაკლად მიმაჩნია საკანონმდებლო საქმიანობის განმსაზღვრელი და მომწესრიგებელი ეროვნული კანონმდებლობის უგულებელყოფა. კანონშემოქმედების რეფორმირების მიმართულ ბანი პირველ რიგში სწორედ ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის გაანალიზების შედეგად და მის საფუძველზე უნდა განისაზღვროს. დისერტაციაში კი არ არის განხილული საკანონმდებლო საქმიანობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველები, რომლებსაც ერთობლივად შეადგენს საქართველოს კონსტიტუციის 66-ე, 67-ე, 68-ე, 102-ე და 103-ე მუხლები, კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისი ნორმები. სადისერტაციო ნაშრომში კონსტიტუციის დასახელებული მუხლებიდან მხოლოდ 66-ე მუხლის პირველი პუნქტის ტექსტია მოყვანილი (ისიც არასრულად), ხოლო სხვები საერთოდ არაა დასახელებული, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონი და პარლამენტის რეგლამენტი კი მარტოოდენ ზოგადად - ყოველგვარი დაკონკრეტებისა და ანალიზის გარეშე არის მინიშნებული. დისერტაციაში ლაპარაკია საკანონმდებლო ინიციატივის სუბიექტებზე სხვადასხვა გვეყენების საკანონმდებლო მასალის მიხედვით და არათუ არ განიხილება, არამედ არც კი მოიხსენიება საქართველოს კონსტიტუციის 67-ე და 102-ე მუხლების ნორმები. ქართული კანონმდებლობის მონაცემებთან მიმართებით ანალოგიური მდგომარეობაა საკა-

ნონმდებლო პროცესის სხვა სტადიებთან, აგრეთვე საკანონმდებლო ტექნიკის საკითხებთან დაკავშირებით. ასეთი მდგომარეობა ყოველად გაუმართლებელია. წარმოუდგენელია მეცნიერულად გამოიკვლიო და განსაზღვრო ქვეყნის კანონშემოქმედების რეფორმირების მიმართულებები თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით ისე, რომ არ განიხილო მისი (ამ ქვეყნის) კანონმდებლობის შესაბამისი მონაცემები.

მეორე მხრივ, არაიშვიათად, ჭირს იმის გაგება, თუ სახელდობრ რისთვის, კონკრეტულად რა მიზნით არის მოყვანილი დისერტაციაში საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვაგვარი მასალები, რითაა ისინი სასარგებლო კანონშემოქმედების რეფორმირებისათვის საქართველოში. მაგალითად, რაში გამოგვადგება სადისერტაციო ნაშრომის 229 -230 გვერდებზე გაუგებრად მოყვანილი რაღაც „სამართლებრივი დანაწესების კონსტიტუციებისა (!) და ერთგვაროვანი გაფორმების თაობაზე“ გერმანიის იუსტიციის მინისტრის მიერ მომზადებული რეკომენდაციები, კერძოდ კი ამ დოკუმენტის ექვს ნაწილში მოცემული საკითხების ასეთი ჯგუფი - „სამართლებრივი დანაწესების ფორმულირების ზოგადი ფორმულირებები (ტერმინოლოგია, იურიდიული კანონი, ციტირების, დამოწმების, მითითების და ა.შ.)“.

დისერტაციის III თავი - „საკანონმდებლო პროცედურების შედარებითი ანალიზი“ მთელი ნაშრომის ერთი მეზუთედი ნაწილია. ეს თავი არანაირად არაა დაკავშირებული საქართველოსთან. აქ ერთხელაც არ არის ნახსენები საქართველო და არ არის მოყვანილი არც ერთი ქართული მასალა - არსებითად სალექციო დონეზეა საუბარი საკანონმდებლო პროცედურებზე აშშ-ში, გერ-ში, დიდ ბრიტანეთში, იაპონიაში, იტალიაში, რუსეთის ფედერაციაში, უნგრეთსა და ბულგარეთში. ამ თავს მაშინ ექნებოდა გამართლება, თუ გაკეთდებოდა საკანონმდებლო პროცედურების ამსახველი უცხოური მონაცემების ნამდვილი შედარებითი ანალიზი საქართველოსთან მიმართებით. სამწუხაროდ, დისერტაციის აღნიშნული თავი არ შეესაბამება და არ გამოხატავს დისერტანტის ნამდვილ შესაძლებლობებს.

ამასთან, სადისერტაციო ნაშრომის III თავის მე-2 პარაგრაფს აქვს შინაარსთან შეუსაბამო სათაური - „კანონპროექტის მომზადების სტადიები“. ეს პარაგრაფი, მისი შინაარსის მიხედვით, შეეხება არა კანონპროექტის მომზადებას, არამედ სულ სხვა რამეს - საკანონმდებლო პროცესის სტადიებს (იხ. გვ. 59 - 60). ასეთი შეუსაბამობა, ცხადია, მიუღებელია.

საქართველოს კონსტიტუციით ივრძალება რეფერენდუმის მოწყობა კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად. დისერტაციაში, მისი თემატიკისა და მიზანდანიშნულების გათვალისწინებით, აუცილებლად უნდა ყოფილიყო საკანონმდებლო რეფერენდუმზე მსჯელობა და მისი აურძალების დადებითი თუ უარყოფითი შეფასება მყარი არგუმენტების საფუძველზე.

ვფიქრობ, დასაზუსტებელია ავტორის დებულება, რომ „საქართველოს კონსტიტუცია არ განსაზღვრავს საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროს, რომელთა ნორმატიულ-სამართლებრივი რეგულირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონის ფორმით“ (დისერტაცია, გვ.140). მართალია, საქართველოს კონსტიტუციაში არ არის ასეთი ზოგადი დებულება, მაგრამ, სამაგიეროდ,



მთელ რიგ მუხლებში პირდაპირ არის მითითებული, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობის ესა თუ ის სფერო რეგულირდება სწორედ კანონით და არა სხვაგვარი ნორმატიული აქტით. ასე მაგალითად, კონსტიტუციის 94-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „გადასახდებისა და მოსაგრებლების სტრუქტურას, შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი“. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის ძალით კი, „გადასახდებისაგან განთავისუფლება, აგრეთვე სახელმწიფო ხაზინიდან ხარჯის გაღება დასაშვებია მხოლოდ კანონით“. ასევე, კონსტიტუციის შესაბამისად, „სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით“ (29-ე მუხლის მე-2 პუნქტი), „საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პირობები და უმუშევრის სტატუსი განისაზღვრება კანონით“ (მუხ.32), პარლამენტის წევრის სამსახურებრივი „შეუთავსებლობის შემთხვევებს განსაზღვრავს კანონი“ (53-ე მუხლის პირველი პუნქტი), „მოსამართლეთა შერჩევის, დანიშნის, თანამდებობიდან განთავისუფლების წესი განისაზღვრება კანონით“ (86-ე მუხლის მე-2 პუნქტი), „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და მიღების წესი განისაზღვრება კანონით“ (92-ე მუხლის მე-2 პუნქტი), „სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმას ადგენს კანონი“ (101-ე მუხლის მე-2 პუნქტი). საქართველოს კონსტიტუციამში სხვა ანალოგიური შემთხვევებიც არის წარმოდგენილი.

კანონშემოქმედების რეფორმირებისათვის ხელის შეწყობის მიზნით ავტორის მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციების ნუსხაში ისეთი დებულებებიც გვხვდება, რომლებიც საყოველთაოდ არის ცნობილი. ორიგინალურ შემოთავაზებად და სერიოზულ რეკომენდაციად ვერ ჩაითვლება, ვთქვათ, დისერტანტის ასეთი მითითებები: „საქართველოს კანონებში ნორმატიული დანაწესები გადმოიცემა მუხლების სახით, რომლებსაც (სათაურის გარდა) აქვთ რიგითი ნომერი“; „მუხლები იწოდება არაბული ციფრებით. კანონში მუხლების ნუმერაცია უნდა იყოს გამჭვირვალე მთელი აქტისათვის“; კანონის მუხლები (მუხლების ნაწილები) „შეიძლება დაიყოს პუნქტებად და ქვეპუნქტებად“ (იხ. სადისერტაციო ნაშრომი, გვ.286).

ფედერაციულ სახელმწიფოებში კანონებს ფედერაციის სუბიექტებიც რომ გამოსცემენ, „ამის ნათელ დასტურად“ დისერტანტი მიაჩნია აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები (იხ. დისერტაცია, გვ.12). ასეთი შეფასება – „ფედერაციული სახელმწიფო“, „ფედერაციის სუბიექტები“, შესაბამისად – საქართველოსთან, აფხაზეთსა და აჭარასთან მიმართებით ჯერჯერობით მაინც ნაადრევი, კონსტიტუციასთან შეუსაბამო და არაზუსტია.

დისერტანტი ასახელებს „საქართველოს ორგანულ კანონს ნორმატიული აქტების შესახებ“ (გვ.291), რომელიც სინამდვილეში არ არსებობს.

დისერტანტი სადისერტაციო ნაშრომის 114-115 გვერდებზე წერს, რომ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ინსტიტუტმა დაიკავა ცენტრალური ადგილი საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში, მაგრამ მასთან დაკავშირებულია იმედება, ანუ პიროვნების უფლებების პოზიტიურიზაციაზე ზეგავლენამ სამართლებრივი სისტემის ელემენტებზე ვერ კიდევ ვერ პოვა ცხოვრებაში განმტკიცება. ეს ყველაფერი სწორია, მაგრამ სრულიად გაურკვეველია, თუ რატომღა ყოველივე ამის წყაროდ მითითებული მაინცდამაინც გავრელოვის ნაშრომი, თანაც 1992 წელს გამოცემული – საინტერესოა, როგორ გამოიცნო ბატონმა

გავრილოვმა 1992 წელს, რომ სამი წლის მერე მიღებულ ქართულ კონსტიტუცი-  
აში პრიორიტეტულად ასახულ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული იმედები  
შემდგომ პერიოდში ვერ განმტკიცდებოდა ცხონებულში.

გაურკვეველია, თუ რატომ არის დისერტაციაში (გვ.206) მიჩნეული არქა-  
იზმებად, უფრო კონკრეტულად კი „არქაიზმებად სამართალში“ - „წილი“, „დაგი-  
რავება“ და „სესხი“, ხოლო „სამართლებრივ არქაიზმებად“ - „ნასყიდობა“,  
„ამნისტია“ და „თავდებობა“. გაუგებარია, რატომღაც ისინი არქაიზმები, ესე იგი  
მოძველებული, ყოველდღიური ხმარებიდან გამოსული სიტყვები. არაფრით არ  
დასტურდება, რომ ეს სიტყვები, როგორც დისერტანტი ამბობს, „განდევნილი და  
შევიწროებულია“. პირიქით, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, „ამნისტია“, „ნა-  
სყიდობა“, „სესხი“, „დაგირავება“, „თავდებობა“ და „წილი“ შესაბამისი თანამე-  
დროვე ქართული სამართლებრივი ინსტიტუტების ძირითადი ტერმინებია.

უთუოდ მოსაწონია, რომ კანონმდებლობის სრულყოფა ენობრივი თვალსა-  
ზრისით დისერტანტის კვლევისა და ზრუნვის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია.  
ამავე დროს, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ თვით დისერტაციაც არ არის  
დამჯდველი ნაკლოვანებებისაგან. ასე მაგალითად, დისერტანტი წერს, რომ  
„...სამართლებრივი ნორმის ლოგიკური ყოფა ... თავის მთლიანობაში არის  
სხვა არაფერი, თუ არა განსაზღვრული აღქმითი ინტეგრალი, რომელიც შე-  
ადგენს მის მონოლოგიურ აზრობრივ შინაარსს ნორმატიული აუცილებლობის  
მოცემული მოდუსით“. მართალია, ამ ფრაზის „აზრობრივი შინაარსი“ ჩვეულებ-  
რივი მოყვადვისათვის გაუგებარია, მაგრამ იგი იმის საუკეთესო არგუმენტია,  
რომ უსათაუოდ საჭიროა, დისერტანტისათვის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქართულ  
სამართლებრივ სისტემაში უცხო ტერმინოლოგიების გაუმართლებელი შეღწე-  
ვის თავიდან აცილება“ (გვ.207).

სადისერტაციო ნაშრომში არის ჩემი აზრით მოუხერხებელი ტერმინები და  
ფრაზები, როგორცაა, მაგალითად, „კანონის სამართალდამოცენებელი წყარო“,  
„სამართალდამოცენების შინაარსობრივი და ტექნიკური მხარეები“, „სისტემა-  
დამოცენებელი საწყისი“, „სისტემაშექმნილი საგნობრივ-ფუნქციური კავში-  
რები“, „ტექნაურუსი“, „სარეგულაციო აქტუალიზაციის ეფექტიანობა“, ჩამონა-  
თვალი „ასოებრივი გამოხატულებებით“ და „ასოები ალფავეტიში“, „დოკუმენ-  
ტის დოკუმენტურ-იურიდიული ტექსტი“, „მრავალწლიანი მკაცრი კანონდა-  
მჯერე პერიოდი“, „კონსტიტუციური სამართლის მეცნიერების მეტყველებაში  
ადრე გამოყენებული ცნება“ და სხვა მისთანები (იხ. დისერტაცია, გვ. 19,21,  
160, 166, 181, 187, 193, 197, 201, 243, 255, 260-262, 271-272, 288).

აღნიშნული კრიტიკული მოსაზრებებითა და შენიშვნებით არ იცვლება  
განსახილველი სადისერტაციო ნაშრომის საერთო დადებითი შეფასება. და-  
სკვნის სახით გამოვხატავ საბოლოო პოზიციას, რომ სარეცენზიო სადოქტორო  
დისერტაცია - „კანონშემოქმედების რეფორმირების მიმართულებები: თეორი-  
ული და პრაქტიკული ასპექტები“ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს. შესა-  
ბამისად, მისი ავტორი - ბატონი პაატა ცნობილაძე, ჩემი აზრით, იმსახურებს,  
რომ მიენიჭოს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.



**JOHN KHETSURIANI – Commonwealth in Russian.....9**

In the article the author considers the application proposed by the administration of separate regions of Georgia to the Russian Federation on join of Abkhazia and so called South Ossetia, self-declared Republics as new subjects in the legal aspect. The member of the State Duma of Russian Federation A.A. Kokoshin has applied to the Constitutional Court of Russian Federation with regard to the mentioned issue. In accordance with the constitutional law of Russian Federation of 17 December 2001 "On a procedure of integration of new subjects in the Russian Federation and creation of new subjects within its composition" the Constitutional Court has adopted the negative conclusion. The faction "Rodina" submitted a draft law to the State Duma of Russia on 9 December 2004, which provides for the amendments to the actual procedure of integration of new subjects in Russian Federation. In particular the draft law intends to introduce a simplified procedure for the integration of new subjects within the composition of Russian Federation, in accordance with which integration of the autonomies of the former union Republics as new subjects is possible in case the population residing on the territory of the autonomy declare their wish to join Russian Federation by Referendum. The author points out that the simplified procedure for integration of the autonomies of union Republics of the former USSR as new subjects within the Russian Federation is incompatible with the national law both of Georgian and Russia, the recognised norms and principles of international law and the obligations undertaken by the treaties concluded by participation of Russia.

**EVA GOTSIRIDZE - Freedom of Expression in the Constitutional Law of USA and Canada and in the European Law of Human Rights.....17**

There have been researched the scopes of freedom of expression according to the Constitutional Law of USA (partially that of Canada) and the European Law of Human Rights; have been compared established in both system limitations of this freedom in respect of Public interests or rights and reputation of individuals - general grounds of restrictions, different approaches, criteria and standards of appreciation used for justification of these restrictions; there have been analysed also issues, connected with expression of ideas and views in various fields (political, creative, moral, commercial) specific issues of freedom of Press, defamation and etc.; Have been referred to the decisions and judgments of the US Supreme Court and European Court of Human Rights.

**TAMAR JANASHIA – Right of Expression and Freedom of Assembly and Association in accordance with the European Convention on Human Rights.....44**

The article concerns the right of expression and freedom of assembly and association guaranteed by Articles 10 and 11 of the European Convention on Human Rights. The significance of the article is that judgments of the European Court on different issues are interestingly surveyed. Such enumeration of cases and application of judgments makes it possible to word opinions on the mentioned rights. In the article such significant issues are considered as compatibility of Georgian legislation with European law, which is highly actual for us considering those events which take place in the country. The issue of human rights protection by the Constitution and other legislative acts is taken into account in the article as well. That gives us an opportunity to eliminate those gaps existed in Georgian legislation and develop them and make them to meet the European requirements.

**IMEDO ARJEVANIDZE - On Article 28 of the Constitution of Georgia.....58**

The article dedicates to an issue of participation of a convicted person in the forms of direct democracy, particularly the content of Article 28 of the Constitution of Georgia, as well as its importance for both constitutional and other fields of law. The issues of reflection of the provisions of Article 28 of the Constitution both in criminal law and the law on criminal procedure and sentence execution is considered in the article. He proposes several recommendations with regard to legislative amendments and fulfilment of legal technique.

**BESARION ZOIDZE – Conditions of Execution of Judgments of the Constitutional Court (General review and existed situation in Georgia).....62**

The article dedicates to the issue of the execution of the judgments of the Constitutional Court. In the author's conclusion 8-year practice of the Constitutional Court reveals that its judgments are basically executed. However there are issues which are to be reviewed and arranged completely once again in accordance with a legislative procedure. This concerns the postponement of the execution of judgments, its retroactive force etc.

**AMIRAN KURTANIDZE – The Right to Apply to the Constitutional Court of Russian Federation and Conditions of its Realisation.....72**

The author explains who has the right to apply to the Constitutional Court of Russian Federation and how it is realised. The law “On the Constitutional Court of Russian Federation” provides for conditions for lodging a claim with the Constitutional Court and conditions for the admission of the constitutional claim. The formal-legal condition for admission of a claim is that only the issue of constitutionality of law is to be raised. This means that a citizen is entitled to allege the constitutionality both of Federal laws and norms and the laws of the Subjects of Federation as well. In addition to the necessity of meeting the admissibility requirements, the claim must meet the requirements of general nature within the Constitutional Court, which are common for every application and belong to the judicial body of constitutional review.

**TAMAR ALPAIDZE – Legal Status of a Journalist.....79**

The author surveys the legal status of a journalist, his/her fundamental authorities and points out that the legal status of a journalist is not regulated by any legislative act in Georgia. It is necessary to prepare and adopt a special, classical law on the means of mass information. The guarantees of freedom of journalistic activity and appropriate legal system for the effective functioning, which meet the interests of society are to be existed in a democratic society.

**LADO CHANTURIA - European Public Limited-Liability Company (Societas Europaea) - Universal Model or Legislative Compilation.....90**

On 8 October 2004 Council Regulation (EC) No 2157/2001 of 8 October 2001 on the Statute for a European Company (Societas Europaea or SE)<sup>1</sup> entered into force on the territory of the European Union, which defines the legal status of SE. Companies may be set up within the territory of the Community in the form of a *European public limited-liability company - Societas Europaea*. In the present article the legal aspects of the establishment, management and functioning of Societas Europaea are reviewed. These aspects have not only theoretical, but great practical importance as well. The main purpose of the European public limited-

<sup>1</sup> Official Journal L 294, 10/11/2001 P. 0001 - 0021. Amtsblatt Nr. L 294 vom 10/11/2001 S. 0001-0021.

liability company - Societas Europaea is to give wide legal range to those enterprises, the activities of which reach beyond the borders of one state and extend to the territories of several EU member states. The existence of different legal systems within the Member States of European Union, has been regarded as one of the factors impeding the efficient functioning of transnational corporations. With the establishment of Societas Europaea the corporations of various states (countries) are granted the opportunity to merge, set up holding companies, or subsidiary companies and thus conduct economic activities on the territory of the whole union without purely legal obstacles. Societas Europaea is applicable to the companies established in EU Member States only. The only exceptions are those corporations that have branch establishments on the territory of Member States and which conduct their activities through their branch enterprises. Legal experts believe that this form of a European Company may be attractive even to those enterprises that are not set up in the European Union.<sup>1</sup> Although Societas Europaea provides new capabilities for trans-nationalization of corporate activities, it is still firmly connected with legal systems of the Member States, as numerous aspects of the activities of Societas Europaea are regulated by the laws of Member States. For this reason, the Societas Europaea practically does not represent unified and universal organizational-legal form, it is merely a compilation of European companies. This will inevitably cause additional complications, as already indicated in the legal literature.<sup>2</sup> It is also noted that in legal reality there will persist different companies, based on the national law of the where they have been established.<sup>3</sup> This probably explains the fact that since introduction of Societas Europaea entrepreneurs have not demonstrated particular interest in it. It is possible, that the situation will change over time. It shall not be excluded either that even Georgian entrepreneurs might soon use this legal form.

#### **SHORENA JANKHOTELI – Registration of an Individual Enterprise (in accordance with Foreign and Georgian legislation).....101**

In the article the author surveys the issues with regard to registration of an individual enterprise and points out that despite the simple procedure of registration of the individual enterprise, considering its particular significance its development is necessary. That promotes the elimination of gaps peculiar to Georgian legislation. She considers the mentioned issue on the examples of foreign countries.

#### **GURAM NACHKEBIA – For the Issue of Criminal Connection of a Person with the State.....115**

In the article the author considers the problem of criminal connection of a person with the State. He points out that the obligation of lawful action as one of the elements of legal relations reflects the objective connection of a person with the State, whereas liable attitude of the person towards this obligation means the subjective connection of the person with the State. Stemming from the mentioned the following conclusion may be made, commitment of a crime is simultaneously the violation both of the subjective and objective connection of the person with the State.

<sup>1</sup> *Blanquet, Françoise*, Das Statut der Europäischen Aktiengesellschaft (Societas Europaea „SE“). Ein Gemeinschaftsinstrument für die grenzübergreifende Zusammenarbeit im Dienste der Unternehmen. ZGR 1/2002, S. 64.

<sup>2</sup> *Hopt, Klaus J.*, Europäische Aktiengesellschaft - per aspera ad astra? EuZW 1/2002, S. 1

<sup>3</sup> *Lutter, Marcus*, Europäische Aktiengesellschaft - Rechtsfigur mit Zukunft? BB, Heft 1, 4. Januar 2002, S. 3.



**SHOTA PAPIASHVILI – Some Problems of Premeditated Murder.....120**

A number of problematic issues of the qualification of premeditated murder are canvassed in the article. The author expresses his opinion with regard to incorrect examples and makes his own conclusion.

**EDISHER PUTKARADZE, RAJDEN PUTKARADZE –**

**Constitutional-Criminal Aspects of Fight Against Corruption .....135**

Fight against corruption was always very actual issue. Pursuant to different forms of revealed corruption activities, the forms of fight against them are different as well. The most effective means of fight against corruption is a legal fight against it. Criminal law is the most effective within the legal system. As every action of a person is not a crime, every crime is not the crime of corruption nature. The composition of particular crimes determined by the Criminal Code of Georgia directly indicates the corruption nature of this crime. Analysis of case law of corruption crimes reveals that it is necessary to strengthen investigation of corruption crimes and adoption of fair judgments thereof on the basis of criminal legislation.

**NANA MCHEDLIDZE - Access to Court.....143**

**ROMAN TSKHOVREBADZE – On the Amendments to the Supervising System of the European Convention on Human Rights.....147**

**THE ACTS RENDERED BY THE CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA**

1. Ruling N1/13/297 of 6 October 2004.....	153
2. Ruling N2/8/302 of 7 October 2004.....	156
3. Ruling N1/14/298 of 13 October 2004.....	159
4. Ruling N1/15/216 of 20 October 2004.....	162
5. Ruling N2/9/305 of 22 October 2004.....	166
6. Ruling N1/16/304 of 28 October 2004.....	169
7. Ruling N2/11/306 of 1 November 2004.....	171
8. Ruling N2/12/260 of 5 November 2004.....	175
9. Ruling N2/13/307 of 11 November 2004.....	177

**REVIEW**

Doctor of Judicial Science, Professor Iakob Putkaradze's review of a doctoral dissertation of Paata Tsnobiladze – “Directions of reformation of lawmaking process: theoretical and practical aspects”. .....183

*მთარგმნელი  
შორენა გიგაური*



**ДЖОНИ ХЕЦУРИАНИ - Содружество по-русски.....9**

В работе автор в правовом аспекте рассматривает предлагаемое руководством сепаратистских регионов Грузии заявление сомопровозглашенных Республики Абхазия и Республики Южная Осетия о принятии в качестве нового субъекта в состав Российской Федерации. В связи с указанным вопросом член Государственной Думы Российской Федерации А.А. Кожиин обратился с запросом в Конституционный Суд Российской Федерации. Согласно Федеральному конституционному закону РФ от 17 декабря 2001 года "О порядке принятия в Российскую Федерацию и образования в ее составе нового субъекта Российской Федерации" Конституционный Суд РФ принял отрицательное заключение. 9 декабря 2004 года фракцией "Родина" был представлен в Государственную Думу России законопроект, предусматривающий внесение изменений в ныне действующий порядок принятия новых субъектов в состав Российской Федерации. В законопроекте, в частности, предусматривается введение упрощенной процедуры принятия новых субъектов в состав Российской Федерации, согласно которой принятие автономий бывших союзных республик в Российскую Федерацию в качестве новых субъектов возможно, если проживающий на территории автономии народ выразит свою волю и желание войти в состав Российской Федерации путем референдума. Автор отмечает, что упрощенный порядок принятия автономий союзных республик бывшего СССР в Российскую Федерацию в качестве новых субъектов несовместим как с национальным правом Грузии, так и самой России, общепризнанными принципами и нормами международного права, обязательствами, взятыми Россией на основании заключенных с ее участием международных договоров.

**ЕВА ГОЦИРИДЗЕ - Свобода выражения мнения в конституционном праве США и Канады и права человека в европейском праве (сравнительный анализ).....17**

В статье рассматриваются свобода выражения мнения в конституционном праве США (частично Канады) и прав человека в европейском праве, в сравнительном аспекте изучены вопросы ограничения свободы выражения мнения для защиты прав и репутации публичных и иных лиц в обеих этих системах - общие условия ограничения, критерии оценки оправданности ограничения применительно к различным публичным или частным интересам, отличающиеся стандарты оценки в соответствующих случаях и другое. Проанализированы специфика защищенности выражения мнения, свободы печати, диффамации в разных сферах (политике, морали, творчестве, коммерции) и другие отдельные вопросы, приводятся ссылки на соответствующие определения и решения Верховного Суда США и Европейского суда по правам человека.

**ТАМАР ДЖАНАШИЯ - Право выражения и свобода собраний и объединений согласно Европейской конвенции о правах человека.....44**

Работа касается "права выражения" и "свободы собраний и объединений", гарантированных статьями X и XI Европейской конвенции о защите прав человека и основных свобод. Главное достоинство работы состоит в том, что в ней довольно интересным образом используются решения, вынесенные по различным делам Европейским судом по правам человека. Подобное расположение дел и применение решений позволяет нам сформулировать взгляды по указанным вопросам. В работе заострено внимание на таких насущных вопросах, как соответствие грузинского законодательства европейскому праву, что на сегодняшний день для нас весьма актуально, если учитывать происходящие в стране события. В работе также уделяется внимание вопросу защиты прав человека Конституцией и другими законодательными актами Грузии, что в свою очередь позволит в будущем устранить недостатки в грузинском законодательстве, усовершенствовать его и привести в соответствие с европейскими требованиями.

**ИМЕДО АРДЖЕВАНИДЗЕ - О статье 28 Конституции Грузии.....58**

Статья касается вопроса участия осужденных в формах непосредственной демократии, в частности содержания статьи 28 Конституции Грузии, а также её значения как для конституционного права, так и других отраслей права. В статье рассматриваются вопросы отражения положений статьи 28 конституции как в уголовном, так и в уголовно-процессуальном и уголовно-исполнительном праве, высказываются некоторые рекомендации с точки зрения законодательных изменений и совершенствования юридической техники.

**БЕСАРИОН ЗОИДЗЕ – Условия исполнения решений Конституционного Суда (общий обзор и существующее в Грузии положение).....62**

Работа касается вопроса исполнения решений Конституционного Суда. Согласно заключению автора, восьмилетняя практика деятельности Конституционного Суда показывает, что в основном его решения исполняются. Хотя есть вопросы, требующие полноценного урегулирования и пересмотра в законодательном порядке. Это касается вопросов отсрочки исполнения решений Конституционного Суда, его обратной силы и др.

**АМИРАН КУРТАНИДЗЕ - Право обращаться с жалобой в Конституционный Суд Российской Федерации и условие реализации этого права.....72**

Автор в статье разъясняет, кто имеет право обращаться с жалобой в Конституционный Суд Российской Федерации и как это право реализуется. В Федеральном конституционном законе РФ “О Конституционном Суде Российской Федерации” сформулированы условия, необходимые для принятия жалобы Конституционным Судом, и условия допустимости конституционного иска. Формально-правовое условие допустимости жалобы связано с тем, что в ней может ставиться лишь вопрос проверки конституционности закона. Это означает, что гражданин вправе оспаривать конституционность как федеральных законов и норм, так и законов субъектов федерации. Кроме необходимости соблюдения условий допустимости, иск в Конституционный Суд должен также отвечать ряду требований общего характера, обязательных для всех форм обращений, поступающих в судебный орган конституционного контроля.

**ТАМАР АЛПАИДЗЕ - Правовой статус журналиста.....79**

Автор рассуждает в статье о правовом статусе журналиста, его основных правах и обязанностях и отмечает, что в настоящее время в Грузии правовой статус журналиста не регулируется ни одним законодательным актом. Необходимы разработка и принятие специального, классического закона о средствах массовой информации. В демократическом обществе должны существовать гарантии творческой свободы журналиста и надлежащее правовое пространство для эффективной, качественной и соответствующей интересам общества деятельности масс-медиа.

**ЛАДО ЧАНТУРИА - Универсальная модель европейского публичного общества с ограниченной ответственностью (Societas Europaea), или законодательная компиляция.....90**

Регламент Совета об уставе европейского общества (Societas Europaea, или SE<sup>1</sup>) (ЕС) №2157/2001 вступил в силу 8 октября 2004 года на всей территории Европейского Союза, который определяет правовое положение SE. Общество может создаваться в форме европейского публичного общества с ограниченной ответственностью, или Societas Europaea в рамках Еврообъединения. В данной статье дается обзор правовых аспектов создания, управления и

<sup>1</sup> Official Journal L 294, 10/11/2001 P. 0001 - 0021. Amtsblatt Nr. L 294 vom 10/11/2001 S. 0001-0021.



деятельности «Societas Europaea». Эти аспекты имеют не только теоретическое, но и большое практическое значение. Основной целью европейского публичного общества с ограниченной ответственностью Societas Europaea является предоставление широких правовых возможностей предприятиям, деятельность которых выходит за пределы одного государства и распространяется на территории нескольких государств-членов Европейского Совета. Наличие различных правовых систем в государствах-членах Европейского Союза было признано одним из сдерживающих факторов деятельности транснациональных корпораций. С учреждением Societas Europaea корпорациям нескольких государств была предоставлена возможность слияния, создания управляющих и субсидиарных компаний и как следствие - осуществления экономической деятельности на территории всего объединения без правовых препятствий. Форма SE используется только в обществах, учрежденных в государствах-членах Европейского Союза. Исключение составляют только корпорации, имеющие филиалы на территориях государств-членов и осуществляющие свою деятельность посредством этих филиалов. Эксперты-правоведы выражают надежду, что данная форма Европейского общества может быть привлекательной и для предприятий стран, не являющихся членами Европейского объединения<sup>1</sup>. Несмотря на то, что Societas Europaea обеспечивает новые возможности деятельности по сотрудничеству в области транснационализации, оно все-таки тесно связано с правовыми системами государств-членов, поскольку многие аспекты деятельности Societas Europaea регулируются законодательствами этих государств. По этой причине SE практически не представляет собой объединенную и универсальную организационно-правовую форму. Это по сути лишь компиляция европейских обществ, что обязательно повлечет дополнительные трудности, на которые уже указывается в юридической литературе<sup>2</sup>. Отмечается также то, что в правовой действительности продолжают существовать различные общества, учрежденные в соответствии с национальным законодательством<sup>3</sup>. Этим, наверно, и объясняется тот факт, что с момента утверждения SE предприниматели не проявили особого интереса к нему. Возможно, с течением времени положение изменится. Не исключено и то, что грузинские предприниматели воспользуются этой организационно-правовой формой.

#### **ШОРЕНА ДЖАНХОТЕЛИ – Регистрация индивидуального предприятия**

**(согласно грузинскому и иностранному законодательству).....101**

Автор в статье рассуждает о вопросах, связанных с регистрацией индивидуального предприятия, и отмечает, что несмотря на простоту процедуры регистрации индивидуального предприятия, исходя из особенной важности данной проблемы, необходимо дальнейшее совершенствование указанной процедуры с тем, чтобы сделать ее более гибкой с правовой точки зрения и заполнить пробелы, которые особенно характерны для грузинского законодательства в этой сфере. Вопрос рассматривается автором на примере ведущих зарубежных государств.

#### **ГУРАМ НАЧКЕБИЯ - К вопросу уголовно-правовой связи личности и государства.....115**

Автор в статье затрагивает проблему уголовной связи личности и государства. Он отмечает, что обязательство правомерного деяния как один из элементов правового отношения выражает объективную связь личности и государства, а основанное на ответственности отношение субъекта к этому обязательству является признаком субъективной связи личности и

<sup>1</sup> *Blanquet, Françoise*, Das Statut der Europäischen Aktiengesellschaft (Societas Europaea „SE“). Ein Gemeinschaftsinstrument für die grenzübergreifende Zusammenarbeit im Dienste der Unternehmen. ZGR 1/2002, S. 64.

<sup>2</sup> *Hopt, Klaus J.*, Europäische Aktiengesellschaft - per aspera ad astra? EuZW 1/2002, S. 1

<sup>3</sup> *Lutter, Marcus*, Europäische Aktiengesellschaft - Rechtsfigur mit Zukunft? BB, Heft 1, 4. Januar 2002, S. 3.

государства. Исходя из этого можно заключить, что совершение преступления является одновременно нарушением как объективной, так и субъективной связей личности и государства.

**შოთა Папиашვილი - Некоторые проблемы**

**Квалификации умышленного убийства.....120**

На фоне следственной и судебной практики в работе достаточно полно и убедительно рассматривается целый ряд проблемных вопросов квалификации умышленного убийства. На примерах случаев неверной квалификации, наблюдаемых на практике, автор высказывает свои соображения и обосновывает их.

**რაჯდენ პუტკარაძე, ადიშერ პუტკარაძე –**

**Конституционно-правовые аспекты борьбы с коррупцией.....135**

Вопрос борьбы с коррупцией всегда был актуальным. В соответствии с различными формами выявления коррупционных деяний различаются и формы борьбы с ней. Наиболее эффективным средством борьбы является борьба правовыми методами. Среди отраслей права самым действенным с этой точки зрения считается уголовное право. Так же, как не каждое деяние человека является преступлением, так и не каждое преступление является коррупционным. Эти преступления встречаются в основном в разделе должностных и экономических преступлений. Составы отдельных преступлений, предусмотренных Уголовным кодексом Грузии, прямо указывают на их коррупционный характер. Анализ судебной практики по коррупционным преступлениям демонстрирует, что необходимо сосредоточить внимание на выявлении и расследовании фактов совершения коррупционных преступлений и постановлении справедливых приговоров, опираясь на уголовное законодательство.

**КОММЕНТАРИЙ К ЕВРОПЕЙСКОЙ КОНВЕНЦИИ ПО ПРАВАМ ЧЕЛОВЕКА**

**ნანა მჭედლიძე - Доступность суда.....143**

**რომან ცხოვრებაძე - О внесении изменений в надзорную систему по исполнению**

**Европейской конвенции о защите прав человека и основных свобод.....147**

**АКТЫ КОНСТИТУЦИОННОГО СУДА ГРУЗИИ**

1. Определение от 6 октября 2004 года № 1/13/297.....153
2. Определение от 7 октября 2004 года № 2/8/302.....156
3. Определение от 13 октября 2004 года № 1/14/298.....159
4. Определение от 20 октября 2004 года № 1/15/216.....162
5. Определение от 22 октября 2004 года №2/9/305.....166
6. Определение от 28 октября 2004 года № 1/16/304.....169
7. Определение от 1 ноября 2004 года № 2/11/306.....171
8. Определение от 5 ноября 2004 года № 2/12/260.....175
9. Определение от 11 ноября 2004 года № 2/13/307.....177

**РЕЦЕНЗИЯ**

Предлагаем вашему вниманию рецензию доктора юридических наук, профессора Якоба Путкарაძე на докторскую диссертацию Пааты Цнобиладзе “Направления реформирования законодательства: теоретические и практические аспекты”.....183



1997 წლიდან ჟურნალი ჩართულია საერთაშორისო  
სამეცნიერო გაცვლაში საერთაშორისო სტანდარტული.  
ISSN 1512-097X.

რედაქტორი  
მაია სვიანაძე

სტილისტი  
ევა ჩიკაშუა

კორექტორები:  
მაყვალა გოცირიძე,  
მაყვალა ჭიჭინაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:  
ლალი ქელდიშვილი,  
ხათუნა ყირიმელი

ჟურნალი  
"ადამიანი და კონსტიტუცია"  
გამოდის სამ თვეში ერთხელ

ავტორთა საქურადღებოდ

რედაქციაში დასაბეჭდად შემოსული წერილები არ უნდა აღემატებოდეს 12 გვერდს (წარმოადგინეთ ელექტრონული ვერსიაც, შრიფტი 12, ინტერვალი 1.5). ამასთან, ჟურნალის სპეციფიკიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ნაშრომი სასურველია ეხებოდეს საკონსტიტუციო სამართლისა და საკონსტიტუციო კონტროლის საკითხებს.

ჟურნალი მომზადდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს  
სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილებაში.  
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი, N29.